

**იბერიის კულტურული ლანდშაფტები:
ნამოსახლართა მოდელები „მცხეთის ქვეყანაში“
ძვ.წ. პირველ - ახ.წ. მესამე საუკუნეებში**

ირინა დემეტრაძე

*სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტზე
არქეოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

არქეოლოგიის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გურამ ყიფიანი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2014

აბსტრაქტი

დასახლებათა წარმოშობას და განვითარებას სხვადასხვა ბუნებრივი და კულტურული ფაქტორი განაპირობებდა. ადამიანსა და ბუნებრივ გარემოს შორის მუდმივი ინტერაქცია მიმდინარეობდა. ლანდშაფტს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა, რადგანაც დასახლებათა ადგილს, გავრცელების არეალს, ტიპსა და ფუნქციას განაპირობებდა წარსულში, ხოლო აწმყოში ადამიანის მოღვაწეობის კვალს და მისი მოძრაობის ტრაექტორიას ასახავდა. ამგვარი პროცესების შედეგად აგრიკულტურული, ინდუსტრიული, ურბანული ანუ კულტურული ლანდშაფტები იქმნებოდა. კულტურული ლანდშაფტის არსი, ფართო გაგებით, ნამოსახლართა სისტემებში ვლინდება.

ნაშრომის საკვლევი თემაა რომაული ხანის „მცხეთის ქვეყნის“ ნამოსახლართა სისტემები და მათი დინამიკა, ნამოსახლართა მოდელების ფორმირება და მათზე ბუნებრივი და კულტურული ფაქტორების ზეგავლენა. საკითხები ამ კუთხით, საქართველოს არქეოლოგიაში, არასდროს დასმულა და შესწავლილა, რაც ნაშრომის სიახლესა და ორიგინალურობაზე მიუთითებს.

არქეოლოგიური კულტურების თანამედროვე კვლევების პროცესში, არქეოლოგია საბოლოოდ ჩამოყალიბდა ინტერდისციპლინურ მეცნიერებად. შესაბამისად, ნაშრომში რამდენიმე მეთოდოლოგიური ხაზი იკვეთება - ნამოსახლართა რეგიონალური შესწავლა და სივრცითი ანალიზი, ფიზიკური ლანდშაფტის კვლევის მეთოდები და ფენომენოლოგიური მიდგომა, რაც კულტურული ლანდშაფტის ინტერპრეტაციას გულისხმობს. აღნიშნული კვლევები GIS-ის მეთოდოლოგიების მეშვეობით განხორციელდა. კულტურული და ბუნებრივი პროცესების გასაანალიზებლად გაერთიანდა არქეოლოგიური, ისტორიული, პალეოლოგიური და გეოგრაფიული მონაცემები. კონკრეტული ნამოსახლარის სისტემის გამოსავლენად გამოყენებული იქნა

თვისებრივი კვლევის ხერხი, ხოლო ნამოსახლართა მოდელის გამოვლენისთვის რაოდენობრივი კვლევის მეთოდი.

კვლევის მეთოდოლოგიამ საკვლევი ტერიტორიის გეოგრაფიული არეალი მოხაზა, რომლის ჩრდილოეთი საზღვარია საგურამოს ქედი და არაგვის ჭალები, სამხრეთი - მტკვრის სამხრეთი სანაპირო ზაჰესამდე, აღმოსავლეთი - წინამურის ველები, ხოლო დასავლეთი - მთა ქართლი და მტკვრის სამხრეთი სანაპირო არმაზისხევამდე.

კვლევების შედეგად წარმოჩინდა მშენებლობის ტექნოლოგიები და მეთოდები, ნამოსახლართა ორგანიზაცია და სოციალური სტრუქტურა; გამოიკვეთა ნამოსახლართა ეკონომიკის ტიპი, რომელიც კონკრეტული გეოგრაფიული არეალის მიერ იყო ნაკარნახები; მოხდა წარსული კულტურული და ბუნებრივი ლანდშაფტის რეკონსტრუქცია. არქიტექტურული ნაგებობების, არტეფაქტების, წერილობითი წყაროებისა და ეპიგრაფიკული მასალის ახლებურად ინტერპრეტაციამ იბერიის მოსახლეობის ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე რომაული ზეგავლენა გამოაშკარავა.

ნამოსახლართა რომაული მოდელის ჩამოყალიბება იბერიისა და რომის საუკუნოვანმა ურთიერთობებმა განაპირობა. ახ.წ. პირველ-მესამე საუკუნეებში „მცხეთის ქვეყანაში“ ნამოსახლართა სამი მოდელი გამოიკვეთა, რომელთა ურბანული ცენტრები ღროის სხვადასხვა მონაკვეთში არმაზი, წინამური და მცხეთა იყო. არმაზი და მცხეთა რომაული ურბანიზაციის აშკარა პროცესებს ასახავენ. ნამოსახლართა მოდელის ფორმირება და მათი დინამიკა როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ასევე, გარემო პირობებით იყო გამოწვეული. საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური უბნები ამ კუთხით არასდროს შესწავლილა. ინოვაციურია ნამოსახლართა მოდელის და ლანდშაფტის კვლევების თეორიული მიდგომები და მეთოდოლოგიები, რაც თემის აქტუალობაზე მეტყველებს.

საკვანძო სიტყვები: კულტურული ლანდშაფტი, ნამოსახლართა მოდელის, რომაული ურბანიზმი, სივრცითი ანალიზი

Abstract

Various natural and cultural factors influenced the development of ancient human settlements. In the past humans gradually acknowledged their surrounding environment and, as a result, a dynamic process of human-landscape interactions emerged. Landscape affected settlement formation, cultural stability, and change over time. Humans in turn shaped and constructed the landscape through their activities, which were based on their needs and beliefs. Every settlement represents a cultural landscape that was constructed and conceptualized by ancient people.

The idea of cultural landscape in its broad sense is typically well reflected in settlement patterns. This concept motivated me to take new approaches: studying the settlement patterns of the Mtskheta area. These approaches departed from the standard model of Georgian archaeology. Settlement patterns have never been considered in Georgian archaeology and therefore represent a novel approach to the study of the region.

To consider settlements in a broader context, I conducted spatial analyses employing GIS methodologies. I studied physical landscapes and applied phenomenological approaches to them. I employed pollen analyses and geographical data of location and topography. Quantitative methods were applied to study settlement systems and qualitative methods were applied to settlement patterns.

Settlement spatial analysis defined the study area because various settlements were related to each other. The northern border is bounded by Saguramo Mountain and the Aragvi River, the southern by the Kura River up to the Avchala Electric Station, the eastern by the Tsitsamuri valleys and the western by Mount Kartli, and the southern Kura River up to Armaziskhevi.

The research revealed notable construction techniques and methods, settlement organization, social structure, and economic, cultural, and natural prerequisites that influenced settlement emergence and development in the study area. I also compared ancient written sources to the archaeological record and to landscape evidence.

By integrating these data I discovered significant indications of Roman urbanization. Long-term relationships between Rome and Iberia resulted in Roman settlement patterns. Three urban centers were defined in the Mtskheta area between the end of the 1-st century, B.C., and the beginning of the 3-rd century A.D. These are Armazi, Tsitsamuri, and Mtskheta. Armazi and Mtskheta evidenced obvious signs of Roman urbanization, which had socio-cultural and natural prerequisites. The data show a pattern of Roman presence in Iberia that had not been previously recognized.

Key Words: Cultural Landscapes, Settlement Patters, Roman Urbanism, Spatial Analysis

მადლობა

მსურს გულითადი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც დახმარება აღმომიჩინა და გვერდით მედგა ამ ნაშრომზე მუშაობის დროს. პირველ რიგში, მადლობას მოვასხენებ ჩემ ხელმძღვანელს, პროფესორ გურამ ყიფიანს. საჭირო კონსულტაციების, კონსტრუქციული შენიშვნებისა და კომენტარების მოწოდების გარდა, ბატონი გურამი მეხმარებოდა ლიტერატურისა და საილუსტრაციო მასალების მოძიებაში და საველე სამუშაოების შესრულებაში.

მადლიერებით მინდა მოვიხსენიო კემბრიჯის უნივერსიტეტის მაქდონალდის არქეოლოგიის კვლევის ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი გრემ ბარქერი, რომელმაც პირველმა გამარკვია ლანდშაფტის არქეოლოგიაში, მიმითითა საჭირო ლიტერატურა და გამაცნო ამ სფეროში მომუშავე მკვლევრები.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის ახლო აღმოსავლეთის დეპარტამენტის ემერიტუს-პროფესორს, დევიდ სტრონახს, მეტად საჭირო კონსულტაციებისთვის, ნაშრომის თემასთან დაკავშირებული სტატიის მონახაზის გასწორებისთვის, გამხნეებისა და, საერთოდ, გვერდში დგომისთვის.

ასევე განსაკუთრებული მადლიერებით მინდა აღვნიშნო ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის დეპარტამენტის პროფესორ პატრიკ ქირშის წვლილი, რომელიც, როგორც ფაკულტეტის განვითარების პროგრამის (FDPF) მონაწილეს, სამი სემესტრის განმავლობაში (2011-2013 წ.წ.) მენტორობას მიწევდა ჩემი საკვლევი თემატიკის ირგვლივ.

ბათქაშის და რომაული ბეტონის ანალიზისა და მნიშვნელოვანი კონსულტაციებისათვის მადლობელი ვარ ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების დეპარტამენტის ლაბორატორიის დოქტორ მარი ჯექსონისა.

საჭირო კონსულტაციებისა და არქეოლოგიური ძეგლების ნახაზების მომზადებისთვის მადლობას მოვასხენებ საქართველოს ეროვნული მუზეუმის თანამშრომლებს, დოქტორებს: ქეთევან ჯავახიშვილსა და მაკა ბოკერიას, არქიტექტორ ინგა ესვანჯიას.

მადლობას მოვასხენებ აგრეთვე ქალბატონ მაია ოთინაშვილს GIS რუკების შესრულებისთვის და ქალბატონ დალი გერმანაშვილს ნაშრომის რედაქტირებისთვის.

დაბოლოს, განსაკუთრებული მადლობა ფონდ ღია საზოგადოებას, ღია საზოგადოების ინსტიტუტს და მათ მესვეურთ, რომლებმაც საშუალება მომცეს კემბრიჯისა და კალიფორნიის უნივერსიტეტებში მემუშავა. ამ მივლინებების გარეშე, ეს ნაშრომი ვერ შეიქმნებოდა.

სარჩევი	viii
ილუსტრაციების ჩამონათვალი	x
შესავალი	1
არქეოლოგიის თანამედროვე მიმართულებები და კვლევის მიზანი	1
საკვლევი ტერიტორიის მნიშვნელობა, გეოგრაფიული არეალი, სახელწოდება და ქრონოლოგიური ჩარჩო	8
საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური ვათხრების ისტორია	12
სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი და სტრუქტურა	14
სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა	16
ნამოსახლართა კვლევები	16
ლანდშაფტის კვლევები	25
გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები (GIS)	34
არქეოლოგიური პირველწყაროების მიმოხილვა	36
მეთოდოლოგია	38
შედეგები	43
არმაზის ნაქალაქარი	44
მოგვთაკარის არქეოლოგიური უბანი	96
კარსნისხევის არქეოლოგიური უბანი	105
მუხათგვერდის არქეოლოგიური უბანი	108
ნაქულბაქევი	110
წინამური-სეუსამორა	112
ქალაქი მცხეთა	125
პალინოლოგიური კვლევების შედეგები	143
ინტერპრეტაცია/დისკუსია	144

დასკვნა და რეკომენდაციები	174
ბიბლიოგრაფია	179
დანართები	205
არქეოლოგიური უბნების კატალოგი	205
დანართი 1: არმაზის ნაქალაქარი.....	205
დანართი 1: მოგვთაკარის არქეოლოგიური უბანი.....	210
დანართი 1: კარსნისხევის არქეოლოგიური უბანი.....	214
დანართი 1: მუხათგვერდის არქეოლოგიური უბანი.....	217
დანართი 1: წინამური-სეუსამორას არქეოლოგიური უბანი	220
დანართი 1: მცხეთის არქეოლოგიური უბნები	223
ილუსტრაციები	228

ილუსტრაციების ჩამონათვალი

ილუსტრაცია 1: საკვლევე ტერიტორია. სამი ურბანული ცენტრი - არმაზი, წინამური, მცხეთა.....	228
ილუსტრაცია 2: არმაზის ნაქალაქარი	229
ილუსტრაცია 3: მტკვრისა და არაგვის სანაპირო ზოლის ცვალებადობა ისტორიული და თანამედროვე რუკების ფონზე.....	230
ილუსტრაცია 4: სასიმაგრო კედლის ფრაგმენტი აღმოჩენილი არმაზის ნაქალაქარზე დ. ქუთათელაძის მიერ (ფოტო ა. აფაქიძის 1963წ. მონოგრაფიიდან).....	231
ილუსტრაცია 5: ნაგებობების განლაგება არმაზის ნაქალაქარში	232
ილუსტრაცია 6: სასიმაგრო კედლები (ნახაზები გ. ყიფიანის 2010წ. სტატიიდან)	233
1. ბლოკების ურთიერთჩამკვეტი მშრალი წყობა	
2. მტრედის კუდის ფორმის ორმაგი სამაგრის ბუდეები	
3. მართკუთხა კოშკები	
ილუსტრაცია 7: სასიმაგრო კედლების ფრაგმენტები (ფოტოები დ. მშვენიერაძის 1952წ. და ა. აფაქიძის 1963წ. მონოგრაფიებიდან).....	234
ილუსტრაცია 8: სასიმაგრო კედლის ფრაგმენტი (ნახაზი კ. მელითაურის 1969.წ მონოგრაფიიდან).....	235
ილუსტრაცია 9: სამაგრების ტიპოლოგია კ. ნილანდერის მიხედვით.....	236
ილუსტრაცია 10: სვეტებიანი დარბაზი (ნახაზი ა. აფაქიძის 1963წ. მონოგრაფიიდან).....	237
ილუსტრაცია 11: სვეტებიანი დარბაზი.....	238
ილუსტრაცია 12: ხარაჩოს ფოსოები სვეტებიანი დარბაზის ინტერიერში.....	239
ილუსტრაცია 13: 1. კრამიტების ფრაგმენტები არმაზის ნაქალაქარზე 2. კრამიტები (ნახაზი აფაქიძე და სხვა 2004წ. სტატიიდან).....	240
ილუსტრაცია 14: ხარაჩოს ფოსოები პერგამონში და ასოსში.....	241

ილუსტრაცია 15: 1. სვეტებიანი დარბაზის ინტერიერში აღმოჩენილი ძვლის ფიგურა.....	242
2. სვეტის ბაზები სვეტებიანი დარბაზის ინტერიერში	
ილუსტრაცია 16: აბსიდებიანი ტაძარი (ნახაზი გ. ყიფიანის 2005წ. სტატიიდან).....	243
ილუსტრაცია 17: ცენტრალური ბაზისი აბსიდებიან ტაძარში.....	244
ილუსტრაცია 18: ცენტრალური კაპიტელი აბსიდებიან ტაძარში (ნახაზი გ. ყიფიანის 2005წ. სტატიიდან).....	245
ილუსტრაცია 19: კვარცხლბევი აბსიდებიან ტაძარში.....	246
ილუსტრაცია 20: კორინთიზებული კაპიტელები (ნახაზი გ. ყიფიანის 2005წ. სტატიიდან)..	247
ილუსტრაცია 21: 1. ქვევრები აბსიდებიანი ტაძრის უკან. არმაზის ნაქალაქარი	248
2. ქვევრები ვილა რეგინაში. ბოსკორეალე	
ილუსტრაცია 22: 1. აბსიდებიანი ტაძარი. არმაზის ნაქალაქარი	249
2. ასკლეპეიონის სატაძრო კომპლექსი. პერგამონი	
ილუსტრაცია 23: ხედი არმაზის ნაქალაქარის აღმოსავლეთი მხრიდან	250
ილუსტრაცია 24: რომაული აბანო (ნახაზი ვ. ნიკოლაიშვილის 2011წ. მონოგრაფიიდან).	251
ილუსტრაცია 25: რომაული აბანო No1.	252
ილუსტრაცია 26: რომაული აბანო No2.	253
ილუსტრაცია 27: 1. ბათქაშის ნიმუში რომაული აბანო No1-დან	254
2. ბეტონის ნიმუში რომაული აბანო No2-დან	
ილუსტრაცია 28: 1. რომაული აგურის ზომები	255
2. რადიალური თალი. რომაული აბანო No2	
3. რომაული აგური კედლის წყობაში. რომაული აბანო No2	
ილუსტრაცია 29: ცისტერნა (ნახაზი ა. აფაქიძის 1963წ. მონოგრაფიიდან).....	256
ილუსტრაცია 30: 1. სადრენაჟო არხი ცისტერნის აღმოსავლეთ კედელზე.....	257
2. კონტრფორსები ცისტერნის სამხრეთ კედელზე	

ილუსტრაცია 31: 1. ორმაგი მტრედის კუდის ფორმის სამაგრის ბუდე.....	258
2. წყლის მიმწოდებელი არხი, ოპუს კვადრატუმისა და ოპუს რეტიკულატუმის წყობა	
ილუსტრაცია 32: ოპუს კვადრატუმის წყობა და კუთხის ქვები	259
ილუსტრაცია 33: რომაული ცისტერნები	260
1. პერგამონი	
2. ტოლედო	
3. არმაზი	
ილუსტრაცია 34: აკლდამა	261
ილუსტრაცია 35: არტეფაქტები სარკოფაგიდან	262
1. ვერცხლის გარსაკრავები	
2. ოქროს სამაჯურები კამეოთი	
3. ვერცხლის კოვზი	
ილუსტრაცია 36: ბახუსის ნიღბების გამოსახულებები ვერცხლის თასებზე	263
1. ვერცხლის თასი. არმაზის ნაქალაქარი	
2. ვერცხლის თასი. კართაგენი	
ილუსტრაცია 37: 1. ლომის თავის გამოსახულება. ფრიზი. არმაზის ნაქალაქარი	264
2. ლომის თავი. ანტაბლემენტი. ბაალბეკი	
ილუსტრაცია 38: არმაზთან დაკავშირებული არქეოლოგიური უბნები	265
ილუსტრაცია 39: მოგვთაკარის არქეოლოგიური უბანი (ნახაზი მცხეთა VII-დან)	266
ილუსტრაცია 40: კრამიტსამარხები (ფოტოები მცხეთა VII-დან)	267
ილუსტრაცია 41: აკლდამა (ნახაზი გ. ლეჟავას 1978წ. მონოგრაფიიდან).....	268
ილუსტრაცია 42: კარსნისხევის არქეოლოგიური უბანი (ნახაზი ვ. ნიკოლაიშვილის 1993წ. მონოგრაფიიდან)	269
ილუსტრაცია 43: წინამურის არქეოლოგიური უბანი	270
ილუსტრაცია 44: მრგვალი შენობის ცოკოლი (ავტორი ლ. რჩეულიშვილი 1953).....	271

ილუსტრაცია 45: სამაგრის ბუდეები ქვიშაქვის ბლოკებზე	272
ილუსტრაცია 46: სამაგრის ბუდეები მრგვალი შენობის ცოკოლის ბლოკებზე (ფოტოები ა. აფაქიძის 1963წ. მონოგრაფიიდან)	273
ილუსტრაცია 47: არქეოლოგიური გათხრების გეგმა	274
ილუსტრაცია 48: ქრისტიანული ქვაყუთი	275
ილუსტრაცია 49: ნაგებობის ნაშთები.....	276
ილუსტრაცია 50: კულტურული ფენა ჭრილში	277
ილუსტრაცია 51: კოშკურა სახლის საძირკველი	278
ილუსტრაცია 52: ქალაქი მცხეთა და არქეოლოგიური უბნები	279
ილუსტრაცია 53: საწერი მონუმენტობა რომაული ქვაყუთიდან	280
ილუსტრაცია 54: შენობების პარალელური რიგი	281
ილუსტრაცია 55: ბებრისციხე	282
ილუსტრაცია 56: ბებრისციხის აღრინდელი კედლების ფრაგმენტები (ფოტოები ვ. ნიკოლაიშვილის და სხვა 2009წ. ანგარიშიდან).....	283
ილუსტრაცია 57: არქეოლოგიური ძეგლების გავრცელება მცხეთის ტერიტორიაზე პერიოდების მიხედვით	284
ილუსტრაცია 58: 1. ვერცხლის კოვზები არმაზის სარკოფაგიდან	285
2. რომაული გემა-პორტრეტი არმაზისხევის სარკოფაგიდან	
ილუსტრაცია 59: რომაული გემა-პორტრეტები არმაზისხევის სარკოფაგიდან	286
1. ასპარუგ პითიასმის საბეჭდავი-ბეჭედი	
2. უცნობი მამაკაცის საბეჭდავი ბეჭედი	
3. ფირფიტა გემა-ინტალიოთი ზევახისა და კარპაკის გამოსახულებით	

შესავალი

“Naturae vero rerum vis atque maiestas omnibus momentis fide caret
si quis modo partes eius ac non totam complectatur animo”.

Plinius, Naturalis Historia, Libri VII, 1

„მისი უდიდებულესობა ბუნების ძალა, გამოვლენილი ყველა ასპექტში,
დაკარგულია მისთვის, ვინც მხოლოდ დეტალებს აღიქვამს და არა მთელს”.

პლინიუსი, ბუნების ისტორია, წიგნი VII, 1

არქეოლოგიის თანამედროვე მიმართულებები და კვლევის მიზანი

თითქმის ორი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც არქეოლოგია, როგორც მეცნიერება, არსებობს (დენიელი 1975; თრიგერი 2003). მე-19 საუკუნეში დაწყებული სიძველეთა შესწავლა თანდათან არქეოლოგიურ დისციპლინად ჩამოყალიბდა (მურეი 2007, 17). ამ ხნის მანძილზე შეიცვალა როგორც პრაქტიკული, ასევე თეორიული არქეოლოგია, ჩამოყალიბდა სხვადასხვა მეთოდოლოგიური მიდგომა, რამაც, საბოლოოდ, არქეოლოგიის მიზნები და ამოცანები სხვადასხვა კუთხით წარმოაჩინა. მე-20 საუკუნის 30-იან წლებში არქეოლოგიის ძირითადი მიზანი არტეფაქტების მოძიება, მათი კლასიფიკაცია, ქრონოლოგიური ჩარჩოების განსაზღვრა და არქეოლოგიური კულტურების წარმოჩენა იყო. შესაბამისად, მე-20 საუკუნის 60-იან წლებამდე არქეოლოგია

განიხილებოდა, როგორც ემპირიული დისციპლინა, რომლის როლიც, ძირითადად, არქეოლოგიური მონაპოვრის შესწავლა იყო (ქლარქი 1968; შიფერი 1976).

არქეოლოგები მუდმივად ეძიებდნენ ახალ გზებს არქეოლოგიის, როგორც მეცნიერების, განვითარებისათვის; იყენებდნენ ახალ საშუალებებს წარსულის უფრო სრულყოფილად და ობიექტურად შესწავლისათვის. 1960-იან წლებში არქეოლოგიაზე გავლენა იქონია პოზიტიურმა ეპისტემოლოგიამ. თვითონ ეს მიმართულება ბიჰევიორიზმთან (უკავშირდება ადამიანის ქცევას) პოულობდა მსგავსებას და არქეოლოგიურ მონაპოვარს გარემოსთან ადაპტაციის შედეგად მიღებულ პროდუქციად განიხილავდა. 1980-იან წლებში ეს მიდგომა იდეალისტურმა, კულტურულ-რელატივისტულმა ეპისტემოლოგიამ გააკრიტიკა და ადამიანის ქცევის განმსაზღვრელ მნიშვნელოვან მოვლენად რწმენა-წარმოდგენები და კულტურული ტრადიციები მიიჩნია. ეს ორი უკანასკნელი მიდგომა ჩამოყალიბდა, როგორც პროცესუალური და პოსტპროცესუალური არქეოლოგია (თრიგერი 2003, 2).

პროცესუალურმა, ანუ ახალმა არქეოლოგიამ ტრადიციული არქეოლოგიური, ანუ ნორმატიული მიდგომა - მხოლოდ მატერიალური კულტურის კლასიფიკაცია ტიპოლოგიისა და ქრონოლოგიის მიხედვით - არასაკმარისად მიიჩნია და წამოჭრა საკითხი კულტურული მატერიალიზმის ანთროპოლოგიური მეთოდოლოგიებით შესწავლისა. სწორედ მაშინ ითქვა, რომ არქეოლოგია ან ანთროპოლოგიაა, ან სულაც არაფერი (ვილი, ფილიფსი 1958). ეს აზრი შემდგომ ლ. ბინფორდმა განაგრცო (ბინფორდი 1962). უნდა აღინიშნოს, რომ ამ კონცეფციას ახლაც ჰყავს თავისი მომხრეები (ენლო 2008, 125-140). ამიტომაც, პრეისტორიული ადამიანის მიერ შექმნილი კულტურის შესწავლა დღეს არქეოლოგიისა და ანთროპოლოგიის საერთო ამოცანას წარმოადგენს. პროცესუალურმა არქეოლოგიამ კულტურა ექსტრასომატურ სისტემად წარმოაჩინა, რომლის კვლევაც საზოგადოების გარემომცველ ბუნებრივ გარემოსა და სხვა სოციალურ-კულტურულ სისტემებთან ერთობლიობაში იყო მიზანშეწონილი (ბინფორდი 1965, 205).

პოსტპროცესუალური არქეოლოგია წარმოიშვა პროცესუალური არქეოლოგიის სრულყოფის მცდელობის შედეგად. მის ჩამოყალიბებაზე პოსტმოდერნიზმმაც იქონია

გავლენა. პოსტპროცესუალმა არქეოლოგებმა მატერიალისტური ონთოლოგია იდეალისტურით ჩაანაცვლეს. ქცევის მაგივრად, კულტურა გახდა მათი ინტერესის ძირითადი სფერო. ისინი იდეების ინტერპრეტაციის საშუალებით ხსნიდნენ ადამიანის ქცევას. მზარდი ინტერესი გამოიწვია იდიოსინკრეტულობამ. ყოველი კულტურა ადამიანის სულიერების უნიკალურ გამოხატულებად იქნა აღიარებული (ჰოდერი 1982; თილი 1990; შანქი, თილი 1992; უკო 1995).

ბრიტანეთში პოსტპროცესუალი არქეოლოგები პროცესუალი არქეოლოგების ოპოზიციონერებად თვლიან თავს. ამერიკის შეერთებულ შტატებში კი ორივე მიდგომას იზიარებენ და ერთმანეთის შემავსებელ მეთოდებად მიიჩნევენ. პროცესუალური არქეოლოგიის მეთოდოლოგია ძველი ადამიანის საარსებო საშუალებებისა და ეკონომიკის შესასწავლად გამოიყენება, ხოლო პოსტპროცესუალური - ადამიანის ისეთი ქცევის გამოსაკვლევად, რომელზეც რელიგიური წარმოდგენები ან სპეციფიკური კულტურული ღირებულებები ახდენს გავლენას. აღსანიშნავია, რომ ამგვარ მიდგომას თავისი მომხრეები და მონინააღმდეგეები ჰყავს (თრიგერი 2003, 21-22).

ძველი ადამიანის ქცევისა და იდეების გაანალიზება მატერიალური ნაშთების შესწავლითა და გარემოზე ადამიანის ზემოქმედების კვალის განსაზღვრით არის შესაძლებელი. ამგვარი საკითხების კვლევა მხოლოდ არქეოლოგიური მეთოდოლოგიების გამოყენებით, ხშირად, გარკვეულ სირთულეებთან და სუბიექტივიზმთანაც კი არის დაკავშირებული. ასეთ შემთხვევებში, არქეოლოგიური მონაცემების უკეთ ინტერპრეტირებისათვის, მომიჯნავე დისციპლინების დახმარება ხდება საჭირო, მაგალითად, სოციალური მეცნიერებების, გეოგრაფიის, გეოლოგიის და სხვა. ამიტომაც, არქეოლოგიის სხვადასხვა მიმართულებებს სხვადასხვა მეცნიერებებს მიაკუთვნებენ, მაგალითად, ჰუმანიტარულს, სოციალურს ან საბუნებისმეტყველოს. დღესდღეობით ამერიკელი მეცნიერები პრეისტორიულ არქეოლოგიას სოციალური მეცნიერების ერთ-ერთი დისციპლინის, კერძოდ, ანთროპოლოგიის განშტოებად მიიჩნევენ, რომლის მიზანიც კულტურის ევოლუციის კვლევა, ძველი ადამიანის ქცევის ანალიზი და სხვადასხვა საზოგადოების ისტორიის აღწერაა წერილობითი წყაროების

გაჩენამდე. თუმცა, ზოგიერთმა ბრიტანელმა პოსტპროცესუალმა არქეოლოგმაც დაუკავშირა არქეოლოგია სოციალურ მეცნიერებებს, რადგანაც მიიჩნია, რომ ეს დისციპლინა უკეთ შეისწავლიდა სოციალურ ფორმაციებს, სოციალურ სტრუქტურებსა და სოციალურ ცვლილებებს (ჰოდერი 1982; თილი 1982).

არქეოლოგიური კულტურების კვლევის სხვადასხვა მეთოდოლოგიურ ძიებებში კულტურა განიხილება, როგორც მსგავსი იდეებისა და ნორმების ერთობლიობა, რომელიც სისტემურ შესწავლას საჭიროებდა. ამგვარი სისტემური კვლევების წიაღში, რომელიც სოციალური, კულტურული და ბუნებრივი გარემოს ცვალებადობის ერთობლივ შესწავლას გულისხმობდა, ჩაისახა ნამოსახლართა მოდელებისა და ლანდშაფტის კვლევები, ამ ცნებების ფართო გაგებით. დასავლური არქეოლოგია, ტრადიციულად, ამახვილებდა ყურადღებას სივრცესა და ლანდშაფტზე, ანუ იმ თემებზე, რაც ღღეს, ძირითადად, ნამოსახლართა და ლანდშაფტის არქეოლოგიის კვლევის საგანია. თანამედროვე მიდგომაში თვითონ ლანდშაფტის კონცეფცია შეიცვალა - თუკი ადრე ლანდშაფტი კულტურის ფონად განიხილებოდა, ახლა იგი ადამიანთა ცხოვრებასთან დაკავშირებულ რთულ, კომპლექსურ ელემენტებად აღიქმება.

ძველი ადამიანები შეიცნობდნენ გარემოს და თავისი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, იაზრებდნენ და იყენებდნენ მას. ადამიანთა საქმიანობისა და რწმენა-წარმოდგენების შედეგად იქმნებოდა აგრიკულტურული, ინდუსტრიული, რიტუალური და სიმბოლური ლანდშაფტები, რომლებიც ადამიანთა სოციალურ-კულტურულ იდენტობას ასახავდნენ. ასეთ შემთხვევებში ადგილი სივრცის სოციალური მნიშვნელობის განმსაზღვრელი ხდებოდა და განსაკუთრებით კარგად ავლენდა ადამიანისა და ლანდშაფტის ინტერაქციის მთელ რიგ სირთულეებს. ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანისა და ლანდშაფტის ურთიერთობის ფართო ჭრილში განხილვას და მის დროსა და სივრცეში შესწავლას.

არქეოლოგიური კულტურების წარმოშობისა და განვითარების კვლევა დროსა და სივრცეში ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, ისტორიისა და გეოგრაფიის საერთო ინტერესის სფეროს წარმოადგენს, თუმცა, თითოეულ დისციპლინას თავისი ვიწრო კვლევის

ობიექტი და მიდგომა აქვს. მათი მეთოდოლოგიები სხვადასხვა კუთხით წარმოაჩენენ ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის ასპექტებს და სხვადასხვაგვარად ასახავენ ადამიანის სოციალური და კულტურული იდენტობის ცნების წარმოშობისა და განვითარების პროცესებს.

ადგილის, სივრცისა და ლანდშაფტის კონცეფციები და კვლევები განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა დასავლეთის არქეოლოგიურ საზოგადოებაში უკანასკნელი 20-30 წლის მანძილზე. ამ ტიპის კვლევებში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების (GIS) მეთოდოლოგიების გამოყენებამ. GIS ტრადიციულ კარტოგრაფიას ეფუძნება და მას განსაკუთრებული როლი ეკისრება ფიზიკური ლანდშაფტების კვლევაში, არქეოლოგიური მონაცემების ინტეგრირებაში, მართვაში, მათ სივრცობრივ ანალიზსა და ინტერპრეტაციაში. GIS-ის კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით შექმნილი ლანდშაფტის რუკები უფრო სრულყოფილია და მნიშვნელოვან როლს ასრულებს ნამოსახლართა მოდელისა და ლანდშაფტის კვლევებში. GIS-ის ერთ-ერთი მთავარი დამსახურება, როგორც პრობლემის გადაჭრის საშუალებისა, მდგომარეობს იმაში, რომ იგი აერთიანებს ზოგადსა და სპეციფიკურს, მაგალითად, სივრცეს და ლოკაციას.

21-ე საუკუნეში კი მოხდა ის, რომ არქეოლოგია საბოლოოდ ჩამოყალიბდა ინტერდისციპლინურ მეცნიერებად, რომელიც დამოკიდებულია როგორც ჰუმანიტარულ, ასევე სოციალურ, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერულ მეცნიერებებზე და მისი მიზანია არა მხოლოდ არტეფაქტების ან არქეოლოგიური კულტურების ანალიზი, არამედ იმ საზოგადოების მრავალმხრივი კვლევა, რომელმაც ესა თუ ის არტეფაქტი და მთლიანად კულტურა შექმნა. ეს მიდგომა, რომელიც, ძირითადად, პრეისტორიული ადამიანისა და მისი კულტურის კვლევაში გამოიყენებოდა, დღეს კლასიკურ არქეოლოგიაშიც აღიარებულია.

უნდა აღინიშნოს, რომ თეორიული დებატები პროცესუალურ და პოსტპროცესუალურ არქეოლოგიაზე, ძირითადად, ანგლოამერიკულ და ანგლოფონურ სამყაროს ახასიათებდა (ჩეფმენი 2003; თრიგერი 2003). იგივე შეიძლება ითქვას

კონცეპტუალურ და მეთოდოლოგიურ მიდგომებზე, რომლებიც ნამოსახლართა სისტემების, მოდელისა და ლანდშაფტის კვლევებს შეეხება. შესაბამისად, კვლევის პროცესში გამოყენებული კონცეფციები, მეთოდოლოგიები და ლიტერატურა, ძირითადად, ბრიტანელ და ამერიკელ ავტორებს ეკუთვნით.

ნამოსახლართა მოდელისა და ლანდშაფტის ფართო ცნებების კვლევისას ზემოაღნიშნული თეორიული თუ მეთოდოლოგიური მიდგომები ქართული არქეოლოგიისათვის უცხოა და, ამდენად, ეს სიახლეს წარმოადგენს ჩემს ნაშრომში. არქეოლოგიური მონაცემები განხილულია ფართო კონტექსტში, არა მხოლოდ მატერიალური კულტურის ნაშთებად და შესწავლილია არქეოლოგიისა და მისი მომიჯნავე დისციპლინების ინოვაციური კონცეფციებისა და აპრობირებული მეთოდოლოგიების გამოყენებით; მიღებული მონაცემები ინტეგრირებულია და გაანალიზებული. ამრიგად, კვლევის მიზანი ამგვარად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- ა) წარმოვაჩინო სხვადასხვა ფუნქციის ნამოსახლართა ორგანიზაცია, ურთიერთკავშირი, ანუ სოციალური სტრუქტურა საერო, რელიგიური და საფორტიფიკაციო არქიტექტურის, სამშენებლო ტექნოლოგიებისა და მასალების და არტეფაქტების შესწავლის გზით, წერილობითი წყაროების ანალიზის მეშვეობით;
- ბ) გავარკვიო მათი ეკონომიკის ტიპი, რომელიც კონკრეტული გეოგრაფიული არეალის მიერაა ნაკარნახევი;
- გ) მოვახდინო არქეოლოგიური, ეთნობოტანიკური, ისტორიული და გეოგრაფიული მონაცემების ინტეგრირება და ანალიზი კულტურული და ბუნებრივი პროცესების შესასწავლად;
- დ) წარმოვაჩინო ბუნებრივი და კულტურული ფაქტორების ზეგავლენა ნამოსახლართა სისტემების სტაბილურობასა თუ ცვალებადობაზე და ავსახო მათი დინამიკა;
- ე) GIS-ის მეთოდოლოგიების გამოყენებით მოვახდინო ნამოსახლართა სივრცითი ანალიზი და წარსული ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტის რეკონსტრუქცია;
- ვ) გამოვიტანო შესაბამისი დასკვნები და გამოვაფიქრო რომაული ხანის ნამოსახლართა მოდელები იბერიაში.

არქეოლოგია ლანდშაფტზე ასახული წარსულის ინტერპრეტაციას ახდენს. ლანდშაფტი, თავის მხრივ, ერთგვარ პალიმთესესტს წარმოადგენს, რადგანაც იგი ადამიანის მიერ მუდმივად ათვისების პროცესში იყო. ადამიანი აშენებდა სხვადასხვა ფუნქციისა და დანიშნულების ნაგებობებსა და დასახლებებს, რომლებსაც დროთა განმავლობაში, გარკვეული მოსაზრებებიდან გამომდინარე, თვითონვე ცვლიდა. დასახლებებზე გარემოს, ლანდშაფტისა და დროის ცვალებადობაც ახდენდა მნიშვნელოვან ზემოქმედებას. ძველი ადამიანები თავისებურად აღიქვამდნენ ყოველივე ამას და, შესაბამისად, მათი განსხვავებული აღქმაც ჩვენამდე მოღწეულ მატერიალური კულტურის ნაშთებშია ასახული.

თანამედროვე მკვლევარი მატერიალური ნაშთების შესწავლის გზით ცდილობს შეიცნოს ძველი ადამიანის კულტურა, გაიაზროს მისი შექმნის პირველადი კონტექსტი. მაგრამ, რადგანაც თავად ადამიანი, მის მიერ შექმნილი კულტურა და მათი გარემომცველი ბუნება ცვალებადია, მრავალი წინააღმდეგობა იჩენს თავს. მაგალითად, კვლევის მომენტში არსებული ნამოსახლარი, თავისი ფორმით, შინაარსითა და ბუნებრივი თუ კულტურული კონტექსტით განსხვავდება წარსულში შექმნილი დასახლებისაგან. ამიტომ, მსგავსი წინააღმდეგობიდან გამომდინარე, არქეოლოგები ისტორიის საკუთარ ვერსიას ქმნიან (ბრედლი 2003, 223).

ფაქტობრივად, არქეოლოგიური კვლევა დაკარგული დროის ძიებაა, მისი რეკონსტრუქციის მცდელობა, სიმულაკრუმი. ამ პროცესებში რთულია, სუბიექტური არ იყო. ამიტომ, ნაშრომის ბოლოს წარმოდგენილი დასკვნები არ უნდა იქნეს განხილული მტკიცებულებად. ეს არის იმ მოსაზრებათა და შეხედულებათა ერთობლიობა, რომელიც ჩემი კვლევის პროცესში წარმოიშვა და ჩამოყალიბდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს არის ახალ მონაცემებზე დამყარებული წარსული მოვლენების ახლებური აღქმა. როგორც მარშალ სალინსმა თქვა თავის ერთ-ერთ ლექციაში, ვცდილობ არ დავამტკიცო, არამედ ავხსნა თუ რას ვამტკიცებ¹.

¹ ფრაზა მარშალ სალინსის ლექციიდან, წაკითხული ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის ანთროპოლოგიის დეპარტამენტში 2011 წელს.

საკვლევი ტერიტორიის მნიშვნელობა, გეოგრაფიული არეალი, სახელწოდება და ქრონოლოგიური ჩარჩო

ჩემი კვლევის საგანს წარმოადგენს მტკვრისა და არაგვის აუზში მდებარე სამი ურბანული ნამოსახლარი – არმაზი-არმოზიკე, წინამური-სეუსამორა, მცხეთა-მესტლეტა და მათთან დაკავშირებული რომაული პერიოდის არქეოლოგიური ძეგლები. ამ ტერიტორიის ფარგლებში ექცეოდა და მონაცვლეობდა იბერიის პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრი საუკუნეების მანძილზე. მრავალფეროვანი არქეოლოგიური მასალა და წერილობითი წყაროები მეტყველებენ, რომ ეს იყო სხვადასხვა კულტურათა თანხვედრისა და გადაკვეთის არეალი რომაულ ხანაში. ცხადია, დასახლებების გაჩენა და ზოგიერთი მათგანის ურბანულ ცენტრებად ჩამოყალიბება რთული სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული პროცესი იყო, რაც აღნიშნულ ნამოსახლარებსა და მათ ორგანიზაციაში გამოვლინდა. ეს ადგილი სხვადასხვა დროში პოლიტიკური ძალაუფლებისა და სოციალური ურთიერთობების ამსახველი არენა იყო.

ადგილი, თავის მხრივ ის სივრცეა, რომელსაც მნიშვნელობა აქვს, რადგანაც მასზე წარსული მოვლენების აზრია გამოხატული. ეს შეიძლება ლანდშაფტიც იყოს, თავისი ბუნებრივი თუ ხელოვნული მახასიათებლებით, მაგალითად, გამოქვაბული, მთის წვერი, სამლოცველო, სამარხი და სხვა. ლანდშაფტზე ასახულია როგორც ძველი ადამიანის მოქმედების კვალი, ასევე, მისი მოძრაობის ტრაექტორია. სივრცეში მოძრაობის შედეგად შექმნილი გამოცდილება და წარმოქმნილი იდეები, თავისთავად, საფუძველს უქმნის და აკანონებს სოციალურ ურთიერთობებს (ვან დაიკი, ალქოქი 2003, 4-5). სოციალური ურთიერთობები ის მესხიერებაა, რომელსაც არქეოლოგიური ძეგლები ინახავენ და ასახავენ, რადგანაც მესხიერება ადგილს უკავშირდება და ეს კავშირი გარკვეულ მნიშვნელობას იძენს (ბასო 1996, 107). არმაზის, წინამურის, მცხეთის და ასევე მათ შემოგარენში არსებული ნამოსახლარების მნიშვნელობა ის არის, რომ მათ მესხიერება აქვთ, რომელსაც არა მარტო სოციალური, არამედ კულტურული მესხიერებაც შეიძლება ვუწოდოთ. ამგვარი მესხიერება კულტურულ ლანდშაფტებში აისახება, რომლის არსიც,

თავის მხრივ, ნამოსახლართა მოდელელებში ვლინდება. საკვლევ ტერიტორიაზე წარსულში გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები ამ კუთხით არასდროს შესწავლილა, რაც, ასევე, თემის სიახლესა და ორიგინალურობაზე მეტყველებს.

საკვლევ ტერიტორიის გეოგრაფიული არეალიც ზემოთ აღნიშნულმა არქეოლოგიურმა უბნებმა განსაზღვრა. ამ ტერიტორიას ჩრდილოეთით საგურამოს ქედი და არაგვის ჭალები ესაზღვრება, სამხრეთით - მტკვრის სამხრეთი სანაპირო ზაჰესამდე, აღმოსავლეთით - წინამურის ველები, ხოლო დასავლეთით - მთა ქართლი და მტკვრის სამხრეთი სანაპირო არმაზისხევამდე. ეს ადგილი დაახლოებით 15კვ² მოიცავს და ლანდშაფტის მრავალფეროვნებით - ქედებით, გორაკ-ბორცვებით, ველებით, ხეობებით, ხევებით, მდინარეებითა და მდინარის ჭალებით - გამოირჩევა (ილუსტრაცია 1).

არმაზის ხეობის არქეოლოგიური ძეგლებისადმი მიძღვნილ პუბლიკაციაში, ეს ტერიტორია და მისი შემოგარენი, 1955 წელს „დიდი მცხეთის“ სახელით პირველად იქნა მოხსენიებული. „დიდ არქეოლოგიურ სამუშაოთა ობიექტად დაისახა მცხეთა და მისი მიდამოები, სახელდობრ, ტერიტორია, რომელიც ისაზღვრება აღმოსავლეთით რკინიგზის სადგურ ზაჰესით, დასავლეთით - შიო-მღვიმე-ძეგვის მიდამოებით, ჩრდილოეთით - მუხრანის ველით, ხოლო სამხრეთით - სანკეპელა-დიდგორის ქედით. ეს იქნებოდა, ასე ვთქვათ, დიდი მცხეთა და მისი მიდამოები“ (აფაქიძე და სხვა 1955, 3). მას შემდეგ ამ ტერიტორიას „დიდი მცხეთის“ სახელი დაუმკვიდრდა და არქეოლოგიურ პუბლიკაციებში ფიგურირებდა, როგორც ერთი ქალაქის და მისი უბნების აღმნიშვნელი ცნება (აფაქიძე 1963, 245; აფაქიძე და სხვა 1978, 5; კალანდაძე 1980, 8).

ტერმინი „დიდი მცხეთა“ და მისი კონოტაცია შესაძლოა იქიდან მომდინარეობდეს, რომ მეშვიდე-მეთერთმეტე საუკუნეების ქართულ ისტორიულ წყაროებში ქალაქი მცხეთა ეპითეტ დიდის თანხლებით არის მოხსენიებული, ხოლო სხვადასხვა ტოპონიმი - მის უბნებად - „ქალაქი დიდი მცხეთა და უბანი მისნი: სარკინე და ციხე დიდი ზაფნი, უბანი ჭურიათა. . .“ (მქ 1963, 84; ქც 1955, 12).

ეს ტოპონიმები, ერთმანეთისაგან სამი-ოთხი კილომეტრით დაშორებულ ურბანულ დასახლებებსა თუ საფორტიფიკაციო პუნქტებს განსაზღვრავს, რომლებიც მეტად

არაერთგვაროვან ლანდშატებზე მდებარეობენ. ცხადია, ამდენი სხვადასხვა ტიპის დასახლება, თანაც ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებული, ერთ საქალაქო სივრცეში ვერ გაერთიანდებოდა. ასეთი მასშტაბები და მთების, ქედების, ხეობებისა და მდინარეების სიმრავლე არათუ კლასიკური ან ფეოდალური ქალაქისათვის, არამედ მრავალი თანამედროვე ქალაქისთვისაც ძნელად ასათვისებელი იქნებოდა. ასე რომ, წყაროში ქალაქ მცხეთასთან მიმართებაში ნახსენები ეპითეტი „დიდი“ (ასევე, სხვა პუნქტებთან მიმართებაშიც) სრულებითაც არ გულისხმობს ქალაქის ტერიტორიულ სიდიდეს. ის ამ ქალაქის სოციალურ სტატუსს უსვამს ხაზს და მის აღმატებულ ხარისხზე მეტყველებს (ყიფიანი 2010ა, 105), რადგანაც მეოთხე საუკუნის დასაწყისში, ნინოს მცხეთაში შემოსვლის დროს, ეს ის ქალაქია, სადაც „ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“ (მქ 1963, 116). მცხეთა ამ გეოგრაფიული არეალის დომინანტი მართლაც ხდება გარკვეულ პერიოდში. აქედან გამომდინარე, უფრო მართებულად მიმაჩნია, საკვლევი ტერიტორიის აღსანიშნავად, ტერმინი „დიდი მცხეთის“ სანაცვლოდ, ნაშრომში ვიხმარო ტერმინი „მცხეთის ქვეყანა“, რადგანაც იგი უკეთ ასახავს იმდროინდელი დასახლებების ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს. რაც შეეხება ტერმინ „უბნებს“, ეს სიტყვაც, ალბათ, დღევანდელი მნიშვნელობით არ უნდა იქნეს გაგებული. იგი, შესაძლოა, დასახლების გარკვეულ დაქვემდებარებულ პოზიციაზე მიუთითებდეს.

საკვლევი ტერიტორია აღინიშნება ელინისტური და რომაული პერიოდების (ძვ.წ. მეორე - ახ.წ. მეოთხე ს.ს.) ძეგლთა განსაკუთრებული სიმრავლით. ამ ხნის მანძილზე დროის სხვადასხვა მონაკვეთში წინაურდება არმაზი-არმოზიკე, წინამური-სეუსამორა და მცხეთა-მესტლეტა. მათ ირგვლივ კი დანარჩენი დასახლებების კონცენტრაცია ან მათდამი დაქვემდებარება შეიმჩნევა. ძვ.წ. პირველ საუკუნეში სტაბონის მიხედვით აქ ორი ქალაქია – არმაზი-არმოზიკე და წინამური-სეუსამორა (სტრაბონი XI, III, 5), ახ.წ. მეორე საუკუნის იბერიის ქალაქთა ჩამონათვალში, არმაზ-არმოზიკესთან ერთად, მცხეთა-მესტლეტაც ფიგურირებს (პტოლემეაოსი X), მაგრამ არ მოიხსენიება წინამური-სეუსამორა. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ დროიდან იწყება მცხეთის აღზევება, როგორც ურბანული ცენტრისა (მელიქიშვილი 1958, 156; ყიფიანი 2010ა, 104), ხოლო წინამური-სეუსამორა

კარგავს დაწინაურებულ პოზიციას და რაღაცა ფორმით მცხეთის დაქვემდებარებაში შედის (ციფიანი 2003, 111; დემეტრაძე, ციფიანი 2012, 42). არქეოლოგიური მასალის მიხედვით, მეორე-მესამე საუკუნეებში არმაზი კვლავ დომინანტია. მესამე საუკუნიდან მცხეთაშიც იკვეთება გავლენიანი სოციალური ფენა. მეოთხე საუკუნის დასაწყისში კი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი მცხეთა ხდება.

ამრიგად, ამ გეოგრაფიულ არეალში სხვადასხვა პერიოდში ნამოსახლართა მოდელები ყალიბდება, რომელთა კონფიგურაცია დასახლებათა სუბორდინაციის მიხედვით იცვლება - იკვეთება დომინანტური და დაქვემდებარებული დასახლებები.

საკვლევმა ტერიტორიამ და კვლევის მოტივმა შემდეგი ქრონოლოგიური ჩარჩო წარმოაჩინა - ძვ.წ. პირველი - ახ.წ. მესამე საუკუნეები, რაც რომაულ პერიოდს უკავშირდება. ძნელია, დანამდვილებით ითქვას, როდის დაწინაურდნენ ურბანული ცენტრები თუ ქალაქები „მცხეთის ქვეყანაში“. დაზუსტებით იმის თქმა შეიძლება მხოლოდ, რომ ძვ.წ. 65 წელს, პომპეუსის ლაშქრობის დროს, ორი ქალაქი - არმაზი-არმოზიკე და წინამური-სეუსამორა - უკვე არსებობდა (სტრაბონი XI, III, 5; დიონ კასიუსი XXXVII, 4), რომელთაც, ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, შემალლებულ ადგილებზე და, ამავე დროს, მდინარეებთან უშუალო სიახლოვეს, სხვა დასახლებებთან შედარებით, გაბატონებული პოზიცია ეკავათ და დასახლებათა გარკვეულ მოდელს ქმნიდნენ.

პომპეუსის ლაშქრობიდან მოყოლებული, იბერიის საგარეო და საშინაო ცხოვრებაში აქტიურად ჩაერთო რომი. იბერიისა და რომის საუკუნოვანი ურთიერთობები დასახლებათა კონფიგურაციაზეც აისახა, რამაც განაპირობა ახ.წ. პირველი-მესამე საუკუნეების დასახლებათა რომაული მოდელების ჩამოყალიბება. ახ.წ. მეოთხე საუკუნის დასაწყისში რომსა და იბერიას შორის პოლიტიკური კავშირი უფრო გამყარდა, რაც ახალი რელიგიის - ქრისტიანობის - შემოსვლაში გამოვლინდა. ამ პერიოდში იბერიის პოლიტიკურ-რელიგიური ცენტრი არმაზიდან მცხეთაში გადავიდა. ამას ქრისტიანული ტაძრის მცხეთაში აშენება მოწმობს. მეოთხე საუკუნის 30-40-იან წლებში პირველი ეკლესია სამეფო ბაღში აშენდა, რადგანაც სამეფო რეზიდენცია, ანუ იბერიის პოლიტიკური ცენტრი, უკვე მცხეთაში მდებარეობდა.

ამრიგად, რომაულ ხანაში, კერძოდ, ძვ.წ. პირველი საუკუნის ბოლოს - ახ.წ. მეოთხე საუკუნის დასაწყისში, ყალიბდებოდა დასახლებათა სისტემები, რომელთა ფორმირებაც როგორც სოციალურ-პოლიტიკური, ასევე, გარემო პირობებით იყო გამოწვეული. სწორედ ამგვარი პროცესების შედეგად წარმოქმნილი ნამოსახლართა მოდელების გამოვლენა წარმოადგენს ჩემი თემის საკვლევ საკითხს.

საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ისტორია

საკვლევ ტერიტორიაზე არქეოლოგიური სამუშაოები პირველად მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ჩატარდა, რაც 1867 წელს ბერძნულწარწერიანი სტელის, ე.წ. ვესპასიანეს წარწერის, შემთხვევითი აღმოჩენის ფაქტმა განაპირობა (იხ. აფაქიძე და სხვა 1955, 1-6). მას შემდეგ ამ ადგილისადმი არქეოლოგიური ინტერესი არ განელეებულა. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ამ ტერიტორიის კვლევისას ჩაეყარა საფუძველი საქართველოს არქეოლოგიას. მცხეთა და მისი შემოგარენი დღემდე არქეოლოგიური კვლევა-ძიების არეალს წარმოადგენს.

1930-იან წლებამდე მცხეთასა და მის მიდამოებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოები ფრაგმენტული იყო, ხოლო 1936 წლიდან სისტემური ხასიათი მიიღო, რაც ძირითადად დაკავშირებული იყო ახალ მშენებლობებთან. ზემო ავჭალის ჰოდროელექტროსადგურის მშენებლობის დროს აღმოჩნდა მრავალი არქეოლოგიური ძეგლი. დადგა მშენებლობის დროს გამოვლენილი და დაზიანებული ძეგლების შესწავლის აუცილებლობა. ამ გარემოებამ განაპირობა 1937 წელს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის გათხრითი სამუშაოების დაწყება (საქართველოს არქეოლოგია 1959, 5-14).

მას შემდეგ ამ ტერიტორიაზე ჩატარებული საველე არქეოლოგიური სამუშაოების უმრავლესობა მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციას უკავშირდება. მისი პირველი ხელმძღვანელები იყვნენ აკადემიკოსები ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია (ბერძენიშვილი 1964, 400). მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პირველი გათხრითი

სამუშაოები 1937 წელს არმაზისხევში დაიწყო და 1947 წლამდე გააგრძელა, რის შედეგადაც ქართლის პიტიახშთა სამარხები, რომაული აბანო და სხვა ნაგებობათა ნაშთები გამოვლინდა. ექსპედიციამ 1938 წელს სამთავროს ველზე გადაინაცვლა, რაც გამონვეული იყო ამ ადგილზე სამშენებლო სამუშაოების დროს დაზიანებული სამარხის წარწერიანი ფილაქვის გამოვლენით (ლომთათიძე 1968, 9).

სამთავროს ველზე საველე სამუშაოები უფრო ადრე, 1870-იან წლებშიც მიმდინარეობდა „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოების“ გამგეობის წევრის, ავსტრიელი ბუნებისმეტყველის ფრიდრიხ ბაიერნის ხელმძღვანელობით (ლომთათიძე 1952, 6). იმ დროიდან მოყოლებული 2011 წლამდე სამთავროს ველის არქეოლოგიური ძეგლების გათხრა ფრაგმენტულად ხდებოდა. სამთავროს სამაროვანსა და ნამოსახლარს მელბურნის უნივერსიტეტის არქეოლოგებიც იკვლევდნენ (საგონა და სხვა 2010).

არმაზციხის გათხრები მიმდინარეობდა 1943-48 წ.წ. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ბაგინეთის რაზმის ხელმძღვანელის ანდრია აფაქიძის მეთაურობით. ასევე მისი ხელმძღვანელობით გაითხარა წინამურის სასიმაგრო კედლების ნაშთები და სამაროვანი 1953 წელს (ლომთათიძე 1968, 13).

მომდევნო წლებში მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ წარმოაჩინა და შეისწავლა შემდეგი ძეგლები: მოგვთაკარი, კარსნისხევი და მუხათგვერდი.

1970-იანი წლებიდან 1990-იანი წლების დასაწყისამდე მცხეთასა და მის შემოგარენში საველე არქეოლოგიური სამუშაოები კიდევ უფრო გაფართოვდა. 1974 წლიდან ექსპედიციას ანდრია აფაქიძე ხელმძღვანელობდა.

1990-იანი წლებიდან არქეოლოგიური აქტივობა ჩაახრია და სადღეისოდ გეგმური არქეოლოგიური გათხრები დიდ იშვიათობას წარმოადგენს. მხოლოდ სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებული აუცილებლობით გამონვეული არქეოლოგიური სამუშაოები მიმდინარეობს ხოლმე.

1990 წლამდე საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრები საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან ფინანსდებოდა, ხოლო 1990-იანი წლების

შემდგომ, ძირითადად, იმ კომერციული თუ სამშენებლო კომპანიების მიერ, რომლებიც აღნიშნულ ტერიტორიაზე რაიმე სახის მიწის სამუშაოებს აწარმოებდნენ.

აღნიშნული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად გამოვლენილ იქნა მრავალრიცხოვანი მასალა, რომლის უდიდესი ნაწილიც გამოქვეყნებულია.

სადისერტაციო ნაშრომის შინაარსი და სტრუქტურა

ნაშრომში განხილული და შეჯამებულია სხვადასხვა სახის მონაცემები - არქეოლოგიური მასალა, ისტორიული წყაროები, ეთნობოტანიკური მასალა, გეოგრაფიული მონაცემები. გამოყენებულია ისტორიული და ტოპოგრაფიული რუკები, აეროფოტოები. შესაბამისად, წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში, რამდენიმე მეთოდოლოგიური ხაზი იკვეთება, რაც საბოლოო ჯამში წარმოაჩენს ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებულ დასკვნებს.

სადისერტაციო ნაშრომი შედგება ექვსი ნაწილისაგან:

1. პირველი ნაწილი შესავალია, სადაც განხილულია საკვლევი საკითხები და კვლევის მიზანი თანამედროვე არქეოლოგიის გამოწვევების ფონზე. აქვეა წარმოდგენილი საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების ისტორია.
2. მეორე ნაწილი ეთმობა ნამოსახლართა და ლანდშაფტის არქეოლოგიასა და გეოგრაფიულ ინფორმაციულ სისტემებთან (GIS) დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვას, ანუ იმ ლიტერატურას, რომელმაც ჩემი საკვლევი საკითხებისათვის თეორიული და პრაქტიკული საფუძველი მოამზადა. ამ პუბლიკაციების ავტორებმა შექმნეს ახალი კონცეფციები და ტექნოლოგიები, კვლევის ინოვაციური, ინტერდისციპლინური მეთოდოლოგიები, რამაც, ზოგადად, არქეოლოგიის განვითარება განაპირობა უკანასკნელი ათწლეულების მაძილზე. მაგალითად, გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების (GIS) შექმნამ და არქეოლოგიაში ფართოდ გამოყენებამ განავითარა ნამოსახლართა მოდელებისა და ლანდშაფტის მრავალმხრივი კვლევები.

ამ ნაწილშივე გთავაზობთ ნაშრომში გამოყენებული პირველწყაროების მიმოხილვას. პირველწყაროები წარმოადგენს არქეოლოგიურ მასალას, რომელიც ძირითადად გამოვლინდა 1940-1998 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ყველა არქეოლოგიური პირველწყარო გამოქვეყნებულია.

3. მესამე ნაწილში აღწერილია გამოყენებული ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს ნამოსახლართა და ლანდშაფტის არქეოლოგიის ინოვაციური მეთოდოლოგიების გამოყენებას ძველ მიდგომებთან ერთად, რაც აადვილებს და სრულყოფს საკვლევი პრობლემების შესწავლას. მაგალითად, ლანდშაფტის ფიზიკურ და ფენომენოლოგიურ კვლევებს, ძეგლების სივრცით ანალიზს, არქეოლოგიური ფაქტისა და ისტორიული არქეოლოგიის განხილვას კლასიკური და შუა საუკუნეების ავტორთა თხზულებების ფონზე.
4. მეოთხე ნაწილში წარმოდგენილია კვლევის შედეგები. განხილულია არქეოლოგიური უბნები და მათი შემადგენელი ნაწილები; შესწავლილია არქიტექტურული ნაგებობები და მათი სამშენებლო ტექნოლოგიები. გამოვლენილია „მცხეთის ქვეყნის“ ნამოსახლართა სისტემები და მათი დინამიკა, ნამოსახლარისა და ლანდშაფტის, ადამიანისა და ლანდშაფტის ინტერაქციის ასპექტები. გაანალიზებულია არქეოლოგიურ უბნებზე აღმოჩენილი არტეფაქტები.
5. მეხუთე ნაწილში - ინტერპრეტაცია/დისკუსია - გაშუქებულია სხვადასხვა ფუნქციის მქონე დასახლებათა ურთიერთკავშირი, რის შედეგადაც გამოვლინდა ნამოსახლართა მოდელები და ის კულტურული და ბუნებრივი ფაქტორები, რამაც მათი ფორმირება განაპირობა.
6. მეექვსე ნაწილში - დასკვნები/რეკომენდაციები - წარმოდგენილია ჩემი კვლევების შედეგად მიღებული დასკვნები, სადაც შეჯამებულია იბერიაში ნამოსახლართა მოდელების წარმოშობის მიზეზები რომაულ პერიოდში; გაშუქებულია ის ახალი საკითხები, რომლებიც ამ თემებზე მუშაობისას წარმოჩინდა და მომავალი არქეოლოგიური კვლევებისთვისაა გამიზნული.

სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის ძირითადი საკვლევი საკითხებიდან გამომდინარე, ამ თავში განხილული იქნება ნამოსახლართა მოდელებისა და ლანდშაფტის თეორიებთან და კვლევებთან დაკავშირებული ლიტერატურა.

ნამოსახლართა კვლევები

ნამოსახლარის, როგორც არქეოლოგიური ძეგლის, კვლევას ევროპასა და ამერიკაში დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ინგლისურენოვან არქეოლოგიურ სამყაროში ამ მიმართულებით ორ ტრადიციას გამოყოფდნენ - ინგლისურს და ამერიკულს. ინგლისური ტრადიცია ნამოსახლართა კვლევებში ყურადღებას ეთნიკურ ელემენტებზე ამახვილებდა. არქეოლოგიური ნაშთების საშუალებით ეთნიკური იდენტობის კვლევებმა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში დიდი ინტერესი გამოიწვია, მაგალითად, კელტური ნამოსახლარების კვლევებმა. არქეოლოგიური ძეგლები ეთნიკურ ჯგუფებთან იდენტიფიცირდებოდა, ხოლო მათი გავრცელების არეალი - ამ ეთნიკური ჯგუფების მოძრაობის ტრაექტორიასთან. 1930-იანი წლების შემდგომ ყურადღება არქეოლოგიური ძეგლებისა და ბუნებრივი გარემოს ურთიერთდამოკიდებულების საკითხებსა და კვლევებზე იქნა გადატანილი. ამგვარი კვლევების შედეგად ვლინდებოდა ძველი ადამიანის საარსებო საშუალებები და ეკონომიკის ტიპი. ნამოსახლართა მდებარეობას უკავშირებდნენ ისეთ გარემო ფაქტორებს, როგორიც იყო ნიადაგის ტიპი, ლანდშაფტის მცენარეული საფარი, წყლის რესურსები, ბუნებრივი სიმაგრეები და ა.შ. აღნიშნული კვლევები აჩვენებდა, რომ ძველი ადამიანი იქ სახლდებოდა, სადაც ხელსაყრელი გარემო პირობები იყო საკვებისა და წყლის მოსაპოვებლად და თავდასაცავად (ფარსონსი 1972, 145).

ნამოსახლართა კვლევები, ძირითადად, ნამოსახლარის მორფოლოგიისა და გავრცელების არეალის დადგენით იფარგლებოდა. მისი საზღვრები არქეოლოგიური ნაშთების გეოგრაფიული განლაგებით დგინდებოდა. ნამოსახლარი მხოლოდ საცხოვრებელი ძეგლის მნიშვნელობით შემოიფარგლებოდა, რომელიც გამიჯნული იყო დასაკრძალავი ტიპის ძეგლისაგან და, შესაბამისად, იზოლირებულად განიხილებოდა. ამიტომ, ნამოსახლარების შესწავლაც ლიმიტირებული იყო (თრიგერი 1968).

ამერიკულ არქეოლოგიაში ნამოსახლართა კვლევები მხოლოდ ნამოსახლართა ფიზიკურ შესწავლას არ ნიშნავდა. მისი მიზანი არქეოლოგიური მასალების მეშვეობით სოციალური ურთიერთობების კვლევაც იყო (თრინგემი 1972). ეს მიდგომები მე-19 საუკუნის ბოლოს განვითარდა, როდესაც ყურადღება გამახვილდა იმაზე, თუ როგორ ასახავდა აბორიგენების სახლები მოსახლეობის სოციალურ ორგანიზაციას. ამის შემდეგ, ეთნოგრაფიული ანალოგების მეშვეობით, ნამოსახლართა ზრდისა და შემცირების პროცესები გაანალიზდა. ეს მეთოდოლოგიები ნამოსახლართა რეკონსტრუქციისათვის გამოიყენებოდა (იხ. ფარსონსი 1972).

ამგვარი ტრადიციებისა და მეთოდოლოგიების ფონზე ნამოსახლართა ფართო კვლევა, რომელიც არა მარტო ნამოსახლარების მორფოლოგიისა და მდებარეობის დადგენას ისახავდა მიზნად, არამედ მთლიანად კულტურული პროცესის შესწავლას, პირველად 1940-იანი წლების ბოლოსა და 1950-იანი წლების დასაწყისში ჩატარდა. ამერიკელმა არქეოლოგმა გორდონ ვილიმ ვირუს ველზე, პერუში, არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარების პროცესში შეიმუშავა ნამოსახლართა მოდელის კონცეფცია, რომელიც ნამოსახლართა მოდელის კვლევას დაედო საფუძვლად (თრიგერი 1968; თრინგემი 1972; ფარსონსი 1972). გორდონ ვილიმ ნამოსახლართა სტაბილურობა და ცვალებადობა დაუკავშირა სოციალ-ეკონომიკურ ცვლილებებსა და ისტორიულ მოვლენებს - ნამოსახლართა მოდელი ასახავს, როგორც არქეოლოგიური კულტურების ინტერპრეტაციის სტრატეგიული წერტილი, თუმცა აღნიშნა, რომ ნამოსახლართა მოდელის კვლევა არ იყო ყოვლისმომცველი მეთოდი, უბრალოდ, ის ახალი მეთოდი იყო არქეოლოგიაში (ვილი 1953).

1940 წლამდე არქეოლოგები ნამოსახლართა მოდელების კვლევას ძალზე მცირე ყურადღებას უთმობდნენ, თუმცა აღგენდნენ არქეოლოგიური ძეგლების რუკებს და გაკვრით ეხებოდნენ ნამოსახლართა განლაგების პრინციპებს. გორდონ ვილის პიონერული სამუშაოების ჩატარებამდე, არტეფაქტებისა და ნაგებობათა ნაშთების განლაგების შესწავლაც იშვიათად ხდებოდა. ვირუს ველის არქეოლოგიური შესწავლის დროს სავსე კვლევა-ძიებისა და აეროფოტოსურათების კომბინაციის შედეგად შეიქმნა დეტალური რუკები, რომლებზეც ვირუს ველის ყველა არქეოლოგიური ძეგლი იქნა დატანილი (სიფუნტესი, ვაითი 2001). გორდონ ვილიმ არქეოლოგიაში პირველად გამოიყენა აეროფოტოები და რუკები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხედრო საიდუმლოს აღარ წარმოადგენდა და გასაჯაროვდა.

ვილის დამსახურება მდგომარეობდა იმაში, რომ იგი არქეოლოგიურ თაქტებს რეგიონალურ მასშტაბში განიხილავდა. სწორედ ეს მეთოდოლოგია გამოიყენა მან ვირუს ველის არქეოლოგიურ პროექტში, რომლის შედეგებიც გამოქვეყნდა ნაშრომში „პრეისტორიულ ნამოსახლართა მოდელები ვირუს ველზე“ (ვილი 1953). ვილის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგია რეკოლუციური აღმოჩნდა. მან ძირეულად შეცვალა არქეოლოგების მიერ ლანდშაფტის ხედვისა და აღქმის გზები და დაამტკიცა, რომ ცალკეული ნამოსახლარის უკეთ შესაცნობად საჭირო იყო მისი ფართო, რეგიონალურ კონტექსტში განხილვა, რაც ნიშნავდა ნამოსახლარების ურთიერთგანლაგების დადგენას, მათ სივრცით ანალიზს და კომპლექსურ შესწავლას. ამან დიდი გავლენა იქონია 1960-იანი წლების არქეოლოგებზე, განსაკუთრებით მათზე, ვინც ძველი ადამიანის ქმედების კვლევებში სივრცით ანალიზს მიმართავდა. მათ ინტერესის სფერო გაათავართოვს და ცალკეული ნამოსახლარის შესწავლიდან რეგიონალური კონტექსტის კვლევებზე გადავიდნენ (სიფუნტესი, ვაითი 2001).

გორდონ ვილისათვის ნამოსახლართა მოდელები მხოლოდ ადამიანის გარემოსთან ადაპტაციის ამსახველი მაგალითი როდი იყო, ის ნამოსახლართა მოდელებში ადამიანთა ქმედების ფართო სპექტრს მოიაზრებდა, რომელზეც კულტურული და ბუნებრივი ფაქტორები ზემოქმედებდა. მისი აზრით, ნამოსახლარებში

გარემომცველი ბუნება, მოსახლეობის ტექნოლოგიური განვითარების დონე და სოციალური ინსტიტუციების ინტერაქცია აისახებოდა, ყოველივე ეს კი კულტურას ავითარებდა (ვილი 1953, 1).

მართლაც, ვილის კვლევებმა აჩვენა, რომ ნამოსახლართა მოდელების ანალიზის მეშვეობით შესაძლებელი იყო ბუნებრივ გარემოსთან ურთიერთობასა და სოციალურ ორგანიზაციაზე ინფორმაციის მოპოვება; სასოფლო-სამეურნეო თუ ურბანული ნამოსახლარების გეოგრაფიული გავრცელების არეალის დადგენა და იმ იერარქიული სტრუქტურის გამოვლენა, რომელიც სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ჩამოყალიბებას უწყობდა ხელს (ვილი 1953).

ნამოსახლართა მოდელების კვლევაში ძირითადი მეთოდოლოგიური სიახლე ბუნებრივი გარემო პირობების ზემოქმედების, სოციალური ინტერაქციებისა და ტექნოლოგიების დონის გათვალისწინება იყო (ვილი 1953).

„ვირუს ველის“ პროექტის დასრულების შემდგომ ვილიმ განაგრძო მუშაობა იმის განსაზღვრაზე, თუ როგორ ვრცელდებოდა კულტურული ქმედებები (ადამიანის მოღვაწეობა) ლანდშაფტზე დროის გარკვეულ მონაკვეთში. ამ ნაშრომებს, ხშირად, ლანდშაფტის კვლევების ქვაკუთხედად მიიჩნევენ (სიფუენტესი, ვაითი 2001).

ვილის მიერ 1980-იან წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში ყურადღება გამახვილებული იყო ვაჭრობის, საომარი საქმიანობისა და იდეოლოგიის კავშირებზე. იდეოლოგია მიჩნეული იყო ნამოსახლართა მოდელებისა და სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის ისეთ ეპიფენომენალურ მოვლენად, რომელიც, ზოგადად, კულტურული განვითარების ყველა ფაზაზე ახდენდა ზეგავლენას. ვილიმ თავის ნაშრომებში ამ ფაქტორებს შორის სისტემური კავშირი გამოავლინა და ამის საფუძველზე მთლიანი, მრავლისმომცველი მიდგომის მომხრე გახდა (ვილი 1980).

ვილის ნაშრომებმა და მეთოდოლოგიურმა მიღწევებმა დიდი გამოძახილი პოვა არქეოლოგთა შემდგომ თაობებში - როგორც ამერიკაში, ასევე ევროპაში. მათ ახალი, მრავალმხრივი და განსხვავებული ხედვის საფუძველი შექმნეს ნამოსახლართა არქეოლოგიაში. ამ მხრივ აღსანიშნავია კ.ც. ჩანგის რედაქტორობით 1968 წელს

გამოცემული კრებული „ნამოსახლართა არქეოლოგია“, სადაც ნამოსახლართა მოდელების ცნობილი მკვლევრების ესეები გაერთიანდა, მაგალითად, კ.ც. ჩანგის „პრეისტორიული საზოგადოების მეცნიერებისაკენ“ (ჩანგი 1968), ბრიუს თრიგერის „ნამოსახლართა მოდელების მსაზღვრელები ნამოსახლართა არქეოლოგიაში“ (თრიგერი 1968) და გორდონ ვილის სტატია „ნამოსახლართა არქეოლოგია: შეფასება“, სადაც ვილიმ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ, მისი აზრით, ნამოსახლართა არქეოლოგია არ იყო „ახალი არქეოლოგია“², ის „ახალი“ მეთოდი იყო არქეოლოგიაში (ვილი 1968, 208).

კრებულის თემატიკა ესეებში სხვადასხვაგვარად იყო გაშუქებული. ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბრიუს თრიგერის სტატია „ნამოსახლართა მოდელების მსაზღვრელები ნამოსახლართა არქეოლოგიაში“, სადაც ნამოსახლართა მოდელების სამი მსაზღვრელი იქნა დასახელებული და განხილული - ინდივიდუალური ნაგებობა, ნამოსახლარის გეგმა და ნამოსახლარის ლანდშაფტზე გავრცელება. თრიგერმა ინდივიდუალური ნაგებობის არქიტექტურის მნიშვნელობის რამდენიმე ასპექტი გამოყო. მან თქვა, რომ ნაგებობები კლიმატური პირობების გათვალისწინებით შენდებოდა და ბუნებრივია, ამის მიხედვით შეიძლებოდა გაგება, თუ როგორი კლიმატური პირობები იყო მათი აშენების პროცესში. გარდა ამისა, ნაგებობები მშენებლებისა და სამშენებლო ტექნოლოგიების დონეს ასახავდა. ნამოსახლარის გეგმა და მისი ლანდშაფტზე გავრცელება ნამოსახლარის მოდელს განაპირობებდა, რომელსაც, თავის მხრივ, საკვები რესურსების სიახლოვე, სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური ორგანიზაცია განსაზღვრავდა. თრიგერმა განიხილა, თუ რა ფაქტორები მოქმედებდა დასახლებათა ჩამოყალიბებასა და ცვალებადობაზე; რა სახის საფრთხე ემუქრებოდა მათ და როგორ პასუხობდნენ ამ საფრთხეს (მაგალითად, გამაგრებული დასახლებები); რისი ჩვენება იყო შესაძლებელი ამ მსაზღვრელებით და რამდენად სწორი იყო ეს მიდგომა. თრიგერი

² პროცესუალური არქეოლოგია ხშირად ახალი არქეოლოგიის სახელით იხსენიება.

ნამოსახლარისა და თემის³ (მოსახლეობის) განმსაზღვრელ ტერმინებს და მათი ურთიერთკავშირის საკითხებსაც შეეხო (თრიგერი 1968, 53-75).

კ.ც. ჩანგმა 1972 წელს გამოსცა წიგნი „ნამოსახლართა მოდელები არქეოლოგიაში“, სადაც მან აღნიშნა, რომ ნამოსახლარი ლანდშაფტთან ურთიერთობის საკითხებს ასახავდა. ის ასევე აჩვენებდა მისი ამშენებლების სოციალურ-ეკონომიკურ და ტექნოლოგიურ დონეს (ჩანგი 1972).

ნამოსახლარებისა და ურბანიზაციის პროცესების შესწავლას მიეძღვნა გავლენიანი კრებული „ადამიანი, ნამოსახლარი და ურბანიზაცია“. კრებული 1972 წელს გამოიცა სამი ავტორის - ფ. უკო, რ. თრინგემი, ჯ. დიმბლი - რედაქციით და მასში შევიდა აღნიშნული საკითხების თვალსაჩინო მკვლევართა ნაშრომები. მათგან აღსანიშნავია რეთ თრინგემის „შესავალი: ნამოსახლართა მოდელები და ურბანიზაცია“, სადაც იგი ასევე მსჯელობს დასახლებაზე, ნამოსახლარზე და მის მცხოვრებლებზე, ანუ თემზე და ამ ორი ცნების - დასახლება და თემის - კორელაციაზე (თრინგემი 1972, 1-7); ქენტ ფლანერის „სოფლის, როგორც დასახლების ტიპის წარმოშობა მეზომერიკასა და მესოპოტამიაში: შედარებითი ანალიზი“, სადაც განხილული იყო ადამიანის ფიზიკურ გარემოსთან ინტერაქციის საკითხები (ფლანერი 1972, 25-35); დევიდ გროვის „ურბანიზმის განვითარება და მახასიათებლები“, სადაც მან განიხილა ურბანული ცენტრების ფუნქცია და მომავალი (გროვი 1972, 559-565); მ.გ. სმითის „კომპლექსურობა, ზომა და ურბანიზაცია“, სადაც მან რომაული ქალაქის სპეციფიკაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა ნათესაური კავშირების როლი რომაული ურბანული ცენტრების წარმოქმნაში (სმითი 1972, 567-573); ენთონი მაქნიქოლის „ურბანული თავდაცვის განვითარება ელინისტურ მცირე აზიაში“, სადაც ავტორმა აჩვენა თავდაცვის მთავარი სტრატეგიული და ტაქტიკური განვითარება, რაზეც პოლიტიკური, ეკონომიკური და მილიტარისტული სიტუაციები ახდენდა ზეგავლენას (მაქნიქოლი 1972, 787-791); ჰასალის „რომაული ურბანიზაცია დასავლეთ ევროპაში“, სადაც მან განიხილა ურბანიზაციის პოლიტიკა და რომაული გავლენა მანამდე არსებულ ურბანულ ცენტრებზე ევროპაში (ჰასალი 1972, 857-861); ვარდ-ფერქინსის

³ თემი იხმარება ინგლისური community-ს ეკვივალენტად.

„ცენტრალური ძალაუფლება და სასოფლო-სამეურნეო მოდელები“, სადაც ავტორმა გამოიკვლია ტიბროსის ველის სასოფლო-სამეურნეო მიწების ფორმირება და ფუნქციონირება ეტრუსკულ და რომაულ ხანებში და ქალაქი რომის დანინაურების შემდგომ მათი მენეჯმენტი (ვარდ-ფერჩინსი 1972, 867-882).

ეს კრებული გამოირჩეოდა თემებისა და მიდგომების მრავალფეროვნებით. სტატიები ეხებოდა ნამოსახლართა არქეოლოგიის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისა და პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებს. პუბლიკაცია „ადამიანი, ნამოსახლარი და ურბანიზმი“ იმდენად მრავლისმომცველი და მნიშვნელოვანი იყო, რომ იგი დღესაც არ კარგავს აქტუალობას.

თანდათან შემუშავდა ნამოსახლართა შესწავლის ახალი კონცეფციები და მიდგომები. რონალდ ფლეთჩერმა თავის ნაშრომში „ნამოსახლარის ზრდის ლიმიტები“ განიხილა ნამოსახლარის წარმოშობის, ზრდისა და დეგრადაციის თეორიული საკითხები და ხაზი გაუსვა ადამიანის ქცევის გავლენას მატერიალურ მხარეებზე, ასევე მატერიალურის გავლენას, თავის მხრივ, სოციალურ ასპექტებზე. ფაქტობრივად, ჩამოაყალიბა მიდგომა, რომელიც მთავარ როლს ადამიანის ქცევას ანიჭებდა (material behavior approach) (ფლეთჩერი 1995).

კრებულში „არქეოლოგიური კონცეფციები კულტურული წარსულის შესასწავლად“, რომელიც 2008 წელს გამოიცა, გაანალიზდა ძველი მიდგომები და გამოითქვა ახალი მოსაზრებები არქეოლოგიური ძეგლების შესწავლისათვის. მაგალითად, მაიქლ დიალმა თავის სტატიაში „მიტოვების პრაქტიკა არქეოლოგიურ ნამოსახლარებში“ კიდევ ერთხელ აღნიშნა არქეოლოგიური ნაშთების ჩამოყალიბების პროცესის მნიშვნელობა⁴ და დასძინა, რომ, საბოლოოდ, თითქმის ყველა დასახლებას მიტოვება ელოდა. ე.წ. მიტოვების პრაქტიკა კი, ანუ მიზეზი, რის გამოც ინგრეოდა თუ უკაცრიელდებოდა დასახლება და ნამოსახლარად გადაიქცეოდა მთავარი იყო არქეოლოგიური ძეგლის, მისი კონტექსტის ჩამოყალიბების პროცესში. სწორედ, ამის გაგება და ინტერპრეტაცია დაისახა ერთ-ერთ მთავარ მიზნად თანამედროვე არქეოლოგიამ (დიალი 2008, 141-157).

⁴ ამ საკითხებზე იხ. საბლოგი და სხვა 1987, არქეოლოგიური მონაცემების გაგება, *Antiquity* 61: 203-209

ამგვარი თეორიული საფუძვლები და მიდგომები, ცხადია, მთლიანად ნამოსახლართა არქეოლოგიაში შეიქმნა და, ზოგადად, ეხება ყველა პერიოდისა თუ რეგიონის ნამოსახლართა კვლევებს. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ კერძოდ რომაულ ურბანიზმსა და რომაული პერიოდის ნამოსახლართა მოდელზე მრავალი მნიშვნელოვანი მონოგრაფია, ესეთა კრებული თუ სტატია არსებობს. ყველას მიმოხილვა ამ ნაშრომის ფარგლებში, რა თქმა უნდა შეუძლებელია, ამიტომ შევცხები მხოლოდ იმ ნაშრომებს, რომლებთანაც ჩემი საკვლევი პრობლემატიკაა ახლოს. კვლევის მრავალმხრივობისა და მეთოდოლოგიური სიახლეების კუთხით აღსანიშნავია გრემ ბარქერისა და ჯონ ლოიდის „რომაული ლანდშაფტები: არქეოლოგიური კვლევა მედიტერანულ რეგიონში“ (ბარქერი, ლოიდი 1991). არქეოლოგიური კვლევები ჩრდილოეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში ჩაატარა და მისი შედეგები კრებულად გამოსცა რომის ბრიტანეთის სკოლამ. კრებულში აღწერილია სასოფლო-სამეურნეო დასახლებათა რომანიზაციისა და ტერიტორიების ქალაქებად გადაქცევის პროცესი, აგრარული სტრუქტურების სპეციფიკა დაბლობ და მთიან რაიონებში.

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია სიუზან ალქოქის მონოგრაფიები „Graecia Capta: რომაული საბერძნეთის ლანდშაფტები“ და „ბერძნული წარსულის არქეოლოგია: ლანდშაფტი, ძეგლები და მესხიერება“ (ალქოქი 1993; 2002). ნაშრომებში შესწავლილია რომაული პერიოდის ბერძნული პროვინციების სოციალური და ეკონომიკური განვითარების პროცესი; შეჯერებულია ისტორიული და არქეოლოგიური მონაცემები. ნაშრომში „Graecia Capta: რომაული საბერძნეთის ლანდშაფტები“ განსაკუთრებული ყურადღება ზედაპირულად გამოვლენილ არქეოლოგიურ ძეგლებს და ლანდშაფტზე მათ გავრცელებას ეთმობა. ამ ძეგლთა კლასიფიკაციის მიხედვით, გამოვლენილია ოთხი ტიპის ლანდშაფტი: სასოფლო-სამეურნეო, საქალაქო, პროვინციული და საკრალური, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ.

აღსანიშნავია 1995 წელს გამოცემული ესეთა კრებული „ურბანული საზოგადოება რომაულ იტალიაში“. კრებულში შევიდა რომის არქეოლოგიისა და ისტორიის ღვაწლმოსილ მკვლევართა სტატიები, სადაც განხილულია ქალაქების წარმოშობასთან

დაკავშირებული თეორიები (ვაითაქერი 1995, 9-27); საომარი საქმე და ურბანიზაცია რომაულ იტალიაში (ქორნელი 1995, 127-141) და რომაული ვილა და პროდუქციის ლანდშაფტი (ფურსელი 1995, 157-185).

რომაული ნამოსახლართა მოდელები შესწავლილია ბლანთონის მონოგრაფიაში „ელინისტური, რომაული და ბიზანტიური ნამოსახლართა მოდელები დასავლეთი კილიკიის სანაპირო ზოლში“ (ბლანთონი 2000). ეს ნაშრომი მნიშვნელოვანია იმით, რომ სასოფლო-სამეურნეო და ურბანული მოდელები რეგიონალურ კონტექსტშია განხილული.

ჰენრი მაქადამის ესეთა კრებულში „გეოგრაფია, ურბანიზაცია და ნამოსახლართა მოდელები რომაულ ახლო აღმოსავლეთში“ (მაქადამი 2002) განხილულია სასოფლო-სამეურნეო დასახლებების ურბანულ დასახლებებად ტრანსფორმაცია და ამ პროცესების მიზეზები. იგივე პრობლემატიკაა წამოჭრილი და გაანალიზებული ფეთერსონის მონოგრაფიაშიც „ლანდშაფტები და ქალაქები: სასოფლო-სამეურნეო დასახლება და ქალაქური ტრანსფორმაცია ადრეიმპერიულ იტალიაში“ (ფეთერსონი 2006).

ს.რ. ვაითაქერის მონოგრაფიაში „რომი და მისი საზღვრები: იმპერიის დინამიკა“ რომაული პოლიტიკური კონიუქტურის მიერ გეოგრაფიული სივრცის აღქმაა მოცემული. გამოკვლეულია სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ფაქტორების როლი საზღვრების ფორმირებაში (ვაითაქერი 2004).

ამ ნაშრომებიდან ჩანს, რომ ეკოლოგიური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სოციალურ-კულტურულ და პოლიტიკური ფაქტორები ურთიერთკავშირში და ერთმანეთზე დამოკიდებული იყო და ერთობლივად ზემოქმედებდა ნამოსახლართა მოდელების კონფიგურაციაზე.

ლანდშაფტის კვლევები

თითოეული ნამოსახლარი კულტურულ ლანდშაფტს წარმოადგენს, რომელიც შეცნობილი, გამოცდილი და კონცეპტუალიზებული იყო ძველი ადამიანის მიერ. საზოგადოებისა და ბუნების დიალექტიკამ გამოიწვია კულტურული ლანდშაფტის შექმნა, სადაც ბუნებრივი გარდაიქმნა კულტურულად და კულტურული - ბუნებრივად. არქეოლოგიისა და ლანდშაფტის ამგვარმა გააზრებამ ლანდშაფტის კვლევების შემდგომ განვითარებას შეუწყო ხელი.

ლანდშაფტის, ისევე როგორც ნამოსახლარის, კვლევებს დიდი ხნის ტრადიცია აქვს. ლანდშაფტის კვლევები დაიწყო მაშინ, როდესაც არქეოლოგები სივრცით, და შესაბამისად, ლანდშაფტით დაინტერესდნენ. ლანდშაფტი, ფაქტობრივად, არქეოლოგიურ პირველწყაროს წარმოადგენს. ამიტომაც გახდა ის არქეოლოგიის კვლევის საგანი, მომიჯნავე დისციპლინების დახმარებით.

ტერმინი ლანდშაფტი პირველად მე-16 საუკუნის ჰოლანდიელმა ფერმწერებმა გამოიყენეს მხატვრობის ერთ-ერთი მიმართულების - ლანდშაფტის მხატვრობის აღმნიშვნელად. ასე რომ, ინგლისური landscape მომდინარეობს ჰოლანდიური landschap - ისაგან, რომელიც, თავის მხრივ, გერმანული landschaft-ისაგან წარმოიქმნა. გერმანულად landschaft მიწისთვის ფორმის მიცემას ნიშნავს, მაგრამ ეს ტერმინი კარგა ხანს მხოლოდ მხატვრულ ტილოებთან მიმართებაში იხმარებოდა (შამა 1995, 10). დროთა განმავლობაში მრავალჯერ შეიცვალა ლანდშაფტის გააზრება და თანდათან ჩამოყალიბდა ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტის ცნებები.

მეცნიერი, რომელმაც 1920-იან წლებში ერთ-ერთმა პირველმა განმარტა ტერმინ ლანდშაფტის კონცეფცია, განასხვავა ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტები და საფუძველი ჩაუყარა მათ სისტემატიზებულ კვლევას, გახლდათ ამერიკელი საზოგადოებრივი გეოგრაფი კარლ საუერი. თავის ნაშრომებში იგი განმარტავდა საზოგადოებრივი გეოგრაფიის არსს და ადამიანის ინსტიტუციების როლს გეოგრაფიულ არეალში: „საზოგადოებრივი გეოგრაფია თავისთავად არ ეწინააღმდეგება გეოგრაფიას,

რომელიც გამორიცხავს ადამიანური ფაქტორების შესწავლას. ის ეფუძნება იმ რეალობას, რომელიც ლანდშაფტის ბუნებრივი და კულტურული ელემენტების ერთობლიობას ასახავს” (საუერი 1925, 325).

ლანდშაფტი საუერმა გეოგრაფიული ცნების ერთეულად განსაზღვრა, რომლის ეკვივალენტურ ტერმინებად რეგიონი და არეალი დაასახელა; ლანდშაფტის კონცეფცია და მასთან მიდგომა კი შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: „გეოგრაფიული მახასიათებლები ადგილის მახასიათებლებია. მათი კავშირი ლანდშაფტის კონცეფციას წარმოშობს, მსგავსად ისტორიული ფაქტებისა, რომლებიც დროის კატეგორიებია და მათი კავშირი პერიოდის კონცეფციას აყალიბებს. ლანდშაფტს გააჩნია იდენტობა, რაც ეფუძნება მის კონსტიტუციას, საზღვრებსა და სხვა ლანდშაფტებთან ურთიერთობას. ყოველივე ეს ერთ, ზოგად სისტემას შეადგენს. მისი სტრუქტურა და ფუნქცია განსაზღვრულია ინტეგრირებული, ურთიერთდამოკიდებული ფორმებით. ლანდშაფტს ერთდროულად ინდივიდუალიზმი და სხვა ლანდშაფტებზე დამოკიდებულება ახასიათებს. მაგალითად, თითოეული ველი ან ქალაქი თავისებურად განუმეორებელია, მაგრამ თუ მათი დაკავშირება არ მოხერხდა, მაშინ ყოველი მათგანი სისტემური მიდგომის გარეშე რჩება, ანუ იმ ორგანიზებული ცოდნის მიღმა, რასაც მეცნიერება ეწოდება. ასე რომ, ლანდშაფტის განხილვას, როგორც ცალკეულ, დამოუკიდებულ ცნებას, მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია” (საუერი 1925, 321).

საუერმა დაახასიათა ფიზიკური ლანდშაფტი და ხაზი გაუსვა ადამიანისათვის მის მნიშვნელობას: „ლანდშაფტი, პირველ ყოვლისა, ფორმების თვალსაჩინოებით განისაზღვრება. მაგალითად, ზედაპირის ფორმით, ნიადაგით, მცენარეული საფარით, მთებით, მდინარეებითა და ზღვებით, სანაპირო ზოლებით და, ასევე, ადამიანის მიერ შექმნილი კულტურით. ყოველივე ეს გეოგრაფიის საკვლევი თემებია. გეოგრაფია, გარკვეულწილად, ანთროპოცენტრულია, რადგანაც დედამიწა ადამიანისათვის მეტად ღირებულია. ადამიანი დედამიწის იმ ნაწილით ინტერესდება, რომელსაც თვითონ წარმოადგენს, სადაც ცხოვრობს ან გარკვეული ინტერესი აქვს; ლანდშაფტსაც მისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებების მიხედვით ირჩევს, მაგალითად, საცხოვრებელი

ადგილის მიხედვით. ამიტომ, ლანდშაფტის არსი კარგად ჩანს ფიზიკურ მახასიათებლებში და იმაში, თუ როგორ იყენებს ადამიანი მას კულტურის შესაქმნელად” (საუერი 1925, 333).

კარლ საუერის ნაშრომები მნიშვნელოვანია ლანდშაფტისა და კულტურის ურთიერთობის განსაზღვრის მხრივაც. კულტურა მას ამა თუ იმ გეოგრაფიულ სივრცეზე დროის სხვადასხვა მონაკვეთში ადამიანის მოღვაწეობის გამოხატულებად მიაჩნდა; ამიტომ კულტურას იმ გეოგრაფიული ფენომენოლოგიის შემადგენელ ნაწილად განიხილავდა, რომელიც კულტურული ლანდშაფტის ფორმირებას განაპირობებდა: „ლანდშაფტის იდეა არ შეიძლება ჩამოყალიბდეს დროსა და სივრცესთან ურთიერთობის გარეშე. ლანდშაფტის არსებობას განვითარების უწყვეტი პროცესი განაპირობებს. ადამიანი ლანდშაფტს იყენებდა და სასურველ ფორმას აძლევდა. აქედან გამომდინარე, ადამიანის მოღვაწეობამდე არსებულ ლანდშაფტს პირვანდელი, ბუნებრივი ლანდშაფტი შეიძლება ვუწოდოთ. ლანდშაფტები, ისევე როგორც კულტურები, მონაცვლეობენ. კულტურა ბუნებრივი ლანდშაფტიდან წამოიქმნება, რომელზეც ადამიანი არსებობს და მოღვაწეობს, როგორც ლანდშაფტის სახეცვლილების გამორჩეული აგენტი. კულტურის კულმინაცია ცივილიზაციაა. კულტურული ლანდშაფტი კულტურის განვითარების ან კულტურათა მონაცვლეობის შედეგია. ლანდშაფტის ცვლილების საწყისი წერტილი მისი ბუნებრივი, პირვანდელი მდგომარეობაა. ლანდშაფტის ბუნებრივ და კულტურულ ლანდშაფტებად დაყოფა ადამიანის მოქმედების არეალისა და ხასიათის განსაზღვრის საფუძველია” (საუერი 1925, 333).

საუერმა ასევე გამოყო ბუნებრივი ლანდშაფტების ფორმირების განმსაზღვრელი ფაქტორები - დედამიწის ქერქი და კლიმატი - და აღნიშნა კლიმატისა და ლანდშაფტის ურთიერთობის მნიშვნელობა, რაც ვეგეტაციის ტიპში ვლინდება (საუერი 1925, 337).

საუერმა შექმნა ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების ფორმირების სქემები. ჩემი საკვლევი თემისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კულტურული ლანდშაფტის ფორმირების სქემა. იგი აღნიშნავდა ლანდშაფტის მთლიანობაში განხილვისა და კომპლექსური კვლევების აუცილებლობას: „ბუნებრივი ლანდშაფტი მთლიანობაში შეიცნობა. მისი ფორმები და კომპონენტები მრავალფეროვანი და

ურთიერთდამოკიდებულია, ამიტომაც ისინი უნდა განიხილებოდეს ერთმანეთთან მიმართებაში და არა - ცალ-ცალკე. თითოეული ლანდშაფტი მისი შემადგენელი ნაწილების კომბინაციას წარმოადგენს. მათ უკან კი დრო და მიზეზია”(საუერი 1925, 337).

კულტურული ლანდშაფტი საუერმა განსაზღვრა, როგორც გეოგრაფიული არეალი, რომლის დამახასიათებელი ფორმებიც ადამიანის მიერ იყო შექმნილი. ამ დეფინიციის მიხედვით მან მხოლოდ ადამიანის მიერ შექმნილ ფიზიკურ ნაგებობებს გაუსვა ხაზი და არა - ადამიანის წეს-ჩვეულებების ან წარმოდგენების გამოხატულებებს. მან აღნიშნა, რომ ბუნებრივი ლანდშაფტის გამოყენება ადამიანის მიერ შექმნილ პროდუქციაში აისახება. შესაბამისად, კულტურული ლანდშაფტი ბუნებრივი ლანდშაფტისგანაა წარმოქმნილი, სადაც კულტურა აგენტია, ბუნებრივი არეალი - მედიუმი, ხოლო კულტურული ლანდშაფტი - რეზულტატი (საუერი 1925, 343).

ცხრილი 1. კულტურული ლანდშაფტის ფორმირების სქემა კ. საუერის მიხედვით (საუერი 1925, 343).

აგენტი		მედიუმი	რეზულტატი
კულტურა	→ დრო →	ბუნებრივი ლანდშაფტი	<div style="display: flex; align-items: center; justify-content: center;"> <div style="border-left: 2px solid blue; border-right: 2px solid blue; padding: 0 10px;"> <p>მოსახლეობა საცხოვრებელი პროდუქცია კომუნიკაცია</p> </div> <div style="font-size: 2em; margin: 0 10px;">}</div> <p>კულტურული ლანდშაფტი</p> </div>

„ამა თუ იმ კულტურის ზემოქმედების შედეგად, ვითარდება ლანდშაფტი. თვითონ კულტურაც იცვლება დროთა განმავლობაში. შესაბამისად, ძველი კულტურული ლანდშაფტების ადგილზე, შესაძლოა, ახალი წარმოიქმნას. საფუძველი, რა თქმა უნდა, ბუნებრივი ლანდშაფტია, მაგრამ შემქმნელი ძალა კულტურაა. ეს ადამიანის ადაპტაციის პროცესია, რომლის შედეგადაც, ადამიანის საცხოვრებელი ლანდშაფტს უკავშირდება.

ადაპტაციის პროცესში ადამიანმა ბევრი რამ ბუნებიდან შეითვისა, ბევრიც ქვეცნობიერად გააკეთა, მაგრამ კულტურული ლანდშაფტი მაინც კულტურული გამოხატულებაა, რადგანაც იგი ადამიანის გონებიდან მომდინარეობს და არ არის მხოლოდ ბუნების მიერ ნაკარნახევი” (საუერი 1925, 343).

საუერის თეორიებმა საფუძველი ჩაუყარა ლანდშაფტის არქეოლოგიურ გააზრებას, ლანდშაფტის სივრცის იმ ნაწილად განხილვას, რომლის ფარგლებშიც ადამიანის საქმიანობა წარიმართებოდა, სადაც ადამიანისა და გარემოს ურთიერთობის კვალი აისახებოდა. ლანდშაფტის ამგვარმა გააზრებამ მრავალი საკვლევი პრობლემა წამოჭრა, მაგალითად, ადამიანისა და ბუნებრივი გარემოს ერთიანობისა და დაპირისპირების სხვადასხვა ასპექტი, რომლის შესწავლაც არქეოლოგიისა და გეოგრაფიის მეთოდოლოგიების ერთობლივი გამოყენებით მოხერხდა. ამგვარი საველე მეთოდოლოგია პირველად 1970-იან წლებში იქნა გამოყენებული ბრიტანელი არქეოლოგების მაიქ ასთონისა და თრევიორ როულის მიერ ბრიტანეთის პოსტრომაული ხანის არქეოლოგიური ლანდშაფტების შესწავლისას. მათი კვლევები საველე არქეოლოგიურ სამუშაოებს ლანდშაფტის შესწავლასთან აერთიანებდა (ასთონი, როული 1974; დევიდი, თომასი 2008, 27). ამგვარმა მეთოდოლოგიურმა ინტეგრაციამ ლანდშაფტის არქეოლოგიის განვითარებას დაუდო საფუძველი. ლანდშაფტის არქეოლოგია თანდათან უფრო და უფრო პოპულარული ხდებოდა. 1978 წელს წამყვანი არქეოლოგიური ჟურნალის “World Archaeology”-ის მთლიანი გამოცემა ლანდშაფტის არქეოლოგიის თემას დაეთმო. უფრო ფართოდ კი ტერმინი ლანდშაფტი და ლანდშაფტის არქეოლოგია აკადემიურ გამოცემებში 1980-იანი წლებიდან იხსენიებოდა (დევიდი, თომასი 2008, 28). ამ დრომდე ლანდშაფტი არქეოლოგიურ კვლევებში გამოიყენებოდა არქეოლოგიური ძეგლის შესასწავლად და განიხილებოდა, როგორც ძეგლთან დაკავშირებული ობიექტი. ხოლო 1980-იანი წლების შემდეგ თვითონ ლანდშაფტი გახდა კვლევის საგანი და ლანდშაფტის კვლევები სპეციალურ დისციპლინად ჩამოყალიბდა არქეოლოგიაში.

ლანდშაფტის არქეოლოგიის მრავალი განმარტება არსებობს. მაგალითად, 1992 წელს გამოცემულ ქოლინსის არქეოლოგიურ ლექსიკონში ამგვარი განმარტებაა მოცემული: „არქეოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც არტეფაქტს უფრო შეისწავლის, ვიდრე არქეოლოგიურ უბანს და ავლენს ადამიანის ქმედების მატერიალური შედეგების ეფემერულობას და შეუსაბამობას არქეოლოგიური ძეგლის სტანდარტულ გაგებასთან; ახდენს ადამიანის მიერ შექმნილი მატერიალური ძეგლების ლანდშაფტზე დოკუმენტირებას“ (ქოლინსის არქეოლოგიური ლექსიკონი, 1992, 234).

1996 წელს გამოცემულ ლანდშაფტის არქეოლოგიის ლექსიკონში ლანდშაფტის არქეოლოგია ასეა დახასიათებული: „ლანდშაფტის არქეოლოგია სწავლობს ადამიანის მიერ მიწის როგორც გაუაზრებელ, ასევე გააზრებულ ფორმირებას, სივრცის ორგანიზების პროცესს, მიწის გამოყენებას ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური, პოლიტიკური, კულტურული თუ სიმბოლური მიზნებით, ლანდშაფტის სიმბოლურ მნიშვნელობას სხვადასხვა კონტექსტში და მის როლს მითისა და ისტორიის შექმნაში“ (მეთენი 1996, 384).

2006 წელს გამოცემულ წიგნში „ლანდშაფტის არქეოლოგია და GIS“ ვკითხულობთ: „ლანდშაფტის არქეოლოგია ძირითადად გამოიყენება იმ არქეოლოგიური კვლევისა და ინტერპრეტაციისათვის, რომელიც ლანდშაფტსა და არქეოლოგიურ ძეგლს ერთმანეთს უპირისპირებს, ავლენს ძეგლებს შორის კავშირს და მათ გამყოფ ფიზიკურ სივრცეს. არსებითად, არქეოლოგიური კვლევების ყველა სფეროდან მოპოვებული ინფორმაცია შეიძლება გამოვიყენოთ არქეოლოგიური ლანდშაფტის შესასწავლად, მაგალითად, საველე დაზვერვები, კარტოგრაფია, დოკუმენტების კვლევა და მრავალი სხვა“ (ჩეფმენი 2006, 12-14).

2010 წლის სახელმძღვანელოში ლანდშაფტის არქეოლოგია დახასიათებულია, როგორც მრავლისმომცველი და მრავალმხრივი დისციპლინა, რომელიც სწავლობს ადამიანისა და მისი გარემომცველი სამყაროს ურთიერთობის თითქმის ყველა ასპექტს (დევიდი, თომასი 2008, 38).

როგორც ვნახეთ, უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ლანდშაფტის არქეოლოგია და მისი მიზნები თანდათანობით იცვლებოდა და მრავალმხრივი ხდებოდა. საბოლოოდ, იგი

ჩამოყალიბდა მრავალსახა დისციპლინად, რომელსაც განსხვავებული ფილოსოფიები და მეთოდოლოგიები აქვს. მრავალი პარადიგმა, რომელიც ლანდშაფტის არქეოლოგიის ჩარჩოში ექცევა, სახავს სხვადასხვა გზას არქეოლოგიური ინტერპრეტაციისაკენ.

ლანდშაფტის არქეოლოგიის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა გერმანული წარმოშობის ამერიკელმა მეცნიერმა კარლ ბუცერმა, რომელიც განათლებით გეოგრაფი იყო, თუმცა აკადემიური ხარისხები არქეოლოგიაში მიიღო. ამიტომ, ბუცერმა ძალიან კარგად მოახერხა გეოგრაფიისა და არქეოლოგიის მეთოდოლოგიების ინტეგრირება თავის კვლევებში. მან თავის ერთ-ერთ გავლენიან ნაშრომში „არქეოლოგია - ადამიანის ეკოლოგია“ ადამიანი და ბუნება ერთიანობაში განიხილა და არქეოლოგია ბუნებრივი გარემოს განუყოფელ ნაწილად მიიჩნია (ბუცერი 1984). ბუცერი საზოგადოებისა და ბუნებრივი გარემოს ინტერაქციის დინამიკას სწავლობდა მესოპოტამიისა და მეზოამერიკის არქეოლოგიური კულტურების შედარებითი ანალიზის მეშვეობით. იგი ცდილობდა ადამიანისა და გარემოს ურთიერთობების შეცნობას ეკონომიკურ ჭრილში. მას მიაჩნდა, რომ პრეისტორიული ადამიანის დასახლებას კონკრეტულ ადგილებში საარსებო და საკვები საშუალებები განაპირობებდა.

ლანდშაფტის არქეოლოგიაში შეიქმნა ისეთი ნაშრომები, რომლებშიც ადგილისა და სივრცის ცნებების ახლებური ანალიზი იყო წარმოდგენილი, კერძოდ, ეს კატეგორიები კონკრეტულ არქეოლოგიურ ძეგლებსა და ლანდშაფტებს ან ლანდშაფტის ბუნებრივ მახასიათებლებს დაუკავშირდა (ინგოლდი 1993).

როგორც უკვე აღინიშნა, ტერმინი ლანდშაფტი თავიდან მხოლოდ მხატვრობაში იხმარებოდა, როგორც იდეის გამომხატველი, მოგვიანებით კი არქეოლოგიურ მეცნიერებაში მატერიალური მნიშვნელობა შეიძინა და კვლევის ობიექტი გახდა. კვლევების პროცესში ლანდშაფტის იდეური გამოხატულების გამოვლენის აუცილებლობაც გამოჩნდა, რამაც 1990-იან წლებში ლანდშაფტის კვლევები და ლანდშაფტის არქეოლოგია სხვა მიმართულებებითაც განავითარა.

ლანდშაფტის კვლევებს კიდევ უფრო ფართო საფუძველი შეუქმნა პოსტპროცესუალური არქეოლოგიის ქრისტოფერ თილის ნაშრომმა „ლანდშაფტის

ფენომენოლოგია: ადგილები, ბილიკები, ძეგლები”(თილი 1994). მასში ინტეგრირებული იყო ლანდშაფტის იდეის ფილოსოფიური გააზრება და ანთროპოლოგიური მიდგომა, რომელიც გამოყენებულ იქნა არქეოლოგიური ძეგლისა და ტოპოგრაფიის ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრისათვის.

ბრიტანელმა მეცნიერმა სიმონ შამამ მნიშვნელოვანი მონოგრაფია მიუძღვნა ლანდშაფტის იდეას, ადამიანის მიერ ლანდშაფტის მხატვრულ გააზრებას, მის მოდიფიცირებას და ლანდშაფტის მესხიერების შექმნას. იგი წერდა: „ბუნებასა და ადამიანის წარმოსახვას ჩვენ ორ სხვადასხვა სფეროდ განვიხილავთ, მაგრამ ისინი განუყოფელია. ბუნება ადამიანის გრძნობების განსასვენებელია, ლანდშაფტი კი - მისი გონების მუშაობის შედეგი. ლანდშაფტის პეიზაჟები მესხიერების შრეებისაგან ისევეა შექმნილი, როგორც კლდის ფენებისაგან” (შამა 1995, 6-7). შამა ბუნებრივ სისტემებს ადამიანის კულტურის მიერ ცუდად თუ კარგად მოდიფიცირებულ ობიექტად განიხილავდა. „შორიდან დანახული და გაანალიზებული ლანდშაფტი, როგორც მხატვრობის ესთეტიკური ობიექტი, დაუპირისპირდა ლანდშაფტს, რომელიც საცხოვრისის კონტექსტში განიხილებოდა. ამ დაპირისპირებამ ლანდშაფტის კონცეფცია შექმნა და მისი კვლევების აუცილებლობა არქეოლოგიას დააკისრა” (შამა 1995, 575).

ფაქტობრივად, ლანდშაფტის კვლევებმა ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის თითქმის ყველა მატერიალური და არამატერიალური მხარე მოიცვა. ლანდშაფტის სოციალურ-სიმბოლურ განზომილებებზე ყურადღება გაამახვილეს ბერნარდ ქნაფმა და ვენდი აშმორმა. მათ განსაზღვრეს ლანდშაფტის სამი ტიპი: აშენებული, კონცეპტუალური და იდეური, რადგანაც ლანდშაფტზე, გარდა შენობებისა, ადამიანის წეს-ჩვეულებები, რელიგიური წარმოდგენები და იდეებიც ვლინდებოდა; აღნიშნეს მათი საერთო მახასიათებლებიც, რომელთა მკაფიოდ გამიჯვნა ხშირად რთული იყო. ქნაფმა და აშმორმა ლანდშაფტი ადამიანის ქმედების განმსაზღვრელად, მისი მესხიერების ამსახველად და სოციალური იდენტობის შემქმნელად განიხილეს (ქნაფი, აშმორი 1999, 1-30).

ლანდშაფტის არქეოლოგიის თეორიები პრაქტიკაში ხორციელდებოდა. ჩანდა, თუ როგორ იხვეწებოდა კვლევების საველე და ლაბორატორიული მეთოდები და მონაცემთა ანალიზი (ბარქერი, მეთინგლი 1999-2000; სთოდართი 2000).

ლანდშაფტის კვლევებმა იმდენად მრავალი სფერო მოიცვა, რომ ისტორიული ლანდშაფტის შესწავლა ისტორიული ეკოლოგიის მიზანიც გახდა. ისტორიულმა ეკოლოგიამ ადამიანის ქმედების არეალი კიდევ უფრო ფართოდ წარმოსახა და სოციალურ-პოლიტიკური სტრუქტურების ურთიერთობა სხვადასხვა ეკოსისტემებთან და მთლიანად ბიოსფეროსთან მიმართებაში განიხილა (ბალე 1998; ბალე, ერიქსონი 2006).

ლანდშაფტის არქეოლოგიის სფეროში აკუმულირებული ცოდნის და გამოცდილების საფუძველზე, ინგლისელმა არქეოლოგმა ჰენრი ჩეფმენმა სამი ძირითადი მეთოდოლოგია გამოყო. პირველი მეთოდოლოგია უშუალოდ ლანდშაფტის ისტორიის შესწავლას ეხებოდა და აერთიანებდა საველე დაზვერვებს, რუკებისა და აეროფოტოების ანალიზს, მიწის ზედაპირზე არსებული ანომალიების დოკუმენტირებას, დამატარილებელი ფენების გამოვლენას ფენების თანმიმდევრული მოხსნის გზით - გვიანდელიდან ადრეულამდე, ლანდშაფტის იდიოსინკრეტულობის ილუსტრირებას. ამ მეთოდს მან ლანდშაფტის ანალიზი უწოდა. მეორე მეთოდოლოგია პალეოეთნობოტანიკურ ანალიზს ეფუძნებოდა. იგი ახდენდა გარემო ცვლილებების რეკონსტრუქციას ეთნობოტანიკური ნაშთების საშუალებით, რადგანაც ეთნობოტანიკური მასალა მრავალმხრივ ინფორმაციას იძლეოდა გარემოსა და გარემოში მომხდარ სხვადასხვა პერიოდის მოვლენებზე. უახლესმა მიღწევებმა არქეოლოგიური ლანდშაფტების ინტერპრეტაცია და მათი ხარისხობრივი კვლევები წამოსწია წინ. ამიტომ მესამე მეთოდოლოგია დაეყრდნო იმ გამოცდილებას, რომელიც ლანდშაფტის სუბიექტურ აღქმასაც ითვალისწინებდა, ანუ - გრძნობით შემეცნებას და აზრთა სიმრავლეს (ჩეფმენი 2006, 89).

გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები (GIS)

ლანდშაფტის თანამედროვე კვლევებში მნიშვნელოვანი ყურადღება ლანდშაფტის ფორმირების პროცესებისა და არეოლოგიური ძეგლების ლანდშაფტზე განლაგების პრინციპების შესწავლას ეთმობა. ცალკე კვლევის საგანი გახდა ადამიანის მიერ მიწის გამოყენების ისტორია და არქეოლოგიური ძეგლისა და ლანდშაფტის ურთიერთდამოკიდებულების საკითხები. ამგვარმა კვლევებმა ინოვაციური ანალიტიკური მეთოდოლოგიების გამოყენების აუცილებლობა გამოავლინა. ერთ-ერთი ასეთი მეთოდოლოგია, რომელიც სრულფასოვანი კვლევების ჩატარების საშუალებას იძლევა, გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემებია (GIS). GIS-ის უახლესი მეთოდოლოგიები დღეს ფართოდ გამოიყენება ნამოსახლართა მოდელისა და ლანდშაფტის სივრცობრივ-ანალიტიკურ შესწავლაში.

GIS აბრევიატურა შემდეგნაირად იშიფრება - გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები. ეს სახელი ეწოდა კომპიუტერული პროგრამების იმ ნაწილს, რომელიც სივრცით მონაცემთა ბაზას ასახავდა. თუმცა, იგი იმდენად მრავლისმომცველია, რომ ხშირად გეოგრაფიულ ინფორმაციულ მეცნიერებასაც უწოდებენ.

ისევე, როგორც სხვა ტერმინებსა და ცნებებს, GIS-საც სხვადასხვაგვარად განმარტავდნენ, თუმცა, დღეს საყოველთაოდ აღიარებულია გარემოს სისტემების კვლევითი ინსტიტუტის (ESRI) განმარტება: „კომპიუტერული პროგრამებისა და მონაცემების ერთობლიობა, რომელიც გამოიყენება გეოგრაფიული ადგილების შესახებ ინფორმაციის მოძიებისა და მართვის, სივრცითი ურთიერთდამოკიდებულებების ანალიზისა და სივრცითი პროცესების მოდელირებისათვის. GIS გვთავაზობს სივრცითი მონაცემებისა და მათთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვებისა და ორგანიზების ისეთ სტრუქტურას, რომელიც მათი განლაგებისა და გაანალიზების საშუალებას იძლევა”.

ასე რომ, GIS სივრცითი მონაცემთა ბაზის მართვის განვითარებული სისტემაა, რომელიც საშუალებას გვაძლევს, ვიპოვოთ, შევინახოთ, განვაახლოთ, მოვახდინოთ მანიპულირება, გავაანალიზოთ გეოგრაფიულად რეფერირებადი ინფორმაცია. GIS სულ

უფრო და უფრო ხდება გეოგრაფიული მონაცემების მართვისა და კარტოგრაფირების აუცილებელი ხელსაწყო, მისი ვიზუალიზაციის ხერხი.

GIS-ის მონაცემთა ტიპები ორ - ვექტორულ და რასტრულ - ჯგუფად იყოფა. ვექტორულ მონაცემებში ინახება გეომეტრიული ფორმების ამგები თითოეული წერტილის ციფრული კოორდინატი, რომელიც წერტილოვან, ხაზოვან და პოლიგონურ გამოსახულებებს იძლევა. რასტრული კი საკვლევ ზედაპირს ყოფს თანაბარ ბადეებად (grid) გარკვეული ბიჯით, და ბადის თითოეულ უჯრედს (Cell) ანიჭებს რიცხვით მნიშვნელობას (მაგალითად, სიმაღლეს ზღვის დონიდან). რასტრული მონაცემები შეიძლება გაფერადდეს ან დაიჩრდილოს, როგორც ეს ორგანზომილებიანი გამოსახულების ან რუკების შემთხვევაში ხდება ხოლმე; ან კიდევ - სიმაღლის საჩვენებლად ან მესამე განზომილების მისაღებად. GIS-ში შექმნილი მოდელები, ხშირად, როგორც ვექტორულ, ისე რასტრულ სისტემებში შექმნილ მონაცემებს აერთიანებენ. ეს მეთოდოლოგია იძლევა იმის საშუალებას, რომ ერთ გამოსახულებაში თანმიმდევრულად გამოჩნდეს სხვადასხვა ტიპის მონაცემთა შემსველი ფენები და, შესაბამისად, წარმოჩინდეს სრულყოფილი სურათი (ჩეფმენი 2006, 18-23).

GIS-ის ტექნოლოგიების გამოყენებაზე არქეოლოგიაში უზარმაზარი ლიტერატურა შეიქმნა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე. მათ რიცხვშია ნაშრომები, რომლებშიც ზოგადად GIS-ის გამოყენებასთან დაკავშირებული დისკუსიაა წარმოდგენილი; განხილულია GIS-ის მეშვეობით ადგილისა და სივრცის ინტერპრეტაციის მეთოდები და ის სახელმძღვანელოები, რომლებიც GIS-ის არქეოლოგიაში გამოყენებას შეეხება. მათგან აღსანიშნავია ბრიტანელი არქეოლოგის გარი ლოქის რედაქტორობით გამოცემული წიგნი „არქეოლოგია და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები: ევროპული პერსპექტივა“, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის GIS-ის მეთოდოლოგიების არქეოლოგიაში დანერგვაში (ლოქი, სტანჩიკ 1995) და მაშნერის წიგნი, რომელიც გვიჩვენებს ძველი არქეოლოგიური პრობლემების ახლებურად გადაჭრის გზებს (მაშნერი 1996).

მნიშვნელოვანია უფრო მოგვიანებით შექმნილი სახელმძღვანელო - „გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები არქეოლოგიაში“, სადაც ნაჩვენებია კიდევ უფრო დახვეწილი სივრცითი ტექნოლოგიები და სივრცითი ანალიზი (ქონოლი, ლეიქი 2006) და ჰენრი ჩეუმენის წიგნი, რომელიც კონკრეტულად, ლანდშაფტის არქეოლოგიასა და GIS-ს შეეხება და რომელშიც GIS-ის მეთოდოლოგიები ლანდშაფტის არქეოლოგიის საკვლევ საკითხებთან მიმართებაშია განხილული (ჩეუმენი 2006).

არქეოლოგიური პირველწყაროების მიმოხილვა

სადისერტაციო თემაში გამოყენებული არქეოლოგიური პირველწყაროები მცხეთასა და მის შემოგარენში გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლები და არტეფაქტებია. ეს მასალა გამოქვეყნებულია სხვადასხვა პერიოდის ანგარიშებში, კატალოგებში, მონოგრაფიებსა და სტატიებში. ამიტომ ამ პუბლიკაციების მიმოხილვასაც ამ თავში შემოგთავაზებთ. ძეგლებისა და არტეფაქტების უმრავლესობა თავმოყრილია სიმონ ჯანაშიას თაოსნობით დაარსებულ სერიაში „მცხეთა - არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები“. ამ სერიიდან სულ ათი ტომი გამოიცა. პირველი ტომი გამოვიდა 1955 წელს, მასში ავტორთა კოლექტივის მიერ აღწერილია არმაზისხევის არქეოლოგიური მონაპოვარი (აფაქიძე და სხვა 1955). მეორე ტომი მიეძღვნა 1975 წლის მუშაობის შედეგებს. აქ განხილულია კარსნისხევის ნამოსახლარის, საწარმოო უბნისა და სამაროვნის მასალები, ასევე - მცხეთისგორის, სვეტიცხოვლის, მუხათგვერდის, კამარახევისა და სამთავროს უბნებზე აღმოჩენილი ძეგლები და არტეფაქტები (აფაქიძე და სხვა 1978). მესამე-მეოთხე ტომი და მეხუთეს ერთი ნაწილი მთლიანად დაეთმო სამთავროს სამაროვანს (ივაშენკო 1980; კალანდაძე 1980, 1981). მეხუთე ტომის მეორე ნაწილშია თავმოყრილი ავტორთა კოლექტივის მიერ 1977-1978 წლებში მცხეთასა და მის შემოგარენში შესრულებული საველე სამუშაოების შედეგები (აფაქიძე და სხვა 1981). მეექვსე ტომი ეთმობა სამთავროს ველზე, კამარახევში და კარსნისხევში მოპოვებული მასალის განხილვას (კალანდაძე 1982; ჯღარკავა 1982; აფაქიძე და სხვა 1982; მელითაური

1982). მეშვიდე ტომში გამოქვეყნებულია სამთავროს, მოგვთაკარის, მცხეთისგორისა და მუხათგვერდის სამაროვნების კატალოგები (მანჯგალაძე 1985; სიხარულიძე, აბუთიძე 1985; ნიკოლაიშვილი და სხვა 1985; ხეცურიანი 1985). მეცხრე ტომში გამოქვეყნდა 1980-81 წლებში სამთავროს ველზე და მუხათგვერდში მოპოვებული ძეგლებისა და არტეფაქტების კატალოგები, შესრულებული ავტორთა კოლექტივის მიერ (აფაქიძე და სხვა 1989). მეათე ტომი ეძღვნება წინამურის არქეოლოგიურ ძეგლებს და ბაიათხევის სამაროვანს (აფაქიძე და სხვა 1995; ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი 1995; ნიკოლაიშვილი, გიუნაშვილი 1995). ბოლო, მეთერთმეტე ტომში გამოქვეყნდა სტატიები, რომლებიც მიეძღვნა „მცხეთის აკლდამას“ (აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996), არმაზციხის ბერძნულ წარწერებს (ყაუხჩიშვილი 1996) და არმაზციხის კედლის მხატვრობას (კავლელაშვილი 1996).

საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის შესწავლას მიეძღვნა რამდენიმე მონოგრაფია: გერმანე გობეჯიშვილის „არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა სახელმწიფოში“ (გობეჯიშვილი 1952), სადაც ერთ თავშია განხილული არმაზციხის გათხრები; ანდრია აფაქიძის „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“ (აფაქიძე 1963), სადაც განხილულია არმაზციხისა და წინამურის ძეგლები და სამშენებლო ტექნოლოგიები.

„მცხეთის აკლდამა“ გამოქვეყნდა რამდენიმე სტატიაში. მათგან აღსანიშნავია: გიორგი ლომთათიძის „არქეოლოგიური გათხრები საქართველოს ძველ დედაქალაქში“ (ლომთათიძე 1944) და გიორგი ლომთათიძისა და ირაკლი ციციშვილის „ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში“ (ლომთათიძე, ციციშვილი 1951).

კამარახევის სამაროვანი შეისწავლა და „საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიის მასალათა კრებულში“ გამოაქვეყნა რამინ რამიშვილმა (რამიშვილი 1959).

გიორგი ლეჟავამ არმაზციხის სასიმაგრო კედლების მოკლე აღწერილობა და რეკონსტრუქციული ნახაზები წარმოადგინა „ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურულ ძეგლთა აღწერილობაში“ (ლეჟავა 1978).

კონსტანტინე მელითაურმა შემოგვთავაზა არმაზციხის სასიმაგრო კედლებისა და სხვა არქიტექტურული ნაშთების გამოკვლევა „საქართველოს წინა და ადრეფეოდალური ხანის სიმაგრეებში“ (მელითაური 1969).

ვახტანგ ნიკოლაიშვილის სტატიაში „ძველი მცხეთის ისტორიული ტოპოგრაფია ახალ აღმოჩენათა შუქზე“ წარმოდგენილია მცხეთის შემოგარენის სასიმაგრო სისტემები (ნიკოლაიშვილი 1990).

გურამ ყიფიანის სტატიები მიეძღვნა წინამურის სასოფლო-სამეურნეო მიწებისა (ყიფიანი 2003) და არმაზციხის აბსიდებიანი ტაძრის შესწავლას (ყიფიანი 2005ბ).

მეთოდოლოგია

ძველი კულტურებისა და მათი ვარიაციების შესწავლის მრავალი საშუალება არსებობს. ისინი ერთი პირადი თუ კულტურული პერსპექტივიდან მეორეზე მონაცვლეობენ. არსებობს კვლევის სხვადასხვა ხერხი, რომელიც არათუ სხვადასხვა მეთოდოლოგიას, არამედ სხვადასხვა პირად შეხედულებასა და ლოგიკას ეფუძნება.

ნაშრომის ძირითადი კვლევის ობიექტია რომაული ხანის მცხეთის ქვეყნის ნამოსახლართა მოდელები და მათი დინამიკა. ნამოსახლართა მოდელების ფორმირებასა და დინამიკაზე ურთიერთდამოკიდებულებაში მყოფი ეკოლოგიური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სოციალურ-კულტურულ ფაქტორები ზემოქმედებს. ნებისმიერი კულტურული პერიოდი, მიუხედავად მისი მკაფიოდ განსაზღვრულობისა, არასტაბილური ფენომენია. იგივე ითქმის დროსა და სივრცეში მუდმივად ცვალებად ლანდშაფტსა და ნამოსახლარზეც. ეს ცვალებადობა თუ არასტაბილურობა სოციალური და გარემო პირობების ცვლილებებს უკავშირდება. ამიტომ, ამ საკითხების გამოსაკვლევად აუცილებელია მათი ფართო კონტექსტში განხილვა და კომპლექსური

შესწავლა. საკითხთან ამგვარმა მიდგომამ, თავის მხრივ, კვლევის რამდენიმე მეთოდოლოგია წარმოაჩინა.

სანამ უშუალოდ მეთოდოლოგიებზე გადავიდოდე, მინდა განვმარტო ნაშრომში მოხსენიებული ზოგიერთი ტერმინი, რაც არქეოლოგიური ლანდშაფტის კონცეპტუალურ დაყოფასა და აღქმას ემსახურება. არქეოლოგიური ლანდშაფტი შეიძლება მოიცავდეს არქეოლოგიურ უბანს (archaeological site), არქეოლოგიურ ძეგლს (archaeological monument) ან არქეოლოგიურ ელემენტებს (archaeological feature), მაგალითად, წინამურის არქეოლოგიური უბანი შეიცავს არქეოლოგიურ ძეგლს - წინამურის ველის კოშკურა სახლს, და ასევე სამაროვნის იზოლირებულად გამოვლენილ არქეოლოგიურ ელემენტებს, მაგალითად, ქვაყუთებს. არქეოლოგიურ უბნად შეიძლება მოვიაზროთ ნამოსახლარი, სამაროვანი ან სხვა ფუნქციის მქონე არქეოლოგიური ძეგლი ან ძეგლებისა და არქეოლოგიური ელემენტების ერთობლიობა. ისინი, თავის მხრივ, ნამოსახლართა მოდელისა და კი შეიძლება ქმნიდნენ (ქირში 1985, 38-39; ვეისლერი, ქირში 1985).

ნამოსახლართა მოდელის კვლევებში აღსანიშნავია ტერმინოლოგიური თავისებურებები, მაგალითად, დასახლება, ნამოსახლარი და საზოგადოება. დასახლება და ნამოსახლარი არქეოლოგიური ტერმინებია, რომლებიც გეოგრაფიულ ლოკაციას აღნიშნავს, საზოგადოება კი - სოციალური ტერმინი, რომელიც ამ დასახლების თუ ნამოსახლარის მცხოვრებლებს გულისხმობს.

ნაშრომში სიტყვა დასახლება სასოფლო თუ ურბანული ტიპის წარსულში არსებული სამოსახლოს აღმნიშვნელია, ნამოსახლარი კი - წარსული დასახლების არქეოლოგიური ნაშთებისა აწმყოში. დასახლება იხმარება წარსულ დროში, ნამოსახლარი კი აწმყოში, მაგალითად, ოდესღაც დასახლება იყო, დღეს კი ნამოსახლარია.

ნამოსახლართა მოდელის კვლევაში თვისებრივი და რაოდენობრივი ხერხები გამოვიყენე. თვისებრივი კვლევის ხერხი გამოყენებულია კონკრეტული ნამოსახლარის სისტემის გამოსავლენად, მაგალითად, წინამურის ნამოსახლარის სისტემის

საილუსტრაციოდ, რასაც კონკრეტული სიტუაციის მეთოდი შეიძლება ეწოდოს⁵, ხოლო თუ რამდენად მართებული იყო ამ მეთოდის განზოგადება და ნამოსახლართა მოდელის გამოვლენა, მაგალითად, „მცხეთის ქვეყნის“ ნამოსახლართა მოდელის ჩვენება, რაოდენობრივი კვლევის მეთოდის საშუალებით გახდა შესაძლებელი. მონაცემთა შეგროვება და მათი დამუშავებაც რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით განხორციელდა, მაგალითად, მტკვრისა და არაგვის სანაპიროებზე განლაგებული ნამოსახლარები სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე გაანალიზდა.

ნაშრომში გამოყენებულ მეთოდოლოგიათაგან ერთ-ერთი ნამოსახლართა მოდელის ანალიზია. ნამოსახლართა კვლევები სხვადასხვა ფუნქციის მქონე არქეოლოგიური ძეგლის შესწავლას გულისხმობს სოციალურ-კულტურულ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ჭრილში. ამგვარი კვლევების შედეგად ვლინდება ნამოსახლართა სისტემა, რომელშიაც სხვადასხვა ფუნქციის მქონე არქეოლოგიური ძეგლი შეიძლება იყოს გაერთიანებული, მაგალითად, საცხოვრებელი, საწარმოო, სამეურნეო, საკულტო-სარიტუალო, დასაკრძალავი და სხვა. ნამოსახლართა განხილვა რეგიონალურ მასშტაბში ნამოსახლართა მოდელს ავლენს. ეს მეთოდოლოგია პირველად გორდონ ვილიმ გამოიყენა 1950-იან წლებში (ვილი 1953). მას შემდეგ იგი ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლართა კვლევებში.

1970-იანი წლებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა არქეოლოგიური უბნებისა და ძეგლების სივრცითი ანალიზი, რაც ნიშნავდა ნამოსახლართა რეგიონალურ, ტოპოგრაფიულ, კარტოგრაფიულ და სხვადასხვა სტატისტიკურ კვლევებს და კვლევების შედეგად მიღებული მონაცემების ერთიან ბაზაში ინტეგრირებას. სივრცითი ანალიზის მეთოდების მეშვეობით შესაძლებელი გახდა კონკრეტულ არქეოლოგიურ კითხვებზე პასუხების გაცემა (ქლარეი 1977).

ჩემ მიერ ჩატარებული ნამოსახლართა ანალიზი მოიცავდა შემდეგ მეთოდებს: არქეოლოგიური ძეგლებისა და ელემენტების მდებარეობის დადგენას, ზღვის დონიდან მათი სიმაღლეების განსაზღვრას, მათ შორის, სივრცითი ურთიერთობების გამოვლენას,

⁵ ტერმინი „კონკრეტული სიტუაცია“ ნაშრომში გამოყენებულია ტერმინ „case study“-ს ნაცვლად.

არქეოლოგიური უბნების განსაზღვრას, არქეოლოგიური ძეგლების, ელემენტებისა და უბნების რუკაზე დატანას და მიღებული მონაცემების ერთიან მონაცემთა ბაზაში შეტანას. მონაცემთა ბაზაში ძირითადად შევიდა 1953-98 წ.წ. ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი ძეგლები და, ასევე, 2010 და 2013 წლებში ჩემ მიერ საველე დაზვერვების შედეგად აღმოჩენილი არქეოლოგიური ელემენტები. აღნიშნული საველე და კომპიუტერული სამუშაოები და ნამოსახლართა სივრცითი ანალიზი განხორციელდა GIS-ის მეთოდოლოგიების გამოყენებით.

GIS-ის მეთოდოლოგიებმა კიდევ უფრო დახვეწა და ეფექტური გახადა ნამოსახლართა ანალიზი; გაამარტივა ნამოსახლართა მოდელის გამოვლენა და მათი შესწავლა (ჩეფმენი 2006).

ნამოსახლართა სისტემებისა და მოდელის კვლევა, თავის მხრივ, დაკავშირებულია ლანდშაფტთან და მის კვლევებთან. ლანდშაფტის კვლევები ძალზე მნიშვნელოვანია, რადგანაც იგი ასახავს ადამიანის მოღვაწეობის კვალს, მისი მოძრაობის ტრაექტორიას. ლანდშაფტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს დასახლების ფორმირებაში, კარნახობს ადამიანს დასახლების საზღვრებს, ჩარჩოში აქცევს მის ქმედებას და განსაზღვრავს დასახლების ტიპს. ადამიანისა და ლანდშაფტის ურთიერთობის მრავალი ასპექტი სივრცეშია კოდიფიცირებული.

საკვლევი ტერიტორიის ლანდშაფტის კვლევები გულისხმობდა როგორც ფიზიკური ლანდშაფტის ვიზუალიზაციას (ჭოვარდი 2007; მაქოი, ლეიდფოგდი 2009), ასევე, ფენომენოლოგიურ მიდგომას (თილი 1994; 2010). ლანდშაფტის ფიზიკურმა კვლევებმა, სტატისტიკური მონაცემებისა და GIS-ის მეშვეობით, არქეოლოგიურ ძეგლთა და ელემენტთა, არქიტექტურულ ნაგებობათა და არტეფაქტთა მაღალი, საშუალო და დაბალი კონცენტრაციის ზონები გამოავლინა. ლანდშაფტის წარსული მცენარეული საფარის შესასწავლად საკვლევი ტერიტორიის ორი უბნიდან (სამთავროს სამაროვანი და არმაზის ნაქალაქარი) აღებული მიწის ნიმუშების პალინოლოგიური კვლევა ჩატარდა.

ფენომენოლოგიურმა მიდგომამ ლანდშაფტის სრულყოფილად გააზრების საშუალება წარმოშვა, გამოავლინა ცალკეული ძეგლების არქეოლოგიური კონტექსტი და

წარმოაჩინა, თუ როგორ შეიძლებოდა გაეაზრებინა და გამოეყენებინა ძველ ადამიანს ლანდშაფტი - ანუ კულტურის ანალიზი თავად კულტურის შიგნიდან, მისივე ლოგიკის გამოყენებით მოხდა. ყოველივე ამან ნამოსახლართა სისტემები და, შესაბამისად, რამდენიმე არქეოლოგიური უბანი გამოავლინა.

სამშენებლო ტექნოლოგიების დასადგენად არმაზის ნაქალაქარის აბანოებიდან აღებული კედლის შელესილობისა (ბათქაში) და დულაბის (რომაული ბეტონი) ფრაგმენტების სტრეომიკროსკოპული ანალიზი გაკეთდა. ეს სამუშაო ბერკლის კალიფორნიის უნივერსიტეტის დედამინის შემსწავლელი მეცნიერებების დეპარტამენტის ლაბორატორიაში შესრულდა, ხოლო პალინოლოგიური ანალიზი გეოგრაფიის დეპარტამენტის ლაბორატორიაში.

ასევე გამოყენებულ იქნა ისტორიული არქეოლოგიისა და არქეოლოგიური მონაცემების შედარებითი ანალიზი. ერთმანეთს დაუპირისპირდა არქეოლოგიური ფაქტი და ისტორიული არქეოლოგია. არქეოლოგია ავლენს იმას, რაც ხშირად ნათლად არ ჩანს წერილობით წყაროში. ბერძნულ-ლათინურენოვანი რომაელი ავტორების თხზულებები და ქართული წერილობითი წყაროების მონაცემებისა და საკვლევ ტერიტორიაზე გამოვლენილი რომაული ხანის არქეოლოგიური მონაპოვრების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ ძვ.წ. პირველი - ახ.წ. მესამე საუკუნეების ბერძნულ-ლათინური წერილობითი წყაროები და შუა საუკუნეების ქართული წერილობითი წყაროების ზოგიერთი ცნობა შეესაბამება არქეოლოგიურ მასალას, თუმცა, შედარებითმა ანალიზმა გარკვეული წინააღმდეგობებიც გამოავლინა.

გაანალიზდა საკვლევ ტერიტორიაზე მოპოვებული ეპიგრაფიკული მასალაც, რომელთა უმრავლესობა ბერძნულ ენაზეა შესრულებული. რომაულ აბანო No2-თან აღმოჩენილმა წარწერებმა ძველის თარიღი გაამყარა. ეპიგრაფიკული მასალის ამ ჯგუფმა კი, ზოგადად, ცხადყო ის აზრი, რომ იბერია და კონკრეტულად „მცხეთის ქვეყანა“ რომანიზებული აღმოსავლეთის გავლენას განიცდიდა, რომლის ლინგვა ფრანკა ბერძნული ენა იყო (მულენი 2012).

აღნიშნული კვლევის მეთოდოლოგიების შედეგად მიღებული მონაცემები ერთმანეთს შეუჯერდა. ამრიგად, ნაშრომში ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდოლოგია იქნა გამოყენებული, რამაც გამოავლინა რომაული ხანის ნამოსახლართა მოდელები იბერიაში.

შედეგები

აღნიშნული კვლევის მეთოდოლოგიების გამოყენებით „მცხეთის ქვეყანაში“ ძვ.წ. პირველი საუკუნის მიწურულიდან ახ.წ. მეოთხე საუკუნის დასაწყისამდე სამი სოციალურად დანინაურებული ურბანული ცენტრი - არმაზი, წინამური, მცხეთა - და მათთან დაკავშირებული არქეოლოგიური უბნები გამოვლინდა (ილუსტრაცია 1). არქეოლოგიური ნამოსახლარი თეზიკური ადგილი ან ადგილების კლასტერია, სადაც დროის განსაზღვრულ პერიოდში, საზოგადოების წევრები ცხოვრობდნენ და საქმიანობდნენ, მოიპოვებდნენ საარსებო საშუალებებს, ცდილობდნენ საკუთარი თავის უზრუნველყოფას და ასრულებდნენ სოციალურ ფუნქციებს (ჩანგი 1968, 3). ადგილი დასახლებად მაშინ გარდაიქმნა, როდესაც იქ ადამიანი დასახლდა. დასახლების კონცეფციაც მაშინ ჩამოყალიბდა. ხოლო, როდესაც ადამიანმა ბუნებრივი გარემო სხვადასხვა მიზნით გამოიყენა და დასახლების მოდიფიკაცია შეძლო, მაშინ ბუნებრივმა ლანდშაფტმა სოციალური მნიშვნელობა შეიძინა.

„მცხეთის ქვეყნის“ ლანდშაფტმა დასახლებათა წარმოშობა, ფუნქცია და განვითარება განაპირობა, რაც არქეოლოგიური უბნებისა და მათი მახასიათებლების კვლევამ აჩვენა. არქეოლოგიური უბნების ტოპოგრაფიის განხილვამ, მტკვრისა და არაგვის სანაპირო ზოლის ცვალებადობამ და პალეოლოგიური მონაცემების მიხედვით რომაული პერიოდის ლანდშაფტის რეკონსტრუქციამ ლანდშაფტის ათვისების წინაპირობა და ნიადაგის ტიპი განსაზღვრა. გამოიყო აგრიკულტურული პოტენციალის

მქონე და არმქონე ლანდშაფტები (მეგერსი 1971). გაირკვა ნამოსახლართა ფუნქცია, ეკონომიკის ტიპი, ორგანიზაცია და თავდაცვის სისტემა.

სამი ურბანული ცენტრიდან ყველაზე ადრეული არმაზია. ამიტომ, ნამოსახლართა განხილვას არმაზით დავიწყებ.

არმაზის ნაქალაქარი

არმაზის ნაქალაქარი მდებარეობს მთა ქართლის ქედის აღმოსავლეთ ფერდზე, ზღვის დონიდან 467-524 მეტრზე, მდინარეების მტკვრისა და არაგვის შესართავთან, მტკვრის სამხრეთ სანაპიროზე, თანამედროვე ქალაქი მცხეთის მოპირდაპირე მხარეს. არმაზის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარს მტკვრის ხეობა შემოწერს, სამხრეთიდან მას კარსნისხევი საზღვრავს, ხოლო დასავლეთიდან - მთა ქართლის წვერი (ილუსტრაცია 2).

მდინარე მტკვრის სამხრეთი სანაპიროს ის ადგილი, სადაც არმაზის ნაქალაქარი მდებარეობს, აგებულია შუა და ზემო ეოცენის ტუფებითა და ქვიშაქვებით. ამ ვულკანური და სედიმენტური წარმოშობის ქვების ზემოთ განლაგებული ფენები მდინარეული კონგლომერატებითა და დაახლოებით 10-15 სმ თიხებით არის წარმოდგენილი. გრუნტის წყლები მიწის თანამედროვე ზედაპირიდან რამდენიმე ათეული მეტრის სიღრმეში აღინიშნება (ტაბალუა და სხვა 2000, 6-7).

არმაზის ნაქალაქარის ბუნებრივი ლანდშაფტი დაფერდებულია და მას რამდენიმე პატარა ხევი კვეთს. იგი ტერასულადაა განლაგებული ფერდობზე, რომელიც მტკვრისა და არაგვის ხერთვისშია შეჭრილი. მდინარეების შესართავთან მტკვრის ხეობა განსაკუთრებით ფართოვდება. ქართლის მთის კალთები მდინარე მტკვრის სამხრეთი და დასავლეთი სანაპიროების ვიწრო ალუვიურ ზოლში იზრდება. აღსანიშნავია, რომ მდინარეების თანამედროვე კალაპოტი 1920-იან წლებში ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრო სადგურის (ზაჰესი) მშენებლობის შედეგად ჩამოყალიბდა. მას შემდეგ შესამჩნევი ცვლილება განიცადა მდინარეების სანაპირო ზოლმაც (ილუსტრაცია 3).

ლანდშაფტის მცენარეული საფარი, ძირითადად, ხშირი ბუჩქნარისა და ბალახისაგან შედგება. ფრაგმენტულად, განსაკუთრებით ალუვიურ ზოლში, წამოდგენილია ფოთლოვანი და წიწვოვანი ხეებიც. ნიადაგი თიხანარევი და ყავისფერია. მიწის ზედაპირზე ბაზალტური ქანები ვლინდება. მთის კალთა, რომელიც ნაქალაქარის აღმოსავლეთი ტერასიდან მდინარე მტკვრის სანაპიროზე ეშვება, ეროზიულია. ეროზია როგორც ბუნებრივი, ასევე კულტურული ქმედებებით არის გამოწვეული.

ბერძნულ-ლათინურ წერილობით წყაროებში არმაზი პირველად სტრაბონის გეოგრაფიაშია მოხსენიებული (სტრაბონი XI, III, 5.). შემდგომ ის გვხვდება პლინიუს უფროსის საბუნებისმეტყველო ისტორიაში (პლინიუსი VI. X. 29-30), პტოლემეაიოსის გეოგრაფიაში (პტოლემეაიოსი X) და ბოლოს დიონ კასიუსის რომის ისტორიაში (დიონ კასიუსი XXXVII, 1, 3).

ქართულ საისტორიო წყაროებში არმაზი ან არმაზნი სხვადასხვა მნიშვნელობით არის ნახსენები: „მოქცევაი ქართლისაიში“ არმაზი ღმერთის სახელიც არის (მქ 2007,34) და ციხისაც (არმაზნი) (მქ 1963, 98); ჯუანშერი ახსენებს, როგორც ციხეს (ქც 1955, 159); ლეონტი მროველი - როგორც მთას (ქც 1955, 8), ციხეს (ქც 1955, 13) და ქალაქ არმაზს (ქც 1955, 43); ვახუშტი ბაგრატიონი - როგორც ქალაქ არმაზს (ვახუშტი 1941, 55).

სახელი არმაზი სპარსული წარმოშობისაა და აპურამაზდას უკავშირდება(იხ. მელიქსეთ-ბეგი 1938; ყიფიანი 2010ა, 93), თუმცა ი. ჯავახიშვილი მცირე აზიულ თუ ხეთურ ღვთაება არმასთან პოულობდა ანალოგს (ჯავახიშვილი 1960, 101-105).

არმაზის ნაქალაქარზე არქეოლოგიური გათხრები პირველად 1889 წელს ჩატარდა დავით ქუთათელაძის მიერ. მან აღმოაჩინა დამცავი კედლის პატარა ფრაგმენტი (ილუსტრაცია 4) და გათხარა ნაგებობა⁶, რომელშიც სამი ფენა გამოყო (ქუთათელაძე 1966, 117-118; თაყაიშვილი 1968, 37; აფაქიძე 1963, 259). მას შემდეგ 1938, 1947-48 წლებში ჩარატდა გათხრები მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ, რომელიც 1961-62

⁶ ნაგებობას, რომელიც დ. ქუთათელაძემ გათხარა, ა.აფაქიძე ორსენაკიან ნაგებობას უწოდებდა. ამჟამად გარკვეულია, რომ ეს ცისტერნაა.

წლებში გაგრძელდა. გამოვლინდა სვეტებიანი დარბაზი, აბანო No1, ქვევრები, წყალსადენი, სარკოფაგი, აკლდამა და ნაქალაქარის გალავანი. მცხეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხრების შემდგომი ციკლი გააგრძელა 1993-98 წლებში. 1996 წელს გამოვლინდა აბსიდებიანი ტაძარი, 1997 - წელს აბანო No2 და აბანო No3. გათხრები 2011-13 წლებშიც მიმდინარეობდა. გაითხარა მარნის უკან მდებარე საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა და სვეტებიანი დარბაზის ზემო ტერასაზე განლაგებული ნაგებობების ნაშთები (ნიკოლაიშვილი 2011, 10).

ამ არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად დადგინდა არმაზის ნაქალაქარის ფართობი, რომელიც დაახლოებით 200.000მ²-ზე ვრცელდება. გაითხარა ნაქალაქარის ჩრდილოეთი, სამხრეთ-აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილები. გათხრილი ფართობი ნაქალაქარის ტერიტორიის დაახლოებით 20 პროცენტს შეადგენს. ნაგებობების ძირითადი კონცენტრაცია სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა. ისინი სხვადასხვა დანიშნულებისა და პერიოდის ძეგლებია, მაგალითად, საფორტიფიკაციო, საყოფაცხოვრებო, რელიგიური, სანიტარული და სამარხეული ნაგებობები. მათგან იმ ნაგებობებს განვიხილავ, რომლებიც უკეთაა შემონახული და მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდიან. ამ ნაგებობებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ეკისრებათ ნაქალაქარის გეგმარების, ორგანიზაციის გასაგებად და მისი არსებობის პერიოდების დასადგენად. ესენია: სვეტებიანი დარბაზი, აბანოები, აბსიდებიანი ტაძარი, ცისტერნა, აკლდამა, სარკოფაგი და სასიმაგრო სისტემა (ილუსტრაცია 6).

სასიმაგრო სისტემა

სადღეისოდ არმაზის სასიმაგრო სისტემიდან მხოლოდ მცირედი ფრაგმენტებია შემორჩენილი, რომლებიც, ზედაპირულად, ნაქალაქარის სამხრეთ ნაწილში ვლინდება. ამიტომ მისი განხილვა, ძირითადად, არსებული პუბლიკაციების, ფოტოსურათების, არქიტექტურული ნახაზებისა და არქეოლოგიური გათხრების გენგეგმების მეშვეობით არის შესაძლებელი. ამ პუბლიკაციათაგან აღსანიშნავია დომენტი მშვენიერაძის „სამშენებლო საქმე ძველ საქართველოში“ (1952), ანდრია აფაქიძის „ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში“ (1963), კონსტანტინე მელითაურის „საქართველოს წინა და

ადრეფეოდალური ხანის სიმაგრეები” (1969) და გურამ ყიფიანის „ციხე-ქალაქების ფორტიფიკაცია” (2005ა). ამ ნაშრომთა და კ. მელითაურის არქეოლოგიური გათხრების გენგეგმის მიხედვით ჩანს, რომ არმაზის სასიმაგრო სისტემა კედლების, კონტრფორსების, კურტინებისა და კოშკებისაგან შედგებოდა. ისინი ნაქალაქარის აღმოსავლეთ, სამხრეთ და დასავლეთ ნაწილში თითქმის სამი კილომეტრის მანძილზე ფრაგმენტულად გამოვლინდა. ძირითადი დამცავი ხაზი იწყებოდა ნაქალაქარის აღმოსავლეთით მდებარე ქვედა კოშკიდან (უბანი III), რომელიც ჩრდილო-დასავლეთით, მთის წვერისაკენ მიემართებოდა. კოშკები დამცავი ხაზის ანუ კედლის შუალედებში და ბოლოშიც გამოვლინდა. აღნიშნული კედლიდან დასავლეთით იწყებოდა მეორე დამცავი კედელი, რომელიც პირველი დამცავი კედლის პარალელურად დაუყვებოდა ფერდობს პირველ კოშკამდე. შემდეგ იგი სამხრეთ-აღმოსავლეთ მიმართულებას იღებდა და 90 მეტრის სიგრძეზე დაუყვებოდა ფერდობს. ამ კედლის გაგრძელება არ გამოვლენილა. ამიტომ მისი რეკონსტრუქცია და ინტერპრეტაცია სხვადასხვანაირად ხდებოდა (მელითაური 1969, 56).

სასიმაგრო სისტემის სხვადასხვა ნაწილი განსხვავებული სამშენებლო ტექნიკის გამოყენებით ყოფილა აგებული. შეიმჩნეოდა კედლების გადაკეთების კვალი და სამშენებლო მასალის მეორადი გამოყენებაც. მთა ქართლის რელიეფი და მასზე ზედაპირულად გამოვლენილი კლდოვანი ქანებიც ოსტატურად ყოფილა ჩართული სასიმაგრო სისტემაში. საფორტიფიკაციო კედლები მთის რელიეფს მიუყვებოდა. კედლების საძირკველად, ზოგჯერ, ზედაპირულად გამოვლენილი კლდოვანი ქანები იყო გამოყენებული. ამოკვეთილ კლდოვან ქანებში ქვიშაქვის ლოდები იყო ჩასმული. ქვიშაქვის ლოდები როგორც კლდოვან ქანში, ასევე ერთმანეთშიც კარგად ჯდებოდა და ე.წ. ურთიერთჩამკეტ მექანიზმს ქმნიდა, რაც საფეხურების შთაბეჭდილებას ტოვებდა (ილუსტრაცია 4, 6.1). დამცავი კედლის წყობის ეს მცირე ფრაგმენტი (უბანი II) პირველად დ. ქუთათელაძემ აღმოაჩინა და აღნიშნა თავის ანგარიშში (ქუთათელაძე 1966, 117).

საძირკველის აშენების ამგვარი პრაქტიკა კედლისა და კოშკის იმ ფრაგმენტზეც (უბანი III) დადასტურდა, რომელიც კარგად დამუშავებული ქვიშაქვის ბლოკებისა და

ალიზის აგურებისაგან შედგებოდა. ქვიშაქვის ბლოკებზე ორმაგი მერცხლის კუდის ფორმის ჰორიზონტალურ სამაგრთა ფოსოები გამოვლინდა (ილუსტრაცია 6.2). ჩანს, ბლოკები ამ ფორმის სამაგრებით ერთმანეთს ებმოდა, რითაც ალიზის აგურის კედლებისათვის სტაბილურ საფუძველს (2.8მ-3მ სიგანე) ქმნიდა. ალიზის აგურები ერთმანეთთან თიხის ხსნარით იყო შეკავშირებული და გარედან თიხისავე ხსნარით შელესილი. ალიზის აგურთა წყობაში ხის ძელების გარდიგარდმო მდებარეობა დაფიქსირდა. ხის ძელები კოშკის გასწვრივ, ქვების წყობაშიც დადასტურდა. ქვის ბლოკებისა და ალიზის აგურის კედლების სიმაღლე რიგ შემთხვევებში 4-5 ან 6მ-ს აღწევდა. არმაზის სასიმაგრო სისტემის ეს ფრაგმენტები მონუმენტურობით გამოირჩეოდა (ილუსტრაცია 7) (აფაქიძე 1963, 181; მელითაური 1969, 56-57).

ძირითადი სასიმაგრო ზოლის მეორე უბანზე გამოვლენილი კედლისა და მართკუთხა კოშკის ფრაგმენტი განსხვავებული სამშენებლო ტექნიკით ხასიათდებოდა. ის, შედარებით, უხეშად დამუშავებული ქვიშაქვის ბლოკებით ყოფილა აგებული, რომლის ქვედა რიგები კლდოვან ქანში იჯდა. ქვიშაქვის ბლოკების ერთ-ორ შემორჩენილ რიგზე ალიზის აგურებისა და ხის ძელების ნაშთები გამოიკვეთა. 3.2მ სიგანის კედელი 3.7-6.3მ-ის ინტერვალით, ორივე მხრიდან 0.8-1.8მ სიგრძის მართკუთხა კონტრფორსებით ყოფილა გამაგრებული (ილუსტრაცია 6.3) (მელითაური 1969, 57). როგორც ჩანს, სასიმაგრო კედლის ამ მონაკვეთზე კრამიტის ფრაგმენტები გამოვლინდა, რადგანაც ა. აფაქიძე ოთხკუთხა კოშკებისა და კონტრფორსების კრამიტით გადახურვას ვარაუდობს (აფაქიძე 1963, 22).

განსაკუთრებით კარგად ყოფილა გამაგრებული ნაქალაქარის სამხრეთი მხარე, რომელიც კარსნის ხეობას გადაჰყურებს. სწორედ აქ გამოვლინდა სასიმაგრო კედლის ორი, ერთმანეთისაგან 58 მეტრით დაშორებული, თითქმის პარალელური რიგი. არმაზის სასიმაგრო სისტემაში სულ ექვსი მართკუთხა კოშკი გამოიკვეთა (ყიფიანი 2005ა, 91,96).

სასიმაგრო კედლების ზოგიერთი ფრაგმენტი კირხსნარზე იყო აშენებული, ქვიშაქვის საპირე და ხურდა ქვის წყობით. მაგალითად, ადრეშუასაუკუნეების ეკლესიის აღმოსავლეთით, B კოშკის ჩრდილოეთით გამოვლენილი 1.95მ სიგანის კედელი,

რომელიც თიხამინის ხსნარით დაკავშირებულ, უხეშად დამუშავებული ქვების ფენაზე იდგა და E კომპოზიტივს გაკეთებულ თხრილში აღმოჩენილი კედელი (მელითაური 1969, 60- 61). მსგავსი სამშენებლო ტექნიკა დადასტურდა B¹ და F კომპოზიტივების შემორჩენილ ფრაგმენტებზეც (მელითაური 1969, 63) (ილუსტრაცია 8). სასიმაგრო კედლებთან და კომპოზიტივთან კრამიტის ფრაგმენტები აღმოჩნდა (აფაქიძე 1963, 49).

სასიმაგრო კედლების მშენებლობის მეთოდები განსხვავდებოდა რეგიონებისა და კულტურული პერიოდების მიხედვით. თუმცა, მძლავრი სასიმაგრო სისტემის გამართვა ყოველთვის დიდ ხარჯებთან და მცოდნე მშენებლების ყოლასთან იყო დაკავშირებული. საფორტიფიკაციო კედლების მაგალითები, რომლებიც ქვის მშრალი წყობითაა აშენებული, ჯერ კიდევ ანატოლიის პრეისტორიული ძეგლებიდან არის ცნობილი. მშენებლობის ამ ტექნიკას ხეთებიც ფლობდნენ. ურარტუელებმა ის კიდევ უფრო განავითარეს მყარი ქვის ბაზალტის გამოყენებით. ეს ტექნოლოგია ელინისტურ ხანაშიც ფართოდ იყო გავრცელებული (ბაშგელენი 1993, 35). მეგალითური კედლების სიმტკიცისათვის განსაკუთრებულ ზომებს მიმართავდნენ, რაც ქვის ბლოკების ურთიერთჩამკვეთ მექანიზმში გამოიხატებოდა. ეს მეთოდი უძველესი ბერძნული არქიტექტურის კარგ ნიმუშებში ვლინდებოდა (ლოურენსი 1996, 167).

საფორტიფიკაციო კედლების ადრეულ ნიმუშებში ალიზის აგურის კედლები ქვის საძირკველს ან პლინტუსს ეყრდნობოდა, რომელიც დედაქანზე იყო აშენებული. ამგვარი კედლის საძირკველი მეტად მყარი იყო და მისი გამოთხრა რთულდებოდა, მაგრამ თავად ალიზის აგურის კედლები მაინც სუსტი იყო. ალიზის კედლები ილესებოდა, თუმცა, ეს ზომა წვიმისაგან დამცავი უფრო იყო, ვიდრე - მტრისაგან. ამიტომაც, ძვ.წ. მეოთხე საუკუნის ათენის ალიზის აგურის კედლებს პროტექციზმა იცავდა. ძვ.წ. მეოთხე საუკუნის შემდგომ კი ალიზი ქვამ ჩაანაცვლა. კედლის მშენებლობაში ნატეხი ქვაც გამოიყენებოდა (ლოურენსი 1983, 302-303).

ქვის ბლოკები, მდგრადობისათვის, ერთმანეთთან ჰორიზონტალური და ვერტიკალური მეტალის სამაგრებითაც მაგრდებოდა. სეისმურად აქტიურ რეგიონებში ეს უსაფრთხოების კიდევ ერთი საშუალება იყო. სამაგრები, ძირითადად, რკინის იყო და

ბუდეში ტყვიის ჩასხმით მაგრდებოდა. ეს ტექნიკა აღმოსავლური წარმოშობის იყო. მეტალის სამაგრების ხმარება, რა თქმა უნდა, დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული და, ამიტომ, განსაკუთრებული მნიშვნელობის ნაგებობების ასაშენებლად იხმარებოდა (ლოურენსი 1983, 288).

ე.წ. ორმაგი მერცხლის ან მტრედის კუდის ფორმის სამაგრები, ტიპოლოგიურად, ქვის ბლოკების სამაგრების ერთ-ერთი უძველესი ფორმა იყო. აქემენიდთა დინასტიის აღზევების პერიოდში ორმაგი მტრედის კუდის ფორმის სამაგრები უკვე პროცენტულად ნაკლებად გამოიყენებოდა. ათასი წლის მანძილზე - ადრეული პასარგადიდან კლასიკურ პერსეპოლისამდე - მოხდა ნელი, მაგარამ აშკარა გადასვლა პრიმიტიული ორმაგი მტრედის კუდის ფორმის სამაგრებიდან კავებიან სამაგრებზე (ილუსტრაცია 9) (ნილანდერი 1970, 43).

ალიზის აგურის კედლებს სინოტივისგან ქვევიდან ქვის საძირკველი იცავდა, ხოლო ზევიდან - კრამიტი. ელინისტურ პერიოდამდე ალიზის აგურის კედლები ხის ტოტებით იფარებოდა. კედლის გამძლეობაში განსაკუთრებული მნიშვნელობა მის სისქესა და აგურის ხარისხს ჰქონდა.

დროთა განმვლობაში თავდაცვის სისტემა იცვლებოდა და ვითარდებოდა იმის მიხედვით, თუ როგორი იყო საფრთხე და საიდან იყო იგი მოსალოდნელი. მაგალითად, სპარსეთის იმპერიის გაძლიერებამ ძვ.წ. მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში სტიმული მისცა ბერძნული ფორტიფიკაციის განავითარებას; სპარტასა და ათენს შორის გამართულმა პელოპონესის ომებმა ძვ.წ. მეხუთე საუკუნეში თავდაცვა კიდევ უფრო განავითარა; კედელი, რომელიც ათენიდან პირეის ყურემდე აშენდა, სპარტის ჯარის თავდასხმას აკავებდა. კედლის სიმაღლე ალყის სიძლიერესთან ერთად იზრდებოდა. ელინისტური ხანის კედლები, რომელთაც არტილერიისათვის უნდა გაეძლო, კიდევ უფრო დაიხვეწა. ადრეულ საფორტიფიკაციო კედლებში კოშკები იშვიათი იყო. კოშკები ძირითადად ჯარისკაცების თავშესაფრად გამოიყენებოდა, შემდგომში, კი - კატაპულტის დასადგამ ადგილად. კოშკები, ძირითადად, მართკუთხა იყო, მრგვალი კოშკი უფრო გვიანდელი გამოგონება გახლდათ (ლოურენსი 1983, 299-304).

რომაელებმა სასიმაგრო კედლები რომაული ბეტონის იმავე ოპუს კამენტიკუმის (opus caementicum, opus - სამუშაო, მუშაობა, caementa – ქვა) გამოგონებით კიდევ უფრო გააძლიერეს. მათ კირის დულაბს, რომელიც რომაელებამდე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი და სამშენებლო მასალად გამოიყენებოდა, შემკვრელი მასალა - აგრეგატი დაუმატეს, დახვეწეს მისი პროპორცია და რომაული ბეტონი მიიღეს; აგრეგატად კი ქვა, ქვიშა ან კერამიკა გამოიყენეს (ადკინსი, ადკინსი 1994, 155).

კირდულაბის დამზადების ციკლში სამი საფეხური გამოიყოფა - კირქვის გამოწვა, მიღებული კირის წყალში არევა, ანუ კალციუმის ჰიდროქსიდის მიღება და ხსნარის ჰაერზე გამაგრება, ანუ კარბონიზება. კირქვა გახურების შედეგად იშლება კალციუმის ოქსიდად და ნახშირბადის დიოქსიდად. კალციუმის ოქსიდი, სანამ ცხელია ყვითელი ფერისაა, გაცივების შემდგომ კი თეთრდება. კალციუმის ოქსიდი წყალში იხსნება იმისათვის, რომ მიიღოს კალციუმის ჰიდროქსიდი. რეაქცია წარმოქმნის წყლის დუღილის გამოწვევისათვის საჭირო რაოდენობის სითბოს. ამ ქიმიური რეაქციის შედეგად შექმნილი ხსნარი ჰაერზე შრებოდა და საბოლოო ჯამში მიიღებოდა ერთგვაროვანი მასა, რომელიც შემაკავშირებელ ხსნარად გამოიყენებოდა. კირდულაბის დამზადების ტექნოლოგიაში დროთა განმავლობაში იცვლებოდა სითბოსა და წყლის გამოყენება; იცვლებოდა პროპორციები და ემატებოდა ინგრედიენტები; კირდულაბს ერეოდა ქვიშა, რიგ შემთხვევებში ემატებოდა თაბაშირი. კირის, ქვიშისა და წყლისაგან დამზადებული დულაბი ადვილად იშლებოდა, მაგრამ კირხსნარის სწორ პროპორციას დამატებული აგრეგატი, ხშირ შემთხვევაში კი ქვა, ამტკიცებდა მას და ისავდა დაშლისაგან (ვან ბალენი 2003, 2043-2044; ადამი 1984, 69-90; ქარანი და სხვა 2012, 118).

კირხსნარისა და რომაული ბეტონის დამზადების ტექნოლოგიაზე კლასიკური ხანიდან მოიპოვება მასალები. ამის შესახებ ჯერ კიდევ ვიტრუვიუსი წერდა (ვიტრუვიუსი II, V, 1). თანამედროვე ლაბორატორიული კვლევების პირობებში რომაული ბეტონის შესწავლა სხვა ხარისხში გადავიდა. გამოვლინდა კირის ტექნოლოგიაში აქამდე უცნობი დეტალები და სამშენებლო ტექნოლოგიებთან და პროპორციებთან დაკავშირებული

უზუსტობები (ვან ბალენი 2003, 2044-2045; ჯექსონი და სხვა 2005, 486, 505; ჯექსონი და სხვა 2010, 37-42).

თავდაპირველად რომაული ბეტონი, თანამედროვე ბეტონისაგან განსხვავებით, კი არ ისხმებოდა, არამედ ფენებად იდებოდა ქვის ან აგურის წყობას შორის. შემდგომში ოპუს კამენტიკუმის მასის მოსაპირკეთებლად ნაკლებად დამუშავებული ქვა ან აგური იხმარებოდა, რაც ოპუს ინსერტუმი (opus incertum) იყო (ჰენიგი 1983, 29), ანუ საპირე წყობა და კირხსნარში არეული ე.წ. ხურდა ქვები. ოპუს ინსერტუმი, ძირითადად, ძვ.წ. მეორე-პირველი საუკუნეებიდან გამოიყენებოდა (ადკინსი, ადკინსი 1994, 154).

ოპუს კამენტიკუმის უადრესი ნიმუში კოსას რომაული კოლონიის (ესპანეთი) ფორტიფიკაციიდან არის ცნობილი, სადაც ქვის არსებულ პოლიგონალურ წყობას ოპუს კამენტიკუმის კედლები ჰქონდა დაშენებული ძვ.წ. 273 წელს (ჰენიგი 1983, 30).

რომაული ბეტონის სასიცოცხლო მნიშვნელობის კომპონენტი იყო მონითალო ფერის ვულკანური ქვიშა, ანუ პოცოლანა, რომელიც კამპანიის ქალაქ პუტეოლის მიდამოებში იქნა მოპოვებული. სწორედ ამის გამო უწოდეს მას პულვის პუტეოლანუს (pulvis puteolanus), ანუ პოცოლანას სახელი. ძვ.წ. მეორე საუკუნიდან, თუ უფრო ადრე არა, რომაელებმა აღმოაჩინეს, რომ პოცოლანასგან გაკეთებული დუღაბი უფრო მტკიცე იყო, ვიდრე მდინარის ან ზღვის ქვიშისაგან და კირისაგან გაკეთებული სამშენებლო მასა, რომლის გამოყენება წყალქვეშა ნაგებობებშიც შეიძლებოდა (ჰენიგი 1983, 29).

იმპერიის იმ ნაწილში, სადაც ვულკანური ქვიშა არ მოიპოვებოდა, გამოიყენებოდა ვულკანური წარმოშობის დაფხვნილი ქვები. ამის მაგალითი იყო ადრიანეს კედელი რომაულ ბრიტანეთში. ადრიანეს კედელი მხოლოდ კირის დუღაბითა და ქვის აგრეგატით იყო აშენებული, რომლის ზომაც ადამიანის მუჭიდან თავამდე მერყეობდა. ასეთი ბეტონი სუსტი იყო. ძირითადი შემაკავშირებელი ელემენტი, კირი, ჰაერზე თანდათანობით ცარცად იქცეოდა და კედელი იშლებოდა (ვილიამსი 1996, 109). ამგვარი ტექნიკა რომის ჯარის მიერ გამოიყენებოდა. შესაძლოა, იგი სამხედრო ინჟინრების მიერ იყო დანერგილი იმპერიის ჩრდილო-დასავლეთში, როგორც რომის წინასწარგანზრახული ურბანიზაციის პოლიტიკის ნაწილი (თომლინსონი 1993, 116).

არმაზის საფორტიფიკაციო კედლის ფრაგმენტები, სამშენებლო ტექნიკის მიხედვით, სხვადასხვა დროს არის აშენებული. მშენებლობის სტილი და პერიოდები გარკვეულ რეგიონებს უკავშირდებოდა. მაგალითად, ალიზის კედლების განლაგება ქვის კარგად გათლილ ბლოკებზე როგორც საბერძნეთში, ასევე ახლო აღმოსავლეთშიც იყო გავრცელებული. ქვის ბლოკების დამუშავების მრავალგვარი ტექნიკა ახლო აღმოსავლეთში ბერძნების მეშვეობით გავრცელდა. ცნობილია, რომ კიროსმა აპადანას ასაშენებლად ბერძენი ქვისმთლელეები დაიქირავა (თაღგელი 1998, 9).

არმაზის სასიმაგრო სისტემას სხვადასხვა მკვლევარი სხვადასხვა პერიოდით ათარიღებს. ანდრია აფაქიძე მშრალი წყობით აგებულ ყველა შენობას ძვ.წ. მეოთხე-მესამე საუკუნეებს აკუთვნებს, კირხსნარზე აგებულს კი - ძვ.წ. მესამე საუკუნის შემდგომ პერიოდს (აფაქიძე 1963, 22-23). კონსტანტინე მელითაური უადრეს სამშენებლო ტექნიკად მიიჩნევს კედლის (2მ სივანე) მონაკვეთს, რომელიც საპირე და ხურდა ქვებით თიხამინის ხსნარზეა აგებული, უკავშირებს ხოვლეგორას ძეგლებს და ძვ.წ. მეცხრე-მერვე საუკუნეებით საზღვრავს, კირხსნარზე აგებულს კი - ახ.წ. მეოთხე-მეხუთე საუკუნეებით (მელითაური 1969, 64, 67). გ. ყიფიანი მეორე უბანზე გამოვლენილ, შედარებით უხეშად დამუშავებული ქვიშაქვებით აგებულ კონტრფორსებიან კედელს მიიჩნევს საპირე და ხურდა ქვის წყობის ტიპურ ნიმუშად და, ზოგადად, არმაზის სასიმაგრო სისტემას გვიანელინისტური ხანით ათარიღებს (ყიფიანი 2005ა, 96).

ჩემი აზრით, ყველაზე ადრეული სამშენებლო ტექნიკა უხეშად დამუშავებული ქვიშაქვის ურთიერთჩამკეტი ბლოკების მშრალი წყობა და ორმაგი მერცხლის თუ მტრედის კუდის ფორმის სამაგროთ გადაბმული კარგად გათლილი ბლოკებია. ძნელი სათქმელია, თუ როდის აიგო ეს კედლები. სამშენებლო ტექნიკა, რომლითაც ისინი აგებულია, საუკუნეების მანძილზე გამოიყენებოდა. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება დანამდვილებით, რომ ეს კედლები პომპეუსის იბერიაში შემოჭრამდე, ელინისტურ ხანაშიც არსებობდა, რასაც, ქვის არქაული წყობა და სამაგროს უძველესი ფორმა ადასტურებს. როგორც ა. აფაქიძე აღნიშნავდა, კომპეტთან აღმოჩენილი კრამიტის ნატეხებიც მოწმობს ამას (აფაქიძე 1963,49).

სასიმაგრო სისტემის ის ნაწილები, რომლებიც კირხსნარზე საპირე და ხურდა ქვის წყობით არის აგებული, რომაულ ხანას, პირველ-მეორე საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს, რადგანაც ისინი რომაული ბეტონის სამშენებლო ტექნიკითაა აშენებული და სწორედ ეს პერიოდი ხასიათდება ინტენსიური რომაულ-იბერიული ურთიერთობებით (ჯავახიშვილი 1960, 172).

იბერიაში რომის სამხედრო-სამშენებლო საქმიანობას ე.წ. ვესპასიანეს წარწერაც ასახავს, რომელიც 1867 წელს არმაზის ნაქალაქარის სამხრეთ ნაწილში, ნაქულბაქევთან აღმოჩნდა, კლდის აფეთქების შედეგად, სამხედრო გზის მშენებლობის დროს. წარწერა თითქმის კვადრატულ (1.22მx1.15მ) კარგად დამუშავებულ და მოჩარჩოებულ სტელაზეა შესრულებული. სტელას ზედა ნაწილი ჩამოტეხილია. წარწერის ზედა სტრიქონები დაზიანებულია. შემორჩენილია წარწერის 17 სტრიქონი, რომელიც გვამცნობს, რომ: „იმპერატორმა კეისარმა ვესპასიანე ავგუსტოსმა, დიდმა პონტიფექსმა, შვილჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, თოთხმეტჯერ იმპერატორად გამოცხადებულმა, ექვსჯერ კონსულმა, მეშვიდეჯერ დეზიგნირებულმა, მამამ მამულისამ, ცენზორმა, და იმპერატორმა ტიტე კეისარმა, ავგუსტოსის ძემ, ხუთჯერ ტრიბუნის ხელისუფლებით აღჭურვილმა, ოთხჯერ კონსულმა, მეხუთეჯერ დეზიგნირებულმა, ცენზორმა, და დომიციანე კეისარმა, ავგუსტოსის ძემ, სამჯერ კონსულმა, მეოთხეჯერ დეზიგნირებულმა, იბერთა მეფეს, მითრიდატეს, მეფე ფარსმანის და იამასასპოის ძეს, კეისრის მეგობარსა და რომაელთ მოყვარულს, და ხალხს, ეს კედლები განუმტკიცეს“⁷ (აფაქიძე 1963, 126-27).

წარწერის თარგმნამ და ინტერპრეტაციამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მკვლევართა შორის. ძირითადი წინააღმდეგობა ბოლო ორი სიტყვის თარგმანში მდგომარეობდა, რომელსაც ზოგი თარგმნიდა, როგორც ციხის აშენებას, ზოგი კი - კედლის ან გალავნის გამაგრებას (გამყრელიძე და სხვა 2013, 378). როგორც ანდრია აფაქიძე აღნიშნავდა, ამას არსებითი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა, რადგანაც ამით

⁷ თარგმანი ეკუთვნის გიორგი წერეთელს.

ტექსტის ძირითადი შინაარსი არ იცვლებოდა (აფაქიძე 1963, 127-29). წარწერა ახ.წ. 75 წლით დათარიღდა (ჯავახიშვილი 1960, 172).

„ვესპასიანეს წარწერა“ მრავალმხრივ მნიშვნელოვანია. ნიშანდობლივია მისი აღმოჩენის ადგილი და ტექსტი. იგი მეტად საყურადღებო ცნობებს გვაძლევს რომაელების საქმიანობაზე იბერიაში, გვატყობინებს იბერიის ორი მეფისა და ერთი დედოფლის სახელებს. გარდა ამისა, იგი სამშენებლო და სამხედრო-პოლიტიკური შინაარსის ინფორმაციას გვანვდის. თუმცა, ასევე ბადებს რამდენიმე კითხვას. ამ თავში მხოლოდ სამშენებლო შინაარსის კითხვების დასმით შემოვიფარგლები: რაში ან როგორ ვლინდება რომაელების როლი კედლებისა თუ სიმაგრეების აშენებაში? მათ სახსრები გამოუყვეს იბერიის მეფეს? თუ ინჟინრები დაახმარეს? როგორი კედლები თუ სიმაგრე ააშენეს რომაელებმა? წარწერა არაფერს გვეუბნება ჩვენთვის მნიშვნელოვან ამგვარ დეტალებზე. იგი ყურადღებას რომის იმპერატორის დიდებულებაზე ამახვილებს მხოლოდ.

არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით ჩვენ ვიცით, რომ არმაზის სასიმაგრო სისტემა რომაულ ხანამდე არსებობდა და იგი ახლო აღმოსავლეთის სამშენებლო პრაქტიკისათვის დამახასიათებელ ალიზის არქიტექტურის კარგ ნიმუშს განეკუთვნებოდა. თუმცა, ალიზის არქიტექტურა, რომაული სამშენებლო ტექნოლოგიების განვითარებისა და მისი რომის იმპერიაში საყოველთაო გავრცელების პირობებში, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში მოძველდა და განახლებას საჭიროებდა. ამდენად, რომაელების წვლილი იბერიის კედელთა თუ ციხეთა გამაგრება-აშენებაში, სწორედაც რომ, გამოცდილი და მცოდნე ინჟინრების მეშვეობით ინოვაციური სამშენებლო ტექნოლოგიის დანერგვა იქნებოდა. რომაელებმა რომაული ბეტონით ააშენეს არმაზის სასიმაგრო კედლები და, ზოგადად, გაავრცელეს ეს სამშენებლო პრაქტიკა იბერიაში. რომაული ბეტონი თავისი შემადგენლობით, დამზადების ტექნოლოგიითა და ლექსიკური მნიშვნელობით, სხვა არაფერია, თუ არა ქვითკირი, რომელიც ასე ფართოდ გამოიყენებოდა ქართლში, და ზოგადად - საქართველში.

ქვითკირის სამშენებლო ტექნიკის დანერგვა ქართლში რომ საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა ყოფილა და ეს პროცესი სწორედ სასიმაგრო კედლების

მშენებლობით დაწყებულა, კარგად ჩანს ლეონტი მროველის თხზულებიდანაც. იგი პირველივე თავში გვამცნობს: „და მანვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქვითკირითა. და აქამომდე არ იყო ქართლსა შინა საქმე ქვითკირისა. და მის გამო დაისწავლეს ქვითკირი. ამანვე არდამ მოჰკიდა კირი-ზღუდე ციხესა არმაზისასა და აქათ მტკურამდის, და წარმოზღუდნა ცხვირი არმაზისი ვიდრე მტკურამდე” (ქც 1955,13).

თუმცა, ქვითკირის ქართლში გავრცელებას ლეონტი მროველი სპარსული წარმოშობისა და სპარსული პოლიტიკის გამტარებელს, ვინმე არდამს მიაწერს. ამ საკითხზეც მრავალი წელია მკვლევრები ამახვილებენ ყურადღებას და განსხვავებულ ინტერპრეტაციებს გვთავაზობენ (მშვენიერაძე 1952, 27; აფაქიძე 1963, 24; ყიფიანი 2010ბ, 139). თხზულების მიხედვით, ეს ფრაგმენტი ალექსანდრე მაკედონელის ქართლში ლაშქრობასაც და შემდგომ განვითარებულ მოვლენებსაც უსწრებს წინ ქრონოლოგიურად. ცნობილია, რომ ლეონტი მროველის ქრონიკა გარკვეულ ისტორიულ და ქრონოლოგიურ უზუსტობებს შეიცავს. მაგალითად, იმავე ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის ამბავი ქართლში. „ძველ ქართულ მათიანეებში შეიმჩნევა ერთი ტენდენცია: ცალკეული გამოჩენილი პირების, მეფეებისა და სარდლებისაგან შექმნან ისტორიული სიმბოლოები. მათ მიეწერებათ სხვადასხვა, ზოგჯერ, განსხვავებული ეპოქის ამბებიც კი. ამის საილუსტრაციოდ, პირველ რიგში, ალექსანდრე მაკედონელი გამოდგება, რომლის ვითომდა ქართლში შემოსვლაში გაერთიანებულია ადრეანტიკურ და ელინისტურ ხანაში სამხრეთიდან ქართლზე განხორციელებული რამდენიმე შემოსევა” (სანაძე 2001,10).

ალექსანდრეს ქართლში ლაშქრობა ლეონტი მროველს ფსევდოკალისტენეს „ალექსანდრეს რომანიდან” (მეშვიდე-მერვე საუკუნეები) გადმოუტანია, რომელიც მას ხელთ ჰქონია (ვაშაკიძე 1991, 43). თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი ალექსანდრეს ჩართვა ლეონტი მროველისათვის თავის ნარატივში, ვ. ვაშაკიძე ამგვარად ხსნის: „რომანის ერთ-ერთ რედაქციაში წერია, რომ ალექსანდრემ იერუსალიმში ყოფნისას ირწმუნა ერთი ღმერთი. ეს უპირისპირდებოდა ქართლში გავრცელებულ წარმართობას და წარმართობის იდეას. ამიტომ, შუასაუკუნეების ეპოქის ქრისტიანი ავტორისათვის,

ბუნებრივია, „ალექსანდრეს რომანის“ ცნობა ალექსანდრე მაკედონელის მიერ ერთლმერთიანობის რწმენის შემოღების შესახებ, განსკუთრებით საინტერესო უნდა ყოფილიყო. ქართველი მემატთანე გულისყურით მოეკიდა წყაროს აღნიშნულ ჩვენებას და როგორც ნაჩვენები იყო, იგი თავის თხზულებაში შეიტანა” (ვაშაკიძე 1991, 44).

ჩემი აზრით, ქვითკირით შენების გარცელება ქართლში იმდენად არსებითი იყო, რომ ამ ფაქტმა წყაროშიც (შესაძლოა, უფრო აღრინდელშიც) პოვა გამოძახილი. თუმცა, სპარსის მიერ ძვ.წ. მეოთხე თუ მესამე საუკუნეში იბერიაში ქვითკირის გავრცელების ამბავი ფაქტობრივი და ქრონოლოგიური უზუსტობა მგონია, რადგანაც ქვითკირი ანუ რომაული ბეტონი ძვ.წ. მესამე საუკუნის მინურულს განავითარეს რომაელებმა (სიარი 1983, 73; როჯერსი 2006, 32) და შემდგომ გაავრცელეს ელინისტურ სამყაროში (ვარდ-ფერქინსი 1994, 274). „ასე ახორციელებდნენ „ქართლის ცხოვრების“ ავტორ-რედაქტორები ქართლის ცხოვრების მისადაგებას მსოფლიო ისტორიისადმი” (მელიქიშვილი 1978, 58). ამდენად, „ქრონოლოგიურ საყრდენად არ უნდა გავიხადოთ ის მსოფლიო ისტორიული მოვლენები, რომლებთანაც ქართლის ცხოვრება ცდილობს დააკავშიროს საქართველოს ისტორიის ამბები, ვინაიდან ასეთი დაკავშირება, როგორც უკვე აღნიშნულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, უმრავლეს შემთხვევაში მცდარია” (სანაძე 2001, 8).

არმაზის ძეგლების არქიტექტურასა და სამშენებლო საქმისადმი მიძღვნილ არქეოლოგიურ ლიტერატურაში ხშირად იხმარება სიტყვები კირი, კირხსნარი, ქვითკირი, დულაბი, ბათქაში. ეს სიტყვები ხშირად ერთიდაიმავე მნიშვნელობით არის ნახმარი და ტერმინოლოგიურ და შინაარსობრივ აღრევას იწვევს. დულაბი შემკვრელი ნივთიერებების, კირისა და ქვიშის, წყალთან შერევით მიღებული სქელი მასაა, რომელიც გამოიყენება მშენებლობაში; ბათქაში წყალში გახსნილი სილისა და კირის ნარევი, რითაც კედლებსა და ჭერს ლესავენ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1986, 57, 215).

ფაქტობრივად, სხვაობა ბათქაშსა და დულაბს შორის უფრო გამოყენებაშია, ვიდრე შემადგენლობაში. დულაბიც და ბათქაშიც ერთიდაიმავე ინგრედიენტისაგან შედგება. უბრალოდ, ბათქაში იხმარება კედლის შესაღესად, ხოლო დულაბი - კედლის ფენების

შემაკავშირებლად. შესაბამისად, ნაშრომშიც ეს ორი ტერმინი – დულაბი და ბათქაშია ნახმარი.

ამრიგად, არმაზის ფორტიფიკაცია მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის როგორც სამშენებლო ტექნოლოგიებზე - იგი ავლენს განვითარების ეტაპებს ქვის მშრალი წყობიდან რომაულ ბეტონამდე და საომარ საქმეზე, ასევე - ურბანულ ცხოვრებაზე, რადგანაც სასიმაგრო სისტემა ურბანული ცხოვრების ამსახველია.

სვეტებიანი დარბაზი

ექსტერიერი. ნაგებობა, რომელიც სვეტებიანი დარბაზის სახელით არის ცნობილი, ტერასაზე მდებარეობს. იგი ერთგანყოფილებიანი, წაგრძელებული მართკუთხედის ფორმის შენობაა (24მX12მ.). ოთხივე შემორჩენილი კედელი კარგად გათლილი ქვიშაქვის ბლოკებისაგან არის აგებული. გარედან მხოლოდ სამი კედელი ჩანს - ჩრდილოეთი, აღმოსავლეთი და სამხრეთი. დარბაზის დასავლეთი კედელი და ჩრდილო-დასავლეთი კუთხე ფერდობშია შეჭრილი. აღმოსავლეთი კედელი შენობის მთავარ ფასადს წარმოადგენს. იგი ქვიშაქვის ერთრიგის პლინტუსს ეყრდნობა. დარბაზში შესასვლელი ერთადერთი კარის ღიობი (სიგანე 1.65მ) ცენტრალური, აღმოსავლეთი ფასადის კედლის შუაშია გაჭრილი. იქიდან დარბაზში ოთხსაფეხურიანი კიბე ჩადის. აღმოსავლეთი კედლის წინ, 0.3მ-ის დაშორებით, მინაში ნახევრად ჩაფლული ქვიშაქვის ბლოკების წყობა ჩანს. ქვის წყობა მშრალია, ისოდომური. კედლის სიგანე 1.4 - 1.7მ შორის მერყეობს, ხოლო სიმაღლე 1 - 2.5მ ქვის ბლოკის ზომებია: სიგრძე – 0.55მ, სიგანე-0.40მ, სიმაღლე – 0.45მ (ილუსტრაცია 10, 11).

ინტერიერი. დარბაზის შიდა ფართობია 189მ²-ია (21მX9მ). სამ კედელზე, სამხრეთი კედლის გარდა, შემორჩენილია ოთხკუთხა ფოსოები (11სმX8სმ). ფოსოები ქვის ბლოკების ზედა მარჯვენა ან მარცხენა კუთხეების ამოჭრის შედეგად არის შექმნილი. ისინი, იშვიათად, ბლოკის ზედა კიდის შუა ნაწილშიც ვლინდება. აღმოსავლეთ კედელზე, რომლის სისქეც სამი ბლოკია, გამოვლინდა ფოსოს ზედახედი. ერთ შემთხვევაში ფოსოს სიგრძე ორ ბლოკზე გრძელდება, მეორეში კი - ერთსა და ორმესამედზე (ილუსტრაცია 12).

შენობის იატაკი ვარდისფერი ტუფოგენური ქვიშაქვის ფხვნილით ყოფილა მოტკეპნილი. ცენტრში, ჩრდილოეთ-სამხრეთის გრძივ ღერძზე, ჩამწკრივებული იყო ქვიშაქვის ექვსი ბაზა, რომელიც დარბაზის სივრცეს ორ ნაწილად ყოფდა. ბაზა მრგვალი იყო (დიამეტრი 0.45მ, სიმაღლე 0.4მ), რომელსაც მართკუთხა პლინტუსი ჰქონდა. ზედაპირზე ფოსო (დიამეტრი 5სმ, სიღრმე 3სმ) იყო ამოკვეთილი, სადაც დამწვარი ხის ნაშთები აღმოჩნდა. ასევე გამოვლინდა ადგილმონაცვლებული ქვიშაქვის ექვსი სადა მართკუთხა კაპიტელი აბაკუსით. შესასვლელთან ბათქაშის შელესილობის კვალი გამოვლინდა. დარბაზში რამდენიმე არტეფაქტი აღმოჩნდა - ძვლის ფირფიტა შიშველი ქალის გამოსახულებით, ოქროს ფირფიტების ფრაგმენტები, ბრინჯაოს ბრტყელთავიანი ლურსმნები, ბრინჯაოს ბალთა და ბრინჯაოს ფარგალი (აფაქიძე 1963, 26-27).

დარბაზს აღმოსავლეთისა და სამხრეთის მხრიდან მინაშენები აქვს. მინაშენებიც მართკუთხა ფორმისაა. მათი კედლები 0.3-0.5მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი. კედლების წყობა არაერთგვაროვანია. ისინი ძირითადად ნაგებია ცუდად დამუშავებული ქვიშაქვითა და რიყის ქვით. შიგადაშიგ ქვიშაქვის კვადრებიც არის გამოყენებული. ნაგებობის ნაშთები ქვითკირითაა აშენებული. ამჟამად კედლებში კარის ღიობები არ ჩანს. თუმცა, 1940-იან წლებში ჩატარებული გათხრების მიხედვით, დ. მშვენიერაძე აღნიშნავდა, რომ სვეტებიანი დარბაზის ჩრდილოეთით და სამხრეთით დამხმარე მართკუთხა ნაგებობებს (6მX4მ, 5მX3.5მ, 5მX6მ) ერთმანეთთან დამაკავშირებელი 1.1-1.3მ სიგანის კარის ღიობები ჰქონია. ნაგებობის კედლებში შემორჩენილი ყოფილა კერამიკული მილების ფრაგმენტები (მშვენიერაძე 1952, 25, სურათი 24). იმავე დროს გამოვლენილა, რომ დარბაზი, ნაწილობრივ, ალიზის აგურებით იყო აშენებული, რომლებიც ქვიშაქვის ბლოკების წყობას ეფინებოდა. დარბაზის ჩრდილოეთი, სამხრეთი და აღმოსავლეთი კედლების მაშინდელი სიმაღლე 1.7მ ყოფილა, ხოლო დასავლეთის 3.3მ, რომელიც ბოლომდე ქვიშაქვის ბლოკებით ყოფილა აგებული. ალიზის აგურის შემაკავშირებლად თიხის ხსნარი ყოფილა გამოყენებული. დარბაზში და ალიზის კედლებზე კრამიტის ფრაგმენტები აღმოჩნდა (აფაქიძე 1963, 26) (ილუსტრაცია 13).

სვეტებიანი დარბაზი ზედმინვენით კარგად, საფუძვლიანად და არქიტექტურული გეგმის მიხედვით არის აგებული. ნაქალაქარის ის ნაწილი, სადაც დარბაზია აშენებული, ასევე სამშენებლო გეგმის მიხედვით ჩანს მომზადებული. ყოველივე ეს რამდენიმე მნიშვნელოვან დეტალში გამოიხატება. სამშენებლო ფართობი ხელოვნურად მოსწორებული და საგანგებოდ დატერასებული ადგილია, რომელიც ფერდობის მოჭრის შედეგად შეიქმნა. ამაზე დარბაზის დასავლეთი კედელი მიუთითებს, რომელიც ბოლომდე ქვიშაქვის კვადრებით იყო აგებული. ქვა შენობას მიწის სინოტივისაგან იცავდა, რასაც ალიზის აგური ვერ უზრუნველყოფდა.

სვეტებიანი დარბაზი, სავარაუდოდ, აღმოსავლეთი მხრიდან ნათდებოდა, რადგანაც ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან მას ნაგებობები ჰქონდა მიდგმული, ხოლო დასავლეთის კედელი მიწაში იყო. დასავლეთი კედლის ზემოთ, დასავლეთით, მეორე ტერასა მდებარეობს, რომელზეც ალიზის აგურის ნაგებობები ყოფილა აშენებული ქვის საძირკვლის გარეშე.

დარბაზის შიდა კედლებში დადასტურებული ფოსოები ხარაჩოს ხის ძელებისათვის განკუთვნილი ბუდეები იყო. მათი კვადრებზე ამოკვეთა და შემდეგ კვადრების შესაბამისად განლაგებაც წინასწარ გათვლილი უნდა ყოფილიყო.

ფოსოების ფუნქცია სხვადასხვაგვარად განსაზღვრეს დ. მშენიერაძემ და კ. მელითაურმა. პირველმა ისინი სიმდიდრის დასაწყობი თაროების კონსოლებისთვის განკუთვნილ ბუდეებად მიიჩნია (მშენიერაძე 1952, 26), ხოლო მეორემ - იარაღის დასაწყობ სტელაჟებად (მელითაური 1969, 59). ა. აფაქიძემ ფოსოები სამშენებლო ხარაჩოთა ბუდეებს მიახსვავს, ასევე აღნიშნა ფოსოების ანტისეისმურ სამაგრებთან კავშირი, თუმცა გაიზიარა მშენიერაძის მოსაზრება (აფაქიძე 1963, 27). იმავე აზრი გამოთქვა ვ. ნიკოლაიშვილმაც (ნიკოლაიშვილი 2011, 22).

ამგვარი ფოსოები მრავალ არქეოლოგიურ და არქიტექტურულ ძეგლზეა გამოვლენილი, მაგალითად, ასოსში - ელინისტური ხანის სტოას კედლებზე, პერგამონის აკროპოლისის კედლების შიდა მხარეს, ტრაიანეს ტაძრის კოლონების საყრდენ კედლებზე, პომპეის სხვადასხვა ნაგებობებზე და ა.შ. (ილუსტრაცია 14). შესწავლილია

ფოსოების ფორმები და ფუნქცია, რის შედეგადაც გაირკვა, რომ ფოსოები ქვის ბლოკებზე მშენებლობის პროცესის გასამარტივებლად კეთდებოდა. მაგალითად, ქვის შუაგული იხვრიტებოდა იმისათვის, რომ ქვა ნაკლებად მიძიმე, ადვილად გადასადგილებელი და ტრანსპორტირებადი ყოფილიყო. კიდევები და კუთხეები კი ხარაჩოს ძელების დასამაგრებელი ფოსოებისთვის იკვეთებოდა (ლოურენსი 1996, ადამი 1988). ხარაჩოს ძელების მართკუთხა ფოსოების ინოვაციური კვლევა ოქსფორდის უნივერსიტეტის არქეოლოგმა, დოქტორმა ჯანეტ დილეინმა წარმოადგინა (დილეინი 2007).

მშენებლობის დასრულების შემდგომ კედელზე არსებული ხვრელები ილესებოდა. სვეტებიან დარბაზში კედლის შელესილობის ფრაგმენტებია აღმოჩენილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ დარბაზი შიგნიდან შელესილი იყო. შესაძლოა, შელესილი კედლები სხვადასხვა დეკორაციით ყოფილიყო მორთული. სვეტებიან დარბაზში აღმოჩენილ ძვლის პატარა ფირფიტაზე გამოკვეთილი შიშველი ქალის ფიგურა ძალზე წააგავს კალექ იაზდიგირდის (ირანი) არქიტექტურული ანსამბლის ერთ-ერთი ოთახის ინტერიერში გამოვლენილ მოხატულობას. მე-11ა ოთახის წახნაგოვანი სვეტები ბათქაშის სქელი ფენით იყო შელესილი და მასზე ფერადი საღებავით შესრულებული შიშველი ქალის ფიგურა იყო გამოსახული - ე. წ. მოცეკვავე ქალი (ჰერმანი 1977, 71). ქალის თმის ვარცხნილობა და პოზა თითქმის იდენტურია სვეტებიან დარბაზში აღმოჩენილ ფირფიტაზე აღბეჭდილი ქალის ფიგურისა (ილუსტრაცია 15, 1).

ზოგადად, ამგვარი შელესილობისა და მოხატულობის გავრცელება პართიაში არმაკიდების დინასტიას უკავშირდება. კონკრეტულად კალექ იაზდიგირდის მოხატული შელესილობა კი გვიანი პართული ხანით, მეორე საუკუნით თარიღდება (ქილი 1977, 8-9).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მკვლევრები ამ არტეფაქტს ძვ.წ. მესამე-პირველი საუკუნეებით ათარიღებდნენ (აფაქიძე, 1963, 26-27; ნიკოლაიშვილი 2011, 22).

დარბაზში აღმოჩენილი სვეტის ბაზები და თავები ტოსკანურ ორდერს ჰგავს, რაც დორიული ორდერის რომაული ადაპტაცია იყო (ულრიჩი, ქვენემონი 2013, 207).

სვეტებიანი დარბაზი ფორმით ე.წ. ხაზოვანი არქიტექტურის ნიმუშს განეკუთვნება. ელინისტური სასახლეების არქიტექტურა და მათი განვითარება რომაულ ხანაში

მოცემულია ინგე ნილსენის წიგნში „ელინისტური სასახლეები – ტრადიცია და განახლება“. ხაზოვანი ფორმები ელინისტური აღმოსავლეთის სასახლის არქიტექტურაში ძალზე გავრცელებული იყო. მაგალითად, ჰასმონიანთა დინასტიის სასახლე იერიქონში, ციტადელის სასახლე დურა ევროპოსში, უელისნულის სასახლე კასრ ელ აბდ იორდანიში (ნილსენი 1994, 241-242). მრგვალი ან ოვალური ნაგებობების გაჩენა და განვითარება ახლო აღმოსავლეთში რომაულ ექსპანსიასა და გავლენას უკავშირდება. ამის ნათელი დადასტურებაა ჰეროდეს სასახლეები კესარეაში, მასადაში და ზამთრის სასახლეები იმავე იერიქონში (ნილსენი 1994, 185, 194, 241, 242).

ელინისტური სასახლეების არქიტექტურაში ორი მოდელი წარმოიშვა: ე.წ. „დახურული“ და „გახსნილი“, ანუ პერისტილოსი და პორტიკოსი. ამგვარი დაყოფის კრიტერიუმი სასახლის ლანდშაფტზე მდებარეობა და შენობების განლაგება გახდა. დახურულ მოდელში შენობები პერისტილის გარშემო, მთავარი ფასადით შიგნით მდებარეობდა, ხოლო გახსნილში შენობების პორტიკები და ტერასები ლანდშაფტს უყურებდა. თუმცა, ერთი მოდელი არ გამორიცხავდა მეორეს. ორივეს ნიშნები ერთ სასახლეში შეიძლება ყოფილიყო შერწყმული. ხშირად სასახლეები ტერასებზე მდებარეობდა. დახურული და შერეული სტილის სასახლეებში ძირითადი აქცენტი პერისტილზე კეთდებოდა, რომლის შესასვლელთანაც ბალი იყო ხოლმე. სასახლეები სოციალური აქტივობებისთვისაც იყო გამიზნული. მათი მფლობელები საქმეს სიამოვნებასთან ათავსებდნენ. წვეულება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სასახლის კარზე, ამიტომ სასახლეებს სასადილო ოთახები ჰქონდა (ნილსენი 1994, 168).

სასახლეების ძირითადი დანიშნულება მეფის სიმდიდრისა და ძლევამოსილებისათვის წარმოჩენაში მდგომარეობდა. არქიტექტორის ამოცანას მეფისთვის სამფლობელოს ადვილად დანახვა და ხელისმიწვდომა წარმოადგენდა. ამავე დროს, მეფე მისგან ზემოთი და აღმატებული უნდა ყოფილიყო. საჭირო იყო ტერასებისა და პლატფორმების ერთმანეთთან კიბეებით ან პანდუსებით დაკავშირება და მეფის სასახლის გამაკონტროლებელი, მბრძანებლური პოზიციის ჩვენება. მეფის სასახლის მონუმენტური ფასადი იმ ტერიტორიას გადაჰყურებდა, რომელსაც ის განაგებდა.

ყოველივე ეს ძლიერი საინჟინრო ტექნიკის ფლობას მოითხოვდა (ნილსენი 1994, 209-211). ელინისტურ სასახლეებს, განსაკუთრებით, ანტიოქიის, პერგამონისა და ალექსანდრიისას, დიდი გავლენა ჰქონდა რესპუბლიკურ და, ზოგადად, ადრეულ რომაულ არქიტექტურაზე. ეს განსაკუთრებით საცხოვრებელ არქიტექტურაზე - კერძო სასახლეებსა და ვილებზე აისახა (ნილსენი 1994, 216).

არმაზის გეგმარებაში აშკარაა ფერდობის დატერასება და შენობების სხვადასხვა ტერასაზე განლაგება. სვეტებიანი დარბაზიდან გარკვეული ხედიც იშლება, მაგრამ არ ჩანს შენობებისა და ტერასების დამაკავშირებელი გზები, რადგანაც ნამოსახლარი სრულად არ არის გათხრილი. ამიტომ, ვერ ვიტყვი, თუ რომელ მოდელს - „დახურულს“ თუ „გახსნილს“ - მიეკუთვნება სვეტებიანი დარბაზი, მაგრამ ერთი რამ ცხადია, ის ხაზოვანი არქიტექტურის ნუმიშია.

სასახლეების გეგმარების განხილვისას მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სასახლის ფორმა დანიშნულების მიხედვით ყალიბდებოდა, ანუ სასახლის ფუნქცია სასახლის ფორმას განაპირობებდა და არა პირიქით (ნილსენი 1994,13).

სვეტებიანი დარბაზი, არქიტექტურული სტილის მიხედვით, მონუმენტურობითა და მორთულობით, მეფის სასახლე ან სასახლის ნაწილი უნდა ყოფილიყო. ამგვარი მოსაზრება ა. აფაქიძესაც აქვს გამოთქმული. თუმცა იგი, დარბაზის წინ მდებარე ქვების წყობაზე გამოვლენილი ცეცხლის ზემოქმედების კვალის საფუძველზე, დარბაზის საკულტო დანიშნულებასაც ვარაუდობს (აფაქიძე 1963, 28, 18).

რაც შეეხება დარბაზის თარიღს, ამ საკითხზეც აზრთა სხვადასხვაობაა. ქვის მშრალი წყობის სამშენებლო ტექნიკისა და არქიტექტურული სტილის (ხაზოვანი არქიტექტურა) მიხედვით, სვეტებიანი დარბაზი უადრესია ნაქალაქარზე გამოვლენილ შენობათა შორის. დარბაზის ქვის მშრალ წყობას დ. მშვენიერაძე (1952, 25), ა. აფაქიძე (1963, 26) და კ. მელითაური (1969, 58) ადასტურებენ. დ. მშვენიერაძე მშრალ წყობას, ანუ ქვითკირის შემოღებამდე დროის მონაკვეთს, არდამის, ანუ ალექსანდრე მაკედონელის წინა პერიოდს უკავშირებს და ძვ.წ. მეხუთე საუკუნით ათარიღებს (მშვენიერაძე 1952, 27). ა. აფაქიძე ნაქალაქარის მშრალი წყობით ნაგებ სასიმაგრო კედლებთან ავლებს პარალელს

და ძვ.წ. მეოთხე-მესამე საუკუნეებით განსაზღვრავს (1963, 25). ვ. ნიკოლაიშვილი, ძვლის პართული ფირფიტის მიხედვით, ძვ.წ. მესამე-პირველ საუკუნეებს მიაკუთვნებს.

ი. გაგოშიძემ ეჭვქვეშ დააყენა სვეტებიანი დარბაზის მშრალი წყობით აშენება და აღნიშნა, რომ დუღაბის კვალი იპოვა ქვის ბლოკებს შორის, რომლის მიკროსკოპით შესწავლაც, პეტროგრაფი, დოქტორ მარიამ ხუჭუას მიერ მოხდა. აქედან გამომდინარე და ასევე დარბაზში აღმოჩენილი არტეფაქტების - ფაიანსის მძივებისა და ძვლის პართული ფირფიტის მიხედვით, ი. გაგოშიძე სვეტებიან დარბაზს ახ.წ. პირველი-მეორე საუკუნეებით ათარიღებს (გაგოშიძე 2008, 39).

ჩემი აზრით, სვეტებიანი დარბაზი მიუხედავად სამშენებლო ტექნიკისა (მშრალი წყობა თუ დუღაბის გამოყენება), სტილის მიხედვით, ელინისტური არქიტექტურის ნიმუშია. იგი თავისი ფორმითა და ლანდშაფტზე მდებარეობით მკვეთრად განსხვავდება ნაქალაქარზე გამოვლენილი რომაული არქიტექტურული ნაგებობებისაგან, რომლებიც ოვალური ფორმებით, აბსიდებითა და თაღებით ხასიათდება (მათი განხილვა ქვემოთ არის მოცემული).

თუმცა, აღსანიშნავია, რომ დარბაზში აღმოჩენილი ტოსკანური ბაზები და ორდერები რომაულ არქიტექტურასთან ავლენს კავშირს (ილუსტრაცია 15, 2). ეს ფაქტი იმით შეიძლება აიხსნას, რომ დარბაზი რომაულ ხანაშიც განაგრძობდა ფუნქციონირებას და მისი ინტერიერის განახლება მეორე საუკუნეში ხდებოდა.

რაც შეეხება დუღაბის გამოყენებას, რომლის შემადგენლობაც არ აქვს მითითებული ი. გაგოშიძეს, სრულებითაც არ ნიშნავს რომაულ სამშენებლო ტრადიციებთან კავშირს და არც მყარ თარიღს იძლევა (ვან ბალენი 2003). ძველ სამყაროში დუღაბის სხვადასხვა სახეობა არსებობდა, მათ შორის კირის, რომელიც არ ნიშნავს რომაულ ბეტონს. კირის დუღაბის თუ კირხსნარის გამოყენება არქიტექტურაში ჯერ კიდევ ძველი ეგვიპტისა და ახლო აღმოსავლეთის სამშენებლო პრაქტიკიდან არის ცნობილი (ლეიქი 1988, 141; ქარანი და სხვა 2012, 119).

აბსიდებიანი ტაძარი

აბსიდებიანი ტაძარი სვეტებიანი ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 50 მეტრის დაშორებით, ხელოვნურად მოსწორებულ ტერასაზე მდებარეობს. იგი მტკვარ-არაგვის შესართავს გადაჰყურებს. ტაძარი მხოლოდ ნაწილობრივ იყო შემორჩენილი. მისი იერსახის აღდგენა საძირკვლისა და კედლის ფრაგმენტებითა და სხვადასხვა არქიტექტურული დეტალით გახდა შესაძლებელი (ილუსტრაცია 16).

ტაძრის აღწერილობას და ზომებს გთავაზობთ გ. ყიფიანის მიხედვით (ყიფიანი 2005ბ).

ნაგებობის მხოლოდ დასავლეთი ნაწილის ცოკოლი და კედლებისა და აბსიდების ფრაგმენტები იყო შემორჩენილი. აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად იყო დანგრეული. ამიტომ ნაგებობის მხოლოდ დასავლეთი ნაწილის გეგმის გარკვევა მოხერხდა. ნაგებობის ცოკოლი კარგად დამუშავებული ქვიშაქვის კვადრებით იყო აგებული. იგი ეფუძნებოდა ქვიშაქვის ანატკეცების ფენას, რომელიც საგანგებოდ მოსწორებულ ტერიტორიაზე იყო დაგებული. ცოკოლის სიმაღლე ერთი კვადრით განისაზღვრებოდა, ხოლო სიგანე - ორით. შემაკავშირებელ ხსნარად კირხსნარი გამოიყენებოდა. ცოკოლზე ზემოდან ალიზის აგურის წყობა იყო. ალიზის აგურის წყობა დასავლეთის კედელზე 2 მეტრის სიმაღლეს აღწევდა. კედლების სიგანე ორ-ნახევარი ალიზის აგურით განისაზღვრებოდა. ალიზის აგურები კვადრატული იყო. მათი სიმაღლე 10სმ-ს აღწევდა (45სმX45სმX10სმ).

ექსტერიერი. ნაგებობა მართკუთხა იყო. მისი ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები დასავლეთ კედელს მართი კუთხით უკავშირდებოდა. ჩრდილოეთის კედლის ფრაგმენტის სიგრძე 9მ იყო, ხოლო სიგანე - 1.5მ დასავლეთის კედლის სიგრძე - 17.5მ, ხოლო სიგანე - 1.5მ სამხრეთის კედლის ფრაგმენტის სიგრძე - 12მ, ხოლო სიგანე - 1.5მ ნაგებობის სიგანე 17.5მ იყო. კარის ღიობები ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებში იყო მოქცეული. ზღურბლის ფუნქციას ცოკოლი ასრულებდა.

ინტერიერი. გეგმის მიხედვით, ნაგებობის ინტერიერში აბსიდები იკითხებოდა. ისინი ალიზის კვადრატული აგურებით იყო გამოყვანილი. ჩრდილოეთ და სამხრეთ კედლებთან ნახევარი აბსიდა ისახებოდა, ხოლო დასავლეთის კედელთან - ორი. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლის აბსიდების რადიუსია 2.25მ იყო, დასავლეთის

კედლის აღსიდეხისა კი - 2.1მ აბსიდების გადაბმის ადგილები ხის მორების კარკასით იყო გამაგრებული. მორები მჭიდროდ ებმოდა ერთმანეთს. ადგილი კედლებსა და ხის კარკასს შორის დაწნეხილი თიხის მასით იყო შევსებული.

სამხრეთ-დასავლეთის აბსიდისა და სამხრეთის დერეფნის იატაკი 2-3 სმ სისქის კირხსნარით იყო მოლესილი. ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების გასწვრივ 1.3მ სიგანის დერეფნები დადასტურდა. ჩრდილოეთის კედელს დერეფანი პარალელურად მიუყვებოდა, ხოლო სამხრეთის დერეფანი კუთხეს ქმნიდა და ლათინური L-ის ფორმისა იყო. ჩრდილოეთის დერეფანი ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში მიშენებულ სათავსს (4.5მX2მ) უკავშირდებოდა, ხოლო სამხრეთის დერეფანი - გრძივ სათავსს (13.7მX2.4მ), რომელიც დასავლეთის კედელს მიჰყვებოდა პარალელურად. დერეფნების კედლების გასწვრივ 0.3მ დიამეტრისა და 0.2მ სიღრმის, ერთმანეთისაგან 1.2მ-ის დაშორებით, 10 ორმო აღმოჩნდა. დასავლეთის აბსიდებთანაც აღმოჩნდა ჩაღრმავებები, სადაც ხის ფრაგმენტები იყო შემორჩენილი. ნაგებობის იატაკი თიხატკეპნილი იყო.

ცენტრში in situ აღმოჩნდა კირქვის ბაზისი, რომლის პლინტუსიც ტოლგვერდა ექვსკუთხედიანია. მისი დიამეტრია 1.27მ ყელის დიამეტრი - 0.6მ იგი ოთხი ნაწილისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთთან რკინის სწორი, ბრტყელი და კავებიანი სამაგრიტ იყო გადაბმული; სამაგრის კავები კი - საგანგებოდ ამოკვეთილ ბუდეებში ჩასმული და ტყვიით გამტკიცებული. ბაზისის სიმაღლე 0.35მ იგი სამ-სამ საფეხურადაა დანაწევრებული. თითოეული მათგანი ვოლუტით ბოლოვდება (ილუსტრაცია 17).

ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აღმოჩნდა კირქვის ცენტრალური კაპიტელი. მას ტოლგვერდა ექვსკუთხედის ფორმა აქვს. ზომებია: დიამეტრი 1.27მ, სიმაღლე 0.47მ, აბაკუსის სიმაღლე 0.12მ. კაპიტელიც სამ-სამ საფეხურადაა დანაწევრებული და ვოლუტებით ბოლოვდება, რომლებიც ბურთულებიანი ორნამენტითაა შემკული (ილუსტრაცია 18).

დასავლეთის კედლის მარჯვენა თალის წინ ქანდაკების კირქვისგან გაკეთებული, ადგილმონაცვლებული კვარცხლბეკი აღმოჩნდა, რომლის სიმაღლე 0.3მ, სიგრძე 0.72მ სიგანე კი 0.7მ-ია. ოთხივე ფასადი შემკულია. მათზე გამოკვეთილია კანელურებიანი

ნახევარსვეტები კაპიტელებით. ნახევარსვეტების თავზე კბილანა კარნიზია გამოსახული, ხოლო მათ შორის - გირლანდები და ვარდულები. ვარდულების ზოლითაა შემკული კვარცხლბეკის ქვედა ნაწილიც. კვარცხლბეკის ზედაპირზე ქანდაკების ტერფთა ბუდეებია ამოკვეთილი. მარცხენა ფეხის ბუდე უფრო ღრმაა და შუაში 2სმ-იანი ფოსო აქვს. ქუსლის ადგილას ბუდეებს ანატკეცები ეტყობა (ილუსტრაცია 19).

კორინთიზებული კაპიტელის ცხრა მთელი ნიმუში და სხვადასხვა არქიტექტურული დეტალი გამოვლინდა ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში, აბსიდების არეში და მის გარეთ. კაპიტელების დიამეტრი 185-195მმ-მდე მერყეობს, სიმაღლე 150-170მმ-ია (ილუსტრაცია 20). ტაძრის გარეთ ნახევარსვეტის კაპიტელისა და კბილანა ფრიზის ფრაგმენტები აღმოჩნდა.

ტაძარში ჩაშლილ მასაში კრამიტები (ტეგულა, იმბრექსი) აღმოჩნდა. მათი უმრავლესობა დაუზიანებელი იყო.

ტაძრის დასავლეთით მდებარე გრძივი დერეფანი რამდენიმე ადგილას იყო გადატხრული. მას ჩრდილოეთით და სამხრეთით, 1.6მ მოშორებით, ქვიშაქვის ფილებისაგან შედგენილი სადინარები მიჰყვებოდა პარალელურად.

ასევე, ტაძრის დასავლეთით, 2მ-ის მოშორებით, გამოვლინდა ორ არასწორ რიგად ჩალაგებული 16 ქვევრი, თითო რიგში 8 ქვევრი (ყიფიანი 2005ბ,11-37) (ილუსტრაცია 21.1).

როგორც აღწერილობიდან გამოჩნდა, ტაძრის დიზაინში აბსიდების, სვეტებისა და ორდერების ერთობლიობა ყოფილა წარმოდგენილი, რაც რომაული არქიტექტურისათვის დამახასიათებელი იყო. აბსიდამ, კამარამ და თაღმა განვითარების გრძელი გზა განვლო. გამომწვარი აგურით აშენებული თაღები ჯერ კიდევ ეგვიპტისა და დასავლეთ აზიის არქიტექტურიდან იყო ცნობილი. ბერძნულ ქვის არქიტექტურაში თაღები ნაკლებად გავრცელდა და, ძირითადად, მიწისქვეშა აკლდამებისა და სასიმაგრო კედლების მშენებლობაში ვლინდებოდა. ქვის თაღი პირველად ძვ.წ. მეოთხე საუკუნის შუახანებიდან მაკედონიის მეფეების სამარხ კამერებში აღმოჩნდა. მოგვიანებით თაღები და კამარები სასიმაგრო კედლების შესასვლელების გადასახურად გამოიყენებოდა

(კორინთი, სამოსი), მესამე საუკუნიდან, ანუ ელინისტური ხანიდან კი უფრო ფართოდ გავრცელდა (ლოურენსი 1983, 294-295).

ელინისტურმა სამყარომ, რომაელების მსგავსად, ვერ გაიაზრა, ახალი დიზაინის პოტენცია, რაც თალების, კამარების, დეკორაციული ნახევარსფერებისა და კოლონადების კომბინაციაში გამოვლინდა და რომაული არქიტექტურისათვის გახდა დამახასიათებელი (ვინთერი 2006, 243). რომაული არქიტექტურისათვის ასევე დამახასიათებელი იყო კორინთული ორდერი და მისი მოდიფიკაცია. კორინთული ორდერისა და თალების სხვადასხვა ვარიაცია რომაელმა არქიტექტორებმა იმპერიულ ხანაში შეიმუშავეს (ვინთერი 2006, 22). კორინთული ორდერი და მისი მოდიფიცირებული ფორმა კომპოზიტი კაპიტელი ფართოდ გავრცელდა ქალაქი რომის საზოგადოებრივი შენობების არქიტექტურაში. იგი ასევე გასაოცრად სწრაფად მოედო მთელ რომის იმპერიას (ჯონსი 2000, 139; სთამფერი 2005, 68-83).

აბსიდებიანი და თალებიანი შენობები რომაული ინოვაცია იყო. აბსიდებიანი და თალებიანი შენობებს რომაელები როგორც ქალაქ რომში, ასევე, იტალიასა და იმპერიის მთელ ტერიტორიაზე აშენებდნენ (მორაჩიელო, ფონტანა 2009, 236, 295, 343). მაგალითად, მეორე საუკუნის ვესტას ტაძარი რომში; ადრიანეს ვილა ტივოლიში, სადაც ოცდაათამდე სხვადასხვა დანიშნულების შენობიდან ათამდე წრიული, აბსიდებიანი და თალოვანი იყო; მეორე საუკუნის ასკლეპეიონის სატაძრო კომპლექსი პერგამონში, მეორე-მესამე საუკუნეების ვენერას ტაძარი ბაალბეკში, მეოთხე საუკუნის მინერვა მედიკას ტაძარი რომში და ა.შ.

არმაზის აბსიდებიანი ტაძრის მაგალითზე შეიძლება ითქვას, რომ შენობის ამ ფორმას იბერიამდეც მოუღწევია. არმაზის ტაძრის ინტერიერი განსაკუთრებულ მსგავსებას პერგამონის ასკლეპეიონის სატაძრო კომპლექსის ერთ-ერთ სამედიცინო დანესებულებასთან ავლენს (ილუსტრაცია 22). ეს პარალელი გ. ყიფიანს (2005ბ, 19) და ვ. ნიკოლაიშვილს (2011, 28) აქვთ აღნიშნული. შენობა ექვსაბსიდებიანია, ისევე, როგორც არმაზის ტაძარი, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ სამედიცინო შენობა გარედან მრგვალია და ქვებით არის აგებული. ასკლეპეიონის კომპლექსის ეს შენობა პერგამონში 174 წელს

უკვე აშენებული ყოფილა. საფიქრებელია, რომ ეს არქიტექტურული ფორმა იბერიაში სწორედ რომანიზებული მცირე აზიიდან უნდა შემოსულიყო. ფორმის გარდა, სხვა არქიტექტურული დეტალები და მახასიათებლებიც ავლენენ მსგავსებას რომაული არქიტექტურის ნიმუშებთან. ტაძრის შიგნით და გარეთ გამოვლენილი კორინთიზებული კაპიტელები, რომაული კორინთული ორდერის მინაბაძია. ტაძრის უკან ქვევრების მდებარეობა რომაული პერიოდის ძეგლებში აღინიშნება, მაგალითად, ვილა რეგინა ბოსკორეალეში (ილუსტრაცია 21.2), თუმცა ქართლში ქვევრები სატაძრო კონტექსტში მანამდეც ვლინდებოდა (ციხიაგორა, სამადლო).

ახლო აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებულმა ალიზის აგურის არქიტექტურამ ბერძნული და რომაული არქიტექტურული დეტალები შეითვისა, მაგალითად, სვეტები, ორდერები, თალები და აბსიდები. არქიტექტურული დეტალებისა და სამშენებლო მასალის ამგვარი სინთეზი კარგად ჩანს აბსიდებიანი ტაძრის შემთხვევაში. თუმცა, არქიტექტურული სტილი და დეტალები არ გამოირჩევა დახვეწილობით, სამშენებლო მასალები კი - ხარისხით. როგორც არაერთხელ აღნიშნულა, ალიზის აგურები და დაპრესილი თიხა მშენებლობაში აგვესტუსის შემდგომ, ძირითადად, პროვინციებში იხმარებოდა (ადკინსი, ადკინსი 1994, 152).

ზოგადად, აბსიდებიანი ტაძრის არქიტექტურაში „აღრეული“ პროვინციული სტილი შეიმჩნევა, რაც დამახასიათებელი იყო როგორც ელინისტური, ასევე რომანიზებული ახლო აღმოსავლეთისათვის. ამგვარი სტილი ბერძნული ან რომაული არქიტექტურული ელემენტების ადგილობრივთან შერწყმის შედეგად წარმოიქმნებოდა და ბერძნული ან რომაული ფორმების ლოგიკის ვერგაგებას ან უგულებელყოფას ნიშნავდა. არაპროპორციული და შეუსაბამო კაპიტელების, ბაზისების და ანტაბლემენტის მაგალითები ხურასა და ისტარხის (ირანი) ტაძრებიდან შეიძლება მოვიყვანოთ (ვინთერი 2006, 230). კვარცხლბეკის და ცენტრალური ბაზისიც „აღრეულ“ დეკორაციულ სტილს ასახავს. აღსანიშნავია ცენტრალური ბაზისის კავებიანი რკინის სამაგრი, რომელიც, სასიმაგრო კედლებზე აღმოჩენილ სამაგრებთან შედარებით, გვიანდელი და განვითარებული ფორმა იყო. იგი უფრო ეკონომიური და გამძლე იყო, ვიდრე მისი

წინამორბედი ჰორიზონტალური ე.წ. ორმაგი მტრედის კულის ფორმის სამაგრი. კავების მეშვეობით სამაგრი ქვას როგორც ჰორიზონტალურად, ასევე ვერტიკალურად ამაგრებდა. ამგვარი სამაგრები მრავალ არქეოლოგიურ ძეგლზე დადასტურებული აქემენიდური ირანიდან (ნილანდერი 1970, 45) რომაულ პომპეიმდე (ადამი 1988, 56).

ელინისტურ და რომაულ არქიტექტურას განსაკუთრებით ახასიათებდა საერო თუ რელიგიური დანიშნულების ნაგებობების ლანდშაფტზე განსაკუთრებულად მოხდენილად დასმა, ფერდობების ათვისება და ხელოვნური ტერასების შექმნა. ელინისტური და რომაული ხანის არქიტექტორები ამგვარი ხერხებით ხაზს უსვამდნენ როგორც ტაძრისა თუ სასახლის გარემომცველ ბუნებას, ასევე, მათ ეფექტურ მდებარეობას და იქიდან გადაშლილ ხედს. ყოველივე ამის შედეგად, ლანდშაფტი და ნაგებობა მთლიანობაში აღიქმებოდა (ვინთერი 2006, 208).

არმაზის სვეტებიანი დარბაზი და აბსიდებიანი ტაძარიც ამ პრინციპების გათვალისწინებით არის აშენებული. ორივე ნაგებობის შემთხვევაში ლანდშაფტი მოხერხებულადაა გამოყენებული. სვეტებიანი დარბაზი მთის ფერდობია შეჭრილი და ლანდშაფტს მოხდენილად ერწყმის, ხოლო აბსიდებიანი ტაძრიდან, ტერასის უკიდურესი, აღმოსავლეთი მხრიდან, ეფექტური ხედი იშლება (ილუსტრაცია 23). ამგვარი ვიზუალური ეფექტურობა, ალბათ, რომაული არქიტექტურის შთაგონებით იყო გამოწვეული.

აბსიდებიან ტაძარს გ. ყიფიანი მესამე-მეოთხე საუკუნეებით ათარიღებს და აღნიშნავს, რომ მისი აშენების იდეა რომაული სამყაროდან არის ნასესხები, თუმცა აგებულია ადგილობრივი ტრადიციული სამშენებლო ტექნოლოგიის გამოყენებით. ტაძარი პროპილეუმის ფუნქციასაც ითავსებდა (ყიფიანი 1999, 35; 2005ბ, 19).

ვ. ნიკოლაიშვილი ტაძარს, გამოვლენილი არტეფაქტების საფუძველზე, პირველი-მეოთხე საუკუნეებით ათარიღებს (ნიკოლაიშვილი 2011, 32).

აბსიდებიანი ტაძრის ზომები და მდებარეობა იძლევა იმის საფუძველს, რომ ეს ტაძარი ცენტრალურ ტაძრად მივიჩნიოთ. რომაული ტიპის ცენტრალური ტაძრის აღმართვა არმაზში უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც იბერია რომის პოლიტიური და, შესაბამისად, კულტურული გავლენის სფერო იყო. მაგრამ, რადგანაც არმაზის ტაძარი

პერგამონის სატაძრო კომპლექსის ერთ-ერთი ნაგებობის ფორმას იმეორებს, იგი ახ.წ. მეორე საუკუნის ბოლო მეოთხედზე ადრე ვერ აშენდებოდა. ასევე ვერ აშენდებოდა იგი მესამე საუკუნის პირველი მეოთხედის შემდგომ, რადგანაც 224 წლიდან სასანიდთა დინასტიას ეყრება საფუძველი და პართიის სუსტ სახელმწიფოს თანდათანობით სასანიდთა ძლიერი იმპერია ენაცვლება, რომელიც რომს აღმოსავლეთში უპირისპირდება. იბერია სპარსეთის ქვეშევრდომი ხდება და რომის წინააღმდეგ გამართულ საომარ კამპანიებში მონაწილეობს; განსაკუთრებულ პართულ გავლენას და ზოროასტრულ პროპაგანდას განიცდის შაპურ I-ის (241-272) მმართველობის დროს (დარე 2012, 188-190). ცხადია, ასეთ პოლიტიკურ და სამხედრო ვითარებაში რომაული ტაძრის აშენება იბერიის მთავარ ქალაქში ვერ მოხერხდებოდა.

299 წლის ნისიბისის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, იბერია ისევ რომის პროტექტორატისა და გავლენის ქვეშ აღმოჩნდა (დარე 2012, 188-190). თუმცა, ამ პერიოდიდან რომაული ტაძრის აშენება არმაზში გაუმართლებელი იქნებოდა, რადგანაც მეოთხე საუკუნის დასაწყისში იბერიის მეფის რეზიდენცია მცხეთაში იყო (უცნობია ზუსტად როდის) და თან ამ დროიდან ახალ რელიგიას, ქრისტიანობას, მცხეთაშივე ეყრებოდა საფუძველი (ლომოური 2009, 14). ეს კი იმას ნიშნავს, რომ იბერიის პოლიტიკურმა და რელიგიურმა ცენტრმა მეოთხე საუკუნის დასაწყისში არმაზიდან მცხეთაში გადაინაცვლა და, შესაბამისად, მესამე საუკუნის ბოლოს და მეოთხე საუკუნის დასაწყისში არმაზში წარმართული ტაძრის აშენება ვერც დროში მოესწრებოდა და ვერც იდეოლოგიურად იქნებოდა გამართლებული.

არმაზში სულ სამი აბანო აღმოჩნდა. პირველი მათგანი 1940-იან წლებში გაითხარა. იგი ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა. ამჟამად დაკონსერვებულია. არსებობს აბანოს გეგმა, რომლის მიხედვითაც, მხოლოდ ცხელი განყოფილება ყოფილა შემორჩენილი (ილუსტრაცია 24). ამ გეგმის მიხედვით, ბევრი არაფრის თქმა შეიძლება, ამიტომ განვიხილავ 1990-იან წლებში აღმოჩენილ აბანოებს, რომლებსაც გათხრის თანმიმდევრობის მიხედვით მიენიჭათ მეორე და მესამე ნომრები. ამ

ნაშრომში ისინი ქრონოლოგიის მიხედვით პირველ და მეორე ნომრებადაა წარმოდგენილი.

რომაული აბანო პირველი (№3)

აბანო მდებარეობს აბსიდებიანი ტაძრიდან ჩრდილო-დასავლეთით, 30 მეტრის დაშორებით, მოსწორებულ ფერდობზე, ჩრდილო-სამხრეთისაკენ მიმართულ ღერძზე. იგი კარგად არის შემონახული. კედლები ოპუს კამენტიკუმის (opus caementicum) სამშენებლო ტექნიკითაა აშენებული. საშენ მასალად გამოყენებულია კირქვის ფილები, ქვიშაქვის კვადრები, რიყის ქვები, აგურები და თიხის ფილები. შელესილია ბათქაშით. აბანო გადახურული ყოფილა წითლად შეღებილი კრამიტით – ტეგულათი (tegula) და კეხიანი იმბრექსით (imbrex).

ექსტერიერი. ფორმა მართკუთხაა (24მx8მ). კედლის შელესილობა არ არის შემორჩენილი.

ინტერიერი. შედგება ხუთი ერთმანეთში გამავალი ოთახისაგან. სამხრეთით მდებარეობს ერთმანეთთან კარის ღიობით დაკავშირებული ორი ოთახი - გასახდელი (apodyterium) და ცივი ოთახი (frigidarium). გასახდელი მართკუთხა, განიერი ოთახია, რომელსაც ორი კარის ღიობი აქვს: ერთი ზღურბლიანი ღიობი სამხრეთის კედელზე, ხოლო მეორე, რომლითაც ცივ ოთახს უკავშირდება, აღმოსავლეთისაზე. ჩრდილოეთის კედელში ორი ნიშაა. ცივი ოთახიც მართკუთხაა. მასაც ორი კარის ღიობი აქვს. აღმოსავლეთის კარის ღიობში კიბის სამი საფეხურია. აღმოსავლეთ კედელზე ჩასაყვინთი აუზია მოწყობილი. აუზში ჩასასვლელ საფეხურად ქვიშაქვის ორი კვადრია გამოყენებული. აუზის დასავლეთი კედელი კირქვის მასიური ფილითაა ნაგები. ცივი ოთახი ჩრდილოეთის კედლის ღიობით თბილ ოთახს (tepidarium) უკავშირდება, თბილი ოთახი - ოფლის მოსადენ ოთახს (laconicum ან sudatorium), ოფლის მოსადენი ოთახიდან კი ცხელ ოთახშია (caldarium) გასასვლელი. უკანასკნელი ოთახი ოთახი და მათი დამაკავშირებელი ჩრდილოეთის კედლის კარის ღიობები ერთ ღერძზე მდებარეობს. კარის ღიობები და

ზღურბლი ქვიშაქვის მართკუთხა მასიური ფილებისაა. თბილი და ოფლის მოსადენი ოთახების ზღურბლებს აღმოსავლეთ მხარეს ღარები დაუყვება. თბილი, ოფლის მოსადენი და ცხელი ოთახები ოვალურია. ოფლის მოსადენი და ცხელი ოთახების კედლები თიხის შვერილებიანი ფილებითაა (*tegula mammata*) მოპირკეთებული. თბილ და ცხელ ოთახებს აბაზანები (*alveus*) აქვს. თბილ ოთახს ერთი აბაზანა აქვს აღმოსავლეთის კედელზე, ხოლო ცხელს - სამი – ჩრდილოეთ, აღმოსავლეთ და დასავლეთ კედლებზე. აბაზანებისა და აუზის ზემოთ, კედლებში, თიხის წყლის მიღებია ჩაყოლებული ჰორიზონტალურად, წყლით შესავსებად. გამოყენებული წყალი იატაკქვეშა კოლექტორში გროვდებოდა და ისე გაედინებოდა გარეთ. ყველა აბაზანის გარეთა კედელი კირქვის მასიური ფილისაა. ცხელი ოთახის ჩრდილოეთით საცეცხლე ოთახი (*praefurnium*) მდებარეობს, ხოლო ქვემოთ - ჰიპოკაუსტუმი. საცეცხლე ოთახს აგურებით გამოყვანილი თალი აქვს. აბანო შელესილია ბათქაშით. შელესილობაზე შეინიშნება წითელი საღებავის კვალი.

აბანო მარაგდებოდა დასავლეთით მდებარე წყალსადენით, რომელიც ქვიშაქვით ნაგები და კირხსნარით შელესილი ყოფილა. სადრენაჟო სისტემა კი, საიდანაც გამოყენებული წყალი გაედინებოდა, აღმოსავლეთით ყოფილა განლაგებული (ნიკოლაიშვილი, გიუნაშვილი 1997, 7-9) (ილუსტრაცია 25).

აბანოსგან აღმოსავლეთით, დაახლოებით, 10მ-ის დაშორებით, გამოვლინდა აუზი (6.4მx3.6მ) (ნიკოლაიშვილი 2011, 44), რომელიც ამჟამად ზედაპირულად არ არის ხილული.

რომაული აბანო მეორე (No2)

მდებარეობს პირველი აბანოდან ჩრდილოეთით, 50 მეტრის მოშორებით, მოსწორებულ ფერდობზე, ჩრდილო-სამხრეთისაკენ მიმართულ ღერძზე; აგებულია ოპუს ინსერტუმისა და ოპუს მიქსტუმის სამშენებლო ტექნიკით. საშენ მასალად გამოყენებულია ქვიშაქვის ქვები და კვადრები, რიყის ქვები და აგურები. თიხის შვერილებიანი ფილებისა და მილების ფრაგმენტები აბანოს ახლოსაა მიმოხრეული.

ექსტერიერი

აბანო მართკუთხაა (24მx6მ), მხოლოდ მისი ჩრდილო-დასავლეთი ნაწილია ოვალური. კედლის შელესილობა არ არის შემორჩენილი.

ინტერიერი. აბანოს სამი განყოფილებაა შემორჩენილი - ცივი, თბილი და ცხელი. ცივი ოთახი მდებარეობს სამხრეთით. კარის ღიობები სამხრეთ და აღმოსავლეთ კედლებზეა. ცივი ოთახის დასავლეთ კედელზე აბაზანა და ნიშაა. ცივი ოთახიდან თბილ ოთახშია გასასვლელი, ხოლო იქიდან - ცხელში. ცხელი ოთახი აბანოს ჩრდილოეთით მდებარეობს. მას ორი ექსედრა აქვს ჩრდილოეთ და დასავლეთ კედლებზე, სადაც აბაზანებია მოწყობილი. ცხელი ოთახის აღმოსავლეთით საცეცხლე ოთახი მდებარეობს, მის ქვეშ კი - ჰიპოკაუსტუმი. საცეცხლე ოთახს აგურებით გამოყვანილი თალი აქვს. აბანოს დასავლეთით, 0.5მ-ის მოშორებით, კედლის ფრაგმენტია, მის გვერდით კი - ქვიშაქვისაგან გამოთლილი ორნახვრეტიანი თიხის წყლის მიღების კოლექტორი. კედლის ფრაგმენტები აბანოს სამხრეთითაც მდებარეობს, რაც, სავარაუდოდ აბანოს გაგრძელება უნდა იყოს (ილუსტრაცია 26).

აბანოები რომაული ბეტონით არის აშენებული. კედლის შელესილობა მხოლოდ პირველი აბანოს ინტერიერშია შემორჩენილი. ორივე აბანოს ბეტონისა და პირველი აბანოს ბათქაშის ნიმუშების სტრუქტურული კოპულმა ანალიზმა აჩვენა, რომ არც ერთი მათგანის შემადგენლობაში არ აღმოჩნდა ვულკანური ფერფლი ან ნაცარი.

პირველი აბანო. რომაული ბეტონი შედგება დუღაბისა და აგრეგატისაგან. დუღაბს ღია ნარინჯისფერ-მონაცრისფრო, კარგად განლექილი, მაგრამ ცუდად შეკრული ტექსტურა აქვს. შემკვრელი მატრიცა შეიცავს კვარცის კრისტალებს, ქვიშაქვის კარგად დაფქულ, მცირე ზომის მოყავისფრო და მომწვანო ქვიშას, ლავის (10%) და მოყავისფრო რელიქტური კირის ნაწილაკებს. აგრეგატი უხეშია და შეიცავს წახნაგოვანი ქვიშაქვის, ტერაკოტისა და ლავის ცოტაოდენ ნაწილაკებს. აგრეგატის წახნაგოვანი ფორმა მიგვანიშნებს, რომ ის ალუვიური ნალექებიდან მომდინარეობს. შესაძლოა, სამშენებლო ადგილას პალეოტერასა ყოფილიყო. ბეტონში აღინიშნება ნაწილაკების ბიმოდალური

გავრცელება, რაც მიგვითითებს როგორც დუღაბის შემადგენელი პოცოლანური მასალის, ასევე, აგრეგატის უხარისხო გადარჩევაზე.

ბათქაში სპილოსძვლისფერია და კარგად არის შეკრული; აგრეგატის სახით, კერამიკულ ფხვნილს შეიცავს, ხოლო პოცოლანური მასალის სახით - ძალიან წვრილ ბაზალტურ ქვიშას.

მეორე აბანო. რომაული ბეტონი შედგება დუღაბისა და აგრეგატისაგან. დუღაბს ღია ნაცრისფერი, ცუდად შეკრული ფოროვან-მარცვლოვანი ტექსტურა აქვს. შემკვრელი მატრიცა შეიცავს მცირეოდენ რელიქტურ კირს, კალციტსა და ბაზალტური ქვიშის წმინდა ნაწილაკებს. უხეში აგრეგატი წარმოადგენს მომრგვალებულ ბაზალტურ კენჭებს, სავარაუდოდ, მდინარეული დანალექებიდან (ილუსტრაცია 27).

ბაზალტური ნაწილაკების ბიმოდალური გავრცელება მიუთითებს მდინარეული დანალექების დახარისხებაზე, საიდანაც წმინდა ქვიშა გამოიყენებოდა ბათქაშში შემკვრელად, ხოლო პატარა ქვები და კენჭები - დუღაბში აგრეგატად.

პირველი (No3) აბანო გ. ყიფიანმა სასახლის აბანოს გარდამავალ ტიპად მიიჩნია და მესამე-მეოთხე საუკუნეებით დაათარიღა (ყიფიანი 1997ბ, 9-11). ვ. ნიკოლაიშვილმა გაიზიარა პირველი აბანოს თარიღი, მეორე აბანო კი მეორე-მესამე საუკუნეებით განსაზღვრა (ნიკოლაიშვილი 2011, 42).

აბანოები ანუ თერმები ბერძნული სამყაროდანაა ცნობილი, სადაც ცხელი და ორთქლის აბანოები ძვ. წ. მეხუთე საუკუნიდან არსებობდა. იტალიაში კი ძვ. წ. მესამე საუკუნიდან დამკვიდრდა (ანდერსონი 1907, 244; ადკინსი, ადკინსი 1994, 138). რომაულ თერმებს გეგმარების ორი პრინციპი ახასიათებდა. პირველი იყო ერთ ღერძზე მდებარეობა. ეს პრინციპი მონუმენტურ აბანოებშიც შეინიშნება და სახლის პატარა აბანოებშიც, მაგალითად, პომპეში. მეორე პრინციპი კი ერთი ცენტრალური ნაწილის შექმნა და დანარჩენის მისდამი დაქვემდებარება იყო. ასეთი ცენტრალური ნაწილი იყო თბილი ოთახი, რომლის ირგვლივაც იყო დაჯგუფებული დანარჩენი ოთახები (ანდერსონი 1907, 244).

არმაზის ორივე აბანო რომაული არქიტექტურული სტილის შესაბამისად არის აგებული. მათი გეგმარება, სამშენებლო ტექნიკა და სამშენებლო მასალები, უდავოდ, რომაულ სტანდარტებს ექვემდებარება. არმაზის აბანოების გეგმა და დიზაინი განსხვავებულია, მაგრამ ბევრი საერთო მახასიათებელიც შეინიშნება. ორივე ერთ ღერძზეა განლაგებული და ერთმანეთში გამავალ ძირითად განყოფილებებს - ცხელ, თბილ და ცივ ოთახებს შეიცავს, რომლებიც სახლის აბანოების ძირითადი მოთხოვნილების ოთახები იყო, ხოლო საზოგადოებრივ აბანოებს კიდევ დამატებით ჰქონდათ გასახდელი, სავარჯიშო და საცურაო ოთახები, შეხვედრების დარბაზები, ბალები და შადრევნები. თბილი ოთახები არმაზის ორივე აბანოს შემთხვევაში შუაშია განთავსებული, თუმცა მხოლოდ პირველი აბანოს თბილი და საორთქლე ოთახებია ოვალური. მათი ამგვარი დაგეგმარების იდეა ბერძნული არქიტექტურიდან მომდინარეობდა და სიტბოს თანაბრად გადასანაწილებლად და ცივი კუთხეების ასაცილებლად იყო გათვლილი (ვინთერი 2006, 115).

აბანოების მშენებლობაში ნატეხი ქვა და რომაული გამომწვარი აგურია გამოყენებული, რაც ფართოდ გავრცელებული სამშენებლო მასლა იყო რომის მთელ იმპერიაში. აგურით მშენებლობა გაცილებით მოსახერხებელი და ეკონომიური იყო, რადგანაც აგურის დამზადება უფრო იაფი ჯდებოდა, ვიდრე ქვის მოპოვება და დამუშავება. აგური ქვაზე მსუბუქი და, შესაბამისად, ადვილად ტრანსპორტირებადიც იყო. მაგრამ მხოლოდ აგურით აშენებული ნაგებობები იშვიათობა იყო. აგურთან ერთად, ცუდად დამუშავებული ქვაც გამოიყენებოდა, მაგალითად, ახ.წ. მესამე საუკუნის დასაწყისის რომაული აბანო ანკარაში (ჰენიგი 1983, 45), რადგანაც პატარა ზომის ქვებით მშენებლობა კიდევ უფრო იაფი და ხელსაყრელი იყო იმ ადგილებში, სადაც ამგვარი ქვები ადვილად მოიპოვებოდა (თომლინსონი 1993, 115).

რომაულ არქიტექტურაში სამი სახის გამომწვარი აგური გამოიყენებოდა – ბესალეს (197მმ²), სესკიპედალეს (444მმ²) და ბიპედალეს (592მმ²) (ადკინსი, ადკინსი 1994, 155) (ილუსტრაცია 28.1). კედლის მოსაპირკეთებლად აგურები სამკუთხედებად იჭრებოდა, ხოლო თაღის გამოსაყვანად - მართკუთხედებად. ბესალეს ორ სამკუთხედად ან ორ

მართკუთხედად იყოფოდა და გავრცელებული იყო კლაუდიუსის, ნერონის, ვესპასიანეს, ტიტუსის, ტრაიანესა და ანტონინუს პიუსის მმართველობის დროს. სესკიპედალეს იყოფოდა რვა სამკუთხედად და გავრცელებული იყო დომიციანესა და ადრიანეს დროს. ბიპედალეს კი იყოფოდა 18 სამკუთხედად და გამოიყენებოდა მხოლოდ დომიციანეს დროს (სიარი 1983, 77). რომში აგურის საყოველთაო გამოყენება ავეუსტუსის ხანიდან, ახ. წ. პირველი საუკუნის შუა წლებიდან იწყება (ადკინსი, ადკინსი 1994, 322). ტრაიანეს დროს აგურმა თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა ქვა (ჰენიგი 1983, 34).

აგურისა და ბეტონის საშუალებით რომაელმა მშენებლებმა რადიალური წყობის თალი შექმნეს, რაც თავისი ფორმით აღმოსავლურისაგან (სიგანებზე დალაგებული ალიზის აგური) განსხვავდებოდა (ჰენიგი 1983, 45). რომაული აგურის რადიალური წყობით არმაზის აბანოების საცეცხლეების თაღებია აშენებული (ილუსტრაცია 28.2). პირველი აბანო - ოპუს ინსერტუმით, ხოლო მეორე ოპუს მიქსტუმის ტექნიკით არის აგებული. მშენებლობაში ორად გაყოფილი რომაული აგური, ბესალეს, არის გამოყენებული (ილუსტრაცია 28.3). ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ არმაზის აბანოების მშენებლები რომაულ ტექნიკას კარგად ფლობდნენ. თუმცა, ერთი უზუსტობაც უნდა აღინიშნოს - რომაულ თერმებში ფრიგიდარიუმი, ძირითადად, ჩრდილოეთით მდებარეობდა, არმაზის აბანოებში კი ცივი ოთახები სამხრეთით არის განლაგებული.

არმაზის აბანოები ერთმანეთისაგან 50-100 მეტრის დაშორებით მდებარეობს. ვ. ნიკოლაიშვილი თეძრობს, რომ მათგან ერთი (დაკონსერვებული), შესაძლოა, რომაელი ჯარისკაცებისათვის ყოფილიყო განკუთვნილი (ნიკოლაიშვილი 2011, 34). ჩემი აზრით, პირველი აბანო (No3) გასახდელის ზომის, აბაზანების რაოდენობისა და აუზის მიხედვით, მართლაც შეიძლება ყოფილიყო საზოგადოებრივი.

მეორე აბანოსთან ორი ბერძნულენოვანი სტელა აღმოჩნდა. ერთი მათგანი გვამცნობს, რომ: „არმენიის მეფის ვოლოგეზეს ასულს, ხოლო იბერთა დიდი მეფის ამაზასპის მეუღლეს, ანაგრანესმა, მამამთქემ და ეზოსმოდვარმა, საკუთარი სახსრით (გაკეთებული) აბანო შესწირა“, ხოლო მეორე „მეფის... მამამთქემ... და ეზოსმოდვარმა გააკეთებინა თავისი საზრდელით (ან სახსრით) მიწისქვეშა გაყვანილობა (ან წყალსადენი)

და აბანო (ან წყალსადენი აბანოსათვის) და შესწირა დრაკონტის დედოფალს“. წარწერები თ. ყაუხჩიშვილის მიერაა თარგმნილი და დათარიღებულია მეორე-მესამე საუკუნეებით (ყაუხჩიშვილი 2004, 227-228). წარწერის მიხედვით კარგად ჩანს, რომ მეორე აბანო დედოფლის თუ დედოფლების საკუთრება ყოფილა. ამ აბანოს ინტერიერი ნიღბებით ყოფილა მორთული (ნიკოლაიშვილი 2011, 43).

პირველი აბანო, სამშენებლო ტექნიკის მიხედვით, მეორეზე ადრე უნდა იყოს აშენებული. პირველის კედლები ქვისა და ბეტონის ფენებით არის აშენებული. აგური მხოლოდ ღუმელის თალისა და ჰიპოკაუსტუმის ასაშენებლად არის გამოყენებული. მეორე აბანოს მშენებლობაში კი, ქვასთან ერთად, აგურიც გამოუყენებიათ. ოპუს კემენტიკუმი ოპუს ინსერტუმზე და ოპუს მიქსტუმზე ადრინდელი სამშენებლო ტექნიკა იყო, თანაც, მხოლოდ ქვისაგან აშენებული ნაგებობები ახ. წ. მეორე საუკუნის შემდგომ იშვიათი გახდა. თიხის შვერილებიანი ფილები, რითაც პირველი აბანოს ცხელი და ოფლის მოსადენი ოთახებია მოპირკეთებული და, სავარაუდოდ, მეორესიც, ახ. წ. პირველი საუკუნის შემდეგ ოთხკუთხა განივკვეთიანმა მილებმა ჩაანაცვლა (ადკინსი, ადკინსი 1994, 157).

ცხადია, რომის აღმოსავლეთ იმპერიის განაპირას მდებარე ქვეყანაში ცენტრიდან ახალი იდეებისა და ტექნოლოგიების ჩაღწევას დრო დასჭირდებოდა. ამიტომ, სამშენებლო ტექნიკა, რომელიც იმპერიის ცენტრში იყო გავრცელებული, მხოლოდ გარკვეული დროის შემდეგ დაინერგებოდა პროვინციაში და, მით უმეტეს, მის განაპირა მხარეს. აღსანიშნავია ისიც, რომ არმაზის აბანოების მსგავსი გეგმარების თერმები მეორე-მესამე საუკუნეების რომაული ბრიტანეთის ვილებზე იყო გავრცელებული, მაგალითად, ჰალეს ვილა სტაფორშირში. მეორე აბანოსთან გამოვლენილი წარწერებიც მეორე-მესამე საუკუნეებით თარიღდება (ყაუხჩიშვილი 2004, 227-228) შესაბამისად, არმაზის აბანოები მეორე-მესამე საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს. აბანოების ამ თარიღს ის ფაქტიც ამყარებს, რომ ახ. წ. მეორე საუკუნის 20-იანი წლებიდან 70-იანი წლების დასაწყისამდე, იმპერატორ ტრაიანეს, ადრიანესა და ანტონინუსის დროს რომს განსაკუთრებით ინტენსიური სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა იბერიასთან (ჯავახიშვილი 1960, 173).

თერმები რომაული ცხოვრების სტილი და განუყოფელი ნაწილი იყო. რომაული აბანო მთელ იმპერიაში იყო გავრცელებული, რადგანაც ის არა მარტო ჰიგიენის დაცვის საშუალება, არამედ, იმდროინდელი საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომდგენელთა თავშეყრისა და გართობის ადგილიც იყო. აღსანიშნავია, რომ არმაზის მსგავსი რომაული აბანოები არმაზისხევში და ძალისაშიც არის გამოვლენილი.

წყალგაყვანილობის სისტემა

არმაზის წყალგაყვანილობის სისტემა წყალსადენების და დრენაჟების ქსელისა და ცისტერნისაგან შედგებოდა. წყალსადენები კერამიკული მილებისგან იყო გაკეთებული, სადრენაჟო არხები კი - ქვისაგან. წყალგაყვანილობის სისტემიდან, თაქტობრივად, მხოლოდ ცისტერნა შემორჩა.

ცისტერნა პირველი ნაგებობა იყო, რომელიც ნაქალაქარზე გაითხარა. მისმა გამთხრელმა, დავით ქუთათელაძემ, კირქვისა და ქვის ბლოკების შემცველი ფენები აღნიშნა. ქვის ბლოკების უკირო წყობაში მან ორმაგ სამაგრთა ფოსოები დაადასტურა. ზოგიერთ მათგანში ქვის სოლი ყოფილა ჩარჩენილი. მაშინვე გამოვლენილა კედლის მხატვრობის ნიმუში - მრავალფერი საღებავით შესრულებული ქალის პორტრეტი; რამდენიმე არტეფაქტი - ვერცხლის ფული, მინის სამაჯური, რკინის იარაღები; კრამიტისა და თიხის ფილების ნატეხები; მარმარილოს არქიტექტურული ორნამენტები და სხვა ჯიშის ქვებისაგან გაკეთებული მოჩუქურთმებული და სადა დეტალები; „კირ-თიხის ფიცრები სატიხარ კედელთან” და ცხოველისა და ფრინველის ძვლები. როგორც დ. ქუთათელაძე აღნიშნავდა, ზოგი დეტალი თაღის და ჭერის ნაწილი უნდა ყოფილიყო (ქუთათელაძე 1966, 118-119).

დ. მშვენიერაძემ ცისტერნის ზემოთ, დასავლეთით მდებარე კერამიკული მილების წყალსადენი ნაგებობასთან დააკავშირა და პირველად გამოთქვა მოსაზრება, რომ ნაგებობა კომუნალური დანიშნულების უნდა ყოფილიყო (მშვენიერაძე 1952, 25).

ცისტერნა

ცისტერნა მდებარეობს სვეტებიანი დარბაზის ტერასაზე, მისგან ჩრდილოეთით, 6 მეტრის დაშორებით. ცისტერნის დიდი ნაწილი მიწის ზემოთაა განლაგებული. მხოლოდ დასავლეთი მხარეა ნაწილობრივ მთა ქართლის აღმოსავლეთ ფერდში შეჭრილი. ცისტერნა აგებულია ქვიშაქვის პატარა ზომის უსწორმასწორო ფილებით, მეორადი გამოყენების ქვიშაქვის ბლოკებით და რიყის ქვით. გამოყენებულია რამდენიმე სამშენებლო ტექნიკა - ქვების მშრალი წყობა ორმაგი მტრედის ფორმის კუდის სამაგრებით გადაბმული, ოპუს ინსერტუმი, ოპუს კვადრატუმი და ოპუს რეტიკულატუმი. ცისტერნა რესტავრირებულია.

ექსტერიერი. ცისტერნა მართკუთხაა. შემორჩენილი ზომებია - სიგრძე 15მ, სიგანე 14მ, სიმაღლე 6მ, კედლების სიგანე 0.85მ-2.25მ-მდე მერყეობს. ჩრდილოეთის კედელი 2მ სიგანისაა, რომელსაც 4მX1მ ღიობი და ქვიშაქვის ბლოკების ზღურბლი აქვს. ღიობი პატარა ზომის ქვიშაქვის ფილების რადიალური თაღით ბოლოვდება. ჩრდილოეთის კედელზე კიდევ სამი დახურული თაღი შეიმჩნევა. ყოველი მათგანი კედელში დაყოფილი ქვიშაქვის ბლოკების ბურჯებს ეყრდნობა. თაღების ზემოთ, დაახლოებით 4.5მ-ის სიმაღლიდან, კედელი მომრგვალებას იწყებს და მოქნილად გადადის მრგალ, თაღოვან სახურვაში (ილუსტრაცია 29). აღმოსავლეთის კედელი დაახლოებით 5მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ისიც თაღებითა და ბურჯებითაა აშენებული. თაღები ქვიშაქვის პატარა ზომის ფილებითაა გამოყვანილი და კედელში დაყოფილ ქვიშაქვის ბლოკების ბურჯებს ეყრდნობა. თანამედროვე მიწის ზედაპირის დონეზე ქვიშაქვის სადრენაჟო არხია დაყოფილი (ილუსტრაცია 30. 1). სამხრეთის კედელი დაახლოებით 3მ-ის სიმაღლეზეა შემორჩენილი, გამაგრებულია ოთხი მართკუთხა კონტრფორსით. პირველი სამის ზომაა 1მX0.5მ, ხოლო მეოთხის 2მX0.5მ (ილუსტრაცია 30. 2). დასავლეთის კედელი სწორია. იგი ფერდობს ებჯინება.

ინტერიერი. ამჟამად ცისტერნის მხოლოდ სამი განყოფილებაა შემორჩენილი. ერთ-ერთი განყოფილებების ქვედა ფენებიდან ჩანს, რომ ცისტერნა არსებულ ნაგებობაზე დაუშენებიათ, რომლის კედლები ქვიშაქვის ბლოკების მშრალი წყობით ყოფილა

აგებული და ორმაგი მტრედის კუდის ფორმის სამაგრებით გადაბმული (ილუსტრაცია 31. 1). ქვიშაქვის ბლოკების მშრალ წყობაზე ოპუს ინსერტუმის (opus incertum) კედლები დაუშენებიათ. ერთ-ერთი შიდა კედლის ასაშენებლად ასევე გამოუყენებიათ ოპუს კვადრატუმისა (opus quadratum) და ოპუს რეტიკულატუმის (opus reticulatum) წყობა, რომელშიც ქვიშაქვისაგან გამოთლილი წყლის მიმწოდებელი არხი ჩაუყოლებიათ (ილუსტრაცია 31. 2). ეს კედელი ცისტერნის გარეთ 3მ-ზე გრძელდება და კუთხის ქვებით ბოლოვდება (ილუსტრაცია 32).

ცისტერნა ჭის ალტერნატიულ საშუალებად შეიქმნა. იგი ფართოდ გამოიყენებოდა ბერძნულ-რომაულ სამყაროში როგორც წვიმის წყლის მოსაგროვებლად და შესანახად, ასევე, წყაროს წყლის რეზერვუარად. ადრეული ცისტერნები წრიული და ღია იყო. მოგვიანებით კი ცისტერნები იხურებოდა წყლის აორთქლებისა და დანაგვიანების თავიდან ასაცილებლად. ცისტერნები ბოთლის ან სურის ფორმის იყო. მაგალითად, ძვ.წ. მეოთხე საუკუნის დასაწყისიდან ათენის აგორაზე ამგვარი ფორმის ცისტერნამ თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა ჭა. დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში ელინისტური ხანიდან ვრცელდება ვიწრო, გრძელი და ღრმა ცისტერნები, ხშირად, მომრგვალებული ბოლოებით. ამ ფორმის ცისტერნები ფილებით იხურებოდა. სახურავი ბრტყელი ან ორფერდა იყო. მართკუთხა ცისტერნა, რომლის ფილების სახურავიც თაღების რამდენიმე რიგს ეყრდნობოდა, პირველად, ელინისტური პერიოდის დელოსში გაჩნდა და შემდგომ გავრცელდა ახლო აღმოსავლეთში. ცისტერნის გავრცელებას ხელი შეუწყო წყალგამძლე დუღაბისა და შესალესი მასალის - ოპუს სიგინუმის შექმნამ (ოლესონი 2008, 287).

ცისტერნის სხვა ფორმაც არის ცნობილი, მაგალითად, ე.წ. ცისტერნა ტუნელი. ამგვარი ფორმის ცისტერნები გვიანი რესპუბლიკისა და ადრეიმპერიული ხანის ლათიუმსა და კამპანიაში არის აღმოჩენილი, ასევე - ჩრდილო აფრიკის რომაული ხანის ძეგლებზე. ცისტერნა ტუნელი, ისევე როგორც სხვა ფორმის ცისტერნები, წვიმის წყლის მოსაგროვებელი და შესანახი ნაგებობა იყო. იტალიაში ცისტერნა ტუნელი ისეთ ქანებში იჭრებოდა, რომელიც წყალს არ ატარებდა და, თანაც, ცისტერნის სხვა

განყოფილებებიდან გამოდინებულ წყალს იჭერდა. რაც უფრო ბევრი კედელი ჰქონდა ცისტერნას და რაც უფრო მსხვილი იყო ისინი, მით უფრო დიდი იყო წყლის შეკავების ძალა. შესაბამისად, ცისტერნა ტუნელის პარალელური და გადამკვეთი ქსელები თანდათან განვითარდა, განსაკუთრებით, ლათიუმსა და კამპანიაში (ოლესონი 2008, 288).

რომაულ ხანაში ცისტერნების მშენებლობაში მნიშვნელოვანი ტექნოლოგიური წინსვლა მოხდა, რასაც განსაკუთრებით ხელი შეუწყო ბეტონისა და კამარის გამოგონებამ. შესაძლებელი გახდა თაღოვანი, უფრო დიდი ზომის, მრავალგანყოფილებიანი ცისტერნების აშენება, სადაც უფრო მეტი მოცულობის წყალი ეტეოდა. წყლით მომარაგება იმდენად მნიშვნელოვანი პროცესი იყო, რომ ამაზე რომელი ავტორებიც კი წერდნენ (ვიტრუვიუსი VIII, II; პლინიუსი, V, III).

თანამედროვე მკვლევრებმა გამოთვალეს ცისტერნების მოცულობა და აკვედუკებით წყლით მომარაგების კოეფიციენტი. ასევე შეიმუშავეს წყლის მოხმარების კოეფიციენტის დადგენის მეთოდები, თუმცა, ისინი, ხშირად, არასწორ ინფორმაციას ღებულობდნენ (ანგელაკისი და სხვა 2012, 32-33).

რომაული ცისტერნა, არმაზის ცისტერნის მსგავსად, სქელი, გამძლე და გარედან საბჯენებით გამაგრებული ბეტონის კედლებით შენდებოდა. ამგვარი ტექნოლოგია მიწისზედა ან ნახევრად მიწისზედა ცისტერნის აგების საშუალებას იძლეოდა. მიწისზედა ცისტერნებიდან წყალი გრავიტაციით გადმოედინებოდა. ამიტომ, ცისტერნა ტუნელისაგან განსხვავებით, აღარ იყო საჭირო წყლის ამოღება ან ამოქაჩვა, რაც ბევრად ამარტივებდა ირიგაციის პროცესს.

რომაული ცისტერნის ყველაზე გავრცელებული ტიპი იყო მართკუთხა ფორმის, ერთი ან რამდენიმეგანყოფილებიანი, ცილინდრული თაღით გადახურული ნაგებობა. თაღის ცენტრში 50სმ-იანი ორი ნახვრეტი იყო. წყალი კერამიკული მილების ან ცემენტით ამოლესილი ქვის არხების საშუალებით ჩაედინებოდა ცისტერნაში. წყლის დონე, ნიშნულების მიხედვით, ცისტერნის თაღის რკალამდე არ აღწევდა. ცისტერნის თავი (ყელი), ჭის მსგავსად, კედლით იყო მოჩარჩობული და დაცული (ოლესონი 2008, 287-290).

ცისტერნები შიგნიდან, ძირითადად, ოპუს სიგინუმით ილესებოდა. სანიტარული მოსაზრებით კედლებისა და იატაკის გადაბმის ადგილები ნახევრად მომრგვალებული ყალიბში დამზადებული დეტალებით ივსებოდა, ხოლო იატაკში წრიული ორმო იჭრებოდა. მომრგვალებული კუთხეები ადვილად ინმინდებოდა, ორმოებში კი წყლის ნალექი გროვდებოდა. დ. ქუთათელაძის მიერ შიდა ტიხართან აღმოჩენილი „კირ-თიხის ფიცრები“, შესაძლოა, კედლების გადაბმის შესავსები დეტალები ყოფილიყო.

წვიმის წყლით მიწისქვეშა ცისტერნები მარაგდებოდა. მათ ატრიუმის ქვეშ აშენებდნენ, რათა სახლის სახურავიდან და შიდა ეზოდან წყალი ადვილად ჩადინებულიყო. ცისტერნაში დაგროვილი წვიმის წყალი მდარე ხარისხის იყო. მის გასაწმენდად სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ, მაგრამ სასმელად მაინც უვარგისი იყო და ნაკლებად გამოიყენებოდა. ამგვარი ცისტერნების წყალს სარწყავად ან რაიმეს გასარეცხად უფრო ხმარობდნენ. ცისტერნები ძალიან გავრცელებული იყო მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში. რომის ქალაქურ ცხოვრებაში კი იმდენად მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა წყლით მომარაგებას, რომ ცისტერნების რეგისტრაცია და მართვაც კი ხდებოდა (ოლესონი 2008, 287-290).

არმაზის ცისტერნა ისეთი რომაული სამშენებლო ტექნიკითაა აგებული, სადაც ქვის გათლილ ბლოკებს რომაული ბეტონი ენაცვლებოდა. ახ. წ. პირველი საუკუნიდან ოპუს რეტიკულატუმი კუთხის ქვებისა და კედლის დონის განმსაზღვრელი აგურების კომბინაციაში იხმარებოდა. ამგვარი სამშენებლო ტექნიკის მაგალითები ოსტიიდან და ადრიანეს ტივოლის ვილადან არის ცნობილი. ავგუსტუსის მმართველობიდან ოპუს ინსერტუმი ოპუს რეტიკულატუმმა ჩაანაცვლა. მისი გამოყენება განსაკუთრებით ხშირი ახ.წ. მეორე საუკუნეებში გახდა, თუმცა რომის გარეთ ძალზე იშვიათი იყო (ჰენიგი 1983, 42, 44, 46).

არმაზის ცისტერნა, ლანდშაფტზე მდებარეობიდან გამომდინარე, ნახევრად მიწისზედა, სასმელი წყლის რეზერვუარის ტიპს განეკუთვნება. ცისტერნაში შემავალი არხიც წყაროს წყლით მომარაგებაზე მიუთითებს. როგორც ჩანს, წყაროს წყალი

თავდაპირველად ცისტერნის სამხრეთ-დასავლეთ განყოფილებაში ჩაედინებოდა და იქიდან ნაწილდებოდა დანარჩენ სათავსოებში.

ცისტერნას ჩრდილოეთ მხარეს, სავარაუდოდ, კიდევ ორი განყოფილება უნდა ჰქონოდა. ამას ჩრდილოეთი განყოფილების ჩრდილოეთისა და დასავლეთის კედლების კონფიგურაცია მატიქრებიანებს. ჩრდილოეთის კედელს თალიანი ღიობი აქვს. ცისტერნას არ შეიძლება ამგვარი ღია ფასადი ან შესასვლელი ჰქონოდა. ამას გარდა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, დასავლეთის კედელი ჩრდილოეთით კიდევ გრძელდება, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ არსებული ღიობი შემდეგ განყოფილებას უკავშირდებოდა. თერდობზე მდებარეობიდან გამომდინარე, სატიქრებელია, რომ ცისტერნას შესასვლელი დასავლეთის მხრიდან ჰქონოდა.

რომაულ ცისტერნებს სხვადასხვა ადგილებში აშენებდნენ და მათი გამოყენებაც განსხვავებული იყო. ისინი ხან ქალაქის ცენტრში მდებარეობდნენ, საიდანაც წყალსადენის სისტემა იმართებოდა, ხან კი აკვედუკების შუაში ან ბოლოს. ცისტერნა ველების მოსარწყავადაც გამოიყენებოდა და ჯარისკაცების სასმელი წყლის უზრუნველსაყოფადაც.

არმაზის ცისტერნა, შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის ცენტრში მდებარეობდა. იგი მოსახერხებელი იქნებოდა აღმოსავლეთ ტერასაზე განლაგებული შენობების წყალმომარაგებისათვის. აბანოების წყლით მომარაგება არ მოხერხდებოდა, რადგანაც ისინი ცისტერნაზე უფრო მაღლა მდებარეობდნენ და იქამდე წყლის მიყვანას საქაჩი დასჭირდებოდა. ამგვარ ცისტერნებს კი, როგორც აღვნიშნე, საქაჩი არ უკეთდებოდა, თანაც, აბანოებს საკუთარი წყალმომარაგება ჰქონდათ.

ასევე შესაძლებელია, რომ ცისტერნა რომის სამხედრო მიზნებისა და საჭიროებისათვის ყოფილიყო აგებული. ნაკლებად დასაშვებია მისი საირიგაციო ფუნქცია, რადგანაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ველები არმაზის სიახლოვეში არ აღინიშნება და თანაც ცისტერნა სასმელი წყლის იყო.

ცისტერნა, ისევე როგორც არმაზში გამოვლენილი თითქმის ყველა შენობა, რომაელების სამშენებლო საქმიანობას უკავშირდება და მსგავსებას ამჟღავნებს

ტოლედოს, პერგამონის, კამპანიის, აბრუზოსა და ატრის ცისტერნებთან (ბოლონი და სხვა 1994, 362) (ილუსტრაცია 33).

ცისტერნა, სავარაუდოდ, მეორე-მესამე საუკუნეებშია აშენებული. თუმცა, იგი ბევრად ადრეულ ქვიშაქვის ბლოკების მშრალ წყობას ეფუძნება. სამხრეთის კედელზე ეს ფენა დაახლოებით 1.5მ სიმაღლისაა. ორმაგი მტრედის კუდის ფორმის სამაგრის ბუდეები სასიმაგრო კედლის ერთ-ერთ მონაკვეთზე გამოვლენილი ბუდეების იდენტურია.

დ. ქუთათელაძის მიერ აღმოჩენილი არტეფაქტების მიხედვით ჩანს, რომ ცისტერნას, როგორც წყლის რეზერვუარს, ბოლომდე არ უარსებია. ძნელი სათქმელია, თუ როდის შეიცვალა მისი ინტერიერი, როდის მოიხატა კედლები და მოირთო მარმარილოს თუ სხვა ჯიშის ქვებისაგან გამოთლილი თალებითა და ჩუქურთმებით და როდის გადაკეთდა იგი საცხოვრებელი თუ სხვა ფუნქციის მქონე შენობად, მაგრამ ფაქტია, რომ ცისტერნა სამ სამშენებლო პერიოდს ასახავს.

კედლის მხატვრობა - ქალის პორტრეტი ახ.წ. პირველი საუკუნის შუა ხანებით არის დათარიღებული (კავლელაშვილი 1996, 142-143). ამ პერიოდისათვის არათუ კედლის მხატვრობა, არამედ თვითონ ცისტერნაც არ იქნებოდა აშენებული. ამას ოპუს რეტიკულატუმის წყობა მოწმობს. ჩემი აზრით, ცისტერნის გაუქმება და მისი კედლების მოხატვა მოხდებოდა მაშინ, როდესაც რომის ჯარისკაცები არმაზს დატოვებდნენ და მათი წყლით მომარაგება აღარ იქნებოდა საჭირო და არც ცისტერნის მომვლელი იქნებოდა ვინმე. შესაძლოა, ეს მესამე საუკუნის მეორე ნახევარში ან შემდგომ მომხდარიყო.

ნაქალაქარზე შემორჩენილია კერამიკული მილების, ქვის არხებისა და კოლექტორების ფრაგმენტები, მაგრამ არმაზის წყალგაყვანილობის ქსელის ბოლომდე აღდგენა და მისი გავრცელების არეალის დადგენა არ ხერხდება. ამიტომ, ძნელია კონკრეტულად რაიმეს თქმა წყლის რესურსების მართვაზე ან, ზოგადად, არმაზის წყალმომარაგების მოდელზე, რაც, თავის მხრივ, ნამოსახლარის მოდელს წარმოაჩენს ხოლმე. თუმცა, ცხადია, რომ წყალგაყვანილობის სისტემა აშენებას და შემდგომ მუდმივ განახლებასა და შეკეთებას მოითხოვდა. ყოველივე ეს ორგანიზაციისა და მართვის გარკვეულ დონეს საჭიროებდა, რაც სამშენებლო მასალის მოპოვებაში, საწარმოო

ობიექტის ქონაში, პროფესიონალი მუშახელის ყოლაში, ანუ შრომის ორგანიზაციის მაღალ დონეში აისახებოდა. სწორედ ამიტომ, ეს პროცესები წყალმომარაგების სისტემას, ისევე როგორც სასიმაგრო სისტემას, ურბანიზაციის პროცესთან მჭიდროდ აკავშირებდა.

არმაზში გამოვლენილი სამარხი ძეგლებიდან აღსანიშნავია აკლდამა, რომელიც ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთით, ქვედა ტერასაზე, კლდის ქვაბულში მდებარეობდა. კლდის ზედაპირი, რაზეც აკლდამა იდგა, დამუშავებული იყო. შემორჩა სამარხი კამერის (2.7მX2.7მ) კედლების 2 რიგი. აკლდამას წინ ეზო (2.7მX2მ) ჰქონდა, სადაც სამსაფეხურიანი კიბით იყო ჩასასვლელი. კედლები კარგად დამუშავებული ქვიშაქვის ბლოკების (სიმაღლე 31-36სმ) მშრალი წყობით იყო აშენებული. კუთხის ქვებზე ლითონის ვერტიკალური სამაგრის ბუდეები იყო ამოკვეთილი. ლითონის სამაგრები ტყვიით ყოფილა გამყარებული. ქვიშაქვის ბლოკების კედლის უკან აღმოჩნდა ქვიშაქვის ცუდად დამუშავებული ნატეხებისა და ქვითკირის კედელი. სამარხი კამერის იატაკი შელესილი ყოფილა კირის, ქვიშისა და ტერაკოტული ფხვნილის 4სმ-იანი ხსნარით. აკლდამაში აღმოჩნდა აგურის, კარნიზისა და ფრიზის ფრაგმენტები. კარნიზზე ნარინჯისფერ ფონზე მოხატული იყო შავი კბილანები (ციციშვილი 1950, 187-89) (ილუსტრაცია 34).

მუხედავად იმისა რომ, აკლდამა ძალზე ცუდ მდგომარეობაში შემორჩა, ორი სამშენებლო ტექნიკა მაინც გამოვლინდა - ქვის მშრალი წყობა და ლითონის სამაგრები და ქვითკირის გამოყენება. ძნელი სათქმელია, რა დროს მოხდა ამ ორი განსხვავებული სამშენებლო ტექნოლოგიის გამოყენება თუ აღრევა.

ნაქალაქარზე გამოვლენილი მეორე სამარხი ნაგებობა, სარკოფაგი, ჩრდილოეთ მხარეს მდებარეობდა, მეორე აბანოსაგან 15მ-ის დაშორებით. იგი მთლიანი ქვიშაქვისაგან გამოთლილი ორი ნაწილისაგან შედგებოდა - მართკუთხა სამარხი ყუთისა და ორფერდა სახურავისაგან. მისი ზომები იყო 1.85მX0.6მX0.65მ. სახურავი ყუთთან რკინის ჰორიზონტალური, კავებიანი სამაგრებით იყო დამაგრებული. სამაგრის ბუდეებში ტყვია იყო ჩასხმული. სარკოფაგში ადამიანის ნაშთებიდან მხოლოდ მცირეწლოვანი ბავშვის კბილები აღმოჩნდა. გამოვლენილი მდიდრული ინვენტარიდან განსაკუთრებულ ყურადღებას გრიფონისგამოსახულებიანი ვერცხლის ოთხი გარსაკრავი იმსახურებს.

გარსაკრავები სამარხის კუთხეში იყო დანყოფილი. სარკოფაგში ოქროს ხვიები და ოქროს სამკაული – მძივები, ძეწკვი, კამეოიანი სამაჯურები, თვალბუდა ბეჭდები და სუფრის ვერცხლის ჭურჭელი – ვაზა, ლანგარი, თასები და კოვზები აღმოჩნდა (აფაქიძე 1963, 102-103; ნიკოლაიშვილი 2011, 46) (ილუსტრაცია 35).

სარკოფაგში აღმოჩენილი არტეფაქტები, ფასეულობით, სამეფო ნივთების ტოლფასია. განსაკუთრებით აღსანიშნავია სავარძლის თუ ტახტის - კლინეს (κλινη) ვერცხლის გარსაკრავები. ამგვარად სტილიზებული ფეხები აქემენიდთა ტახტებს ამშვენებდა (ჯამზაძე 1995, 2-21). ისინი ასევე გავრცელებული იყო ელინისტურ სამყაროში. აი ხანუმის ტაძარში აღმოჩენილი სპილოს ძვლისაგან გაკეთებული სკამის თუ სავარძლის ფეხები ძვ.წ. 145 წლით დათარიღდა (ჭიბერტი, ქამბონი 2008, 118).

არმაზისხევეში, ე.წ. ბერსუმა პიტიახშის სარკოფაგის კუთხეშიც გამოვლინდა კლინეს ვერცხლის გარსაკრავები (აფაქიძე 1963, 118).

ჩემი აზრით, გარსაკრავები ტახტის ფეხებს ამშვენებდა და არა მიცვალებულის სარეცლისას და მათ გარდაცვლილს სამარხში, როგორც განმასხვავებენ ნიშანს, ინსიგნიას ისე ატანდნენ.

სუფრის ვერცხლის ჭურჭლიდან აღსანიშნავია თასი, რომელზეც ორ რეესტრადაა გამოსახული მამაკაცის ნიღაბი პროფილში, ძაღლები, დათვი, ტახი და ლომის ჯიხვზე ნადირობის სცენები. ზედა რეესტრში ტაძრის მოდელია გამოსახული. მთავარ ფასადზე ფრონტონი და ორი სვეტია. გამოსახულებები დახვეწილობითა და მაღალმხატვრულობით გამოირჩევა. თასი მასიური ვერცხლისაგან არის დამზადებული და ყალიბშია ჩამოსხმული. მამაკაცის ამგვარი ნიღბები ბახუსთან ასოცირდება და გამოსახული იყო მესამე-მეოთხე საუკუნეების ვერცხლის ნატიფ რომაულ თასებზე (ქენთი, ფეინთერი 1977) (ილუსტრაცია 36).

მასიური ქვისაგან გამოთლილი სარკოფაგი სამარხის იშვიათი ფორმა იყო. როგორც ა. აფაქიძემ აღნიშნა, სულ 6 სარკოფაგი აღმოჩნდა მცხეთასა და მის შემოგარენში, არმაზის ჩათვლით. სარკოფაგების ყუთების შიდა ზომები სიმცირით გამოირჩეოდა. ეს ქვის გამოთლისა და დამუშავების სირთულეზე იყო დამოკიდებული

(აფაქიძე 1963, 101). შესაბამისად, ამგვარი სარკოფაგის დამზადება ისეთ ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული, რომელსაც მხოლოდ საკმაოდ შეძლებული ოჯახი თუ გასწვდებოდა.

სარკოფაგი საოჯახო უნდა ყოფილიყო და მასში, მინიმუმ, ორი ადამიანი უნდა ყოფილიყო დაკრძალული, რადგანაც იქ ქალის სამკაულები და ბავშვის კბილები აღმოჩნდა. ნიშანდობლივია სარკოფაგში ადამიანის ძვლების არარსებობა. ამ ფაქტის ახსნაში აი ხანუმის სარკოფაგები შეიძლება დაგვეხმაროს. აი ხანუმის სარკოფაგები ნახევრად მიწის ზედაპირზე მდებარეობდა. სამარხ კამერებს პერიოდულად აცარიელებდნენ და ძვლებს ქოთნებში ათავსებდნენ, რათა მომავალში გარდაცვლილი ოჯახის წევრებისათვის დასაკრძალავი ადგილი გამოთავისუფლებულიყო. ქოთნებს მელნით ზემოდან მიცვალებულის სახელს აწერდნენ. ზოგიერთი წარწერის აღდგენა მოხერხდა. ისინი ბერძნულ ენაზე იყო შესრულებული (ჰიბერტი, ქამბონი 2008, 94). დამარხვის თითქმის ანალოგიური წესია დადასტურებული არმაზისხევის ე.წ. ბერსუმა პიტიახშის სარკოფაგში, სადაც ადამიანის ძვლები ვერცხლის ლანგრებზე იყო დანყობილი. ერთი, უფრო დიდი და გაშლილი, ლანგრის ქუსლზე შიგნიდან ამოკანრულ წარწერზე მიცვალებულის სახელი იყო მითითებული: „მე, მეფე ფლავიოს დადემ ვაჩუქე ბერსუმა პიტიახშს“⁸. გათხრისთანავე გამოითქვა აზრი, რომ სარკოფაგი თავიდანვე მიწის ზედაპირიდან სანახევროდ ამოწეული უნდა ყოფილიყო და „მეორადი დამარხვის“ შემთხვევას ასახავდა (აფაქიძე 1963, 118). ძვლები, ასევე, დალაგებული იყო ლანგრის გვერდით მდებარე ცხენისა და ბომონის გამოსახულებიან პინაკზე (აფაქიძე 1955, 56). პინაკზე დალაგებული მიცვალებულის ძვლები ბორის სამარხშიც გამოვლინდა. ბორის ცხენის გამოსახულებიან პინაკზე წარწერა იყო ამოკანრული „ბუმირ კეთილი პიტიახში“ (აფაქიძე და სხვა 1955, 56), რომელიც მიცვალებულის ვინაობას გვამცნობდა.

არმაზის სარკოფაგში ქოთანში ჩალაგებული ან ლანგარზე დანყობილი ძვლები არ აღმოჩენილა, მაგრამ საფიქრებელია, რომ სარკოფაგი დაშლილი ძვლებისაგან გაიწმინდა და სხვა მიცვალებულის დასამარხად მომზადდა.

⁸ თარგმანი ს. ყაუხჩიშვილისა.

არმაზის სარკოთავი გაუძარცვაფი აღმოჩნდა, თუმცა მისი სახურავი დაზიანებული იყო. სავარაუდოდ, იგი სარკოთავის არაერთხელ გახსნისა და დალუქვის, სამაგრების ტყვიით გამაგრების შედეგად დაზიანდებოდა.

სარკოთავი რომ მდიდარ და დიდგვაროვან ოჯახს ეკუთვნოდა, ამას სამარხეული ინვენტერი და სარკოთავის განლაგება მონშობს. მიჩნეული იყო, რომ სარკოთავი ქალაქის შესასვლელში მდებარეობდა (ათაქიძე 1963,102). თუ ეს ადგილი მართლა ქალაქის ჩრდილოეთი შესასვლელი იყო, მაშინ მდიდრული სამარხის ამ ადგილას მდებარეობა შესაძლოა იმით აიხსნას, რომ ქალაქის დაფასებული თუ გავლენიანი პირები გამოსაჩენ ადგილას იკრძალებოდნენ. ეს ბერძნული ტრადიცია გახლდათ, რომელიც ელინისტურ სამყაროშიც გავრცელდა (ჰიბერტი, ქამბონი 2008, 94).

როგორც ნაქალაქარზე შემთხვევით აღმოჩენილი არქიტექტურული დეტალებიდან ჩანს, არმაზში კიდევ სხვა ნაგებობებიც იყო. ისინი ბერძნულ-რომაული სამშენებლო ტრადიციების მიხედვით ყოფილა აშენებული. ამაზე ლომისთავისგამოსახულებიანი ფრიზი მეტყველებს, რომელიც მეორე-მესამე საუკუნეებით დათარიღდა (ყიფიანი 1993, 52-60) (ილუსტრაცია 37.1).

ლომის თავის გამოსახულებით ანტაბლემენტის შემკობა ელინისტურ არქიტექტურაში ფართოდ იყო გავრცელებული, მაგალითად, არტემიდას ტაძარი მაგნეზიაში, ზევსის ტაძარი ნემეაში (ვინთერი 2006, 343, 432), იუპიტერის ტაძარი ბაალბეკში და სხვა. არმაზის ფრიზი ელინისტური არქიტექტურის ნიმუშებისათვის დამახასიათებელ ისეთ ნიშნებს ამჟღავნებს, როგორიც არის ლომის თავისა და ვარდულის ფრიზიდან წინ გამოწევა, თუმცა იგი არ გამოირჩევა დახვეწილობით და შესრულების მაღალი ხარისხით. არმაზის ფრიზი რომ შევადაროთ რომელიმე ზემოთ აღნიშნულ მაგალითს, იგივე ბაალბეკის ანტაბლემენტს, ნათელი გახდება, რომ იგი პროვინციული მინაბაძია, რომელიც შესაძლოა რომაულ ხანაშიც შექმნილიყო (ილუსტრაცია 37.2).

რომაული არქიტექტურა ეკუმენური იყო. იგი ითვისებდა სხვა სამშენებლო ტრადიციებს, ავითარებდა და შემდეგ ავრცელებდა. რომაული არქიტექტურა რომის ექსპანსიასთან ერთად ვრცელდებოდა. შესაძლოა, რომაული არქიტექტურა უშუალოდ

იტალიაში არ წარმოშობილა, მაგრამ მისი რომანული ძირი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი სწორედ ქალაქი რომიდან და მისი შემოგარენიდან ვრცელდებოდა. ცენტრალური იტალია ის ლაბორატორია იყო, სადაც, ძირითადად, ბერძნული წარმოშობის არქიტექტურული იდეები გამოიყვანებოდა და შემდგომ სხვადასხვა მიმართულებით ვრცელდებოდა. საერთო ვიზუალური და სივრცობრივი ენა რომის მთელ იმპერიას მოედო. თალი, კამარა, ბერძნული თუ ტოსკანური ორდერი, აბანო, შიდაემო, ორნამენტული ფანტანი, აკვედუკი, ცისტერნა და მრავალი სხვა არქიტექტურული დეტალი პანმედიტერანული კონინეს შემადგენელი ნაწილი გახდა (თეილორი 2003, 7).

რომის აღმოსავლეთ იმპერიაში შედიოდა საბერძნეთი, მცირე აზია, სირია, არაბეთი, არმენიის დიდი ნაწილი, ასურეთი და მესოპოტამია. რომაელების დაპყრობამდე ეს ტერიტორია ელინისტური სამყარო იყო. აქ კოლონებისა და ორდერების არქიტექტურული სტილი იყო გავრცელებული, რომელიც კლასიკურ საბერძნეთში განვითარდა. ამ არქიტექტურულ ტრადიციებს იმდენად ღრმა ფესვები ჰქონდა, რომ რომის გავლენის ქვეშაც კი განაგრძობდა არსებობას. ასე რომ, რომის აღმოსავლეთ იმპერიის არქიტექტურული სტილი ურყევი ელინისტური ტრადიციების განვითარების საბოლოო ეტაპად შეიძლება მივიჩნიოთ (სიარი 1983, 231).

არქიტექტურის განხილვისას ღრო, რელიგია და საზოგადოება უნდა იყოს გათვალისწინებული, რადგანაც ეს სამი ფაქტორი ახდენს გავლენას მასზე. მაგალითად, ბერძნები ტაძრებს ღმერთებისა და ქალღმერთების სახლებად იაზრებდნენ. მშენებლობაში ისინი ამ მიდგომის გარდა იმასაც ითვალისწინებდნენ, რომ ტაძარი რელიგიური ცერემონიებისა და რიტუალების ჩასატარებლად მოსახერხებელი ყოფილიყო. ამ მიდგომამ ბერძნული არქიტექტურის ევოლუციაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. ტაძრების საშენ მასალად მარმარილოს იყენებდნენ, რაც ბერძნებისათვის ადვილად ხელმისაწვდომი იყო. მასალაც ახდენდა გარკვეულ ზეგავლენას არქიტექტურული ფორმების განვითარებაზე (ანდერსონი 1907, 52).

სამშენებლო მასალის საგულდაგულო არჩევასა და დამუშავებაში არმაზში შრომის ორგანიზაციის მაღალი დონე გამოიხატა. მასალის შერჩევა და დამუშავება კიდევ

დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული, მაგალითად, კარიერის მოძებნა, იქიდან მასალის მოტანა და მისი დამუშავება. ამიტომ, სამშენებლო მასალის არჩევასა და გამოყენებაში მნიშვნელოვან როლს ადგილობრივი ბუნებრივი რესურსები და მათთან სიახლოვე ასრულებდა. მშენებლობაში ძირითადად ის მასალა გამოიყენებოდა, რომელიც ადვილად ხელმისაწვდომი იყო. იმავე მასალაზე იყო დამოკიდებული ნაგებობების სტილიც და დეკორაციაც. რომაული არქიტექტურაც კი, პირველ საუკუნემდე, ადგილობრივ ბუნებრივ რესურსებზე იყო დამოკიდებული. პირველი საუკუნის შემდგომ რომის ექსპანსიის ზრდამ სავაჭრო ქსელების გაფართოება გამოიწვია იმდენად, რომ რომაელებს საშენი და მოსაპირკეთებელი მასალა სხვადასხვა კონტინენტიდანაც კი შემოჰქონდათ, მაგალითად, მარმარილოსა და ხის ძვირფას ჯიშებს აფრიკიდან და აზიიდან ეზიდებოდნენ. ამგვარი მასშტაბი რომის იმპერიას ახასიათებდა, მაგრამ მაშინ როდესაც საქმე ცენტრს ეხებოდა, უშუალოდ ქალაქ რომის მშენებლობას, და არ ვრცელდებოდა პროვინციებსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე.

არმაზში გამოყენებული ყველა სამშენებლო მასალა - ქვა, თიხა, ხე - ადგილობრივად მოიპოვებოდა, რაც მნიშვნელოვნად ამარტივებდა და აიაფებდა სამშენებლო საქმეს. არმაზის სასიმაგრო კედლების ხარჯების გამოთვლის მცდელობა ვ. ლიჩელს აქვს მოცემული (ლიჩელი 2001, 51-52). მიუხედავად ბუნებრივი რესურსების არსებობისა მშენებლობა ყოველთვის დიდ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული და ამიტომ მიმართავდნენ ზოგიერთი საშენი მასალის ხელმეორედ გამოყენებას. მაგალითად, ქვიშაქვის ბლოკების მეორადი გამოყენების ფაქტები ნაქალაქარზე (აბანოები, ცისტერნა) და მის უშუალო სიახლოვეშიც აღინიშნება.

შრომის კარგი ორგანიზაცია შენობის დიზაინზე და მის ხარისხზეც აისახებოდა. თუკი მასალა, სამშენებლო ტექნიკა, დანადგარი და ხელოსანი არ შეესაბამებოდნენ ერთმანეთს, მთელი სამშენებლო პროცესი განწირული იყო. მხოლოდ კარგ მშენებლებს, სწორი სამშენებლო ტექნიკის გამოყენებით, შეეძლოთ კარგი შედეგების მიღწევა (თეილორი 2003, 15). არმაზის ურბანული სახე სხვადასხვა დანიშნულების მქონე ნაგებობებმა განსაზღვრა. ზოგიერთი მათგანი თვალსაჩინო არქიტექტურის ნიმუშებს

მიეკუთვნება, მაგალითად, ქვის კვადრებით ნაგები სასიმაგრო კედლის ერთი მონაკვეთი, სვეტებიანი დარბაზი და აბანოები. საყოფაცხოვრებო დანიშნულების გარდა, მათ იდეოლოგიური მნიშვნელობაც ექნებოდათ. ისინი ქალაქის ან ხელისუფლის პრესტიჟს უსვამდნენ ხაზს.

ქალაქი ღია სისტემაა, სადაც მრავალი ფუნქციურად განსხვავებული შენობაა, მიმდინარეობს სხვადასხვა პროცესი, სამშენებლო, სავაჭრო, რელიგიური თუ სამეურნეო, ხდება ამ პროცესების ორგანიზება და მართვა. არმაზის არქეოლოგიური მასალა ყველა ამ პროცესს ასახავს. არმაზში ყოფილა სამეურნეო, საზოგადოებრივი, საცხოვრებელი ნაგებობები ⁹, სანიტარულ-ჰიგიენური დაწესებულებები, კარგად გამართული წყალგაყვანილობის და დამცავი სისტემები. ქალაქს ორი კარიბჭე ჰქონია - სამხრეთით და ჩრდილოეთით. სამხრეთის კარიბჭე მთავარი უნდა ყოფილიყო. „ვესპასიანეს სტელაც“ სამხრეთით აღმოჩნდა, თუმცა არმაზიდან 5კმ-ის დაშორებით.

არმაზში იბერიის უმაღლესი პირები ცხოვრობდნენ, რომელთაც ბასილევსებად იხსენიებდნენ (დიონ კასიუსი LVIII, 4). ქალაქი ღვთაება არმაზის სახელობის იყო, რომლის კერპიც მთა ქართლზე ყოფილა აღმართული: „და ვიდრე აღმართებამდე მუნ-ზედა კერპი არმაზისი ერქუა მთასა მას ქართლი (ქც 1955, 8).

საკითხავია, თუ რამ და როდის გამოიწვია ქალაქი არმაზის დაარსება და განვითარება. დასახლებათა წარმოშობასა და განვითარებას სხვადასხვა ბუნებრივი და კულტურული ფაქტორი განაპირობებდა. დასახლებები იქმნებოდა მაღლობებზე, დაბლობებზე, მდინარისპირას, სამეურნეო მიწებთან ახლოს, სიმაგრეების, რელიგიური ცენტრების ირგვლივ და ა.შ. ვითარდებოდა სპონტანურად ან გეგმაზომიერად. ლანდშაფტი ამ პროცესებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, საზღვრავდა დასახლების გავრცელების არეალს, განაპირობებდა დასახლების ტიპს. ზოგი ქალაქი მთავარი გზების ან მდინარეების გადაკვეთაზე წარმოიშობოდა და შემდგომ ამ გზაჯვარედინის ცენტრი ხდებოდა, ზოგი გზების ან მდინარეების გასწვრივ არსდებოდა. ამ ფაქტორების ზეგავლენით, დასახლებები განსხვავებული ფორმით ყალიბდებოდა.

⁹ უახლესმა გათხრებმა მრავალი მანამდე უცნობი ნაგებობის ნაშთი გამოავლინა (ნიკოლაიშვილი 2013).

გზაჯვარედინის ან სხვა რომელიმე მნიშვნელოვანი პუნქტის ირგვლივ განვითარებული დასახლება მრგვალი გეგმარებით აღინიშნებოდა, ხოლო გზის ან მდინარის გასწვრივ წარმოშობილი - უფრო გრძელი და ვიწროთი.

არმაზი მთის თერდობზე მდებარეობდა, რომლის ჩრდილოეთი მხარე კლდეებით ბუნებრივად იყო გამაგრებული. მისი გეგმარება, საზღვრები და ეკონომიკის ტიპიც ლანდშაფტმა განაპირობა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნიადაგის სტრუქტურიდან გამომდინარე, ამ ტერიტორიის ათვისების წინა პირობა მიწათმოქმედება ვერ გახდებოდა. მას მესაქონლეობის პოტენციალი ჰქონდა, მაგრამ მეტად ხელსაყრელი მდებარეობა გზებისა და მდინარეების გადაკვეთაზე გარემომცველი ბუნების დომინანტად აქცევდა. არმაზი ზემოდან გადაჰყურებდა სატრანსპორტო გზებს და საფიქრებელია, რომ აკონტროლებდა მათ. ამ გზებით როგორც თავდამსხმელს, ისე მოგზაურსა თუ ვაჭარს ერთნაირად შეეძლო სარგებლობა. „გამოვლეს ზღუა გურგანისი, აღმოყვეს მტკუარსა და მოვიდეს მცხეთას...“ (ქც 1955, 15) - ასე აღწერს ლეონტი მროველი თურქთა მცხეთამდე მოსვლის მარშრუტს. ნინოც მტკვრით მოსულა მცხეთაში: „ხოლო ნინო დაშთა და წარმოემართა მთათა კერძო ჩრდილოისათა და მოვიდა მდინარესა მტკუარსა, მოჰყვა და მოვიდა მცხეთად (მქ 1963, 84). ეს სატრანსპორტი გზა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროც იქნებოდა. ამ რეგიონში მდინარე მტკვრისა და მასთან დაკავშირებული სატრანსპორტო გზების მნიშვნელობას აღნიშნავს ოთარ ლორთქიფანიძე თავის მონოგრაფიაში „ძველი საქართველო (კოლხეთი და იბერია) სტრაბონის გეოგრაფიაში (ლორთქიფანიძე 2010).

სწორედ ხელსაყრელი მდებარეობის გამო გახდა არმაზი დანინაურებული და სტრატეგიული მნიშვნელობის დასახლება და რომაული მილიტარისტული ინტერესის სფერო. ამ მიზეზის გამო ფიგურირებდა არმაზი რომაელი გეოგრაფებისა და ისტორიკოსების თხზულებებშიც, რომლებიც რომის მმართველთა დაკვეთას ასრულებდნენ და მათთვის საინტერესო და საჭირო გეოგრაფიულ არეალზე და ისტორიულ ვითარებებზე წერდნენ.

რომაული სამყაროს გეოგრაფიის მიმოხილვისას სტრაბონი იბერიის ორი გამაგრებული ქალაქის მდებარეობას აღწერს მოკლედ, რომელთაგან პირველი არმოზიკეა, და გვამცნობს, რომ მათთან მისასვლელი გზებით პირველად პომპეუსმა ისარგებლაო (სტრაბონი XI, III, 5). ეს ნიშნავს, რომ პომპეუსის იბერიაში ლაშქრობის დროს, ძვ.წ. 65 წელს, ქალაქი უკვე არსებობდა და არმოზიკეს (Αρμωζικη) სახელით მიაღწია სტრაბონამდე, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის მიჯნაზე ქმნიდა თავის ნაშრომს, სავარაუდოდ, რომში. თავად სტრაბონი ძვ.წ. 64 წელს დაიბადა და არასდროს ყოფილა იბერიაში, მაგრამ იგი სანდო წყაროებს ეყრდნობოდა (დუეკი 2000, 14). ახ.წ. პირველ საუკუნეში არმაზს პლინიუს უფროსი ჰერმასტუსად (Hermastus) იხსენიებს (პლინიუსი VI, X, 29-30), ხოლო ახ.წ. მეორე საუკუნეში პტოლემეაიოსი იბერიის ქალაქთა ჩამონათვალში აღნიშნავს, როგორც არმაქტიკას (Αρμακτικα) (პტოლემეაიოსი X). დიონ კასიუსისათვის, რომელიც რომის ისტორიას 207-209 წლებში წერდა (მილარი 1964, 30), არმაზს საკუთარი სახელი აღარ გააჩნია. დიონ კასიუსი მას აკროპოლოსად იხსენიებს (დიონ კასიუსი XXXVII, 1, 3). პირველი სამი ავტორი რომაული სამყაროს გეოგრაფიულ აღწერასა და დაყოფას ემსახურებოდა, ხოლო მეოთხე - რომის ისტორიის დაწერას. ამავე კონტექსტში აღსანიშნავია მეოთხე-მეხუთე საუკუნეების რუკის მე-13 საუკუნის ასლი - ტაბულა პეუტინგერიანა, რომელიც რომაული სამყაროს საგზაო ქსელს ასახავს სქემატურად. რუკას გეოგრაფიული სიზუსტე არ გააჩნია, თუმცა ზოგიერთი დეტალი სწორად არის აღნიშნული. არმაზი ამ რუკაზე უსახელო პუნქტად არის დატანილი. რუკაზე ასახული ქსელი რომის იმპერიის გეოგრაფიულ პუნქტებს ისევე უკავშირდება, როგორც თანამედროვე მეტროპოლიტენის სისტემა ქალაქის უბნებს (ქორნელი, მეთიუსი 1982, 117).

ბერძნულ-ლათინურენოვან ავტორებთან არმაზის მოხსენიების თანმიმდევრობა, პტოლემეაიოსის კოორდინატები და ასევე ტაბულა პეუტინგერიანაზე არმაზის არაღნიშვნა განხილულია ლ. მელიქსეთ-მეგის არმაზნიში. იგი ვარაუდობს, რომ ტაბულა პეუტინგერიანაზე აღნიშნული უსახელო ციხე კიროპოლისია (ციხე მტკვარზე) და არა არმაზის ციხე (მელიქსეთ-ბეგი 1938, 45-48, 57).

შუა საუკუნეების ქართულ ისტორიულ წყაროებში არმაზი რამდენიმე მნიშვნელობითაა ნახსენები - მთა არმაზი, კერპი არმაზი, ციხე არმაზი და ქალაქი არმაზი.

არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების შეჯერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ არმაზი, როგორც იბერიის სატახტო ქალაქი, მინიმუმ, ძვ.წ. პირველი საუკუნიდან მაინც არსებობდა. მეორე-მესამე საუკუნეებში ქალაქი რომაული ურბანიზაციის პროცესებს ასახავს. ის, რომ დიონ კასიუსი არმაზს აკროპოლისად იხსენიებს, შესაძლოა, იქ რომის ჯარის ნაწილების დისლოცირებით ყოფილიყო განპირობებული. მესამე საუკუნის ისტორიკოსისათვის, განსხვავებით პირველი-მეორე საუკუნეების გეოგრაფებისაგან, რომელთაც დასახლებული თუ გამაგრებული პუნქტების აღწერა და მდებარეობის განსაზღვრა მოეთხოვებოდათ, ქალაქი, რომელიც იმპერიის განაპირას მდებარეობდა და სადაც რომის ჯარის განაყოფი იყო განთავსებული, აკროპოლისად აღიქმებოდა. ის, რომ რომაელი ჯარისკაცები არმაზში უნდა ყოფილიყვნენ განლაგებულნი, ამაზე ცისტერნის მდებარეობა, ზომა და მოცულობა მიუთითებს. 200.000მ² ფართობზე მდებარე ქალაქის მოსახლეობისათვის დაახლოებით 1.260მ³ მოცულობის სასმელი წყლის ცისტერნა არ უნდა ყოფილიყო საჭირო. არც სასმელი წყლის დეფიციტი უნდა ყოფილიყო არმაზში, რადგანაც ქალაქი კარსნისხევის წყაროებით კარგად მარაგდებოდა. ორივე აბანოს თავისი წყალმომარაგება ჰქონდა. საფიქრებელია, რომ ცისტერნა რომაელი ჯარისკაცების სასმელი წყლით მოსამარაგებლად აიგო, ისევე, როგორც პისცინა მირაბილისი - კამპანიაში. სასმელი წყლით ჯარის მომარაგება სამხედრო კამპანიების დროს მეტად მნიშვნელოვანი იყო. დიონ კასიუსი აღწერს, თუ როგორ იტანჯებოდნენ წყურვილით რომაელი ჯარისკაცები, როდესაც კოლხეთში ლაშქრობის დროს სასმელი წყალი გაუთავდათ (დიონ კასიუსი XXXVII, 6).

მეოთხე საუკუნის დასაწყისში პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი არმაზიდან მცხეთაში გადადის. ამდენად, არმაზი სატახტო ქალაქი აღარ არის, მაგრამ არსებობას განაგრძობს, როგორც რიგითი ქალაქი (შემორჩენილია შუა საუკუნეების არქიტექტურის ნაშთები). მერვე საუკუნეში არაბების შემოსევამ ქალაქი გაანადგურა: „არამედ იყო ქალაქი არმაზი აქიდგან, ვიდრე ნაქუღბაქევამდე, და ყრუსაგან და შემდგომად მისა მოოხრდა,

ხოლო ან არს დაბნები” (ვახუშტი 1941, 55, 20). ვახუშტი ბავრათიონის განმარტებით, დაბნები, დაბა უდაბნოს, ანუ გაუკაცრიებელ ადგილს ნიშნავს. არაგვის კარის აღმოსავლეთი მხარის აღწერაშიც იგი იმავე ტერმინს ხმარობს: „ხოლო ან აღარა არს ქალაქი, არამედ დაბა, რამეთუ შემდგომად ყრუსა მოხზრდა” (ვახუშტი 1941, 61, 30). ამის შემდგომ არმაზში უწყვეტი ცხოვრების კვალი შეწყდა, რამაც, ფაქტობრივად, ნაქალაქარის დაკონსერვება განაპირობა.

მთა ქართლის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდებზე ქალაქ არმაზთან დაკავშირებული რამდენიმე არქეოლოგიური უბანი გამოიკვეთა. ესენია: მოგვთაკარი, კარსნისხევი და მუხათგვერდი (ილუსტრაცია 38).

მოგვთაკარის არქეოლოგიური უბანი

მოგვთაკარის ნამოსახლარი და სამაროვანი არქეოლოგიური უბანია, რომელიც მთა ქართლის ჩრდილოეთი კალთის ძირში, მდინარე მტკვრის სამხრეთ ნაპირზე, თანამედროვე ქალაქი მცხეთის რკინიგზის სადგურის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხოლო არმაზის ნაქალაქარის ჩრდილოეთი კარიბჭიდან დასავლეთით დაახლოებით 2კმ-ის დაშორებით არის განლაგებული. მოგვთაკარის არქეოლოგიური უბანი დღეს თანამედროვე ქალაქი მცხეთის ტერიტორიაში შედის და დასახლებული პუნქტის ტერიტორიაზე მდებარეობს. ამიტომ, იგი ნაწილობრივად გამოვლენილი.

მოგვთაკარი, როგორც ტოპონიმი, ქართულ ისტორიულ წყაროებშია მოხსენიებული. ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთას” მიხედვით, ქართლის მეოთხე მეფე ფარნაჯომმა ცეცხლმსახურნი და მოგვნი ჩამოასახლა და დაასახლა მცხეთის იმ ნაწილში, რომელსაც შემდგომ მოგვთა ეწოდა (ქც 1955, 29, 5). მოგვთა ქალაქი მცხეთის დასავლეთით, ხიდის ახლოს მდებარეობდა. იქ იყო ელიოზის სახლიც, რომელმაც მცხეთაში ქრისტეს კვართი ჩამოიტანა (ქც 1955, 99, 101). ნინოს დროს

მტკვრის კურთხევაც და დიდებულთა მონათვლაც მოგვთასთან მოხდა, რის შემდეგაც ამ ადგილს მთავართა სანათლო ეწოდა (ქც 1955, 116, 10).

ჯუანშერის „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისაში“ ერისთავი ბარზაბოდის მიერ მცხეთაში წარგზავნილი ცეცხლმსახურნიც მოგვთაში სახლდებიან: „მაშინ ბარზაბოდ წარმოგზავნა ცეცხლის-მსახურნი მცხეთას და მათ ზედა ეპისკოპოსად ბინქარან, და დასხდეს მოგუთას“ (ქც 1955, 145,5). ვახტანგ გორგასლის აღმშენებლობით საქმიანობაშიც ფიგურირებს ტოპონიმი მოგვთა: „ხოლო ვახტანგ განათართა ხიდი მოგუეთისა ვითარ სამოცი მხარი ქცევისათვის მას ზედა სპათასა“ (ქც 1955, 180, 5).

არქეოლოგიური არტეფაქტები (ძვ.წ. მეხუთე - ახ.წ.მესამე ს.ს.) მოგვთაკარზე, პირველად, შემთხვევით, 1926 წელს გამოვლინდა. ასევე შემთხვევით აღმოჩენილა ერთი კრამიტსამარხი 1937 წელს. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის გათხრებიც 1937 წელს დაიწყო და გაგრძელდა 1943 წელს. გამოვლინდა ქვითა და კრამიტით ნაგები რამდენიმე სამარხი. 1951 წელს მცხეთის ექსპედიციამ აკლდამა აღმოაჩინა (აფაქიძე და სხვა 1955, 6). 1975 წელს მცხეთის ექსპედიციამ დაზვერვითი სამუშაოები განახორციელა და გათხარა 1 ორმოსამარხი, ხოლო 1977-78 წლებში რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებულმა მაშველმა გათხრებმა გამოავლინა რომაული ხანის სამაროვანი და ნამოსახლარი (ილუსტრაცია 39). სამაროვანზე სულ ოცამდე სამარხი გაითხარა, ხოლო ნამოსახლარზე - 3 ნაგებობისა და 2 კედლის ნაშთები (აფაქიძე და სხვა 1981, 119-126; სიხარულიძე, აბუთიძე 1985, 109-131).

სამარხთა უმრავლესობა (15 კრამიტსამარხი) ტეგულითა და იმბრექსით აგებული კრამიტსამარხი იყო (ილუსტრაცია 40). ისინი მიწაში ჩაჭრილ ორმოებში იყო ჩადგმული. ზოგს ორფერდა სახურავი ჰქონდა, ზოგს - ბრტყელი; ზოგის იატაკი თიხატკეპნილი იყო, ზოგის - თიხის ფილებით მოგებული, ზოგის კი ქვიშაქვის. სამაროვანზე ასევე გამოვლინდა ქვიშაქვის ფილებითა და კრამიტით აგებული სამარხი, ორმოსამარხი, ქვაყუთი და აკლდამა (აფაქიძე და სხვა 1981, 126-127).

კრამიტსამარხების საილუსტრაციოდ სამარხი No1-ის აღწერილობა გამოდგება. იგი მდებარეობდა თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 1.77მ-ის სიღრმეზე, კენჭოვან თიხნარ

ფენაში ამოჭრილ ორმოში. გვერდები და სახურავი ტეგულებისა ჰქონდა. მათი გადაბმის ადგილები იმბრეცებით იყო დაფარული. სამარხს ორფერდა სახურავი ჰქონდა, იატაკი - თიხატკეპნილი. კრამიტსამარხის ასაშენებლად 44 კრამიტი იყო გამოყენებული. კრამიტსამარხის გარე ზომები იყო 2.1მX1.3მ, ხოლო სამარხი კამერის - 1.65მX0.78მX0.53მ. მიცვალებული მარჯვენა მხარეს, ხელფეხმოკეცილი ესვენა, თავი აღმოსავლეთის კედელთან ჰქონდა; თავთან თიხის ორი დოქი და მინის ერთი თასი ედგა; თავქვეშ ოქროს ფირფიტა და რკინის საკინძი აღმოჩნდა (აფაქიძე და სხვა 1981, 126-29).

მდიდრული და მრავალფეროვანი ინვენტარით გამოირჩეოდა სამარხი No6, სადაც 40 ნივთი აღმოჩნდა. მათგან აღსანიშნავია პართული და რომაული მონეტები და რკინის თვალბუდა ბეჭედი, რომელსაც სარდიონის თვალზე ჰქონდა ბერძნული წარწერა: „Κυρια Καλη” - მშვენიერი კალე (აფაქიძე და სხვა 1981, 129-130; სიხარულიძე, აბუთიძე 1985, 111).

ზოგიერთ კრამიტსამარხში მიცვალებულებს პირში და ხელში მონეტები აღმოაჩნდათ (აფაქიძე და სხვა 1981, 127).

მოგვთაკარის სამაროვანი დაახლოებით 500მ² ფართობზე არის გამოვლენილი¹⁰. იგი პირველი-მესამე საუკუნეებით დათარიღდა (აფაქიძე და სხვა 1981, 130).

მოგვთაკარის დასაკრძალავ ნაგებობათა შორის აღსანიშნავია აკლდამა, რომელიც 1951 წელს გაითხარა და „მცხეთის აკლდამის” სახელით გახდა ცნობილი. აკლდამა 1970-იან წლებში გათხრილი სამაროვნის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მთა ქართლის ჩრდილოეთ ფერდზე მდებარეობს. იგი ფერდობის მოჭრის შედეგად წარმოქმნილ, საგანგებოდ მოსწორებულ ადგილზეა აშენებული, მინის თანამედროვე ზედაპირიდან 0.8მ სიღრმეზე. აკლდამა ერთკამერიანი, თაღოვანი ნაგებობაა, რომელსაც მთავარი, აღმოსავლეთი ფასადი სწორი აქვს. აღმოსავლეთი ფასადი განსხვავებული სამშენებლო ტექნიკით არის აშენებული - ქვიშაქვის კარგად დამუშავებული სხვადასხვა ზომის ბლოკების მშრალი წყობით. აღმოსავლეთი ფასადის პირველი რიგი უფრო გრძელია, ვიდრე დანარჩენი ექვსი. მის ცენტრში კარნიზებით მოჩარჩოებული ლიობია. კარნიზებით ბოლოვდება ფასადის ფრონტონიც. ჩრდილოეთის, სამხრეთისა და დასავლეთის

¹⁰ სამაროვნისა და ნამოსახლარის ზომები მოცემულია მოგვთაკარის ძეგლების გეგმის მიხედვით.

კედლები აშენებულია ცუდად დამუშავებული უსწორმასწორო ქვიშაქვებით. შემაკავშირებლად გამოყენებულია რომაული ბეტონი. ტეგულითა და იმბრექსით გადახურული ორფერდა სახურავი აკლდამის ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლებზეც ეშვება და აღმოსავლეთი ფასადის ქვედა რიგის კუთხის ქვებს ეყრდნობა. აკლდამა ქვიშაქვის ბლოკების ერთი რიგისაგან შედგენილ ცოკოლს ეფუძნება (ილუსტრაცია 41).

აკლდამის სიგრძეა 4.5მ, სიგანე - 4მ, ხოლო სიმაღლე - 3მ. სამარხი კამერის სიგრძეა 2.33-2.37მ, სიგანე - 1.75-1.80მ, სიმაღლე - 0.93-1.9მ. კამერის ნახევარწრიული თალი ქვიშაქვებითაა გამოყვანილი, რომელსაც წითლად შეღებილი, ნიშნიანი კრამიტები ხურავს. შიგნიდან შეღესილი ყოფილა ტერაკოტანარევი 1.5-3 სმ-იანი კირხსნარით, მოგებული კი სწორკუთხოვანი 0.2მ-იანი ფილებით. შესასვლელი ქვიშაქვის ფილით ყოფილა დალუქული (ლომთათიძე, ციციშვილი 1951, 641-642).

აკლდამა ოთხი კედლით შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე (9.1მX4.84მ) დგას. კედლები ცუდად დამუშავებული ქვიშაქვებისა და თიხის ხსნარისაგან არის აშენებული. მათი სიმაღლე 1.6მ - 2.1მ-მდე მერყეობს. ეზოში ჩასასვლელი (1.6მ) ჩრდილოეთის კედელში ყოფილა გაჭრილი¹¹. აკლდამის მთავარი, აღმოსავლეთი ფასადის წინ დაახლოებით 24მ² ფართობის ეზოა. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში ცხენი ყოფილა დამარხული (ლომთათიძე, ციციშვილი 1951, 641, 647).

სამარხი კამერა გაძარცვული აღმოჩნდა, მიცვალებულის ძვლები კი - დაზიანებული. მიუხედავად ამისა, მაინც შემორჩა ინვენტარი და მოხერხდა ინდივიდების სქესისა და ასაკის განსაზღვრა. სამარხ კამერაში ქალი და ბავშვი დაუსვენებიათ სარეცელზე და მრავალფეროვანი და მდიდრული ნივთები ჩაუყოლებიათ. ნივთებთან ერთად, მსხვილფეხა საქონლის ძვლებიც გამოვლინდა. აღსანიშნავია ვერცხლისა და მინის ჭურჭლის ფრაგმენტები, სანელსაცხებლები, წითლად გამომწვარი თიხის ჯამები და ჭრაქები, ოქროს კილიტები და სამკაული - ნახევრად ძვირფასი თვლებით შემკული აბზინდა, მძივები და საკიდები, პასტისა და მინის მძივები, ბრინჯაოს ქანდაკება და მონეტები. სულ 64 მონეტა აღმოჩნდა. აქედან 54 - ვერცხლის (პართული დრაქმა და

¹¹ ამჟამად ეზოში ექვსსაფეხურიანი კიბე ჩადის.

ავგუსტუსის დენარი) და 10 - ოქროსი (4 რომაული აურეუსი, 5 სტატერის ადგილობრივი მინაბადი, 1 ნახევარმზალი). ვერცხლის მონეტების უმრავლესობა (47 ცალი) ოროდ I-ს (ძვ.წ. 54-37 წ.წ.) ეკუთვნის, თითო-თითო არტაბანს (ძვ.წ. 88-77 წ.წ.), სინეტრუქს (ძვ.წ. 77-70 წ.წ.), ფრაატ III-ს (ძვ.წ. 70-57 წ.წ.) და ფრაატ IV-ს (ძვ.წ. 37-2 წ.წ.), 3 ავგუსტუსის ვერცხლის დენარია და 2 - ბოსფორული. ოქროს მონეტები რომის იმპერატორების - ტიბერიუსის (14-37 წ.წ.), ნერონის (54-68 წ.წ.), ვიტელიუსის (69 წ.) და ვესპასიანეს (69-79 წ.წ.) სახელზეა მოჭრილი (ლომთათიძე, ციციშვილი 1951, 645-46; სიკაძე 1990, 232-33).

აკლდამის მონეტებს შორის ვიტელიუსისა და ვესპასიანეს აურეუსებია, რაც ძეგლის დათარიღებას ახ.წ. 69 წელზე ადრე შეუძლებელს ხდის (კაპანაძე 1955, 83).

ი. ციციშვილი აკლდამას ახ.წ. პირველი-მეორე საუკუნეებით ათარიღებდა (ლომთათიძე, ციციშვილი 1951, 644), ხოლო ა. აფაქიძე - ახ.წ. პირველი საუკუნით (აფაქიძე და სხვა 1981, 126).

მოგვთაკარის ნამოსახლარი, ნაწილობრივ, სამაროვნის ქვეშ და მის სამხრეთ-დასავლეთით დაახლოებით 300მ² ფართობზე გამოვლინდა. ქვის ლობეები და შენობების კედლები ცუდად დამუშავებული ქვიშაქვითა და თიხამინით იყო აშენებული. შენობის შიგნით დამწვარი ხის ძელების, ბათქაშისა და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები აღმოჩნდა, ხოლო მათ გარეთ - ქვევრების, თონის, კერის და სამეთუნეო ქერის ნაშთები. შენობებისაგან მეტ-ნაკლებად კარგად ოთხკუთხა ფორმის სახლი No3-ის ორი განყოფილება შემორჩა. მას შესასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან ჰქონდა. ზღურბლი ვერტიკალურად ჩადგმული ქვებით იყო გაკეთებული. შემორჩენილი კედლების სიმაღლე 1.12მ-ს აღწევდა, სისქე - 0.8მ. მოგვთაკარის ნამოსახლარი მესამე-მეოთხე საუკუნეებით დათარიღდა (აფაქიძე და სხვა 1981, 130, 159).

მოგვთაკარი ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან დღემდე უწყვეტადაა დასახლებული. ამიტომ, საცხოვრებელი სახლები და მათთან დაკავშირებული ნივთიერი მასალა ნაკლებად და ფრაგმენტულად შემორჩა. უკეთ არის შემონახული სამარხები და სამარხეული ინვენტარი, რაც იძლევა ძირითადად კვლევისა და დასკვნების გამოტანის საშუალებას.

მოგვთაკარის არქეოლოგიური უბანი სოციალურად სტრატეფიცირებულია. ქონებრივი განსხვავება, ძირითადად, სამარხთა მშენებლობაში და სამარხეულ ინვენტარში მულავენდება. ვრცელდება სამარხის ახალი ტიპი - კრამიტსამარხი, სადაც საკმაოდ მდიდრული ინვენტარი ჩნდება. ა. აფაქიძე ამ მოვლენას განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის კომპაქტურ ლოკალიზაციას უკავშირებს (აფაქიძე და სხვა 1981, 127). მოგვთაკარი ქართული ისტორიული წყაროების მიხედვით, ახ.წ. პირველ-მეოთხე საუკუნეებში ცეცხლისმსახურთა საცხოვრებელ ადგილად არის ცნობილი. თუმცა, მოგვთაკარის კრამიტსამარხები და ასევე სხვა ტიპის სამარხები რელიგიურ თავისებურებებს არ ასახავს. კრამიტსამარხები არა მარტო მოგვთაკარზე, არამედ საკუთრივ მცხეთასა და მცხეთის ქვეყნის სხვადასხვა ნაწილებშია აღმოჩენილი, მაგალითად, არმაზისხევში, კარსნისხევში, წინამურის ველზე და ბაიათხევში. არც მოგვთაკარის კრამიტსამარხების ინვენტარია განსხვავებული სხვა ტიპის სამარხებში აღმოჩენილი ნივთებისაგან. სამარხის ახალი ტიპი, შესაძლოა, განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის გამოჩენასთან კი არა, არამედ სოციალურად დანინაურებულ ფენასთან იყოს დაკავშირებული. კრამიტსამარხებში სხვადასხვა ასაკისა და სქესის ადამიანები - მამაკაცები, ქალები, ბავშვი - იყვნენ დაკრძალული (რჩეულიშვილი 1990, 224-226), ანუ, საზოგადოების გარკვეული ნაწილისა თუ ჯგუფის წევრები, რომლებიც თავიან იდენტობას, შესაძლოა, ამ გზით - განსხვავებული კონსტრუქციის სამარხებით გამოხატავდნენ. ამგვარი მოსაზრება მეროვინგიის (ნორმანდია) რომაული ხანის სამაროვნის შესწავლის შედეგად გამოითქვა, სადაც სამარხებში მდიდრულ ნივთებთან ერთად, ე.წ. „ქარონის ობოლიც“ ჩნდებოდა (ჰალსალი 2010, 124-25).

„ქარონის ობოლის“ საფლავში ჩატანების პრაქტიკა მოგვთაკარის კრამიტსამარხებშიც დადასტურდა. ძველი ბერძნების დაკრძალვის ეს წესი, რომელიც ელინისტურ სამყაროში ფართოდ იყო გავრცელებული ქართლის ელინისტური ხანის სამარხებში ვლინდებოდა (გაგომიძე 2008, 2). საფლავში ფულის ჩაყოლების წესი

„მცხეთის ქვეყანაში” მხოლოდ რომაული ხანის სამარხებში გვხვდება¹². შესაძლოა ეს წესი რომაელების მიერ ყოფილიყო ლოკალურად გავრცელებული.

იბერიაში რომაელების მიერ დანერგილი სამშენებლო ტექნიკა (ქვითვი) და არქიტექტურული ელემენტები (რადიალური თაღი, კამარა) მოგვთავაზობს აკლდამაშიც აისახა. ამ თვალსაჩინო ძეგლში ერთმანეთს შეერწყა ელინისტური და რომაული არქიტექტურული სტილი - ფრონტონი და კამარა, მშრალი წყობა და ქვითვი.

ელინისტურ არქიტექტურაში განსაკუთრებული ადგილი მრავალფეროვანი დიზაინით გამორჩეულ აკლდამებს ეჭირა. ფორმების მრავალფეროვნებას სტრუქტურული ელემენტებისა და ორნამენტების შერწყმა განაპირობებდა. აკლდამებისა და სარკოფაგების დიზაინში სატაძრო არქიტექტურის ელემენტები - სვეტები, კაპიტელები, ფრიზები, ან მთლიანად ანტაბლემენტი ვლინდებოდა. აკლდამების მდებარეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. ისინი ამაღლებულ, კარგად გამოსაჩინ ან საგანგებოდ დატერასებულ ადგილას შენდებოდა. ელინისტურ ხანაში აკლდამებს თითქმის ყოველთვის ჰქონდათ კედლებით შემოსაზღვრული ტემენოსი, რაც აკლდამას კიდევ უფრო შთამბეჭდავს ხდიდა. აკლდამები პიროვნების ან გმირის სახელის უკვდავსაყოფად იქმნებოდა და ხაზს უსვამდა გარდაცვლილის სიმდიდრეს, მნიშვნელობასა და ავტორიტეტს. ისინი სამეფო ან ოლიგარქიულ ოჯახებს უკავშირდებოდა. აკლდამების დეკორაცია თავისი დროის პროპაგანდის ნაწილი იყო, რაც ამოტვიფრულ ან რელიეფურ დეკორში თუ სიმბოლურ მცენარეულ ორნამენტში მულაუნდებოდა (ფედაკი 2006, 71-95).

მოგვთავაზობს აკლდამა, როგორც აღინიშნა, ერთსაფეხურიან ცოკოლს ეფუძნება. აკლდამები აქემენიდური ხანიდან მოყოლებული რამდენიმესაფეხურიან პოლიუმზე დგას. საფეხურები თანდათანობით კლებულობდა და ელინისტურ ხანაში ერთზე დავიდა ან საერთოდ გაქრა. საფეხურების ამგვარი შემცირება სარდისის პირამიდული და

¹² მონეტები მიცვალებულის პირში, თავის ქალის არეში და კიდურებთან აღმოჩენილია მცხეთისა და ბაიათხევის კრამიტსამარხებში; მცხეთის, ბაიათხევისა და წინამურის ორმოსამარხებში და წინამურის ხის სარკოფაგში.

მოგვთაკარის აკლდამების მაგალითზე განხილული აქვთ ვ. კლაისსა (კლაისი 1996, 135-140) და გ. ყიფიანს (ყიფიანი 2001, 20-22).

აკლდამა სამაროვანზე და ნამოსახლარზე 9 მეტრით მაღლა მდებარეობს. მისი განლაგება, ეზო და არქიტექტურა ერთიანად ემსახურებოდა თვალსაჩინობასა და გამორჩეულობას. ამგვარი მიზნის მიღწევას, ცხადია, მნიშვნელოვანი ხარჯები და ძალისხმევა სჭირდებოდა. ამიტომ, ვარაუდი, რომელიც აკლდამის გამთხრელებმა გამოთქვეს, შესაძლოა, აკლდამა იმთავითვე მიწით იყო დაფარული (ლომთათიძე, ციციშვილი 1951, 642-43), თავად აკლდამის აღმართვის კონცეფციას ეწინააღმდეგება და საფუძველს არის მოკლებული. აკლდამის გარკვეული ნაწილები, მაგალითად, დასავლეთის ფასადი და ჩრდილოეთისა და სამხრეთის კედლების პირველი ორი რიგი, მართლაც, შესაძლოა, მიწით იყო დაფარული, მაგრამ მისი აღმოსავლეთი ფასადი და გადახურვა აშკარად მიცვალებულის პრესტიჟის გამოსახატავად და მნახველის გასაოცებლად იყო შექმნილი.

აღსანიშნავია, რომ ქვითკირი, რომელიც რომაული პერიოდის იბერიაში უკვე გავრცელებული იყო, მოგვთაკარზე მხოლოდ აკლდამის მშენებლობაში გამოუყენებიათ. ნამოსახლარის ქვის ლობეები და სახლები მიწისა და თიხის ხსნარზე იყო აგებული.

მოგვთაკარის არქეოლოგიური უბნის ზომებიდან და ტოპოგრაფიიდან გამომდინარე, ეს დასახლება ვერ იქნებოდა დამოუკიდებელი ერთეული. მოგვთა, ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლის მეოთხე მეფის ფარნაჯომის დროიდან (ძვ.წ. მეორე საუკუნე) არსებობს და მცხეთის საქალაქო ტერიტორიაში შედის (ქც 1955, 29,5); ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისშიც ისევ მცხეთის უბანია, რადგანაც ელიოზის სახლი მოგვთაშია, მაგრამ მას, როგორც მცხეთელს ისე იცნობენ და ელიოზ მცხეთელს უწოდებენ (ქც 1955, 99,5). მოგვთაკარის ამგვარი ქრონოლოგია და მცხეთისთვის მიკუთვნება ლეონტი მროველის გადასახედიდან არის დანერგილი და მე-11 საუკუნეში არსებული გეოგრაფიული და პოლიტიკური მდგომარეობით აიხსნება.

ჩვენს ხელთ არსებული არქეოლოგიური მონაცემებიდან გამომდინარე კი, მოგვთაკარში დასახლება ახ.წ. პირველ საუკუნეებში ჩნდება და ვითარდება. არსებობს

შემთხვევით მოპოვებული უფრო ადრინდელი სამარხეული მასალაც (აფაქიძე და სხვა 1955, 6), მაგრამ მხოლოდ ამ მცირე, უკონტექსტო არქეოლოგიური არტეფაქტების მიხედვით იმის თქმა, რომ ამ ადგილას ახ.წ. პირველ საუკუნეებამდე დასახლება არსებობდა, არ იქნებოდა სწორი.

არც მოგვთაკარის რომაული პერიოდის ნამოსახლარის მცხეთის საქალაქო ტერიტორიაში მოთავსებაა გამართლებული, რადგანაც სწორედ ახ.წ. პირველ საუკუნეებში საკუთრივ მცხეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ურბანიზაციის პროცესი. იკვეთებოდა სოციალური ფენა, რომელიც მცხეთის ურბანულ ცენტრად ჩამოყალიბებას განაპირობებდა. ასეთ ვითარებაში 3 კილომეტრით დაშორებული, თანაც მდინარის მოპირდაპირე მხარეს მდებარე დასახლების შეერთება არც გეოგრაფიულად და არც სოციალურ-პოლიტიკურად იქნებოდა ხელსაყრელი.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მოგვთაკარის დასახლებას არ გააჩნდა თავისი დამცავი სისტემა. აქედან გამომდინარე, ჩნდება კითხვა, როგორ იცავდა თავს მოგვთაკარის საკმაოდ შეძლებული მოსახლეობა? მოგვთაკარის დასახლება მთის ფერდობსა და მდინარის სანაპიროს შორის იყო მოქცეული. საჭიროების შემთხვევაში მისი მოსახლეობა მთა ქართლის ფერდობებს უფრო შეათარებდა თავს, სადაც გამაგრებული ქალაქი არმაზი იყო, ვიდრე მდინარე მტკვრის მეორე ნაპირზე მდებარე მცხეთას. მცხეთასთან დაკავშირება მხოლოდ ხიდის საშუალებით შეიძლებოდა. ხიდი, რომელიც მოგვთას მცხეთასთან აკავშირებდა, სტრატეგიული პუნქტი იყო¹³. იგი სამხედრო ოპერაციებში ფიგურირებდა და ალბათ ხშირად ზიანდებოდა კიდევ. ვახტანგ გორგასალმა ჯარისკაცების უკეთ მანევრირების მიზნით იგი გაათართოვა (ქც 1955, 180,5). საომარი მოქმედებების გარდა, ხიდის დანგრევა ან პარალიზება ბუნებრივ პირობებსაც შეეძლო, მაგალითად, წყალდიდობას. ამგვარი კულტურული თუ ბუნებრივი მოვლენების შედეგად დანგრეული ხიდის მიღმა დარჩენილი მოსახლეობა ცენტრს მონყვეტილი და

¹³ ამ ხიდს აქვს რამდენიმე სახელი: მოგვთა ხიდი, პომპეუსის ხიდი, ვარტანგ გორგასლის ხიდი, მცხეთის ხიდი. ხიდს იკვლევდა ინჟინერი კვეზერელი-კოპაძე (იხ. კვეზერელი-კოპაძე, ნ. 1968. მცხეთის ძველი ისტორიული ხიდი მდინარე მტკვარზე. ძეგლის მეგობარი No14).

იზოლირებული აღმოჩნდებოდა. ასე რომ, ცენტრთან მხოლოდ ხიდის საშუალებით დაკავშირება არც მოგვთაკარის დასახლებისათვის უნდა ყოფილიყო ხელსაყრელი.

ამრიგად, არქეოლოგიური მონაცემებისა და ტოპოგრაფიის მიხედვით, მოგვთაკარის დასახლება არმაზის დასახლებათა სისტემის ნაწილი უნდა ყოფილიყო. იგი არმაზის ძირში, მდინარის გასწვრივ წარმოიშვა და განვითარდა. ალბათ, სატრანსპორტო გზასთან სიახლოვე იყო ერთ-ერთი ფაქტორი, რამაც განაპირობა მისი მოსახლეობის კეთილდღეობა. მერვე საუკუნეში, არმაზის განადგურების შემდეგ, საფიქრებელია, რომ მოგვთაკარი მცხეთის დაქვემდებარებული უბანი ხდება.

კარსნისხევის არქეოლოგიური უბანი

კარსნისხევის არქეოლოგიური უბანი ნამოსახლარისა და სამაროვნისგან შედგებოდა. იგი მთა ქართლის სამხრეთ კალთაზე, მდინარე მტკვრის დასავლეთ ნაპირზე, კარსნისხევის სამხრეთ ბორცვზე მდებარეობდა. კარსნისხევის არქეოლოგიური უბანი არმაზის ნაქალაქარის სამხრეთ-დასავლეთი სასიმაგრო კედლიდან სამხრეთით, დაახლოებით 500მ დაშორებით იყო განლაგებული (ილუსტრაცია 38).

კარსნისხევის მიდამოები ნაწილობრივ დაფარულია მცენარეული საფარით - ფოთლოვანი ხეებითა და ბუჩქნარით.

კარსანი ქართულ წყაროთაგან ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთაში“ და ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაშია“ ნახსენები. ლეონტი მროველი პირდაპირ ტოპონიმ კარსანზე არ წერს. იგი, ელიოზ მცხეთელთან ერთად, ვინმე ლონგინოზ კარსნელსაც ახსენებს (ქც 1955, 99,5), რომელიც, როგორც ჩანს, კარსნიდან უნდა ყოფილიყო. ვახუშტი ბაგრატიონი მცხეთის სოფლების ჩამონათვალში კარსანსაც იხსენიებს (ვახუშტი 1941,197), მცხეთის გეოგრაფიის აღწერისას კი ამბობს: „მცხეთასთან სამხრით არს მთა ქართლისა და კარსნისა“ (ვახუშტი 1941, 66, 35).

პირველად გათხრები კარსნისხევაში 1925 წელს ჩატარდა. აღმოჩნდა ადრექრისტიანული ქვაყუთები და დაფიქსირდა ორმაგი მტრედის კუდის ფორმის

სამაგრის ფოსფორიანი ქვის სამარხებში მეორადი გამოყენების ფაქტი (ნიორაძე 1926; მშვენნიერაძე 1952, 28). 1970-იან წლებში გათხრებს მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია აწარმოებდა. გამოვლინდა სამაროვანი და ნამოსახლარი, რომელიც საცხოვრებელი შენობებისაგან, სამეთუნეო ქუჩებისა და მათთან დაკავშირებული ნაგებობებისაგან შედგებოდა (ნიკოლაიშვილი 1993).

ნამოსახლარი ტერასულად იყო განლაგებული ბორცვზე. იგი დაახლოებით 700მ² ფართობზე გამოვლინდა. ნამოსახლარზე შენობების, მარნის, ქვევრების, კერების, პურის საცობი ღუმელებისა და თიხის ჭურჭლის გამოსანვავი ქუჩების ნაშთები გამოვლინდა. მართკუთა შენობები ქვიშაქვითა და რიყის ქვებით, თიხისა და ქვიშის ხსნარზე იყო ნაგები (ილუსტრაცია 42). ზოგი წითლად შეღებილი კრამიტით ყოფილა გადახურული. იატაკი თიხატკეპნილი ჰქონდათ. შენობა No2-ის ცენტრში ქვითა და თიხით ნაგები კერა აღმოჩნდა, ხოლო შენობა No4-ში - პურის საცობი ღუმელი. ნამოსახლარზე მრავალი არტეფაქტი მოიპოვეს - სხვადასხვა ზომის სამეურნეო ჭურჭლის ფრაგმენტები, ამფორის ძირი, ორი მცირე ზომის ფიგურა (1 ტერაკოტული, 1 ტყვიისაგან ჩამოსხმული) (ნიკოლაიშვილი 1993, 8-27).

შენობების გაგრძელებაზე, სამხრეთით, მოსწორებულ ადგილას (ნაკვეთები V, VI) 36მ² ფართობის მარანი და საწნახელი გაითხარა. მარნის თიხატკეპნილ იატაკზე ღია მონითალოდ და მოვარდისფროდ გამომწვარი თხელკეციანი სამზარეულო და სამეურნეო კერამიკა აღმოჩნდა. მარნის გათხრის დროს გამოიკვეთა სტრატეგრაფიული ჭრილი, სადაც სხვადასხვა ფერისა და ტექსტურის თიხნარი ფენები მონაცვლეობდა. საწნახელის ქვეშ გამოჩნდა ქვაცილი, რომელიც შესაძლოა სავალი გზის ნაწილი ყოფილიყო (აფაქიძე და სხვა 1981, 124-126; ნიკოლაიშვილი 1993, 39-48).

შენობების აღმოსავლეთით, 60 მეტრის დაშორებით, 500მ² ფართობის გათხრის შედეგად კერამიკის გამოსანვავი ქუჩების ნაშთები გამოვლინდა. ქუჩებს ორ-ორი განყოფილება ჰქონდა - ქვედა საცეცხლე და ზედა კერამიკის გამოსანვავი. ქუჩა No4-ის თალი ალიზის აგურებით ყოფილა ამოყვანილი. ნამოსახლარი ძვ.წ. პირველი-ახ.წ. პირველი საუკუნეებით დათარიღდა (ნიკოლაიშვილი 1993, 8).

კარსნისხევის სამაროვანზე 36 სხვადასხვა ტიპის სამარხი გაითხარა - კრამიტსამარხი (ზოგი წითლად შეღებილი კრამიტისა), ორმოსამარხი, ხის ძელებით გადახურული ორმოსამარხი, თიხის ფილასამარხი და ქვევრსამარხი. მათგან უმრავლესობა კრამიტსამარხი იყო. სამარხებში აღმოჩნდა ვარდისფერად გამომწვარი თიხის სამტუჩა ხელაღები, მინის სანელსაცხებლეები, ოქროს საყურეები და სასაფეთქლე რგოლები, გემიანი ბეჭდები ღვთაებების გამოსახულებით, მრავალფეროვანი მძივები, ირმისა და ვერძის ფორმის საკიდები, ავგუსტუსის ვერცხლის დენარები, ოროდისა და გოტარზის ვერცხლის დრაქმები. სამაროვანი მეორე-მესამე საუკუნეებით დათარიღდა (ნიკოლაიშვილი 1993, 83).

კარსნისხევის სამხრეთი ფერდობის ძირში აღმოჩნდა 0.75მ-იანი კულტურული ფენა, რომელიც შეიცავდა აგურის ნატეხებს, შავი, წითელი და თეთრი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს. ამ ადგილიდან 2 მეტრის დაშორებით გამოვლინდა 0.25მ-იანი ფენა, რომელიც შედგებოდა საქონლისა და თევზის ძვლებისაგან, მინის ჭურჭლისა და სამაჯურის ნატეხებისაგან, წილისაგან, მინის სადული ჭურჭლის ფრაგმენტებისაგან, მინის წვეთებისა და ძაფებისაგან. ეს კულტურული ფენა მინის საწარმოსთან იქნა იდენტიფიცირებული. ფერდობის თავში, მოსწორებულ ადგილას, აღმოჩნდა ორმოები, რომლებიც ასევე მინის საწარმოო ნაგებობებს დაუკავშირეს (სიკაძე 1990, 291).

კარსნისხევის ზემოთ მდებარე პლატოზე (სადა ველები) საძიებო თხრილები გაივლო. არქეოლოგიური მასალა იქ არ გამოვლენილა. როგორც ჩანს, პლატო დასახლებული არ ყოფილა (აფაქიძე და სხვა 1981, 125). შესაძლოა, კარსნისხევის დასახლება მხოლოდ პლატომდე ვრცელდებოდა.

დასახლება კარსნისხევაში გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანიდან ჩნდება (ნიკოლაიშვილი 1993, 5). ამ ადგილას დასახლების წარმოქმნა თიხის არსებობას უნდა გამოენჯია. სხვადასხვა ფერის, ტონალობისა და შემადგენლობის თიხნარის 0.4-0.7მ-იანი ფენები დაფიქსირდა კარსნისხევის მარნისა (ნაკვეთი V) და მუხათგვერდის ადრეფეოდალური სამაროვნის გათხრების დროს, რომელიც კარსნისხევიდან 1კმ-ის

დაშორებით მდებარეობს. როგორც ჩანს, ამ ბუნებრივ რესურს რამდენიმე საუკუნის მანძილზე იყენებდა ადგილობრივი მოსახლეობა.

მუხათგვერდის არქეოლოგიური უბანი

მუხათგვერდის არქეოლოგიური უბანი მთა ქართლის სამხრეთით, მდინარე მტკვრის დასავლეთ ნაპირზე, არმაზის ნაქალაქარიდან სამხრეთით დაახლოებით 1.3კმ-ის დაშორებით, გაშლილ ადგილას იყო განლაგებული (ილუსტრაცია 38). ეს ტერიტორია თანამედროვე სოფელი მუხათგვერდიდან აღმოსავლეთით დაახლოებით 700მ-ით იყო დაშორებული. თანამედროვე სოფელი მუხათგვერდის მდებარეობა ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობას შეესაბამება (ვახუშტი 1941, 55, 5). ვახუშტი მუხათგვერდს მცხეთის სოფლების ჩამონათვალშიც იხსენიებს (ვახუშტი 1941, 197).

მუხათგვერდზე პირველი არქეოლოგიური აღმოჩენა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში ამიერკავკასიის რკინიგზისა და სამხედრო გზის მშენებლობას უკავშირდება. აღმოჩნდა სამაროვანი, რომლის სხვადასხვა ნაწილების გათხრებიც მეოცე საუკუნეში გაგრძელდა (ხეცურიანი 1985, 151).

მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია 1970-80-იან წლებში სავსე სამუშაოებს ატარებდა მუხათგვერდის ვრცელ არქეოლოგიურ უბანზე. 1979-81 წლებში გაითხარა 1400მ² ფართობი და გამოვლინდა მრავალფენიანი ძეგლი, რომელიც შედგებოდა ადრებრინჯაოს ხანის ნამოსახლარისაგან (ქვის მრგვალი საძირკველი - d 5მ, ოვალური სამშვერილიანი კერა, სამეურნეო ორმოები), გვიანბრინჯაო-ადრერკინის სამი ორმოსამარხისგან და ძვ.წ. მეოთხე-მესამე საუკუნეების ერთი ქვაყუთისგან. სამარხებში შავად და ჩალისფრად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, წითლად შეღებილი დოქები და ჯამები, რკინის შუბისპირები, მოხრილი დანები, სამაჯურები და სხვადასხვა ფორმისა და მასალის მძივები აღმოჩნდა. არქეოლოგიური უბნის ამ ნაწილს პირობითად ეწოდა მუხათგვერდი II (აფაქიძე და სხვა 1989, 67-68; სიკაძე 1990, 296).

მუხათგვერდი II-დან დაახლოებით 900მ დაშორებით 1975-76 წლებში გაითხარა მეოთხე-მერვე საუკუნეების სამაროვანი, რომელსაც მუხათგვერდი I ეწოდა (ილუსტრაცია 45). სამაროვანზე გამოვლინდა კოლექტიური ქვაყუთები. სამარხეული მასალა ძირითადად სამკაულისა და პირადი მოხმარების ნივთებისაგან შედგებოდა (სიკძა 1990, 296).

1985 წელს გაგრძელდა მუხათგვერდი I-ის სამაროვნის იმ ნაწილის გათხრები, რომელიც უშუალოდ მდინარე მტკვრის სანაპირო ზოლში მდებარეობდა. გაითხარა მდინარესა და ავტოტრასას შორის მოქცეული 500მ² ფართობი (მდინარის ნაპირიდან დაახლოებით 15მ-ით ზემოთ).

სულ გამოვლინდა 74 სამარხი. გაითხარა 33. აქედან 3 ორმოსამარხი იყო, ხოლო 30 - ქვაყუთი. სამარხები მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 0.2მ-0.7მ სიღრმეზე თიხნარ ფენებში იყო ჩაჭრილი. სამაროვნის ეს ფრაგმენტი მეექვსე-მერვე საუკუნეებით დათარიღდა. ერთი ქვაყუთი და ერთ ქვაყრილიანი სამარხი-კენოტაფი კი შუა ბრინჯაოს ხანას განეკუთვნა (ხეცურიანი 1985, 151-161; სადრაძე 1993, 63-64).

აღრეფეოდალურ სამაროვანზე აღმოჩენილი ნივთებიდან საყურადღებოა ორი საბეჭდავი. ერთი - ბრინჯაოს საბეჭდავი - მეექვსე საუკუნის ქვაყუთში, მიცვალებულის მუცლის არეში გამოვლინდა. საბეჭდავს ფართონახვრეტიანი ყუნწი ჰქონდა. მასზე ცხოველი იყო გამოსახული. მეორე საბეჭდავი შემთხვევით აღმოჩნდა სამაროვნის ტერიტორიაზე. იგი სარდიონის ქვისგან იყო გაკეთებული და მასზე ფრინველი (მამალი?) იყო გამოსახული. ეს საბეჭდავიც გახვრეტილი იყო. როგორც ჩანს, ორივე საბეჭდავი ზონარზე ჩამოსაკიდებლად იყო გათვალისწინებული (აფაქიძე და სხვა 1978, 98-99; ხეცურიანი 1985, 151-161).

საბეჭდავები მეტად საჭირო ინფორმაციას გვაწვდიან საკუთრებასა და საკუთრების უფლებაზე, საქონლის გაცრცელებასა და მის მართვაზე. თუმცა ამ კუთხით საქართველოში აღმოჩენილი საბეჭდავები არ შესწავლილა. ყურადღება მახვილდებოდა საბეჭდავების დათარიღებაზე, მხატვრულ ღირებულებებზე და მათი წარმოშობის (ადგილობრივი თუ იმპორტული) საკითხებზე.

მუხათგვერდში აღმოჩენილი საბეჭდავების მსგავსი საბეჭდავები ძირითადად იმ საზოგადოებაში გამოიყენებოდა, სადაც წერა-კითხვა ჯერ გავრცელებული არ იყო და მათი გამოყენება, უმეტესწილად, შიდა ვაჭრობისათვის იყო გამიზნული. ეს ფაქტი საბეჭდავებზე გამოსახულმა ფიგურებმა ცხადყო, რადგანაც ესა თუ ის სპეციფიკური გამოსახულება აღმოჩენის ადგილიდან მოშორებით არ ჩნდებოდა (რენტრუ, ბანი 2008, 374).

ისტორიული ხანის სამარხებში აღმოჩენილ საბეჭდავებს ამულეტის მნიშვნელობას მიანერდნენ ხოლმე. მუხათგვერდის საბეჭდავებს გამოსახულებების მიხედვით ამულეტის ფუნქცია არ უნდა ჰქონოდათ. ამაზე ბრინჯაოს საბეჭდავის მდებარეობა მიცვალებულის წელის არეში და მის ყუნწზე დიდი ზომის ნახვრეტიც მიუთითებს. საფიქრებელია, რომ მუხათგვერდის მოსახლეობაში ადრეფეოდალურ ხანაშიც არსებობდა საბეჭდავით საკუთრების თუ ქონების განსაზღვრის ძველი ტრადიცია.

როგორც არქეოლოგიური მასალიდან გამოჩნდა, მუხათგვერდი ბრინჯაოს ხანიდან უწყვეტად ყოფილა დასახლებული. ნიადაგის ტიპის მიხედვით მდინარის სანაპირო ზოლი უვარგისი იყო სამინათმოქმედო საქმიანობისათვის. ამიტომაც, მოსახლეობა შემალლებულ ადგილებს ირჩევდა საცხოვრებლად (მუხათგვერდი II). მდინარე მტკვრის ეს სანაპირო ზოლი ადრეფეოდალურ ხანაშიც მხოლოდ სასათლაოდ ყოფილა გამოყენებული (მუხათგვერდი I), განსხვავებით მოგვთაკარისგან და წინამურისგან, სადაც მოსახლეობა რომაული ხანიდან მალლობი ადგილებიდან დაბლობში, მდინარესთან ახლოს ჩამოდიოდა საცხოვრებლად.

ნაქულბაქევი

არმაზის ნაქალაქართან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია ადგილ ნაქულბაქევის განხილვა. ნაქულბაქევი მდებარეობს მდინარე მტკვრის დასავლეთ ნაპირზე, მთა ქართლის სამხრეთით, არმაზის ნაქალაქარისა და მუხათგვერდის არქეოლოგიური უბნის სამხრეთით. არმაზიდან იგი დაახლოებით 5 კილომეტრითაა

დაშორებული, ხოლო მუხათგვერდის არქეოლოგიური უბნის სამხრეთი კიდიდან დაახლოებით 2კმ-ით (ილუსტრაცია 38). ნაქულბაქევის, მუხათგვერდისა და არმაზის განლაგება ასე აქვს მოცემული ვახუშტის: „ნაქულბაქევს ზეით არს დევის-ნამუხლი - კლდე გაჭრილი გზად. მას ზეით მუხად-გვერდი. მას ზეით, მცხეთის ხიდის სამხრით არს მონასტერი ახალქალაქური. მის დასავლით მცირე ხევი ქართლისა, სდის მისსავე მთას და მოდის ჩრდილოთ. აქა არს ციხე, რომელი აღაშენა ქართლოს და უწოდა სახელი თვისი, არაოდეს შემუსვრილი მტერთაგან, რომელი დადგა ყრუს მოსვლასაცა” (ვახუშტი 1941, 55, 5-10-15).

ნაქულბაქევი, როგორც ტოპონიმი ქართულ ისტორიულ წყაროებში მე-14 საუკუნიდან ჩნდება. იგი მოხსენიებულია სამართლის ძეგლებში და გეოგრაფიულ აღწერილობებში. ნაქულბაქევი, შუასაუკუნეების ქართული იურიდიული დოკუმენტების მიხედვით, მე-14 - მე-16 საუკუნეებში მცხეთის საეკლესიო მამულია, მე-18 საუკუნეში კი - თბილისის კუთვნილი სოფელი. რაღაც პერიოდში ნაქულბაქევს გზის გადასახადიც ჰქონია შეწერილი (გამყრელიძე და სხვა 2013, 377-78).

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში ქულბაქი სავაჭრო ადგილს ნიშნავს (ორბელიანი 1966, 89). ანდრია აფაქიძე ამ ადგილას სავაჭრო პუნქტის არსებობას ვარაუდობდა (აფაქიძე და სხვა 1955, 5; 1963, 40).

ნაქულბაქევი 1867 წელს კავკასიის სამხედრო გზის მშენებლობასთან დაკავშირებული კლდის აფეთქებისას აღმოჩნდა ნაცრისფერი ქვიშაქვის სტელა ბერძნული წარწერით (ე.წ. ვესპასიანეს წარწერა) (აფაქიძე 1963, 126).

ნაქულბაქევის მიდამოების არქეოლოგიური დაზვერვები 1937 და 1941 წლებში ჩატარდა (გამყრელიძე და სხვა 2013, 378). „ვესპასიანეს სტელას” გარდა, ნაქულბაქევიდან სხვა არქეოლოგიური მასალა არ არის ცნობილი.

ნაქულბაქევი, ძირითადად, ორი მიზეზის გამოა მნიშვნელოვანი. ეს არის ე.წ. ვესპასიანეს წარწერის აღმოჩენის ადგილი და პუნქტი, სადამდეც ვრცელდებოდა ქალაქი არმაზი, ვახუშტი ბავრათიონის ცნობით. „ხოლო შემდგომას შემუსრა კერპი ესე წმიდამან

ნინომ. არამედ იყო ქალაქი არმაზი აქიდგან, ვიდრე ნაქულობაქევამდე, და ყრუსაგან და შემდგომად მისა მოოხრდა, ხოლო ან არს დაბნები” (ვახუშტი 1941, 55, 20).

ამრიგად, არმაზის ირგვლივ სავაჭრო, სახელოსნო და სამეურნეო დასახლებები იყო განვითარებული. იგი ისეთ ურბანულ ცენტრად წარმოჩინდა, რომელიც შრომის ორგანიზაციასა და მართვაზე იყო ორიენტირებული.

წინამური-სეუსამორას არქეოლოგიური უბანი

არქეოლოგიური უბანი წინამური-სეუსამორა მდინარე არაგვის აღმოსავლეთ ნაპირზე, თანამედროვე სოფელი წინამურის სამხრეთ-აღმოსავლეთით და დასავლეთით მდებარეობს. არქეოლოგიური უბანი, დაახლოებით, 3კმ² ფართობზე ვრცელდება. იგი მოიცავს როგორც საფორტიფიკაციო, ასევე საცხოვრებელ, დასაკრძალავ და სამეურნეო ფუნქციის მქონე ნაგებობებსა და სასოფლო-სამეურნეო მიწებს (ილუსტრაცია 43). არქეოლოგიური უბანი საგურამოს ქედის სამხრეთი ფერდობების სამხრეთით მდებარეობს. ლანდშაფტს, რომელზეც ის არის განფენილი, საკმაოდ კარგად გამოხატული ბუნებრივი მსაზღვრელები აქვს. სამი მხრიდან – ჩრდილოეთიდან, სამხრეთიდან და აღმოსავლეთიდან მცირე ქედები საზღვრავს, ხოლო დასავლეთიდან მდინარე არაგვის აღმოსავლეთი სანაპიროს ჭალები და ფლატეები. საკვლევი ტერიტორიის ჩრდილოეთით და სამხრეთით მდებარე ქედები თანდათან დაბლდება და თითქმის არაგვის ნაპირებამდე გრძელდება. ამგვარად, საკვლევი ტერიტორიის ფართობი კიდევ უფრო კონკრეტდება. ამ საზღვრებს შორის მოქცეული ლანდშაფტი საკმაოდ მრავალფეროვანია. იგი ხევებით დასერილი ვაკე და მთაგორიანი ადგილებით ხასიათდება. შესაბამისად, ლანდშაფტის მცენარეული საფარიც განსხვავებულია. ქედებსა და ხევებში ფოთლოვანი ხეები იზრდება. ტერასებზე ეკლიანი ბუჩქნარია მოდებული, ხოლო ველები ბალახით არის დაფარული.

საკვლევი ტერიტორიის უმაღლესი ადგილი წინამურის სერია, რომელიც აღმოსავლეთ-დასავლეთის ღერძზე, ზღვის დონიდან 688მ მდებარეობს. სერის თხემი

ვინროა, მაგრამ აღმოსავლეთით ფართოვდება და ფოთლოვანი ტყით არის დაფარული. მისი ჩრდილოეთი კალთა ციცაბო, ტყიანი და მიუვალია, ხოლო სამხრეთი ნაკლებად დაფერდებულია და მეჩხერი მცენარეული საფარითაა დაფარული. სერის სამხრეთი კალთის ქვემოთ ორი, სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარე ტერასა შეინიშნება. ქვედა ტერასას სამხრეთიდან ხევი ესაზღვრება. ტერასებიდან საკვლევი ტერიტორია დაბლდება და თანდათანობით ველებში გადადის. ველები სასოფლო-სამეურნეო მიწებშია, რომლებიც საკვლევი ტერიტორიის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, ჩრდილო-დასავლეთ სამხრეთ-აღმოსავლეთის ღერძზე მდებარეობს. ისინი წინამურის სერს დასავლეთიდან და სამხრეთიდან ეკვრის. დასავლეთით მდებარე პირველი ველი ნაბაღრების სახელითაა ცნობილი (დაახლოებით 60ჰა), ხოლო სამხრეთით მეორე და მესამე პირდაპირების (დაახლოებით 10ჰა, 100ჰა). პირდაპირების ველები ერთმანეთისაგან დიდი და პატარა კამარახევებითაა გამოყოფილი. ხეები ველებს აღმოსავლეთ-დასავლეთის მიმართულებით კვეთს და არაგვის ჭალებს უერთდება. ხევის წყლები კი მდინარე არაგვში ჩაედინება.

საგურამოს ქედის ფერდობები აგებულია ოლოგოცენის ქვიშაქვებითა და თიხაფიქლებით.

ამჟამად სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, ძირითადად, ნაბაღრების ველზე წარმოებს. პირდაპირების ველებიც ნაწილობრივაა დამუშავებული. აღსანიშნავია, რომ ველებსაც და მთელ საკვლევ ტერიტორიას თამანდროვე გბატკეცილი და სხვა სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით გაჭრილი გზები და ბილიკები კვეთს.

უცხოური ისტორიული წყაროებიდან სეუსამორა (Σευσάμορα), მხოლოდ სტრაბონის გეოგრაფიაშია მოხსენებული. ძვ.წ. პირველი საუკუნის მიწურულის გეოგრაფი წერს, რომ სეუსამორა იბერიის მეორე გამაგრებული ქალაქია არმოზიკეს შემდეგ, რომელიც მისგან 16 სტადიონითაა (დაახლოებით 3 კმ) დაშორებული (სტრაბონი XI.III.5.).

ქართული საისტორიო წყაროები - „მოქცევაი ქართლისაი“ და „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ - სეუსამორას სახელწოდებით არ იცნობენ არც ქალაქს და არც რაიმე სხვა ტიპის დასახლებას. ტოპონიმი წინამური ვახუშტი ბაგრატიონთან აღინიშნება,

როგორც ქართველებისა და ყიზილბაშების ბრძოლებთან დაკავშირებული სტრატეგიული ადგილი: „წინამურის ბოლოს დაუხვდა მოურავი და ავნო დიდი ყიზილბაშთა” (ქც 1973, 433,8); „დაესხა შუადღე წინამურს ზეით....” (ქც 1973, 588,7).

სეუსამორას ლოკალიზებას მრავალი მეცნიერი ცდილობდა (იხ. აფაქიძე 1958, 119-140). პირველად, სეუსამორა თანამედროვე სოფელ წინამურთან გ. ნატროევმა გააიგივა (ნატროევი 1900, 7). შემდგომ, ლ. მელიქსეთ-ბეგმა ტოპონიმი სეუსამორა დაუკავშირა წინამურს და დაადგინა რომ წინამურის ბერძნული მოდიფიცირებული ფორმაა (მელიქსეთ-ბეგი 1917, 252). თუმცა ქალაქის მდებარეობა მელიქსეთ-ბეგმა ვერ განსაზღვრა.

ქალაქ სეუსამორას ლოკალიზება 1953 წელს შეძლო ანდრია აფაქიძემ. მან სოფელ წინამურთან, წინამურის სერზე გათხარა სასიმაგრო კედლების ნაშთები და ივარაუდა, რომ სეუსამორა არმაზის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სამი კილომეტრის მოშორებით, თანამედროვე სოფელი წინამურის ადგილას მდებარეობდა, რომელიც ასევე მოიცავდა „წინამურის სერს და ამ სერიდან არაგვისაკენ ჩამომავალ ზოლს, არაგვის პირამდე, ბებრისციხის გასწვრივ” (აფაქიძე 1958, 139). თუმცა, უშუალოდ სეუსამორას ნაქალაქარი არქეოლოგიურად არ დადასტურებულა.

სასიმაგრო სისტემა

წინამური-სეუსამორას სასიმაგრო სისტემის ფრაგმენტები სოფელი წინამურის აღმოსავლეთით, 500 მეტრის მოშორებით, წინამურის სერზე გამოვლინდა. თავდაპირველად, სერის სამხრეთ კალთაზე მიმობნეულმა კრამიტების ფრაგმენტებმა მიიქცია მკვლევართა ყურადღება. სერზე სადაზვერვო თხრილების გავლების შედეგად, სამხრეთი ფერდის აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა მრგვალი შენობის ცოკოლის ნაშთები. ცოკოლი აგებული იყო 14-მეტრიანი დიამეტრის ნაცრისფერი ქვიშაქვის ბლოკებით. ქვიშაქვის ბლოკების მხოლოდ ორი-სამი რიგი შემორჩა. მათი წყობა მშრალი იყო. ბლოკების საფასადე მხარეს ხაზოვანი ნაჭდევები ჰქონდა, რაც ხანდახან ე.წ. თევზისფხურ ორნამენტში ვლინდებოდა. ეს ლითონის იარაღით ქვის დამუშავების კვალი იყო, რომელიც ქვის ნაპირებიდან შუაგულისაკენ მიემართებოდა. ბლოკების ზედაპირზე

ამოკვეთილი იყო სამაგრის ბუდეები. თვითონ სამაგრები არ შემორჩენილა, მაგრამ მათი ბუდეების მოყვანილობის მიხედვით, ბლოკები ერთმანეთთან, როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური სამაგრებით ყოფილა გადაბმული. ჰორიზონტალური სამაგრი ორ გვერდიგვერდ მდებარე ბლოკს აკავშირებდა ერთმანეთთან, ხოლო ვერტიკალური - სამს: ქვედა ერთსა და ზედა ორს (ილუსტრაცია 44). ჰორიზონტალური სამაგრის ბუდეების სიგრძე 22-24სმ იყო. ვერტიკალური სამაგრის ბუდეებში ხის ნაშთები აღმოჩნდა. გამოვლინდა კრამიტის (ტუგლა, იმბრექსი) ფრაგმენტები. მათგან ზოგი წითლად იყო შეღებილი. იმბრექსის ფრაგმენტებს ხაზოვანი ნიშანი ჰქონდა ამოკანრული (აფაქიძე 1958, 131-137).

წინამურის სერის თხემის თითქმის მთელ გაყოლებაზე ახლაც ჩნდება კრამიტების ფრაგმენტები, რაც მიუთითებს იმაზე, რომ წინამურის სერზე სასიმაგრო კედლები ალიზის აგურისაგან ყოფილა აშენებული. კრამიტების ფრაგმენტების გარდა წინამურის სერზე, მის აღმოსავლეთ ნაწილში ადგილმონაცვლებული ქვიშაქვის ბლოკები, კირქვის შენობის ნაშთები და ქვიშაქვის ბლოკებისა და რიყის ქვის კედლების ფრაგმენტები გამოვლინდა. ეს ადგილი დაახლოებით 30 მეტრის სიგანისაა. იგი სერის ყველაზე განიერი და, შესაბამისად, მშენებლობისათვის ყველაზე ხელსაყრელი ტერიტორიაა. ამიტომაც, სწორედ აქ იყო კონცენტრირებული არქეოლოგიური ნაშთების ძირითადი ნაწილი. მის სამხრეთ კიდეზე მიწით დაფარული შემალღებული ადგილები შეიმჩნევა, ხოლო სამხრეთ კალთაზე კრამიტის ნატეხები და ქვიშაქვის ბლოკები.

აღსანიშნავია ადგილმონაცვლებული, განსხვავებული ზომის ნაცრისფერი და ვარდისფერი ქვიშაქვის ბლოკები. ნაცრისფერი ქვიშაქვის ბლოკის მხოლოდ ერთი გვერდი ჩანს ზედაპირულად. ეს გვერდი ლითონის იარაღით ჩანს დამუშავებული. მასზე ხაზოვანი და ნახევრად წრიული ნაჭდევები აისახება. გვერდების დამუშავების კვალი, ასევე, ეტყობა ვარდისფერი ქვიშაქვის ბლოკებს. გარდა ამისა მათ ზედაპირებზე სამაგრის ბუდეებია ამოკვეთილი. ერთის ზედაპირის შუაგულში კუთხოვანი ვერტიკალური სამაგრის ბუდეა ამოკვეთილი, მეორის გვერდსა და ძირზე - კუთხოვანი ვერტიკალური სამაგრის ნახევარბუდე, ხოლო მესამის ზედაპირზე - ოვალური ჰორიზონტალური სამაგრის

ნახევარბუდე. მესამე ბლოკის ნახევარბუდეში კირქვის ნაშთები აღმოჩნდა (ილუსტრაცია 45).

ქვით მშენებლობაში ვერტიკალური სამაგრები შედარებით იშვიათად იხმარებოდა, ვიდრე ჰორიზონტალური. ისინი, ძირითადად პარაპეტის, ქონგურებისა და კოლონების მშენებლობაში გამოიყენებოდა, მაშინ, როდესაც ვერტიკალური წნეხი ძლიერი იყო ან ქვის ბლოკი არ იყო იმდენად მძიმე, რომ იგი მხოლოდ ჰორიზონტალურ სამაგრს დაემაგრებინა და ნაგებობის სტაბილურობის უზრუნველყოფა, დამატებით, ვერტიკალური სამაგრით ხდებოდა (ნილანდერი 1970, 45).

როგორც 1953 წელს გადაღებული ფოტოებიდან ჩანს, წინამურის ქედზე გამოვლენილი ქვების ბლოკების ზედაპირზე ძირითადად მართკუთხა განივკვეთიანი სამაგრის კარგად ამოკვეთილი ბუდეებია. ასევე, შეინიშნება ოვალური ფორმის ნაკლებად დამუშავებული ბუდეები და ერთი მრგვალთაფიანი სამაგრის ბუდე (ილუსტრაცია 46). ოვალური ფორმის სამაგრების ბუდეები არმაზის აკლდამის სამაგრის ბუდეებთან ავლენენ მსგავსებას. ეს ფორმა მტრედის კუდის ფორმის სამაგრებზე გვიანდელია.

წინამურის ბლოკებს ქვის იარაღით დამუშავების კვალი ატყვია. ისინი ისე კარგად და თანაბრად არ არის გათლილი, როგორც სვეტებიანი დარბაზის ქვის ბლოკები. ბლოკებს ზერელე დამუშავება ეტყობათ. მხოლოდ საფასადე გვერდებია კარგად დამუშავებული, დანარჩენი კი, რომლებიც ქვის წყობაში იმალებოდა და გარედან არ ჩანდა მხოლოდ ნაწილობრივ. ქვების დამუშავების ამგვარი ტექნიკა ეკონომიური ხერხი იყო. მშენებლობაში ბლოკებს ხშირად მეორად მასალად იყენებდნენ. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას კირქვის არსებობა ერთ-ერთი სამაგრის ნახევარბუდეში.

წინამურის სამაროვანი

წინამურის ველებზე ვრცელი სამაროვანი მდებარეობს. სამაროვანი ფრაგმენტულად ითხრებოდა 1924 წლიდან 1998 წლამდე. ამ ხნის მანძილზე მრავალი სხვადასხვა პერიოდის სამარხი გამოვლინდა გვიანი ბრინჯაოდან დაწყებული შუა საუკუნეებით დამთავრებული. ჩემი კვლევისათვის საინტერესო პერიოდს მხოლოდ

რამდენიმე სამარხი განეკუთვნება, მაგარამ ზოგადი სურათის წარმოსაჩენად მოკლედ მიმოვიხილავ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

უადრესი გვიანი ბრინჯაოს სამარხები 1968 წელს წინამურის ველის აღმოსავლეთ ნაწილში ადგილ მუხიმინაზე აღმოჩნდა (სიკაძე 1990, 347). სამაროვანის ყველაზე მოზრდილი სეგმენტი პირდაპირების მინდორზე, კამარახევის მარცხენა მხარეს, უშუალოდ მდინარე არაგვის აღმოსავლეთ ნაპირის ფლატეზე გაითხარა (ილუსტრაცია 47). მდებარეობის გამო მას კამარახევის სამაროვანი ეწოდა. სხვადასხვა მკვლევარის მიერ სამაროვანი სხვადასხვა პერიოდით განისაზღვრა (აფაქიძე 1958, 139; რამიშვილი 1959, 9; ჭლარკავა 1982, 140). საბოლოოდ, კამარახევის სამაროვანზე გამოვლენილი სამარხები ძვ.წ. მეოთხე-მესამე საუკუნეებით დათარიღდა. ჯამში, გათხრილმა ფართობმა 517მ² შეადგინა. გამოვლინდა 123 სამარხი. სამარხის ტიპი, უპირატესად, ქვაყუთი იყო. სამარხეული ინვენტარი ძირითადად თიხის ჭურჭლისა და ლითონის სამკაულისაგან შედგებოდა. ლითონის საბრძოლო და სამეშაო იარაღი იშვიათად ჩნდებოდა. მათგან აღსანიშნავია 43 ცალი რკინის მოლუნულპირიანი დანა. თთქმის ყველა სამარხში ალაპის კვალი გამოვლინდა. ქოთნებში წვრილფეხა საქონლისა და ღორის ძვლები იყო (ჭლარკავა 1982, 139-190).

პირდაპირების მინდორზე, პატარა კამარახევის მახლობლად, მცხეთის კრამიტსამარხების მსგავსი, კრამიტსამარხი აღმოჩნდა (რამიშვილი 1959, 9).

1998 წელს კამარახევის სამაროვნიდან 300 მეტრის აღმოსავლეთით, მოპირდაპირე მხარეს, გზატკეცილის კიდეში, 50მ² ფართობზე ექვსი ქრისტიანული ქვაყუთი გაითხარა. სამარხები მეხუთე-მეშვიდე საუკუნეებით დათარიღდა. მათგან აღსანიშნავი იყო სამარხი №98. აღმოსავლეთი კედლის შიდა მხარე კირხსნარით იყო შელესილი. ცენტრში ორმაგ წრეში ჯვარი იყო ჩახატული (აბუთიძე, ლლონტი 1999, 27-28) (ილუსტრაცია 48).

სამარხეული მასალის მიხედვით ჩანს, რომ წინამურის ველებზე ადამიანის საქმიანობის კვალი გვიანი ბრინჯაოს ხანიდან იწყება და დღემდე უწყვეტად გრძელდება.

თუ სამაროვნიდან მოპოვებული მონაცემების წარსულში ექსტრაპოლაციას მოვახდენთ, გამოვა, რომ სამარხების არსებობა, ნასახლარის არსებობასაც უნდა ნიშნავდეს, ანუ სამაროვნის სინქრონული ნამოსახლარი უნდა იყოს სადმე ახლოს.

ნამოსახლარი

წინამური-სეუსამორას ნამოსახლარის მდებარეობის განსაზღვრას შევეცადე ლანდშაფტის არქეოლოგიის მეთოდების გამოყენებით, რომელიც გულისხმობდა არქეოლოგიურ დაზვერვებს, ზედაპირულად გამოვლენილი არტეფაქტებისა და კულტურული ფენების დაფიქსირებას, არქეოლოგიური ძეგლების რუკაზე დატანას, აეროფოტოების შესწავლას და გეგრაფიული ინფორმაციული სისტემების მეშვეობით - სივრცით ანალიზს. თუმცა, არ არსებობს მეთოდების შერჩევის ერთადერთი სტრატეგია, ისევე, როგორც არ არსებობს გათხრების წარმოების ერთადერთი სწორი მეთოდი (ბარქერი, ლოიდი 1991, 14).

გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების მდებარეობაზე დაყრდნობით და საკვლევი ტერიტორიის ლანდშაფტის მთლიანობაში გააზრებით, ვივარაუდებ თუ რომელი ადგილი უნდა ყოფილიყო ყველაზე მოსახერხებელი დასახლების წარმოსაქმნელად. ეს მიდგომა, დამატებით, ლანდშაფტის ფენომენოლოგიას წარმოაჩენს და „მიანიშნებს თუ რა ძეგს არქეოლოგიური გათხრების ზღვარზე, ძეგლის მიღმა” (ჯონსონი 2007, 3). ასევე, შესაძლებელს ხდის ლანდშაფტის, როგორც იდენის გამოხატულების აღქმას. მკვლევარი კი შესაბამისად, მას გამოხატავს ისე როგორც ესმის და აღიქვამს (ლეითონი, უკო 1999, 2). ამგვარი ფენომენოლოგიური მეთოდოლოგიის გამოყენებით, შეიძლება ვივარაუდოთ თუ სად აირჩევდა ამა თუ იმ პერიოდის ხალხი საცხოვრებელს. თავდაცვის, ბუნებრივი რესურსებისა და ტრანსპორტირების გათვალისწინებით სად იქნებოდა მათთვის დასახლება უფრო ხელსაყრელი.

ამრიგად, ნამოსახლარი სასიმაგრო კედლების ახლოს, სერის ქვემოთ, ტერასებზე ვიგულისხმე. ტერასების დაზვერვის შედეგად რამდენიმე შენობის ნაშთი აღმოჩნდა. პირველი ტერასის განაპირას, მის სამხრეთ ნაწილში სამი ერთმანეთისაგან ხუთ-ხუთი მეტრით დაშორებული შენობის ნაშთები გამოვლინდა. შენობები ჩრდილო-

აღმოსავლეთის ღერძზე მდებარეობს. ორი მათგანი ოვალური ფორმისაა (სიგრძე 2-2.5მ). ნაგებია ცუდად დამუშავებული ჰატარა ზომის ქვიშაქვებით. გაურკვეველია თუ რა არის გამოყენებული ქვების შემაკავშირებელ ხსნარად (ილუსტრაცია 49). მესამე - ნახევრად მიწით არის დათარული, შეიმჩნევა რიყის ქვების კონცენტრაცია.

მეორე, ქვედა ტერასის სამხრეთ კიდესთან მხოლოდ ნაცრისფერი ქვიშაქვის ორი ბლოკი გამოვლინდა.

ტერასები დასავლეთის მხრიდან ჩამოჭრილია ელექტრობოძების მშენებლობასთან დაკავშირებული სამუშაოების გამო. ჭრილში ქვიშაქვისა და რიყის ქვის ნაგებობების ნაშთები და დამწვარი ფენა ჩანს (ილუსტრაცია 50).

ტერასების დასავლეთით გაშუშვლებულია ქვიშაქვის კლდოვანი მასები. საფიქრებელია, რომ ეს ადგილები იყო გამოყენებული ქვის კარიერად და, როგორც საფორტიფიკაციო, ასევე - საცხოვრებელი და დასაკრძალავი (ქვაყუთის ფილები) ნაგებობები ამ კარიერიდან მოპოვებული ქვებით შენდებოდა.

წინამურის სერის დასავლეთით, გზის პირას გაითხარა ორფენიანი ძეგლი - რომაული ხანის ნამოსახლარი და პირველი საუკუნის სამაროვნი - ქვევრსამარხები და ორმოსამარხები. ნამოსახლართან გამოვლინდა მოსწორებული ადგილი (3X2მ), სადაც აღმოჩნდა ქანდაკება, ღვინის ჭურჭლის სახელური, ბატილუმი (სიმაღლე 22სმ), მინის სანელსაცხებლები და ოქროს საყურეები (ნიკოლაიშვილი 2005, 96)

ტერასების სამხრეთით, ნაბაღრების გორაზე მეოთხე-მეშვიდე საუკუნეების ნამოსახლარი გაითხარა, სადაც დაუმუშავებელი ქვებითა და რიყის ქვით აგებული საძირკვლები და კრამიტის ფრაგმენტები გამოვლინდა (გამყრელიძე და სხვა 2013, 617).

წინამურის ველზე, ადგილ ნაბაღრებში გაითხარა მე-17- მე-18 საუკუნეების საწნახელი.

ამ მონაცემების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ადრებრინჯაოს ხანიდან მოყოლებული ახ.წ. მეორე საუკუნემდე დაბლობი ადგილები მხოლოდ სამაროვნებად გამოიყენებოდა. ახ.წ. მეორე საუკუნიდან ვაკე ადგილებში დასახლებები ჩნდება (საცხოვრებელი სახლი, მარანი). ამიტომ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობა

მაღლობი ადგილებიდან დაბლობში ჩამოვიდა. მიგრაციის პროცესი რაღაცით განპირობებული უნდა ყოფილიყო. წინაპირობა როგორც პოლიტიკური ვითარება, ასევე, გარემო პირობების ცვალებადობა შეიძლება ყოფილიყო. პოლიტიკური სტაბილურობა და არაგვის სანაპიროს ფორმირება დასასახლებლად სტაბილური ადგილების გაჩენას გამოწვევდა.

წინამურის ველის კომპურა სახლი (საყარაულო კომპი)

სასიმაგრო კედლების სამხრეთით, 1კმ-ის მოშორებით, წინამურის მეორე ველის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩნდა შენობის ცოკოლისა და კედლების ნაშთები, რომლებიც გ. ყიფიანის მიერ იდენტიფიცირებული იქნა, როგორც კომპურა სახლი (ყიფიანი 2003). ნაგებობის აღწერილობას გთავაზობთ ამ პუბლიკაციის მიხედვით. 5-10სმ სიმაღლის ცოკოლი თიხამინის ხსნარზე რიყის ქვისაგან იყო აშენებული, რომელსაც ალიზის აგურის კედლები ეფუძნებოდა. ცოკოლის გეგმის მიხედვით შენობას ორი განსხვავებული ფორმის განყოფილება ჰქონდა: – ერთი - რვაკუთხა და მეორე - ტრაპეციული. რვაკუთხა განყოფილების გარე დიამეტრი 10მ იყო, კედლები 1.5მ სიგანის, ტრაპეციულის კედლების სიგანე 0.9-1მ აღწევდა. მის ცენტრში 1 მეტრის დიამეტრის ხის შებათქაშებული სვეტის ნაშთები აღმოჩნდა. შენობას ორი კარი ჰქონია - გარე და შიდა. გარე კარი რვაკუთხა განყოფილების ცოკოლში ჩრდილოეთიდან იყო გაჭრილი. ხოლო შიდა - ალიზის კედელში, დასავლეთიდან, რომელიც ტრაპეციულ განყოფილებასთან აკავშირებდა (ილუსტრაცია 51).

შენობის ცოკოლი კრამიტების ინტენსიური ყრილით იყო დაფარული. კრამიტების ფრაგმენტები, ასევე, მიმოხეული იყო შენობის ირგვლივ, დაახლოებით 3მ რადიუსში. აღმოჩნდა, როგორც ტეგულა, ასევე - იმბრექსი. ზოგი მათგანი წითლად იყო შეღებილი. იმბრექსების უმრავლესობაზე ჯვარედინი ხაზოვანი ნიშნები იყო ამოკანრული.

შენობის განყოფილებების კედლების სიგანე ერთმანეთისაგან 50სმ-ით განსხვავდებოდა. კედლების სიგანე, სავარაუდოდ, განყოფილებების სიმაღლეზე აისახებოდა ანუ რვაკუთხა განყოფილების სიმაღლე, კედლის სიგანიდან გამომდინარე, აღემატებოდა ტრაპეციული ფორმის განყოფილებისას. შესაძლოა, რვაკუთხა ცოკოლს

მრგვალი კომპიკ ჰქონოდა დაშენებული. გეგმის მიხედვით ეს ნაგებობა კომპურა სახლს წააგავს, რომელიც კომპისა და ანექსისაგან შედგებოდა. ამგვარი კომპურა სახლები სასოფლო-სამეურნეო მიწების საყარაულოდ შენდებოდა (ყიფიანი 2003, 110-112).

კომპურა სახლის ფუნქცია სასოფლო-სამეურნეო მიწის დაცვა და მოსავლის (მარცვლეულის) შენახვა თუ იქნებოდა. მისი ზუსტი თარიღის განსაზღვრა რთულია, მაგრამ აღსანიშნავია, რომ მშენებლობის ტექნიკითა (კირიქვის გამოყენება?) და ფორმით იგი რომაულ არქიტექტურულ ნიმუშს განეკუთვნება.

კომპურა სახლის ცოკოლზე და მის ირგვლივ გამოვლენილი კრამიტები უკეთ საზღვრავს შენობის თარიღს. ისინი ტიპურია იბერიისათვის და პირველი-მეორე საუკუნეებით თარიღდება (ყიფიანი 1991, ძნელაძე 1996).

სასოფლო-სამეურნეო მიწები

საკვლევ ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო მიწების სისტემა გამოვლინდა, რომელიც გამოდგებოდა, როგორც სამინათმოქმედო საქმიანობისათვის, ასევე მეცხოველეობისათვის (სამარხებში თხისა და ცხვრის ძვლებია აღმოჩენილი).

წინამურის მცირე ველი დასავლეთიდან სიგრძეზე გაიკვეთა. წარმოქმნილ ვერტიკალურ ჭრილში გამოჩნდა სარწყავი არხების პროფილები (ყიფიანი 2003, 111). თუკი ეს სარწყავი არხებია, მაშინ შეიძლება დავასკვნათ, რომ აქაური მოსახლეობა სარწყავ მეურნეობას მისდევდა.

ამრიგად, ამ ტერიტორიის მთლიანობაში აღქმამ და შესწავლამ გამოავლინა ლანდშაფტის მთლიანი კონცეფცია, და, შესაბამისად, ნამოსახლართა სისტემა, რომელიც დაახლოებით 3კმ-ზე ვრცელდებოდა და წინამურის სერს არაგვის სანაპირო ზოლს და წინამურის სამივე ველს მოიცავდა. იგი დასახლებისაგან, სამაროვნისაგან და სასოფლო-სამეურნეო მიწებისაგან შედგებოდა (ილუსტრაცია 43). დასახლებას სასიმაგრო კედლები ჰქონდა. ეს კი ნიშნავს, რომ დასახლება ურბანული ყოფილა. სასოფლო-სამეურნეო დასახლებას ფორტიფიკაცია არ ჰქონდა. ველების კონტროლი კომპურა სახლით ხდებოდა, რომელიც ლოკალურად იცავდა მიწას და არა დასახლებას.

არქეოლოგიური უბნის უმაღლეს ნერტილზე (680მ) საფორტიფიკაციო კედლები იყო განლაგებული. დასახლება უფრო დაბალ ტერასაზე (540მ) მდებარეობდა, სამაროვანი და სასოფლო-სამეურნეო მიწები კი - ყველაზე დაბალ ადგილებში (480-460მ). აღსანიშნავია, რომ ძეგლების მშენებლობაში ერთიდაიგივე სამშენებლო მასალაა გამოყენებული (ქვიშაქვა, ალიზის აგური, რიყის ქვა, კრამიტი).

საკვლევო ტერიტორიის გეოლოგიას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. თუმცა გვიანი პლეისტოცენიდან ძირეული გეოლოგიური ცვლილებები არ მომხდარა, ბუნებრივი გარემო მაინც შეიცვალა, რაც აისახა მდინარე არაგვის კალაპოტისა და სანაპირო ხაზის ცვლილებაზე. მდინარეების მტკრისა და არაგვის ნაპირები ჭალის ტყეებით იყო დაფარული. პირველადი სახით, მათი ცალკეული კორომები ეხლაც შემორჩენილია ქალაქების - თბილისისა და რუსთავის მიდამოებში (მარუაშვილი 1971, 286-290). ამ ადგილების ნიადაგებიდან ჩანს, რომ თანდათანობით ტყეების განადგურება და შემცირება ხდებოდა (საბაშვილი 1965, 286-292). ნიადაგი ლანდშაფტის ის კომპონენტია, რომელიც მინერალების აკუმულაციის, ქიმიური ტრანსფორმაციისა და მასზე გაზრდილი მცენარეების ნარჩენების გადაადგილების შედეგად წარმოიქმნება. ნიადაგის ფორმირებაზე, ასევე, ზემოქმედებს მიწის ფენების მოძრაობა, რომელიც გამოწვეულია მცენარეების ფესვებით, ცხოველების მიერ სოროების თხრით და ადამიანების მიერ მიწის დამუშავებით. ყოველივე ეს ერთად განაპირობებს სხვადასხვა ტიპის ნიადაგის ჩამოყალიბებას (ბირკილენდი 1999).

სამარხების რაოდენობიდან გამომდინარე წინამური-სეუსამორას მიდამოების ინტენსიური ათვისება ძვ.წ. მეოთხე საუკუნიდან იწყება. თუმცა, ადამიანის საქმიანობა ამ ტერიტორიაზე გვიანი ბრინჯაოს ხანიდან ჩანს. მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი კერამიკა გამოვლინდა ე.წ. წინამური III არქეოლოგიურ უბანზე, რომელიც წინამურის სერის ჩრდილოეთით, საგურამოს ასახვევის შემდეგ დაახლოებით 1კმ-ის დაშორებით, არაგვის აღმოსავლეთ სანაპიროზე აღმოჩნდა (ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი 1995, 58-96).

ტყეების შემცირება და არაგვის სანაპირო ზოლისა და წყლის დონის ცვალებადობა ურთიერთდაკავშირებული იყო. ამაზე ძვ.წ. მეოთხე საუკუნის სამაროვნის მდებარეობა

არაგვის აღმოსავლეთ სანაპიროს კიდებე მიუთითებს. არაგვის სანაპირო ზოლის ცვლილებებს უკანასკნელი ერთი საუკუნის მანძილზე მეცხრამეტე საუკუნისა და თანამედროვე ტოპოგრაფიული რუკების შედარებაც ცხადყოფს. კულტურული და ბუნებრივი მოდიფიკაციები ლანდშაფტის დიზაინს ცვლიდა. რომაულ ხანაში ეს პროცესი უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა.

წინამური-სეუსამორას მოსახლეობა მიწათმოქმედი და მესაქონლე იყო. სამარხეული ინვენტარის მიხედვით, ასევე განვითარებული ყოფილა მეთუნეობა. აღსანიშნავია ლითონის ნივთების სიმცირე.

იმისათვის, რომ გარკვეულ იქნას ნამოსახლარის სტრუქტურა და მისი მაცხოვრებლების საქმიანობა, სამი ურთიერთდამოკიდებული ფაქტორი უნდა შეისწავლოს: ა) ინდივიდუალური შენობები, ბ) ნამოსახლარის გეგმა,

გ) ნამოსახლარების გავრცელების არეალი (თრინგემი 1972, xxiii). წინამური-სეუსამორას შემთხვევაში ჩვენ არასრულ ინფორმაციას ვფლობთ და შესაბამისად, სრულად ვერ ვიმსჯელებ მოსახლეობის ცხოვრების სტილზე.

ამ ეტაპზე, მხოლოდ არსებული არქეოლოგიური მასალის, წერილობითი წყაროებისა და გარემო პირობების საფუძველზე ქალაქ წინამური-სეუსამორას დაარსებისა და დაცემის თარიღების განსაზღვრა რთულია. აღსანიშნავია, რომ პომპეუსის იბერიაში შემოჭრის დროს, ძვ.წ. პირველი საუკუნის მეორე ნახევარში ქალაქი უკვე არსებობდა. თუმცა, სამარხეული მასალის მიხედვით დასახლება აქ რამდენიმე საუკუნით ადრეც იყო. შემდგომი პერიოდის ბერძნულ-ლათინური წყაროები და კიდევ უფრო გვიანდელი ქართული საისტორიო თხზულებები ამ სახელწოდების დასახლებას (სეუსამორა) არ იცნობს. სავარაუდოდ, მცხეთის დაარსება-დანინაურებასთან ერთად ქალაქი კნინდება ან საერთოდ ქრება, მაგრამ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დასახლებად კვლავ რჩება აგრიკულტურული ველების გამო.

რატომ არ იხსენიებენ წინამური-სეუსამორას სტაბონის შემდგომი წყაროები? შესაძლოა, იმიტომ რომ, მას მეორე-მესამე საუკუნეებში სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა უკვე დაკარგული აქვს და მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო ფუნქციად

რჩება. მით უმეტეს, არ გააჩნია აღსანიშნავი მნიშვნელობა მეშვიდე-მეთერთმეტე საუკუნეებში, მაშინ, როდესაც ქართული საისტორიო წყაროები იწერება, რადგანაც იგი უკვე ცენტრალური პოლისის დაქვემდებარებული მიწაა. აღსანიშნავია ვახუშტის მიერ წინამურის შუასაუკუნეების ბრძოლებთან დაკავშირებით მოხსენიება - წინამურთან დახვდომა და ჩასაფრება. როგორც თხრობიდან ჩანს, წინამური სამხედრო-სტრატეგიული ადგილი ყოფილა შუასაუკუნეებშიც. შესაძლებელია სასიმაგრო კედლები იმ დრომდეც ყოფილიყო შერჩენილი.

ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი მონაცემების საფუძველზე შეიძლება წინამური-სეუსამორას კულტურული ლანდშაფტის რეკონსტრუქცია მოვახდინოთ ძვ.წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრიდან ახ.წ. მეოთხე საუკუნემდე. ძვ.წ. მეხუთე-მეოთხე საუკუნიდან დაბლობი მიწები სასაფლაოდ გამოიყენებოდა. პომპეუსის ლაშქრობის დროს წინამურის ქედი უკვე გამაგრებული იყო და სავარაუდოდ, მოსახლეობა, შემალღებულ ადგილებზე სახლობდა. ახ.წ. მეოთხე საუკუნეში მოსახლეობა უკვე დაბლობში სახლდება. მანამდე არაგვის ნაპირები ჭალის ტყეებით იყო დაფარული. მოსახლეობის ზრდამ და ინტენსიურმა მშენებლობამ, რაც რომის მიერ შექმნილ სტაბილურობას უკავშირდება, ახ.წ. პირველ-მესამე საუკუნეებში გამოიწვია ტყის გაჩეხვა და დასასახლებლად ვარგისი მიწების ფორმირება.

ეს პროცესები ადამიანისა და ბუნების ინტერაქციის შედეგად განვითარდა. წარმოიქმნა აშენებული, კონცეპტუალური და იდეური ლანდშაფტები, რომელთა გამიჯვნა რთულია, რადგანაც ლანდშაფტი, ხშირად, სამივე თვისებას აერთიანებს. ლანდშაფტი არენაა, სადაც მესხიერება, იდენტობა და სოციალური წესრიგი იქმნება და ტრანსფორმირდება (ქნაფი, აშმორი 1999, 9-10).

ამრიგად, კულტურული ლანდშაფტის რეკონსტრუქციამ წინამური-სეუსამორას ნამოსახლარის მოდელი წარმოაჩინა.

ქალაქი მცხეთა

თანამედროვე ქალაქი მცხეთა მდინარეების - მტკვრისა და არაგვის შესართავთან მდებარეობს, ზღვის დონიდან 454-486 მეტრის სიმაღლეზე. ახლანდელი მცხეთის საქალაქო სივრცე მდინარე არაგვის დასავლეთ სანაპიროზე ვრცელდება ღართისკარამდე და მტკვრის ორივე სანაპიროზე მცხეთის რკინიგზის სადგურამდე. შესაბამისად, მის სამხრეთ და აღმოსავლეთ მხარეებს მდინარეების მტკვრისა და არაგვის ნაპირები შემოწერს. ჩრდილოეთით არაგვის ჭალები ესაზღვრება, ხოლო დასავლეთით - გოგოტის სერის სამხრეთ-აღმოსავლეთი ფერდობები. არმაზი მცხეთის სამხრეთით, 2კმ-ის დაშორებით მდებარეობს, ხოლო წინამური - აღმოსავლეთით 5კმ-ის დაშორებით.

მტკვრისა და არაგვის ხეობები მცხეთის მიდამოებში გაფართოებულია, რაც მდინარეების შეერთებით არის განპირობებული. ამ ადგილას მტკვრისა და არაგვის ჭალებია, რომელზეც ჭალისზედა ალუვიური პირველი ტერასაა განვითარებული. სწორედ, ამ ტერასაზეა ქალაქი მცხეთა გაშენებული. ტერასის სიმაღლე 1.5მ-დან 4მ-მდე მერყეობს. მცხეთის მიდამოებში მოქცეული, მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპირო ოლიგოცენის ქვიშაქვებით და თიხაფიქლებითაა აგებული.

მცხეთა მრავალ ისტორიულ წყაროშია მოხსენიებული. მათგან უადრესია პტოლემეაიოსის გეოგრაფია, სადაც იბერიის ქალაქთა ჩამონათვალში რიგით მეექვსეა და მესტლეთას სახელწოდებით არის ნახსენები¹⁴ (პტოლემეაიოსი X).

ქართულ წყაროთაგან, განსაკუთრებით, აღსანიშნავია „მოქცევაი ქართლისაი“, ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ და ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, რადგანაც პირველი ორი თხზულება იბერიის ისტორიის უადრეს პერიოდსაც მოიცავს და ქართლის წარმართი მეფეების მოღვაწეობაზე მოგვითხრობს, რაც მცხეთის მშენებლობასთან არის დაკავშირებული, ხოლო უკანასკნელი ქართლის სამეფოს გეოგრაფიულ აღწერილობას გვთავაზობს და საკუთრივ

¹⁴ პტოლემეაიოსის მესტლეთა მცხეთად პ. იოსელიანმა მიიჩნია (იოსელიანი 1850, 53).

ქალაქი მცხეთის მდებარეობას განსაზღვრავს (ვახუშტი 1941, 60, 30-35), რომელიც თანამედროვე გეოგრაფიულ სიტუაციას ემთხვევა.

ქალაქი მცხეთის არქეოლოგიურ შესწავლას ორ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. იგი იწყება მე-19 საუკუნის ბოლოდან და უკავშირდება სამთავროს ველზე სამარხების შემთხვევით აღმოჩენის ფაქტს, რაც 1871-77 წლებში ფრიდრიხ ბაიერნის მიერ არქეოლოგიური გათხრების დაწყების მიზეზი გახდა (გამყრელიძე და სხვა 2013, 352). შედეგად, სამთავროს ველზე მრავალფენიანი სამაროვანი და სხვადასხვა პერიოდის ნამოსახლარის ნაშთები გამოვლინდა.

მომდევნო არქეოლოგიური აღმოჩენა მე-20 საუკუნის დასაწყისში, სვეტიცხოვლის ტაძარს უკავშირდება. 1902 წელს ტაძრის გალავანში აღმოჩნდა თიხის ფილასამარხები (გამყრელიძე და სხვა 2013, 352). 1870-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, ქალაქ მცხეთის ტერიტორიაზე პერიოდულად მიმდინარეობდა არქეოლოგიური გათხრები, რამაც მრავალი არქეოლოგიური ძეგლი გამოავლინა. აღსანიშნავია, რომ ძეგლების უმრავლესობა ამ ორ უბანზე - სამთავრო და სვეტიცხოვლი - და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩნდა. არქეოლოგიური ძეგლების აღმოჩენის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით ქალაქი მცხეთის ცენტრი 12 უბნადაა დაყოფილი (სვეტიცხოველი I-XII)¹⁵. ნაშრომში ქალაქი მცხეთის არქეოლოგიური უბნების ახლებური გადანაწილებაა წარმოდგენილი. ძეგლების ქრონოლოგიისა და ლანდშაფტზე განლაგების შესაბამისად ექვსი არქეოლოგიური უბანი გამოიყო - სამთავრო, მცხეთის გორა, სვეტიცხოველი, კარიბჭე, ბაითხევი და ბებრისციხე (ილუსტრაცია 52). ეს უბნები ზღვის დონიდან სხვადასხვა სიმაღლეზე მდებარეობს და ერთმანეთისგან მცირე ხევებითაა გამოყოფილი. მათგან ყველაზე ადრეული სამთავროს ველის სამაროვანი და ნამოსახლარია, რომელიც თანამედროვე ქალაქი მცხეთის დასავლეთ ნაწილში მდებარეობს.

¹⁵ იხ. მცხეთა V-XI.

სამთავროს სამაროვანი

სამაროვანზე გამოვლენილი უადრესი - მტკვარ-არაქსული თიხის ჭურჭლის ფრაგმენტების შემცველი - ფენები ადრეებრინჯაოს ხანით განისაზღვრა (კალანდაძე 1959, 14-17; საღრაძე 1997, 9-11), ხოლო უადრესი სამარხები შუა ბრინჯაოს ხანით (კალანდაძე 1980, 33-38; საღრაძე 1993, 4-23). სამარხთა მნიშვნელოვანი რაოდენობა (660 სამარხი) გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით დათარიღდა (კალანდაძე 1980, 22-32; საღრაძე 1997, 4). ელინისტურ პერიოდს (ძვ.წ. მეორე-ახ.წ. პირველი ს.ს.) განეკუთვნა სამარხები (158 ქვევრსამარხი), რომლებიც სამთავროს სამაროვნის სამხრეთ უბანზე მდებარეობდა (თოლორდავა 1980, 47-56). რომაული პერიოდით (ახ.წ. პირველი-მეოთხე ს.ს.) დათარიღდა სამარხები (338 სამარხი), რომლებიც სამთავროს ველის ჩრდილოეთ, სამხრეთ და ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში და, ასევე, სამთავროს მონასტრის სიახლოვეს გამოვლინდა (აფაქიძე და სხვა 1978, 122-131, მანჯგალაძე 1985, 43-108). სამთავროს სამაროვანზე შუა საუკუნეების სამარხებიც აღმოჩნდა (აფაქიძე და სხვა 1981, 119-152, 157-158).

ამ პერიოდებში ქვაყუთი არის სამარხის უპირატესად გავრცელებული ტიპი. თუმცა, ელინისტური ხანიდან ჩნდება ქვევრსამარხები და რომაული ხანიდან კრამიტსამარხები.

ინვენტარისა და ეპიგრაფიკული მასალის გამო რომაული პერიოდის (მეორე-მესამე ს.ს.) სამარხებიდან განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს რამდენიმე. პირველი - ქვაყუთი, რომელშიც ანტინოეს (117-138 წ.წ.) ბერძნულწარწერიანი ბრინჯაოს მედალიონი აღმოჩნდა; მეორე - კრამიტსამარხი No6, რომელშიც სანერი მონყობილობა: სამელნე სახურავით, ბრინჯაოს 4 წკირი და ძვლის მრგვალგანივკვეთიანი სტილოსი იყო (აფაქიძე და სხვა 1978, 68-75); მესამე - ქვაყუთი, რომლის გვერდით კედლებად გამოყენებულ სტელებზე ბერძნული და ებრაული ეპიტაფიები ეწერა (ივაშენკო 1980, 206); მეოთხე - ორფერდა სახურავიანი ქვაყუთი No905, რომელშიც ორი ქალი იყო დამარხული. სამარხში აღმოჩნდა 32 ნივთი. მათგან აღსანიშნავია: მასიური ოქროს ბეჭდები, ვერცხლის კოვზები, აქატის სანელსაცხებლე, ქვის საბეჭდავები, ოქროს და ვერცხლის მონეტები (აფაქიძე, ნიკოლაიშვილი 1996, 7-79); მეხუთე კი - ორფერდა სახურავიანი ქვაყუთი No970,

რომელშიც გემიანი ბეჭდები, ავგუსტუსის მონეტები და პართული დრაქიმები გამოვლინდა (აფაქიძე და სხვა 2001, 25-26).

აღსანიშნავია, სამთავროს ველის სამხრეთით, მის გაგრძელებაზე, მონასტრის ხევის მარჯვენა ნაპირზე აღმოჩენილი რომაული ხანის კრამიტსამარხების ინვენტარი, რომელიც თიხის ჭურჭელს, მინის სანელსაცხებლებს, რომაულ მონეტებსა და ლითონის საბეჭდავ-ბეჭდებს შეიცავდა. საბეჭდავი-ბეჭდების სარდიონის ინტალიოებზე ფორტუნა, ვენერა, შინაური ფრინველები და ცხოველები იყო გამოსახული (აფაქიძე და სხვა 1995, 7,13,15-16).

სამთავროს ნამოსახლარი

სამთავროს ველის დასავლეთით მდებარე გორაზე გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ნამოსახლარი გაითხარა 1977-78 წლებში. სახლები ტერასულად იყო განლაგებული და წარმოადგენდა ერთოთახიან ნაგებობებს, რომელთა ერთი მხარე მიწაში იყო შეჭრილი. სახლებს ბანური გადახურვა ჰქონდა. კედლების ნაწილი ქვის ნატეხებითა და ტალახით იყო აშენებული. კედელი შიგნიდან თიხით იყო შელესილი. მარცხენა კუთხეში პურის საცხობი ღუმელი იყო აშენებული (აფაქიძე და სხვა 1978, 109-119; 1981, 133-137).

ელინისტური და რომაული პერიოდების ნამოსახლართა ფენებიც გამოვლინდა სამთავროს ველზე 1979-80 წლებში (აფაქიძე და სხვა 1982, 191-218).

მცხეთის გორა (მრეელიშვილისა და ჭავჭავაძის ქუჩები)

მცხეთის გორა ქალაქის შემალღებულ, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, სამთავროს ველის სამხრეთით მდებარეობს. აქ გაითხარა სამაროვანი (58 სამარხი), სადაც ადრებრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი ბადიების შემცველი ორი ქვაყრილიანი სამარხი გამოვლინდა (ნიკოლაიშვილი და სხვა 1985, 140-150). დანარჩენი სამარხები ახ.წ. მეოთხე-მეშვიდე საუკუნეებით დათარიღდა. ისინი ორ იარუსად იყო განლაგებული. ზედა იარუსის სამარხები მეექვსე-მეშვიდე საუკუნეებით განისაზღვრა, ქვედა კი - მეოთხე-მეხუთეთი (ნიკოლაიშვილი და სხვა 1985, 132-135). მცხეთის გორაზე რომაული-ადრეშუასაუკუნეების ნამოსახლარიც აღმოჩნდა (აფაქიძე და სხვა 1982, 191-218).

სვეტიცხოვლის უბანი (ტაძარი, ეზო და მიმდებარე ტერიტორია)

სვეტიცხოვლის უბანი თანამედროვე ქალაქის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს. ამ ტერიტორიაზე ჩატარებულმა მიწის სამუშაოებმა სამი კულტურული პერიოდის - ელინისტური, რომაული, შუასაუკუნეები - სამარხები და შენობები გამოავლინა. სამარხების უმრავლესობა კარგად იყო შემონახული, შენობები კი - ძალიან დაზიანებული. შენობების ფრაგმენტებმა დღემდე ვერ მოაღწია. შემონახულია ზოგიერთის ნახაზი და წერილობითი აღწერა, ამიტომ, ძირითადად, სამარხებისა და სამარხეული მასალის განხილვაა შესაძლებელი.

ელინისტური პერიოდის (ძვ.წ. მეორე-პირველი ს.ს.) სამი ქვევრსამარხი, რომაული (მეორე-მესამე ს.ს.) კრამიტსამარხები და რიყის ქვითა და თიხის ხსნარით აშენებული შენობის ნაშთები და კრამიტები აღმოჩნდა კოსტავას ქუჩაზე (აფაქიძე და სხვა 1981, 119-152, 157-158). ელინისტური და რომაული ფენების მონაცვლეობა დადასტურდა აღმაშენებლის ქუჩაზე თანამედროვე მიწის ზედაპირიდან 2-2.5მ-ის სიღრმეზე. აქ გამოვლენილი თიხის ჭურჭლის ანალოგიური მონითალო-მოყავისფროდ ანგობირებული პირმოყრილი და ქუსლიანი ჯამები, გრეხილსახელურიანი დოქები და წითლად მოხატული ქვევრები ციხიაგორას, უფლისციხის, სამადლოს, ნასტაკისისა და სამთავროს ქვევრსამარხებიდანაა ცნობილი (აფაქიძე და სხვა 1989, 40-41).

ახ.წ. პირველი საუკუნის მეთუნეთა უბანი და ახ.წ. პირველი-მეორე საუკუნეების სამაროვანი გაითხარა მამულაშვილის ქუჩის დასაწყისში (კალანდაძე 1959, 14-17).

რომაული ხანის სამაროვანი ხშირად შუასაუკუნეების ნამოსახლარის ფენების ქვეშ ან მის ახლოს ვლინდებოდა, მაგალითად, მამულაშვილის ქუჩაზე რომაული ხანის სამაროვანი ადრეშუასაუკუნეების ნამოსახლარის ნაშთების ქვეშ დადასტურდა (აფაქიძე და სხვა 1989, 40-41). კოსტავას ქუჩაზე ადრეშუასაუკუნეების ნამოსახლართან ერთად რომაული ხანის 21 სამარხი (11 ქვაყუთი, 5 თიხის ფილასამარხი, 3 კრამიტსამარხი, 2 ქვის ფილებით გადახურული ორმოსამარხი) აღმოჩნდა. მათგან ორფერდა სახურავიანი ქვაყუთი No25 გამოირჩეოდა. მასში მდიდარი ქალბატონი ყოფილა დაკრძალული. სამარხეული ინვენტარი მრავალფეროვანი იყო - მიწის ნივთები, სამკაულები, მასიური

გიშრის სამაჯური ოქროს ფირფიტებით, არდაშირ I-ის ოქროს მონეტა და სხვა. სამარხი მესამე საუკუნით დათარიღდა (აფაქიძე და სხვა 1989, 41-45). არსუკიდის ქუჩაზე აღრეშუასაუკუნეების ნამოსახლარის ქვეშ რომაული ხანის 16 სამარხი აღმოჩნდა (აფაქიძე და სხვა 1989, 50-51).

რომაული ხანის კრამიტსამარხები, აგურის სამარხები, თიხის ფილასამარხები და ქვაყუთები გაითხარა კოსტავას ქუჩაზე. ერთ-ერთ ორფერდა სახურავიან ქვაყუთში ვერცხლის კალამი და ძვლის სტილოსი აღმოჩნდა. ქვაყუთი ახ.წ. პირველი-მესამე საუკუნეებით დათარიღდა (კალანდაძე 1959, 14-17).

აღსანიშნავია სვეტიცხოვლის ტაძრის შიდა სივრცეში და ეზოში სხვადასხვა დროს (1950, 1967-75, 1978 წ.წ.) აღმოჩენილი ოთხი კორინთული კაპიტელი, რომლებიც გ. ყიფიანმა ახ.წ. მეორე საუკუნით დაათარიღა (ყიფიანი 1997ა, 61-63; 1999, 35).

სვეტიცხოვლის ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელთან 1.7მ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა ბანურსახურავიანი, კარგად გათლილი ქვის ფილებისაგან შედგენილი, თიხის ფილებით მოგებული იატაკიანი ქვაყუთი. სამარხი ინდივიდუალური იყო. იქ მდიდარი ქალბატონი ყოფილა დაკრძალული. ინვენტარი გამოირჩეოდა მრავალფეროვნებითა და ძვირფასეულობით. განსაკუთრებით აღსანიშნავი იყო საწერი მონყობილობა (ილუსტრაცია 53). ქვაყუთი მესამე-მეოთხე საუკუნეებით დათარიღდა (აფაქიძე და სხვ. 2004, 104-121).

სვეტიცხოვლის დასავლეთ გალავანთან (ერეკლე II-ის ქუჩა) აღმოჩნდა მესამე-მეოთხე, მეექვსე საუკუნეების ნამოსახლარი. გეგმაში იკითხებოდა სახლების პარალელური რიგი (ნიკოლაიშვილი 2004, 39-43) (ილუსტრაცია 54).

ახ.წ. მეოთხე საუკუნის მარანი მამულაშვილის ქუჩის დასაწყისში გამოვლინდა (კალანდაძე 1959, 14-17).

აღრეშუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი მასალა - ნითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლებისა და კრამიტების ფრაგმენტების შემცველი ფენები - აღმოჩნდა მამულაშვილისა და გამსახურდიას ქუჩებზე. შუა საუკუნეების საცხოვრებელი ნაგებობა,

დერეფანი და მარანი გაითხარა 100მ²-ის ფართობზე, აღმაშენებლის ქუჩაზე (ათაქიძე და სხვა 1989, 50-51).

სვეტიცხოვლის გალავნის სამხრეთით, არსუკიძის ქუჩაზე გამოვლინდა მეხუთე-მეექვსე საუკუნეების სასახლის ტიპის შენობის ნანგრევები და შუა საუკუნეების სახლები (კალანდაძე 1963, 37-43). ერთ-ერთ სახლში იპოვეს ხელადა, რომელშიც ოქროს ფირფიტა იღო. ფირფიტაზე 29 სტრიქონიანი, მაგიური ხასიათის ებრაული წარწერა იყო ამოკანრული. ფირფიტა მეხუთე-მეექვსე საუკუნეებით დათარიღდა (წერეთელი 1996, 95-132).

ანტიოქიის ეკლესიის იატაკის ქვეშ კლდოვან ქანში ჩატრილი ხუთი ადრე შუა საუკუნეების ქრისტიანული ქვაყუთი აღმოჩნდა (მანჯგალაძე 1997, 11-12).

სამი ურთიერთმონაცვლე კულტურული პერიოდი აისახა სტრატეგრაფიულ ჭრილში სვეტიცხოვლის ეზოში, ტაძრის ჩრდილოეთით 10მ² ფართობის განმენდისას. 1მ სისქის ჰუმუსური ფენის ქვეშ აღოჩნდა აგურითა და კირხსნარით ნაგები შუასაუკუნეების შენობის ნაშთები - სამი თალი პილასტრებით. მის ქვემოთ 1მ სისქის ფენაში გამოვლინდა მეოთხე-მეექვსე საუკუნეების კერამიკის ფრაგმენტები. 2მ-ის ქვემოთ აღმოჩნდა თიხის მილებით გაკეთებული წყალსადენი, რომელიც მიმართული იყო დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ (მანჯგალაძე 1997, 11-12).

სვეტიცხოვლის ტაძრის სამხრეთით, ეზოში გაითხარა 10 ქვაყუთი. მათგან ინვენტარი მხოლოდ სამარხ No6-ში აღმოჩნდა, რომელშიც ხუთი ჩონჩხი იყო - ოთხი მიხვეტილი სამხრეთ კედელთან, მეხუთე კი - გულაღმა, გაშოტილი, თავით დასავლეთისკენ. ინვენტარი შედგებოდა მინის სამაჯურის, რკინის ფიბულისა და ბრინჯაოს სამი ბურთულა-ღილისაგან. სამარხი მეთერთმეტე-მეცამეტე საუკუნეებით დათარიღდა (მანჯგალაძე 1997, 11-12).

კარიბჭე

ალიზის აგურის ადრეშუასაუკუნეების კარიბჭე მცხეთის სამხრეთ ნაწილში სამთავროსა და სვეტიცხოვლის უბნებს შორის გამოვლინდა. კარიბჭის ქვეშ პირველი-

მესამე საუკუნეების მასალის შემცველი ფენა დადასტურდა (კალანდაძე და სხვა 1966, 29-31).

ბაიათხევი

სამთავროს ველის ჩრდილოეთით მდებარე ბაიათხევის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე შენობისათვის გათხრილ საძირკველში, რომელი ხანის სამრხები (კრამიტსამრხები, თიხის ფილასამრხები, ქვის ფილებით გადახურული ორმოსამრხები) და მათ ქვეშ ნამოსახლარი აღმოჩნდა. სამრხებში ავგუსტუსის ვერცხლის დენარები იყო. ისინი მესამე-მეოთხე საუკუნეებით დათარიღდა, ხოლო ნამოსახლარი პირველი-მეორეთი (ნიკოლაიშვილი, გიუნაშვილი 1995, 97-134).

ბებრისციხე

მცხეთის ჩრდილოეთ სიმაგრეს ბებრისციხე წარმოადგენდა. ბებრისციხე მდებარეობს მდინარე არაგვის დასავლეთ ნაპირზე შემალლებულ ადგილას, სამთავროს ველის ჩრდილოეთით 500მ-ის დაშორებით, ბაიათხევის მოპირდაპირე მხარეს, ზღვის დონიდან 450 მეტრის სიმაღლეზე. ამჟამად ბებრისციხე თანამედროვე ქალაქ მცხეთის შუაში ექცევა და მცხეთის ადრეშუასაუკუნეების კარიბჭიდან ჩრდილოეთით დაახლოებით 1.4 კმ-ის დაშორებით მდებარეობს (ილუსტრაცია 52).

ბებრისციხის ისტორიული სახელი ბელტის ციხე ყოფილა. სწორედ ამ სახელით ახსენებს მას პირველად ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე მეთორმეტე საუკუნის ამბავთან დაკავშირებით (ქც 1955, 367, 5). ვახუშტი ბაგრატიონი „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“ ბელტის ციხის სახელით იხსენიებს და გვამცნობს, რომ იგი მცხეთის ჩრდილოეთით მდებარეობდა (ვახუშტი 1941, 62, 112, 25).

ბებრისციხის ამჟამინდელი ციხე-კოშკი შუასაუკუნეებშია აშენებული. უცნობია ზუსტად როდის, მაგრამ პირველად იგი წყაროში ნახსენებია დემეტრე I დაკავშირებით, რომელიც 1156 წელს ბელტის ციხეში გარდაცვლილა (ქც 1955, 367,5).

ბებრისციხე ბორცვზე მდებარეობს. იგი თავისი გეგმარებით ზუსტად შეესაბამება ლანდშაფტის ფორმებს. ბებრისციხე სამკუთხედის ფორმის არის. სამივე კუთხეში ნახევრად ოვალური კოშკები აქვს ჩადგმული, რომლებიც ჩრდილოეთით,

აღმოსავლეთითა და დასავლეთით არის მიმართული. სამხრეთიდან კი ეზო ეკვრის (ილუსტრაცია 55). ჩრდილოეთის კოშკი სამსართულიანი ყოფილა, სამხრეთ-დასავლეთის კი ოთხსართულიანი და - ყველაზე დიდი. ბებრისციხის დასავლეთი კედელი, რომელიც ჩრდილოეთისა და დასავლეთის კოშკებს აერთებს, სამი ნახევარწრიული კონტრფორსით არის გამაგრებული. ბებრისციხე ქვიშაქვის პატარა, მეტ-ნაკლებად თანაბარი ზომის ქვებისაგან და ქვითკირისაგან არის აშენებული. შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით ეზოს გალავნი ნახევარწრიული ყოფილა, რომლის აღმოსავლეთ მხარეს ოთხკუთხა კოშკი მდგარა (ზაქარაია 1973, 51; სიკდა 1990, 242; ნიკოლაიშვილი და სხვა 2009, 11-12).

ბებრისციხე რამდენჯერმე იქნა რესტავრირებული. 1962 წელს ბებრისციხეზე ჩატარდა არქეოლოგიური დაზვერვები მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ. გაკეთდა საცდელი თხრილები. თხრილებში აღმოჩნდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის პერიოდის ჭურჭლის რამდენიმე ნატეხი, რომაული ხანის კრამიტისა და ქვევრის ფრაგმენტები, შუასაუკუნების ჭურჭლის ფრაგმენტები, აგურები, თიხის მილები და სხვა (გამყრელიძე და სხვა 2013, 101). 1983 წლის სარესტავრაციო სამუშაოების დროს დასავლეთი კედლის გასწვრივ გაკეთდა შურფები. ციხის საძირკველთან გამოჩნდა ცუდად დამუშავებული ქვიშაქვით აშენებული კედლის ორი რიგი, ზემოდან ალიზის აგურთა ნაშთებით. კედელთან აღმოჩნდა წითლად შეღებილი ჭურჭლისა და კრამიტის ფრაგმენტები (სიკდა 1990, 242). 2007 წლის სარესტავრაციო სამუშაოების შედეგად დასავლეთი კოშკის შიდა მხარეს, კოშკის საძირკვლის ქვეშ აღრინდელი კედლის ფრაგმენტები გამოვლინდა. კედელი საძირკვლის გარეთაც ვრცელდებოდა. იგი აგებული იყო ქვიშაქვის ცუდად დამუშავებული სხვადასხვა ზომის ქვებისაგან (ნიკოლაიშვილი და სხვა 2009, 1) (ილუსტრაცია 56) ჩრდილოეთ კოშკშიც აღმოჩნდა აღრინდელი შენობის ნაშთები - ქვიშაქვის ცუდად დამუშავებული ქვებით აშენებული კედლები. იქვე გამოვლინდა ალიზის ნაშთების შემცველი დამწვარი ფენები და წითლად შეღებილი კრამიტის ფრაგმენტები (ნიკოლაიშვილი და სხვა 2009, 13).

შუასაუკუნეების დროინდელი ციხის ჩრდილოეთისა და დასავლეთის კოშკების ქვეშ გამოვლენილი კედლების ფრაგმენტები ელინისტური ხანით დათარიღდა, იმის

საფუძველზე, რომ კედელთან ელინისტური ხანის წითლად შეღებილი კერამიკული ფრაგმენტები აღმოჩნდა (ნიკოლაიშვილი და სხვა 2009, 6,11). კედლებს სამშენებლო მასალები და ტექნიკა ათარილებს და არა - მის სიახლოვეს გამოვლენილი კერამიკის ნატეხები.

ჩრდილოეთისა და დასავლეთის კოშკების საძირკვლის ქვეშ გამოვლენილი კედლების ილუსტრაციების მიხედვით აშკარაა, რომ კედლები ოპუს კამენტიკუმით (opus caementicum) ანუ რომაული ბეტონით არის აშენებული, კერძოდ ოპუს ინსერტუმის (opus insertum) სამშენებლო ტექნიკით, რაც ნიშნავს კედლის აშენებას საფასადე და ხურდა ქვებით. ფოტოებსა და ნახაზებზე კარგად ჩანს კედლების საფასადე წყობა, სადაც კუთხის ქვებიც გამოირჩევა და მათ შორის ადგილის უფრო პატარა ზომის ქვებითა და ხსნარით შევსება (ილუსტრაცია 56). ფოტოების მიხედვით ძნელია იმის თქმა, თუ რისგან შედგებოდა ხსნარი. 1990 წლისა და 2009 წლის პუბლიკაციებში ნათქვამია, რომ ბებრისციხე ტალახისა და თიხის ხსნარით არის აშენებული (სიკა 1990, 242; ნიკოლაიშვილი და სხვა 2009, 13). ქვის საფორტიფიკაციო ნაგებობები თიხის ხსნარზე არ შენდებოდა, მეტადრე, გაუგებარია რა იგულისხმება ტალახში. ოპუს კამენტიკუმი ანუ რომაული ბეტონი სხვა არაფერია თუ არა კირის, ქვიშისა და ქვის ნარევი, ამიტომ საფიქრებელია, რომ ბებრისციხის ქვედა ფენის კედლებიც კირისა და ქვის ხსნარით იქნებოდა აშენებული. თუმცა, შესაძლოა, ხსნარი ყოფილიყო დაბალი ხარისხის. მასში არ ყოფილიყო კირის, ქვიშისა და ქვის პროპორციები დაცული, ადვილად დაშლილიყო და ვერ უზრუნველყო კედლების სიმტკიცე.

როგორც ვნახეთ, ბებრისციხის ქვედა ფენის კედლები რომაული სამშენებლო ტექნიკით არის აშენებული და, ამდენად, რომაულ ხანაში აიგებოდა. აქედან გამომდინარე, ისინი ვერ მიეკუთვნებიან ელინისტურ ხანას, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ახლოს ელინისტური კერამიკა გამოვლინდა. ბებრისციხის ბორცვზე რკინის ხანის კერამიკული მასალაც არის აღმოჩენილი (გამყრელიძე და სხვა 2013, 101). ეს მცირერიცხოვანი არქეოლოგიური მონაპოვარი, შესაძლოა, ბორცვის რკინის ხანიდან ათვისებაზე მიუთითებდეს და არა რკინის ხანის სასიმაგრო კედლების არსებობაზე.

ამას გარდა, საკითხავია ისიც, თუ რას დაიცავდა ელინისტურ ხანაში ამგვარი ფორტიფიკაცია. სამთავროს ველზე არც რკინის და არც ელინისტურ ხანებში არ არსებობდა იმდენად განვითარებული დასახლება, რომ ამგვარი სიმაგრე დასჭირვებოდა. მცხეთა კი ელინისტურ ხანაში ურბანიზაციის პროცესში იყო. ბებრისციხის ბორცვზე რომაულ პერიოდში აშენებული სიმაგრე ქრონოლოგიურად შეესაბამება მცხეთის ურბანულ ცენტრად ჩამოყალიბების ვითარებასა და დროს.

როგორც განხილული მასალიდან ჩანს ყველაზე ადრეული არქეოლოგიური ძეგლები - ბრინჯაოს ხანის სამარხები და რკინის ხანის ნამოსახლარი - მცხეთის დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში - სამთავროს ველზე და მცხეთის გორაზე გამოვლინდა. მცხეთის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილში კი უფრო გვიანდელი ელინისტური და რომაული პერიოდების სამარხები და კულტურული ფენები და შუასაუკუნეების ნამოსახლარის ნაშთები აღმოჩნდა.

თანამედროვე ქალაქ მცხეთაში გამოვლენილი არქეოლოგიური ძეგლების რაოდენობისა და მათი გავრცელების არეალის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ბრინჯაოს ხანაში, ამ ტერიტორიაზე, მოსახლეობა სხვა პერიოდებთან შედარებით მცირერიცხოვანი იყო. მათი საქმიანობის კვალი მთის ძირში, შემალლებულ ადგილასაა დაფიქსირებული. რკინის ხანაში მოსახლეობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგრამ მათი კონცენტრაცია ისევ მაღლობ ადგილებზე შეინიშნება. ადამიანები სახლობდნენ შემალლებულ ადგილებზე და ვაკობს სასაფლაოდ იყენებდნენ. ელინისტური ხანიდან მოსახლეობა ვაკე ადგილებში ჩამოდის (სამთავროს ველი, სვეტიცხოვლის უბანი). რომაულ ხანაში მოსახლეობის გაფართოება შეიმჩნევა მცხეთის სამხრეთითა და აღმოსავლეთით (ილუსტრაცია 57).

ამ მონაცემებისა და ახლანდელი სიტუაციის მიხედვით ჩანს, რომ თანამედროვე ქალაქი მცხეთის ტერიტორია ბრინჯაოს ხანიდან მოყოლებული დღემდე, უწყვეტად ყოფილა დასახლებული. თუმცა, დასაკრძალავი და საცხოვრებელი ნაგებობების არსებობა არ ნიშნავს ურბანული ტიპის დასახლების არსებობას. მნიშვნელოვანია იმის

დადგენა, თუ როდიდან დაარსდა ამ ტერიტორიაზე ქალაქი მცხეთა და რა წინაპირობები უძღვოდა მის წარმოშობას.

მცხეთის წარმოშობასა და ლოკალიზაციასთან დაკავშირებით მრავალ მეცნიერს განსხვავებული აზრი აქვს გამოთქმული (მელიქსეთ-ბეგი 1921; კაკაბაძე 1924; ჯავახიშვილი 1960; მელიქიშვილი 1958, 1978; აფაქიძე 1963; ბოხოჩაძე 1978; სანაძე 2001; ყიფიანი 2010ა). ეს საკითხი მსჯელობის საგანი, ალბათ, იმიტომ გახდა, რომ რომის იმპერიის ბერძნული და ლათინურენოვანი გეოგრაფებისა და ისტორიკოსების თხზულებები და შუასაუკუნეების ქართული ისტორიული წყაროები მცხეთასთან დაკავშირებულ წინააღმდეგობრივ ინფორმაციას შეიცავს. ნაწილი მკვლევარებისა ბერძნულ-ლათინურენოვან ავტორებს ეყრდნობოდა, ნაწილი კი - შუასაუკუნეების ქართველ უამთააღმწერლებს, რომლებიც მცხეთაში ხედავდნენ იბერიის ჩამოყალიბების საწყის ეტაპებს.

ქართული წყაროებისაგან განსხვავებული სიტუაცია ჩანს მცხეთის არქეოლოგიური მასალის მიხედვით, რაც რომაული ხანის ბერძნულ-ლათინურენოვან წყაროებთან შესაბამისობაშია.

დავინწყით იმით, რომ არც სტრაბონი და არც დიონ კასიუსი, როდესაც პომპეუსის იბერიაში ლაშქრობას აღწერენ, თავიანთ თხზულებებში არ ასახელებენ მცხეთას, არადა ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით მცხეთა იბერიის ისტორიის ადრეულ პერიოდში არა თუ არსებობს, არამედ უკვე დედაქალაქია. არქეოლოგიური მასალის მიხედვით ელინისტურ ხანამდე მცხეთის მხოლოდ ერთი, დასავლეთი ნაწილია დასახლებული, რომელსაც ურბანულს ვერ ვუნოდებთ. ურბანული დასახლება რომაულ ხანაში ვითარდება, განსაკუთრებით მცხეთის სამხრეთ ნაწილში, მდინარე მტკვრის ჩრდილოეთ ნაპირზე.

არქეოლოგიური მასალის, ისტორიული წყაროებისა და არსებული გამოკვლევების საფუძველზე, შემდეგი სიტუაცია ისახება. მცხეთა არ არის ნახსენები ძვ.წ. პირველი საუკუნის დასასრულის გეოგრაფის სტრაბონის გეოგრაფიაში, იმიტომ, რომ ამ პერიოდში მცხეთა არ წარმოადგენს მნიშვნელოვან დასახლებას, განსაკუთრებით, რომაელისთვის.

იმავე მიზეზით არ სახელდება მცხეთა დიონ კასიუსის რომის ისტორიაშიც, თუმცა იგი იბერიისა და რომის ურთიერთობების იგივე პერიოდზე და უფრო გვიანდელ ამბებზეც წერს, მაგალითად, ძვ.წ. პირველ საუკუნეში არმაზიდან არტაგის გაქცევაზე, შემდეგ კი პომპეუსთან მოლაპარაკების მცდელობაზე, ახ.წ. პირველ საუკუნეში მითრიდატე იბერიელის რომაელებთან ერთად არმენიაში ლაშქრობაზე და სხვა (დიონ კასიუსი, XXXVII, LVIII, 3). როგორც ჩანს, ამ ფაქტების გადმოცემისას არ იყო მნიშვნელოვანი მცხეთა და მისი გეოგრაფია. მცხეთა, როგორც ქალაქი პირველად ჩნდება პტოლემეაიოსის „გეოგრაფიაში“ ჩამოთვლილ ქალაქთა სიაში, ძალისასა და არმაქტიკას (არმაზი) წინ. აღსანიშნავია, რომ პტოლემეაიოსს იბერიის ერთი სოფელიც კი აქვს მოხსენიებული (პტოლემეაიოსი X). რომაელი გეოგრაფები თუ მემატრიანეები რომის დაკვეთას ასრულებდნენ და აღწერდნენ იმ ტერიტორიებს, რომლებიც რომის იმპერიის ფარგლებში ან მილიტარისტული ინტერესის სფეროში შედიოდა. ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ახ.წ. მეორე საუკუნის შუა წლებისათვის (ამ პერიოდში წერდა პტოლემეაიოსი „გეოგრაფიას“) მცხეთა რომისთვის აღსანიშნავი ურბანული დასახლება ხდება. ამას არქეოლოგიური მასალაც ადასტურებს. ურბანიზაციის პროცესი ძალაუფლებაზეა ორიენტირებული. მცხეთაში ამ დროისათვის იკვეთება ისეთი სოციალური ფენა, რომელიც, როგორც ჩანს, გარკვეულ სიმდიდრესა და ცოდნას ფლობს და საფუძველს უქმნის ეკონომიკურ თუ სამართლებრივ სისტემას. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ სწორედ მცხეთაში აღმოჩნდა სამი საწერი მონყობილობა. მცხეთაში ჩნდება ფენა, რომელიც ურბანულ სტრუქტურებს ქმნის და მართავს.

ქართულ ისტორიულ წყაროებში „მოქცევაი ქართლისაჲში“ და „ცხოვრება ქართველთა მეფეთაჲში“ მცხეთას თხზულებათა დასაწყისშივე მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. „მოქცევაი ქართლისაჲს“ მიხედვით მცხეთა პირველად ხდება სატახტო ქალაქი აზოს ხელში, რომელიც არიან ქართველთა პირველი მეფის ძეა და ქართლში ალექსანდრეს მიერ არის მოყვანილი. აზოს შემდეგ პოლიტიკურ და სამშენებლო ასპარეზზე გამოდის ფარნავაზი, რომელიც არმაზის კერპის დაარსებითა და ქალაქი არმაზის გამაგრებით არის დაკავებული. შემდგომი მეფეების საქმიანობაც არმაზს

უკავშირდება, გარდა ფარნაჯომისა, რომელიც ზადენის კერპს აღმართავს არმაზის მოპირდაპირე მხარეს, ზედაზენზე და იქვე აშენებს ციხეს. მხოლოდ იბერიის მეშვიდე მეფე ბრატმანი იწყებს მცხეთაში ქალაქმშენებლობას. ბრატმანის კვალს მიჰყვება მისი შემდგომი მერვე მეფე მირიანი. იბერიის მეათე მეფე როკი კი მცხეთას ემიჯნება (მქ 1963, 81-82). ამის შემდეგ იბერიაში იწყება ორმეფობის ხანა, რაც იმიერი და ამიერი ანუ მცხეთელი და არმაზელი მეფეების შესაბამისად მცხეთასა და არმაზში მკვიდრობას ეხება. ბოლო იმიერი და ამიერი მეფეები არიან როკ და მირდატ. ორმეფობის დასასრულს მხოლოდ მცხეთა რჩება სამეფო ქალაქად „და ამისა ზე მოაკლდა არმაზი სამეფოჲ და მცხეთას ოდენ იყო მეფობაჲ“ (მქ 1963, 83). მოქცევაის მემათიანე კიდევ 10 წარმართ მეფეს ასახელებს (სულ 28) (მქ 1963, 83). ბოლო მეფეა მირიანი, რომელმაც მიიღო და გაავრცელა ქართლში ქრისტიანობა.

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ამ პოლიტიკური სიტუაციის განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს. ლეონტი მროველის მიხედვით მცხეთის სახელის წარმოშობა ლეგენდარული ეთნარქის მცხეთოსის სახელს უკავშირდება, რომელიც აზოს მსგავსად ქართლის პირველი მეფის, ქართლოსის შვილია (ქც 1955, 9). მცხეთოსის გარდაცვალების შემდეგ მის შვილებს შორის ჩნდება დავა. აღსანიშნავია, რომ ის ლიდერი, რომლის რეზიდენციაც მცხეთა ხდება მამასახლისად იწოდება, ხოლო მცხეთა დედა-ქალაქად (ქც 1955, 11). მცხეთის მშენებლობა სპარს ერისთავ არდამსაც მიეწერება (ქც 1955, 13). ალექსანდრეს იბერიაში ლაშქრობის დროს მცხეთა უკვე „დიდი ქალაქია“, რომელსაც თავისი დაქვემდებარებული ტერიტორიები აქვს: „ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა და რუსთავი, და დედა-ციხე სამშვილდე, და მტუერის ციხე, რომელ არს ხუნანნი, და კახეთისა ქალაქნი“. ამიტომაც, თავად, ალექსანდრე მცხეთაში დადგა (ქც 1955, 18). ლეონტი მროველი ფარნავაზის მთელ ისტორიას მცხეთას უკავშირებს. გამარჯვების შემდეგაც იგი ჯერ მცხეთას ამავრებს და მერე აარსებს არმაზის კერპს (ქც 1955, 24-25). ფარნავაზის შემდგომი მეფეები საურმაგი, მირვან, ბარტომი, ადერკი მცხეთას განაგებენ (ქც 1955, 26-35). ადერკის დროს ქართლი ორად იყოფა მის შვილებს ბარტომსა და ქართამს შორის: ერთ ნაწილია მტკვრის ჩრდილოეთი

მხარე „მუხრანით კერძი ქალაქი“, ხოლო მეორე მტკვრის სამხრეთი მხარე „არმაზით კერძი ქალაქი“ (ქც 1955, 56). ორმეფობა გარკვეული პერიოდი გრძელდება და ქართლის ცხოვრების მიხედვით ქართლის მეფეები არმაზსა და შიდაქალაქს მეფობენ. ლეონტი მროველი ორმეფობის დასასრულს ფარსმან ქველს და ქართლის გაერთიანებისათვის მის ბრძოლას უკავშირებს. ფარსმან ქველის შემდგომ კიდევ შვიდი მეფე (ამაზასპი, რევ, ვაჩე, ბაკურ, მირდატ, ასფარუგ, ლევ ან რევ) მეფობს მირიანამდე. მათი მოღვაწეობისა და ბრძოლების აღწერისას მთავარ ქალაქად მცხეთა ფიგურირებს, მაგალითად ამაზასპის ოვსებთან ბრძოლების სცენებში: „განაფსნა კართა და ციხენი მცხეთისანი ლაშქრითა“ (ქც 1955, 69).

როგორც ვხედავთ, ამ ორ ქართულ წყაროში მრავალი შეუსაბამობა და ურთიერთგამომრიცხავი ფაქტია ასახული, იგივე არმაზისა და მცხეთის პირველობის საკითხში. ეს საკითხებიც მრავალი მეცნიერის კვლევის საგანი იყო. მე არ შევუდგები ამ კვლევების დანვრისგან განხილვას, მხოლოდ მოვიშველიებ ზოგიერთ მოსაზრებას. აკადემიკოსი გიორგი მელიქიშვილის აზრით, „მოქცევის“ ქრონიკის მიხედვით ახ.წ. დასაწყისში, [ადე]როკის დროს მოხდა მცხეთის გარკვეული აღზევა. თუ აქამდე სამეფო რეზიდენცია მხოლოდ არმაზი იყო, ამიერიდან მასთან ერთად მცხეთაც გახდა სამეფო რეზიდენცია, ხოლო გარკვეული ხანის შემდეგ არმაზმა სამეფო რეზიდენციის ხასიათი დაკარგა და ასეთად მარტოოდენ მცხეთა დარჩა“ (მელიქიშვილი 1958, 156).

გ. არახამიას აზრით, „მეფეთა ცხოვრებაში“ „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობებმა მცხეთის შესახებ მნიშვნელოვანი შინაარსობრივი და ფაქტობრივი ცვლილებები განიცადა. „მოქცევის ჩვენებით, მეფე ბრატმანის დროს „მცხეთას ქალაქი დაეწყო“, მომდევნო მეფე მირვანმა „აღაშენა მცხეთა ქალაქი“, შემდგომმა ადეროკმა კი „რაითურთ მცხეთაი გაიშორა“ (მქ 32). „მეფეთა ცხოვრებაში“ აღნიშნული ცნობები ასე გარდაიქმნა: „მეფემან ბარტომ უმატა ზღუდეთა მცხეთისათა“; მომდევნო მირვანის დროს მცხეთის შენება უგულვებლყოფილია, ადერკის შესახებ კი ნათქვამია, რომ „მოამტკიცნა ზღუდენი ქალაქისა მცხეთისანი, წყლისა იმიერ და ამიერ“ (ქც 30, 38). როგორც ვხედავთ, „მოქცევის“ პირდაპირი ჩვენება მცხეთის მშენებლობის დაწყების, მიმდინარეობისა და

დამთავრების შესახებ ლეონტი მროველმა ქალაქის ზღუდეებით გამაგრებაზე შეცვალა. ამის მიზეზი, აღნიშნავს გ. მელიქიშვილი, ისაა, რომ ლეონტი მროველისათვის, რომელიც თავისი თხზულების წინამავალ ნაწილში ამტკიცებს უძველესი დროიდან მცხეთის დედაქალაქობას და პირველობას, ყოვლად მიუღებელი იყო „მოქცევის“ თვალსაზრისი მცხეთის ესოდენ გვიან ხანაში შენების შესახებ (არახამია 2002, 132-33).

მ. სანაძეს თავისი მოსაზრებები აქვს მცხეთისა და არმაზის წარმოშობის შესახებ, მოქცევისა და ქართლის ცხოვრების შედარების საფუძველზე. იგი მცხეთას მიიჩნევს მხცეთა/მცხეთა ხერკთა ქალაქად და ამბობს, რომ მტკვრის მარცხენა სანაპირო უფრო ადრე იყო დასახლებული, ვიდრე მარჯვენა. ალექსანდრე იგივე აქემენიდი სარდალია და მისი ლაშქრობის დროს არმაზი არ არსებობდა, მაგრამ არსებობდა ხერკთა ქვეყანა. ეს ხერკთა ქვეყანა გახდა შემდგომში მცხეთელ მეფეთა ქვეყანა. სწორედ, ამით ხსნის „მოქცევაშიც“ და „ცხოვრება ქართველთა მეფეთაშიც“ არსებულ ტერმინს „ძუელი მცხეთა“. ფარნავაზი პირველად აარსებს ქალაქ არმაზს. საკუთრივ ქალაქი მცხეთის მშენებლობა ფარნავაზის შემდეგ, მეფობის ორად გაყოფის დროს ხდება. არმაზი აკონტროლებს მტკვრის მარჯვენა სანაპიროს, მტკვრის სამხრეთით მდებარე ქართლის ქვეყანას, ხოლო მცხეთა აკონტროლებს მტკვრის მარცხენა სანაპიროს, მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე ქართლის ქვეყანას (სანაძე 2001, 55-65).

მუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მკვლევართა უმრავლესობა ერთ საკითხში თანხმდება. მცხეთა და არმაზი ორი სხვადასხვა ქალაქია და ამ ორთაგან პირველად არმაზი დაარსდა, ხოლო შემდგომ გაძლიერდა და დაწინაურდა მცხეთა. თუ როდის და რომელი მეფის დროს მოხდა ეს, ამაზეც სხვადასხვა მოსაზრება არსებობს.

ტოპონიმების, ეთნონიმების, ფაქტებისა თუ ისტორიული ფიგურების აღრევა ქართლის ცხოვრებაში ამგვარად არის ახსნილი: „ლეონტი მროველის განაკრგულებაში იყო წყაროების საკამაოდ ფართო სპექტრი, რომელიც სხვადასხვა დროის, ჟანრისა და კულტურულ-ისტორიულ გარემოში აღმოცენებულ წერილობით თუ ზეპირ მასალას მოიცავდა. ლეონტი მროველის არაერთი წყარო, თავის მხრივ, უფრო ძველ წყაროებს ემყარებოდა, რისი მეოხებითაც მის თხზულებაში გზა გაიკვლია სხვადასხვა დროის

წერილობითი ძეგლებიდან მომდინარე მრავალფეროვანმა ინფორმაციულმა ნაკადმა. „მეფეთა ცხოვრებამ“, ფაქტობრივად, „შეისრუტა“ მეთერთმეტე საუკუნისათვის არსებული ქართული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობის დიდი ნაწილი. სწორედ ამით აიხსნება მისი ტექსტის სტრუქტურული სიჭრელეც და ქრონოლოგიურად ერთმანეთს საკმაოდ მანძილით დაშორებული რეალიების, ერთი შეხედვით, უცნაური თანაარსებობა (არახამია 2002, 125).

ქრონიკებმა მრავალი რედაქტორ-გადამწერთა ხელში გაიარეს. ზოგი მათგანი, ტექსტის თავისი დროისათვის უფრო გასაგებად გადაქცევის მიზნით, ცვლიდა ძველ ტოპონიმებს, ეთნიკურ და პირთა სახელებს მის ეპოქაში უფრო გავრცელებული ფორმებით (სანაძე 2001, 11).

„ქართლის ცხოვრების“ პირველი მათიანე სხვადასხვა დროის პლასტებს შეიცავს და ყოველთვის ზუსტად არ არის გამიჯნული ძველი და გვიანდელი ფენები, არ ჩანს დამაჯერებელი ტექსტის მრავალფენიანობის გამომწვევი მიზეზები (არახამია 2002, 82).

ამგვარ მსჯელობებს წყაროს ნდობა-უნდობლობის საკითხამდე მივყავართ, რაც ასევე საკამათო თემა იყო ისტორიკოსთა და ფილოლოგთა შორის. მაგრამ საბოლოოდ აღინიშნა, რომ ამ წყაროებს განსაკუთრებული, როლი ენიჭებათ ქართლის უძველესი ისტორიის შესწავლაში (ხოშტარია-ბროსე 1996).

წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მონაცემების შეჯერებით კიდევ უფრო სხვაგვარი სურათი წარმოჩინდება. მცხეთის დაარსება-განვითარებაში სამი პერიოდი შეიძლება გამოიყოს. პირველი პერიოდი მოიცავს ბრინჯაოს ხანას ელინისტურ ხანამდე, როდესაც მხოლოდ სამთავროსა და მცხეთის გორის უბნები ასახავენ ადამიანის მოქმედების კვალს. მეორე პერიოდი ელინისტური ხანიდან (ძვ.წ. მეორე-პირველი ს.ს.) იწყება და რომაულ ხანამდე (ახ.წ. მეორე-მესამე ს.ს.) გრძელდება, როდესაც დასახლება მცხეთის სამხრეთ ნაწილშიც (სვეტიცხოვლის უბანი) ჩნდება და თანდათანობით ურბანულად გარდაიქმნება. პტოლემეაიოსისათვის მესტლეტა ანუ მცხეთა და არმაქტიკა ანუ არმაზი სხვადასხვა ქალაქებია, რომელთაც სხვადასხვა კოორდინატებით აღნიშნავს. სამარხეული ინვენტარისა და ავრელიუს აქოლისის ეპიტაფიის მიხედვით მცხეთაში

მეორე-მეოთხე საუკუნეებში უკვე ისეთი სოციალური ფენებია, რომელიც ურბანული ტიპის დასახლებისთვის არის დამახასიათებელი, მაგალითად, ხელოსანთა გაერთიანებები თავიანთი მეთაურით ავრელიუს აქოლისით, მწერლები ან გადამწერები, ვაჭრები და მდიდრები. მესამე პერიოდი მესამე-მეოთხე საუკუნის ბოლოდან აღრეშუსაუკუნეებამდე გრძელდება, როდესაც მცხეთა უკვე ქართლის დედაქალაქია. „მოქცევაი ქართლისაიში“ არაერთგზის არის აღნიშნული, რომ ნინოს იბერიაში მოსვლის დროს ანუ მეოთხე საუკუნის დასაწყისში, მცხეთა უკვე ქალაქია, სადაც „ღმერთები ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ იბერიის პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი უკვე მცხეთაში იყო.

ქალაქი მცხეთის სამხრეთი ნაწილის განაშენიანების შედეგებით გვიანდელი პერიოდი გეოლოგიურ-გეოგრაფიული სიტუაციიდან გამომდინარეც შეიძლება აიხსნას. მდინარეების მტკვრისა და არაგვის ნაპირები სავარაუდოდ 2.000 – 3.000 წლის წინ დაფარული იყო ჭალის ტყეებით. ჭალისზედა პირველი ტერასა, რომელზეც მცხეთა მდებარეობს 2.500 წლის წინ უფრო დაბალი იქნებოდა. ტერასა წყალდიდობების შედეგად, განსაკუთრებით მისი სამხრეთი ნაწილი, დროდადრო დაიფარებოდა და ამდენად, დაახლოებით ძვ.წ. პირველ საუკუნემდე, დასასახლებლად უვარგისი იქნებოდა. მცხეთის სამხრეთი ნაწილი - სვეტიცხოვლის უბანი და ანტიოქიის ეკლესია ზღვის დონიდან 454-462 მეტრზე მდებარეობს, დასავლეთი - სამთავროს სამაროვანი და ნამოსახლარი და ჩრდილოეთი - ბებრისციხე კი - ზღვის დონიდან 475-485 მეტრზე. არსებული სხვაობა 10-20 მეტრს აღწევს. სწორედ, ამით აიხსნება ბრინჯაო-რკინის ხანაში მოსხლეობის ძირითადი კონცენტრაცია მთისწინეთში.

მცხეთის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ლანდშაფტი, კერძოდ, ორი მდინარის ხერთვისში მოქცეული ტერასა, რომელიც არ იყო სტაბილური, დროთა განმავლობაში ამაღლდა და წყლის დონემაც დაინია. ამას დაერთო მოსახლეობის ზრდით გამოწვეული ტყეების გაჩეხვა. ყველაფერმა ერთად ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში ქალაქის სამხრეთით დასახლებისათვის შესაფერისი მიწების ფორმირება გამოიწვია. ამიტომ განეკუთვნება ამ ნაწილში აღმოჩენილი უადრესი ძეგლების მცირედი ნაწილი ძველი და ახალი საუკუნეების მიჯნას, ხოლო შედეგებით მრავალრიცხოვანი მეორე-მესამე

საუკუნეებს, რაც ნიშნავს, რომ მცხეთის ამ ნაწილის ათვისება ელინისტური ხანიდან იწყება, ხოლო ურბანული განვითარება რომაული ხანიდან. ქალაქის სამხრეთით განვითარება მდინარე მტკვართან ანუ სატრანსპორტო საშუალებასთან სიახლოვემაც განაპირობა.

პალინოლოგიური კვლევების შედეგები

ორი არქეოლოგიური უბნიდან - სამთავროს სამაროვნიდან და არმაზის ნაქალაქარიდან შესაძლებელი გახდა მიწის ნიმუშების მოგროვება პალინოლოგიური ანალიზისთვის. 2010 წლის ივნისში პირველი-მესამე საუკუნეების - No39 ქვაყუთისა და No40 კრამიტსამარხის ზედა, შუა და ქვედა ფენებიდან ავიღეთ პალინოლოგიური სინჯები, ხოლო 2011 წლის ოქტომბერში - აბსიდებიანი ტაძრის დასავლეთით, 6-7მ-ის დაშორებით მდებარე ნაგებობის იატაკის ღონიდან. სამთავროს სამაროვნიდან აღებულ იქნა მიწის ოთხი ნიმუში, ხოლო არმაზის ნაქალაქარიდან ერთი. პალინოლოგიური კვლევისათვის განკუთვნილი სედიმენტები დიდი რაოდენობით შეიცავდა კვარცს. ნიმუშებში მცენარეთა სპორები და მტვრის მარცვლები მცირე რაოდენობით გამოვლინდა. პალინოსპექტრი ასე გამოიყურება: შიშველთესლოვნებიდან ფიჭვი (Pinus) დომინანტობს, ფართოფოთლოვნებიდან შედარებით დიდი რაოდენობითაა არყისებრთა ოჯახის წარმომადგენლები, განსაკუთრებით, მურყანის (Alnus) მტვრის მარცვლები. ბალახეულიდან გამოვლინდა როთულყვავილოვანთა (Asteraceae), (Onagraceae), ტუჩოსანთა (Labiatae), მარცვლოვანთა (Poaceae) და ისლისებრთა (Cyperaceae) ოჯახის მცენარეთა მტვრის მარცვლები. შედარებით ხშირია გვიმრანაირთა ოჯახის წამომადგენელები. პირველ და მეორე ძეგლებზე აღებული ნიმუშების პალინოსპექტრი მსგავსია ბალახეული მცენარეული საფარის კომპონენტებით. ხე-მცენარეების მტვრის მარცვლები მხოლოდ სამთავროს სამაროვანზე გამოვლინდა. არმაზის ნაქალაქარის ნიმუშების პალინოლოგიური კომპლექსი ხე-მცენარეების მტვრის მარცვლებს მოკლებულია. შედარებით დიდი რაოდენობითაა ტუჩოსანთა და ისლისებრთა ოჯახის მცენარეთა მტვრის მარცვლები. სპექტრში მურყანის დომინანტობა მდინარისპირა

ტერასებისა და თბილი და ტენიანი გარემოს არსებობის მაჩვენებელია, ხოლო გვიმრანაირთა სპორების შედარებით მეტი შემცველობა, კერძოდ, ერთლარიანი (Monolete type) გვიმრების სიჭარბე ნატყევარი ადგილის არსებობაზე მიუთითებს.

პალინოლოგიურმა ანალიზმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოგვანოდა რომელი პერიოდის ლანდშაფტის მცენარეული საფარის წარმოსადგენად და გარკვეული დასკვნების გასაკეთებლად.

ამრიგად, არქეოლოგიური მასალის, წერილობითი წყაროებისა და ლანდშაფტის შესწავლამ საკვლევ ტერიტორიაზე სამი დამოუკიდებელი ურბანული დასახლება წარმოაჩინა, რომლებსაც დროის სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა სტატუსი და დამოუკიდებლობის ხარისხი ჰქონდა. ცვალებადი იყო მათი საზღვრები და მათ ახლოს მდებარე დასახლებათა კონფიგურაცია. დასახლებათა კონფიგურაციის ცვალებადობა ახალი ტექნოლოგიების, მმართველობის თუ რელიგიური სისტემების შემოსვლას უკავშირდებოდა (ჩანგი 1968, 3). დასახლებათა დინამიკა შუასაუკუნეების გუჯრებში და წერილებშიც კარგად ჩანს (ქართული სამართლის ძეგლები 1970). მიწები, ციხეები თუ სოფლები მუდმივად გადადიოდა ერთი კერძო პირის თუ ქალაქის მფლობელობიდან ან დაქვემდებარებიდან - მეორეში.

ამგვარი პროცესების შედეგად იქმნებოდა დასახლებათა სისტემები, რომლებმაც ჩვენამდე არქეოლოგიური უბნების სახით მოაღწია და დღეს მათი შესწავლის საფუძველზე ნამოსახლართა მოდელებს ვქმნით.

ინტერპრეტაცია/დისკუსია

ნამოსახლართა სისტემა, ფაქტობრივად, ნამოსახლართა ქსელია, რომელიც დასახლებათა ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას ასახავს. როგორც

კვლევის შედეგებში გამოიკვეთა, „მცხეთის ქვეყანაში” სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ცენტრი და დაქვემდებარებული დასახლება არსებობდა. მათ შორის ფუნქციები გადანაწილებული იყო და ისინი ერთმანეთს ავსებდნენ. ასეთ ცენტრებად არმაზი, წინამური და მცხეთა გამოვლინდა. მათი ჩამოყალიბების, განვითარებისა და უწყვეტად არსებობის თუ მიტოვების მიზეზები განსხვავდებოდა, რასაც სხვადასხვა სოციალური, კულტურული, პოლიტიკური, რელიგიური და ბუნებრივი ფაქტორი განაპირობებდა.

ქალაქი არმაზის ჩრდილოეთით და სამხრეთით განსხვავებული ფუნქციის მქონე დასახლებები მდებარეობდა. მათგან სამხრეთით მდებარე მუხათგვერდის დასახლება უადრესი იყო. იგი ადრებრინჯაოს ხანიდან ყოფილა დასახლებული. მისი მოსახლეობა, ძირითადად, სამეურნეო საქმიანობით უნდა ყოფილიყო დაკავებული. მუხათგვერდსა და არმაზს შორის მდებარე კარსნისხევი თიხის რესურსებთან ახლოს მდებარე ხელოსანთა დასახლებას წარმოადგენდა, რომლის მოსახლეობასაც ეკონომიკის განსაზღვრული ტიპი ჰქონია ჩამოყალიბებული. ჩრდილოეთით, მტკვრის სანაპიროს გაყოლებზე მდებარე მოგვთაკარის საკმაოდ შეძლებული დასახლება კი, საფიქრებელია, სანაოსნო და სახმელეთო ტრანსპორტირებასა და ვაჭრობაში იყო ჩაბმული. არმაზი ურბანულ-პოლიტიკური ცენტრი იყო, რომელსაც, ლანდშაფტზე მდებარეობიდან და სასიმაგრო სისტემიდან გამომდინარე, ირგვლივ განლაგებული დასახლებები, საჭიროების შემთხვევაში, თავს აფარებდნენ. ამგვარი პოზიციის მიხედვით, საფიქრებელია, რომ ქალაქი დასახლებების რესურსებისა და შემოსავლების მართვასაც ახორციელებდა. არმაზი რელიგიური ცენტრიც იყო არა მარტო მის უშუალო სიახლოვეში მყოფი დასახლებებისათვის, არამედ „მცხეთის ქვეყნისთვისაც”.

ქრისტიანობის გავრცელებამდე, „მოქცევაი ქართლისაის“, მიხედვით იბერია პოლითეისტური იყო. უადრესი ადგილობრივი კერპები თუ ღმერთები გაცი და გა (გაიმ) ყოფილან. ისინი აზოს დაუმკვიდრებია (მქ 1963, 81). შემდგომ ფარნავაზს თავის სახელობის კერპი - დიდი არმაზი აღუმართავს: „ამან აღმართა კერპი დიდი ცხვ[რ]სა ზედა, და დასდვა სახელი მისი არმაზი” (მქ 1963,82). მეფეებს - საურმაგსა და მირვანს -

აინინასა და დანინას კერპები „გზასა ზედა“ დაუდგამთ. ფარნაჯომს კი ზადენის კეპი აღუმართავს მთასა ზედა და ციხეც აუშენებია (მქ 1963, 83).

ღვთაებათა პანთეონის დამკვიდრების იმავე ისტორიას, მაგრამ უფრო გავრცობილს, გვთავაზობს ლეონტი მროველიც: „და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქუა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, და მიერთვან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის. და ქმნა სატფურება დიდი კერპისა მისთვის აღმართებულისა“ (ქც 1955, 25,10). იგი არმაზის ატრიბუტიკასაც აღწერს და ღმერთების იერარქიასაც გადმოგვცემს: „რამეთუ დეა კაცი ერთი სპილენძისა, და ტანსა მისსა ეყუა ჯაჭვ ოქროსი, და თავსა მისსა ჩაბალახი მყარი, და თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი, და ხელთა მისთა აქუნდა ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა, და იქცეოდა ხელთა შინა და კუალად იყო მარჯუენით მისსა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი; და მარცხენით მისსა უდგა კაცი ვერცხლისა, სახელი მისი გაიმ, რომელნი-იგი ღმერთად უჩნდეს ერსა მას ქართლისასა“ (ქც 1955, 89-90).

ორივე წყაროდან ჩანს, რომ ქალაქი არმაზი ღმერთი არმაზის სახელზე დაარსებულა და ის იბერიის ღმერთების პანთეონში მთავარი ღვთაება იყო. არმაზის წარმომავლობას და მის იბერიაში გავრცელებას ზოგი მკვლევარი ქალღეურ ღვთაება არმას ან ხეთურ-მცირეაზიულ მთვარის ღმერთს უკავშირებდა (იხ. ჯავახიშვილი 1960, 98-111; მელიქიშვილი 1962, 223; აფაქიძე 1963, 178), ზოგი - ირანს, აჭურამაზდასა და ცეცხლთაყვანისმცემლობას (მარი 1901, 5; კაკაბაძე 1924, 12; მელიქსეთ-ბეგი 1938,13). ლ. მელიქსეთ-ბეგს არმაზი იბერიაში ირანიდან, არმენიის გზით, შემოსულ ღვთაებად მიაჩნდა და სომხურ არამაზდთან აიგივებდა. მისი აზრით, სახელმა არმაზმა ამგვარი ევოლუციური გზა განვლო - ირანული აჭურამაზდა - სომხური არამაზდ ან არმაზდ და ქართული არმაზდ ან არმაზ (მელიქსეთ-ბეგი 1938, 13-14).

ლ. მელიქსეთ-ბეგი ღვთაება არმაზის ორ სტადიას - კერპთაყვანისმცემლობასა და ცეცხლთაყვანისმცემლობას - უსვამდა ხაზს. პირველს ბერძნული სამყაროს გავლენას უკავშირებდა, ხოლო მეორეს - ირანულის. იგი წერდა, რომ არმაზის კულტი, იგივე

აჭურამაზდა-არმაზი, ცეცხლის კულტში გარდასახული მზის კულტი იყო და, რომ იბერიელები წარმართობიდან ანუ კერპთაყვანისმცემლობიდან, მაზდეანობის გავლით, ქრისტიანობამდე მივიდნენო. მელიქსეთ-ბეგის აზრით, მაზდეანობა მხოლოდ იბერიის ელიტამ მიიღო და არა სოციალურად დაბალმა ფენებმა. მისი განმარტებით, ამიტომაც, არ აისახა არმაზი ქართულ ფოლკლორში ან ხალხურ რწმენა-წარმოდგენებში (მელიქსეთ-ბეგი 1938, 42-43).

ღმერთის სახელზე ქალაქის დაარსება, ღმერთის მიერ ქალაქის მფარველობა და წარმართული პოლითეისტური პანთეონის არსებობა, სადაც მთავრი ღმერთი არმაზია და მის მარჯვნივ თუ მარცხნივ, გზის პირას თუ მოპირდაპირე მთაზე განლაგებული დანარჩენი ღმერთები - გაცი, გაიმ, აინინა, დანინა და ზადენი - ბერძნული პოლითეიზმისა და პოლისის დაარსების მოდელია, რომელიც იბერიაში ელინისტური აღმოსავლეთიდან გავრცელდა. ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ აღნიშნული არმაზის სინკრეტულობაც ელინისტური სამყაროს გავლენა უნდა იყოს. შესაძლოა, არმაზი მზისა და ელვის თუ ჭექა-ქუხილის ღმერთების თვისებებს ითავსებდა. მოსე ხორენაცი არმაზს, როგორც ელვისმსტყორცნელს, მეხისმფრქვეველს ისე იხსენიებდა (მელიქსეთ-ბეგი 1938, 39; ჯავახიშვილი 1960, 106). ღვთაება არმაზში ზოროასტრიზმისა და ელინისტური ტრადიციების შერწყმა ს. რაჰსაც აქვს აღნიშნული (რაჰი 2009, 671).

ძნელი გასამიჯნია არმაზის სინკრეტული ბუნება და იმის დადგენა, თუ როდის გარდაიქმნა იგი ზოროასტრულ ღვთაებად, ან საერთოდ თუ გარდაიქმნა და როდის გავრცელდა ზოროასტრიზმი იბერიაში, მაგალითად, ს. კაკაბაძეს „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით მიაჩნდა, რომ ფარნავაზმა შემოიღო ზოროასტრის სარწმუნოება. მან მოაწყო ბომონი ქართლის მთაზე და დაარქვა არმაზი (კაკაბაძე 1924, 12). ეს საკითხები ცალკე კვლევის საგანია და ამ თემის ფარგლებს სცდება, მაგრამ აღსანიშნავია და ნიშანდობლივია, რომ ქართლში არმაზს მსხვერპლად, როგორც ცხოველებს, ისე ადამიანებსაც სწირავდნენ (რაც უცხო იყო ზოროასტრიზმისათვის) და, რომ ცეცხლთაყვანისმცემელი მოგვები, იგივე ზოროასტრელები, ქალაქი არმაზის ძირში, მოგვთას ხიდთან დასახლდნენ და ნინოც, ქრისტიანობის სახელით, ღვთაება არმაზს

სწორედ ამ ადგილას უპირისპირდებოდა (ქც 1955, 88,116). არმაზი წყაროებში ხან კერპად და ხანაც ღმერთად მოიხსენიება, თუმცა, როდესაც ნინო მუსრავს, მაშინ კერპია: „ხოლო შემდგომას შემუსრა კერპი ესე წმიდამან ნინომ. არამედ იყო ქალაქი არმაზი აქიდგან.....” (ვახუშტი 1941, 55, 20). წარმართულ ქალაქ არმაზს კი ქრისტიანული მცხეთა დაუპირისპირდა. მთა ქართლის (იგივე მთა არმაზის) ქედზე, ქალაქი არმაზის თავზე ადრე შუა საუკუნეების ეკლესიის აგებაც ქრისტიანობის ტრიუმფის გამოხატულება იყო. ის, რომ არმაზი ქართულ ფოლკლორში არ არის შემორჩენილი, არ ნიშნავს, რომ არმაზის ღვთაება იბერიის სოციალურად დაბალ ფენებში არ ყოფილა გავრცელებული. „და იყო დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი ძლიერნი და ურიცხვნი მით ქალაქით წარმავალნი დიდად და სამეუფოდ ქალაქად მცხეთად, ვაჭრობად და ლოცვად წინაშე არმაზ ღმერთისა მათისა და წარმოვეყვ მეცა მათ თანა” (მქ 2007, 36). რელიგია საყოველთაო იყო და რელიგიური ინსტიტუციები - საზოგადოებრივი. კულტის, ტაძრის აღმართვას მნიშვნელობა არ ექნებოდა და იქ ვერ ჩატარდებოდა რელიგიური მსახურება, თუ ხალხი არ მივიდოდა. რელიგია მაშინ იყო ძლიერი, გავლენიანი და შემოსავლიანი, როდესაც მოსახლეობის ყველა ფენაში აღწევდა. ამის კარგი ილუსტრაციაა ურუქის უძველესი სატაძრო ქალაქი და მრავალი ბერძნული თუ რომაული პოლისი, რომელთა მოსახლეობაც ერთიანად იყო ჩართული იქ დამკვიდრებულ რელიგიურ რიტუალებში. იბერიის მაგალითიც აჩვენებს, რომ მხოლოდ იბერიის ელიტაში ქრისტიანობის გავრცელება საკმარისი არ ყოფილა. ნინომ „ცეცხლითა და მახვილით” დაამკვიდრა ახალი რელიგია მთიან რეგიონებშიც (მქ 1963, 87). ამრიგად, არმაზის არარსებობა ქართულ ზეპირსიტყვიერებასა და ძველ რელიგიურ წარმოდგენებში ქრისტიანობის განსაკუთრებული მცდელობით შეიძლება აიხსნას.

ამ კვლევის ფარგლებში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს ღმერთი არმაზის სინკრეტულ თუ არასინკრეტულ ბუნებას. მთავარი ის არის, რომ ქალაქი არმაზის ბერძნული თუ ელინისტური პოლისის მსგავსად დაარსება კიდევ ერთი საბუთია მისი ელინისტურ ხანაში წარმოშობისა.

არმაზის ტოპოგრაფია მსგავსია ელინისტური ქალაქების - ღურა ევროპოსისა და აი ხანუმისა, რომლებიც მდინარეების ნაპირზე ან ხერთვისში მდებარეობდნენ. ღურა ევროპოსი 90 მეტრით ამაღლებულ ბორცვზე, მდინარე ევფრატის ნაპირზე იყო განლაგებული, ხოლო აი ხანუმი კი მდინარეების ამუ-დარიასა და კოქჩას შესართავში, 60 მეტრით ამაღლებულ დატერასებულ ბორცვზე (ჰიბერტი და ქამბონი 2008). ელინისტურ ხანაში ქალაქის არსებობაზე მიუთითებს კრამიტებიც, რომლითაც გადახურული ყოფილა არმაზის ნაგებობები. კრამიტების ფორმები და ზომები დიდად არც რომაულ ხანაში შეცვლილა.

ელინისტურ პერიოდში დაარსებული ქალაქი რომაულ ხანაშიც განაგრძობდა არსებობას. ამდენად, ქალაქი რომაული ურბანიზაციის მოდელსაც ასახავს, რაც რომაულ გრძელვადიან, მრავალპროფილიან და ფუნდამენტურ მშენებლობაში გამოვლინდა. რომაული არქიტექტურა და ურბანიზმი ურთიერთდამოკიდებული და განმსაზღვრელი იყო (მაქდონალდი 1986, 253). სასიმაგრო კედლები, აბსიდებიანი ტაძარი, აბანოები და ცისტერნა რომაული კულტურისა და იდეოლოგიის აშკარა მაჩვენებელია. რომაული არქიტექტურა და სამშენებლო ტექნიკა არმაზში რომაელი მშენებლებისა და ხელოსნების არსებობაზე მიუთითებს. „მოქცევაი ქართლისაიში“ ვკითხულობთ: „და წარავლინა მირიან მეფემან და ითხოვა საბერძნეთით ქვის მთლელნი და კირით ხურონი. და მოსცა მეფემან და წარმოვიდეს ერუშეთს. და დადვეს საძირკველი ეკლესიისა“ (მქ 1963, 86). ეს ნაწყვეტი მეოთხე საუკუნის ამბებზე მოგვითხრობს, მაგრამ ე.წ. „საბერძნეთი“ რომია და არქეოლოგიური მასალის მიხედვით დასაშვებია, რომ რომაელი ხელოსნების მონვევის პრაქტიკა გავრცელებული ყოფილიყო იბერიაში ერთი ან ორი საუკუნით ადრეც.

წინამურის ნამოსახლართა სისტემა განსხვავებულ მოდელს ავლენს. წინამურის საფორტიფიკაციო სისტემა ურბანული ტიპის დასახლების არსებობას მონშობს. წრიული კოშკისა და სამაგრის ბუდეების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ურბანული დასახლება წინამურში უფრო გვიან გაჩენილა, ვიდრე არმაზში. ურბანული დასახლების წარმოშობამდე კი, სამარხებში აღმოჩენილი რკინის სამეურნეო იარაღების მიხედვით და პალინოლოგიური კვლევების საფუძველზე (ყვავაძე და სხვა 2008), წინამურის

მცხოვრებლები სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას მისდევდნენ. არაფერი შეიძლება ითქვას წინამურის დასახლების რელიგიურ ინსტიტუციებზე, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ ზადენი ზედაზენის მთის ძირში, თანამედროვე სოფელ წინამურთან იყო აღმართული (მელიქიშვილი 1962, 223).

წინამურის დასახლებათა კლასტერი მდინარის პირას მდებარეობდა. მდინარე ამ შემთხვევაში ტრანსპორტირებასა და ვაჭრობაში მნიშვნელოვან როლს ვერ შეასრულებდა, რადგანაც არაგვი სწრაფი და სანაოსნოდ გამოუსადეგარი მდინარეა თანაც, მას, კავკასიელი მომთაბარეების გარდა, ვერავინ ჩამოჰყვებოდა. ასე რომ, არაგვს, ძირითადად, საირიგაციო დანიშნულება თუ ექნებოდა და მისი წყალი წინამურის ველების მოსარწყავად იქნებოდა გამოყენებული. წინამურის ურბანული კონტექსტი, სავარაუდოდ, მაშინ გაქრებოდა, როდესაც მისი სასოფლო-სამეურნეო ველების მართვა მცხეთის ხელში გადავიდოდა.

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან „მცხეთის ქვეყნის“ მოსახლეობა ფერდობებიდან დაბლობ ადგილებში, მტკვრისა და არაგვის სანაპირო ზოლში სახლდება. მცხეთის ურბანულ ცენტრად წარმოქმნაც ამ პერიოდს უკავშირდება. სამი ქალაქიდან (არმაზი, წინამური, მცხეთა), მხოლოდ მცხეთა მდებარეობს უშუალოდ მდინარეების ნაპირებზე. როგორც ჩანს, მთისწინეთში და გამაგრებულ ქალაქებში ცხოვრების აუცილებლობა აღარ იყო. დაბლობში და მდინარის სანაპიროზე დასახლება საცხოვრებელ პირობებს აუმჯობესებდა და ტრანსპორტირებას აადვილებდა.

არმაზისგან განსხვავებით მცხეთაში, განსაკუთრებით სამხრეთ ნაწილში რომაულ ხანაში გაშლილი და თავისუფალი სივრცე იყო ასათვისებელი. სწორედ ამ ადგილას, აღმოჩნდა სახლების პარალელური რიგი, რაც ბერძნულ-რომაული დაგეგმარების პრინციპებთან ავლენს მსგავსებას. ქალაქი მცხეთის კონფიგურაცია და საზღვარი დროთა განმავლობაში მოსახლეობასთან ერთად მონაცვლეობდა. ეს კარგად ჩანს ბებრისციხის მაგალითზე. მცხეთის მოსახლეობას ეს სიმაგრე რომაული კედლების მიხედვით ახ.წ. პირველი საუკუნეებიდან იცავდა. ერთი თუ ორი საუკუნის შემდგომ ბებრისციხე და სამთავროს ველი ადრეშუასაუკუნეების კარიბჭის მიღმა აღმოჩნდა, რომელმაც როგორც

ჩანს, მცხეთის საქალაქო სივრცე შეზღუდა. თვითონ კარიბჭე ახ.წ. პირველი-მესამე საუკუნეების ფენებზე ყოფილა დაშენებული. ამჟამად, კი ბებრისციხე თანამედროვე მცხეთის შუაში ექცევა.

ქალაქი მცხეთის მოსახლეობა სხვადასხვა სოციალური ფენისაგან შედგებოდა. სოციალურ სტრატეფიკაციას ეპიგრაფიკული მასალა ცხადყოფს. მცხეთის ორ სხვადასხვა უბანზე - სამთავროს სამაროვანზე და ანტიოქიის ეკლესიაში - აღმოჩნდა ბერძნულწარწერიანი ორი ფილა, რომლებზეც ერთი და იმავე პიროვნების სახელი და პოზიცია იყო ამოტვიფრული. არც ერთი აღმოჩენილა in situ. მათგან უადრესი წარწერა ამგვარი შინაარსისა იყო: „მე ვარ ანი და ოჰი. გააკეთა აქილევსმა ხუროთა (უფროსი) რომ არის. ავრელიოს აქოლიოსი მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი... ზღუდით გამაგრება... საბოლოო ხსოვნა. არსჰაკორესი“. გვიანდელი, კი ავრელიოს აქოლისის ეპიტაფია იყო: „ავრელიოს აქოლისი მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი აქ განვისვენებ ჩემ მეუღლეს ბევრაზურისთან ერთად. ვთხოვ მეგობრებს და გამვლელებს თვალი ეჭიროთ... რომ მეთათასე (წლამდე) ვინმემ არ დააზიანოს (საფლავი) ან ვინმემ არ მოინდომოს დასაფლავება ჩვენთან ერთად, ან ჩვენი გვარისამ, ან უცხომ (და თუ ასეთი რამ მოხდა) მან აგოს პასუხი თავის აღდგომისას“. წარწერები თარგმნა და მეოთხე-მეხუთე საუკუნეებით დაათარიღა თ. ყაუხჩიშვილმა (ყაუხჩიშვილი 1951, 255; 2004, 230).

წარწერებიდან ვგებულობთ, რომ მცხეთაში პროფესიონალ ხელოსანთა გაერთიანება ყოფილა, რომელსაც თავისი უფროსი ჰყოლია. ხელოსნების ამგვარი ორგანიზაციული სტრუქტურა რომაული სამყაროდან არის ცნობილი. პლუტარქე აღწერდა მათ გაერთიანებებსა და წესებს. ხელოვნებისა და ხელოსნობის მიხედვით იგი ხალხს მუსიკოსებად, ოქრომჭედლებად, ხუროებად, ფართლეულით მოვაჭრეებად, ტყავის დამმუშავებლად, მეჩირაღდნეებად, კურიერებად და მეთუნეებად ყოფდა. ვაჭრებს ცალკე ჯგუფში აერთიანებდა (პლუტარქე, ნუმას ცხოვრება 17, ტომი 1).

პლუტარქე პროფესიული მუშების ორგანიზაციებს ასოციაციებს ან გილდიებს უკავშირებდა, რასაც მოგვიანებით პლინიუსიც აღნიშნავდა. წერილობითი წყაროებიდან და ასევე სხვადასხვა სახის წარწერებიდან ვიცით, რომ არსებობდა ხელოსანთა, ოსტატთა

გაერთიანებები, რომლებიც გარკვეულ უნარებს, ანუ ხელობას ფლობდნენ. ლათინურენოვანი ხალხი ამ უნარს ხელოვნებას (artes) უწოდებდა. რომაელები სიტყვა ხელოვნებას რაიმე საქმიანობას და საქმის განსაკუთრებით კარგად შესრულებასაც უკავშირებდნენ, მაგალითად, სამხედრო ხელოვნება (artes military) ან სახალხო სიტყვის წარმოთქმის ხელოვნება (ars dicendi). ადამიანი ხელოვნებისა, თუ ხელოსნობის დაუფლებით, ანუ თავისი შრომითა და გამოცდილებით იძენდა ისეთ სისტემატიზებულ ცოდნას, რომლითაც თავის რჩენა შეეძლო (ულრიჩი 2007, 6). პროფესიული გილდიები თავიანთ წევრებს სოციალურ აქტივობებს - ზეიმებს, მფარველ ღვთაებებს და, საბოლოოდ, ღირსეულ დაკრძალვას სთავაზობდნენ (ულრიჩი 2007, 9).

ადრეული მეოთხე საუკუნიდან რომაელ ხელოსნებსა და ვაჭრებს შესაბამისი გილდიის წევრობა მოეთხოვებოდათ. ეს ზომა გადასახადების იოლად აკრეფის მიზნით იყო მიღებული მთავრობის მიერ. გადასახადების გადახდა ყოველ ხუთ წელიწადში ეკისრებოდათ ვაჭრებს, მევახშეებსა და ხელოსნებს (ულრიჩი 2007, 12).

ამრიგად, მცხეთაში ხელოსანთა გილდიის რომაული ორგანიზაციის ანალოგიური ვითარებაა. სახეგვა ხუროთა გაერთიანება და მათი უხუცესი ავრელიოს აქოლისი, რომელიც მეუღლესთან ერთად ღირსეულად დაუსაფლავებიათ, თუმცა ეპიტაფიაში ჩანერილ მუქარას ვერ დაუცვია მათი საფლავი. ქვა, რომელზეც ავრელიოს აქოლისის ეპიტაფიაა ამოტვიფრული, სხვა ქვაყუთის კედლად იყო გამოყენებული.

ამ ეპიგრაფიკული მასალის მიხედვით, ქალაქი მცხეთის რომაულ პოლიტიკურ ორგანიზაციასა და მართვის სისტემაზე მიუთითებს გ. ლორთქიფანიძეც (ლორთქიფანიძე 2004, 155). ავრელიოს აქოლისის მაგალითზე საზოგადოების სოციალური სტრატეგიციზირების რომაული მოდელი ჩანს, რაც რომაული ურბანიზაციის მაჩვენებელია.

მცხეთის მდიდრულ სამარხებში სტილოსების გამოვლენაც არ უნდა იყოს შემთხვევითი. როგორც ჩანს, მცხეთის მდიდარ, ურბანულ ზედა ფენას ჰქონდა წერა-კითხვის სწავლის საშუალება და საჭიროება, ანუ განათლება ელიტარული იყო და საფიქრებელია, რომ ელიტარული ფენა იყენებდა მას ქალაქისა თუ ქვეყნის მართვასა და ორგანიზაციაში. საბეჭდავების არსებობა საშუალო ფენის სამარხებში (მუხათგვერდი,

მოგვთაკარი, წინამური) მიუთითებს, რომ მოსახლეობის ამ ფენამ არ იცოდა წერა-კითხვა და ისევ საბეჭდავებს ხმარობდა.

მეოთხე საუკუნის დასაწყისში, ქრისტიანობის გავრცელებამდე, როგორც ჩანს, მცხეთა უკვე პოლიტიკური ცენტრი იყო. მეფის რეზიდენცია მცხეთაში იყო და სამეფო ბალი სვეტიცხოვლის მიდამოებში მდებარეობდა (გრიგოლია 1954, 71). საფიქრებელია, რომ ქალაქი, იმავდროულად, რელიგიური ცენტრის ფუნქციასაც ითავსებდა. სვეტიცხოვლის ტაძარში და ეზოში აღმოჩენილი კორინთული კაპიტელები, შესაძლოა, წარმართული ტაძრის არქიტექტურული დეტალები ყოფილიყო (ყიფიანი 2007, 11-14), სამთავროს მონასტრის ქვეშ გამოვლენილი რომაული თოლოსის ცოკოლი (რადიუსი 15მ; კარის დიობის სიგანე 5მ) კი - წარმართული ტაძრის საძირკველი (ყიფიანი 2007, 25).

ამრიგად, არმაზი, წინამური და მცხეთა დამოუკიდებელ ქალაქებად დაარსებულან. ამ ქალაქებთან და მათთან დაკავშირებულ დასახლებათა გეოგრაფიულ არეალს საფორტიფიკაციო სისტემები და ლანდშაფტი საზღვრავდა.

ორ დამოუკიდებელ ქალაქად მიიჩნევა არმაზსა და მცხეთას ა. ნატროევი ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში (ნატროევი 1900, 3-53). არმაზი, წინამური და მცხეთა რომ სხვადასხვა სახელებით მოხსენიებული სხვადასხვა ქალაქებია, ამას ლ. მელიქსეთ-ბეგიც აღნიშნავდა (მელიქსეთ-ბეგი 1938, 58). 1940-იანი წლებიდან ქართულ არქეოლოგიაში დამკვიდრდა აზრი, რომ არმაზი და წინამური ე.წ. „დიდი მცხეთის“ უბნები იყო. ამას საფუძვლად ს. ჯანაშიას განმარტება დაედო, რომელიც სტრაბონის მიერ არმოზიკესა და სეუსამორას აღწერილობას და მათ შორის დისტანციას (16 სტადიონი - თანამედროვე ზომის ერთეულით დაახლოებით 3კმ), ამგვარად ხსნიდა: „უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ცნობაში მოხსენიებულია ერთი და იმავე ქალაქის ორი ნაწილი, ვინაიდან, ასე ახლო მანძილზე ორი დამოუკიდებელი ქალაქის არსებობა დამაჯერებელი არ არის“ (ჯანაშია 1945). ამას დაერთო ისიც, რომ ს. ჯანაშიამ მცხეთა-არმაზისა და თბილისი-კალას შედარების საფუძველზე არმაზიც მცხეთის უბნად განსაზღვრა (ჯანაშია 1949, 11). ამ მოსაზრებას იზიარებდნენ დ. მშვენიერაძე, რომელიც აღნიშნავდა, რომ მცხეთა სამი უბნისაგან - მცხეთა, წინამური, არმაზი - შედგებოდა (მშვენიერაძე 1952, 23) და

ა. აფაქიძე, რომელმაც ტერმინი „დიდი მცხეთა“ და მისი უბნების იდეა მტკვრისა და არაგვის ორივე სანაპიროზე გაავრცელა და მცხეთის ფარგლებში არა მარტო არმაზი და წინამური, არამედ ნაქულბაქევი, მუხათგვერდი, კარსნისხევი, მოგვთაკარი, არმაზისხევი, მარტაზისხევი, სარკინე და სხვა ნამოსახლარები მოაქცია (აფაქიძე 1963, 178, 245).

როგორც კვლევიდან გამოჩნდა, არმაზი და წინამური ორი დამოუკიდებელი ურბანული ცენტრი იყო, რომელთაც სხვა დასახლებები უკავშირდებოდა. სხვადასხვა პერიოდში ეს ორი ქალაქი მართლაც გახდა მცხეთის დაქვემდებარებული ერთეული, როგორც ამას ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა (ბერძენიშვილი 1964, 403-404). ლ. მელქსეთ-ბეგს კი მიაჩნდა, რომ, მცხეთის დანინაურებასთან ერთად, არმაზის პოლიტიკური და რელიგიური მნიშვნელობა დაეცა და ის მცხეთის რაბატად გადაიქცა წინარეფრისტიანულ ხანაში (მელქსეთ-ბეგი 1938, 58).

ეს დაქვემდებარება უბნობის დონეზე არ განისაზღვრებოდა. მცხეთის ურბანულ ცენტრად ჩამოყალიბება, მისი დანინაურება, არმაზის პოზიციების დათმობა და წინამურის ურბანული სტატუსის შეცვლა სასოფლო-სამეურნეოთი არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი ტერიტორიულად გაერთიანდნენ და მცხეთის უბნებად გადაიქცნენ. მათ შორის ჩამოყალიბებული სუბორდინაცია დასახლებათა ან გარკვეული მიწების მართვაში გამოიხატებოდა.

იბერიის სოციალური იერარქია, სტრაბონის მიხედვით, მრავალ მკვლევარს აქვს განხილული, მაგალითად, ს. კაკაბაძეს (1924), ს. ჯანაშიას (1952), გ. მელიქიშვილს (1955), ო. ლორთქიფანიძეს (1968) და სხვა. ს. კაკაბაძეს მიაჩნდა, რომ იბერიის საზოგადოების სოციალურმა სტრუქტურამ, რომელიც სტრაბონს ჩამოყალიბებული დახვდა, განვითარების რთული გზა განვლო. იგი სპარსული მოდელის მიხედვით განვითარდა, რადგანაც ქართველი ტომები სპარსეთის იმპერიის ფარგლებში შედიოდნენ (კაკაბაძე 1924, 93-94). იბერიის სპარსულ-ირანულ მემკვიდრეობაზე ამახვილებს ყურადღებას ს. რაპიც (რაპი 2009, 662). ს. ჯანაშიას აზრით, სტრაბონის მიერ მოცემული სოციალური სტრუქტურის მიხედვით, იბერიაში კიდევ გვაროვნული წყობილება იყო. კერძო საკუთრების ინსტიტუტი ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული, თუმცა, ტაძრები მსხვილი

მინისმფლობელები იყვნენ (ჯანაშია 1952, 139). გ. მელიქიშვილი ეთანხმება და ავრცობს სტრაბონის ინფორმაციას, იმის შესახებ, რომ იბერიის მთისა და ბარის მოსახლეობის განვითარების დონეში მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობდა. იგი იბერიის ბარის მოსახლეობაში გამოჰყოფს ვაჭართა, ხელოსანთა და ტყვე-მონების ფენებს, რაც სტრაბონთან არ არის აღნიშნული. განსაზღვრავს მათ ფუნქციას იბერიის საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და, ამასთან მიმართებაში, ვარაუდობს ინდივიდუალური ოჯახების მიწაზე კერძო საკუთრების არსებობას (მელიქიშვილი 1955, 152-160).

ო. ლორთქიფანიძე იბერიის ქალაქებში ელინისტური ქალაქებისათვის დამახასიათებელი თვითმმართველობის ელემენტების არსებობას აღნიშნავდა (ლორთქიფანიძე 1968, 29-30).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ჩანს, რომ იბერიის დასახლებებს მართვის აპარატი ჰქონია ჩამოყალიბებული ძვ.წ. პირველი საუკუნის დასასრულისთვის. რაც შეეხება თვითმმართველობას, არმაზისა და წინამურის შემთხვევაში, შესაძლოა, მართლაც ჰქონდა ადგილი. თუმცა, ლანდშაფტის, ტოპოგრაფიისა და არქიტექტურის მიხედვით, ამკარაა, რომ არმაზი უფრო დანინაურებული იქნებოდა.

„მცხეთის ქვეყნის“ სოციალური იერარქია მცხეთის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში ვლინდება. საფიქრებელია, რომ მცხეთა, როგორც რეგიონის ცენტრი, განაგებდა წინამურის სასოფლო-სამეურნეო მიწებს, კარსნისხევის სახელოსნო უბანს და მოგვთაკარის დასახლებას, რაც გადასახადების მოკრებაში აისახებოდა. ამგვარი ურთიერთობები შუა საუკუნეების გუჯრებშიცაა აღწერილი, მაგალითად, არმაზის ციხე მცხეთის საკათალიკოსო მამულია მე-14 - მე-16 საუკუნეებში, მე-18 საუკუნეში კი ბაგრატიონ-დავითაშვილის კუთვნილებაა; ნაქულბაქევიც მცხეთის საეკლესიო მამულია მე-14 - მე-16 საუკუნეებში, მე-18 საუკუნეში კი თბილისის კუთვნილი სოფელი ხდება; მუხათგვერდი მე-14 - მე-16 საუკუნეებში მცხეთის საკათალიკოსო მამულია, მე-18 საუკუნეში იქ კათალიკოსის ყმები ცხოვრობდნენ; წინამური კახეთის სამეფოს დომენს წარმოადგენდა მე-16 - მე-18 საუკუნეებში, ხოლო გურამიშვილების სათავადოს ჩამოყალიბების შემდეგ მის კუთვნილ მამულთა რიცხვში შედის (ქართული სამართლის ძეგლები 1970, 532, 176, გამყრელიძე და სხვა 2013, 47, 347, 617).

დასახლებათა ტრანსფორაცია და ურბანიზაცია უწყვეტი პროცესია, რომელიც თანამედროვე სამყაროშიც მიმდინარეობს. ახ.წ. პირველ-მეოთხე საუკუნეებში იბერიაში ურბანიზაციის რომაული მოდელი ჩამოყალიბდა, რომელიც სხვა რეგიონებისაგან განსხვავდებოდა, მაგალითად, მცირე აზიის, რომაული ბრიტანეთის ან პროვანსის მოდელისაგან (ანდერსონი 2013). ეს რეგიონები რომის პროვინციები იყო და რომაელი მმართველები და ადმინისტრატორები იქ მუდმივად იმყოფებოდნენ. ასე რომ, რომაული წესები და ცხოვრების სტილი აქტიურად და ინტენსიურად ინერგებოდა. იბერიაში ადგილობრივი მართველი მეფე იყო, რომელიც კიდევ მისდევდა ცხოვრების ელიტარულ, რომაულ სტილს, მაგრამ ის მისთვის ზემოდან თავსმოხვეული და სავალდებულო სულაც არ იყო. რომაული გავლენა, ძირითადად, ქალაქის არქიტექტურასა და არისტოკრატთა და საშუალო ფენის სამარხებში ჩანს. არისტოკრატთა სუფრის ტიპური რომაული ვერცხლის ჭურჭლით, საბეჭდავებითა და სამკაულით სარგებლობდა. რომაული საბეჭდავები, სამკაული და მინის ჭურჭელი საშუალო ფენის მოსახლეობაშიც ვრცელდებოდა რომაული სირიიდან. თუმცა, როგორც ჩანს რომაულ გავლენას ცხოვრების ყველა სფერო არ მოუცავს და მოსახლეობის დაბალი ფენები რომაული კულტურის გავლენის ქვეშ არ მოქცეულან. რომაული გავლენა არ ვლინდება ღარიბულ სამარხებში და ადგილობრივ კერამიკაში. თუ არ ჩავთვლით ე.წ. ტერა სივილატას ადგილობრივი მინაბადის ერთეულ შემთხვევებს¹⁶. იბერიის რომაული ურბანიზაციის ლოკალური ვარიანტი სწორედ ამაში გამოვლინდა.

„მცხეთის ქვეყნის“ დასახლებებს საერთო მატერიალური კულტურა ჰქონდათ. ეს როგორც იმპორტულ, ასევე ადგილობრივ ნაწარმში კარგად გამოჩნდა. მსგავსი კერამიკული, ლითონისა და მინის ნაწარმია აღმოჩენილი მუხათგვერდის, კარსნისხევის, მოგვთაკარის, წინამურის, სამთავროსა და ბაიათხევის სამაროვნებზე.

ნამოსახლართა მოდელი როგორც ნამოსახლარის ლანდშაფტზე გავრცელების, ასევე, არტეფაქტების გავრცელების მიხედვითაც იქმნება. ნივთები ადამიანებთან

¹⁶მხედველობაში მაქვს ნასტაკისის ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი ჯამები. მასალა გამოუქვეყნებელია. ინახება ჯანაშიას სახელობის ეროვნული მუზეუმის ფონდებში.

ბიოგრაფიულად არიან დაკავშირებულნი, რადგანაც სოციალურ კონტრასტსა და იდენტობას ასახავენ. ნივთების გამოყენების მთელი ტრაექტორია, მათი შექმნის, გამოყენებისა და უკუგდების ციკლი ადამიანის ცხოვრებას ასახავს. არსებითად, ნივთის მნიშვნელობა მისი სოციალური კონტექსტიდან იქმნება (ჰოდერი 1986; შანკი, თილი 1992).

„მცხეთის ქვეყნის“ არტეფაქტებში განსაკუთრებული ადგილი ვერცხლის ჭურჭელს უკავია¹⁷, რომელიც, ძირითადად, რომაული სუფრის ჭურჭლისაგან - თასები, სასმისები, კოვზები - შედგება. აღსანიშნავია კოვზები, რადგანაც იბერიის დიდგვაროვნების ყოფაში ისინი რომაელებმა შემოიტანეს, ისევე, როგორც იმპერიის დასავლეთ ნაწილში - ბრიტანეთში, ესპანეთში. რომაელები ჩანგალს არ ხმარობდნენ. მათ სამი ძირითადი სახის კოვზი ჰქონდათ - პატარა გრძელტარიანი, ხშირად, ბოლოში დაწვრილებული, წვეტიანი (cochlearium); პატარა მოკლე, მოხრილტარიანი (cignus) და დიდი გრძელტარიანი ჩამჩა. კოვზები ლითონისაგან კეთდებოდა, ტარის დეკორაცია, ძირითადად, იხვის ან გედის თავის გამოსახულება იყო, ხშირად - მენდრით ორნამენტირებული. კოვზები მთელ იმპერიაში, ყველა სოციალურ ფენაში იყო გავრცელებული. „მცხეთის ქვეყანაში“ სამივე ტიპის კოვზია აღმოჩენილი (ილუსტრაცია 58. 1). არმაზის ტიპის კოჭლეარიუმები მეოთხე საუკუნით თარიღდება (ბლენდი, ჯონსი 1993).

რომისგან განსხვავებით კოვზები იბერიაში მხოლოდ მართველ წრეებში გავრცელებულა. სუფრის ჭურჭელი რომაული ბანკეტის განუყოფელი ნაწილი იყო. ბანკეტი კი - რომაული ცხოვრების მნიშვნელოვანი მხარე, რომელსაც რომაელები დიდ ყურადღებას უთმობდნენ. ბანკეტები, ისევე როგორც აბანოები, სოციალურ აქტივობებს უკავშირდებოდა.

რომაული საბეჭდავები იბერიაში ძვ.წ. პირველი საუკუნის მეორე ნახევრიდან ჩნდება, თანაარსებობს ადგილობრივ გლიპტიკურ ნაწარმათან და ახ.წ. პირველი საუკუნის ბოლოსთვის თანდათან ენაცვლება მას. პირველი-მესამე საუკუნეების სამარხებში მრავლადაა მოპოვებული რომაული მასობრივი წარმოების მინის გემები და

¹⁷ მცხეთასა და მის შემოგარენში აღმოჩენილ ვერცხლის ნაწარმს იკვლევდნენ: ო. ლორთქიფანიძე (1968), კ. მაჩაბელი (1970, 1976) და სხვ.

ნახევრადძვირფასი ქვის ინტალიოები სხვადასხვაგვარი გამოსახულებებით. მათგან აღსანიშნავია ისტორიული პერსონაჟების პორტრეტები, კერძოდ, რომის სამოქალაქო ომის პერიოდის პორტრეტთა ჯგუფი, რომლებიც რომაული პორტრეტის გამორჩეულ ნიმუშებს განეკუთვნება, მაგალითად, პომპეუსის ცოლის იულიას (ილუსტრაცია 58. 2), ოქტავიანეს, გნეუს პომპეუს უმცროსის და სხვათა გამოსახულებები (ჯავახიშვილი 2008, 191-193).

აღსანიშნავია, რომ, რომაული გემა-პორტრეტის მიბაძვით, იბერიაში ადგილობრივი მმართველების სახელობითი ინტალიოები ჩნდება. როგორც ჩანს, იბერიელი პიტიახშები და სხვა დიდგვაროვნები, რომელი იმპერატორების მსგავსად, უკვეთავდნენ ინსიგნიებს, რომლებზეც მათი პორტრეტები, სახელები და წოდებები იყო ამოკვეთილი, მაგალითად, არმაზისხევის სამაროვანზე აღმოჩენილი ასპარუგ პიტიახშისა და უცნობი მამაკაცის საბეჭდავი-ბეჭდები, ფირფიტა ზევახისა და კარპაკის გამოსახულებით და სხვა (ილუსტრაცია 59). სამივე გემა-ინტალიოზე პორტრეტები პროფილშია გამოსახული. ზევახისა და კარპაკის გამოსახულებები თმის ვარცხნილობით, ჩაცმულობითა და კისრისა და მკერდის კვეთის მანერით განსაკუთრებულ მსგავსებას ავლენენ რომაულ გლიპტიკურ ძეგლებთან¹⁸. მიუხედავად იმისა, რომ ასპარუგ პიტიახშის პორტრეტი შუბლის მოყვანილობითა და კერხიანი ცხვირით მკვეთრად განსხვავდება რომაული პორტრეტისაგან, შიშველი კისერი და მხრები აშკარად ბერძნულ-რომაულ მხატვრულ ტრადიციებზე მეტყველებს. უცნობი მამაკაცის პორტრეტი განსხვავებულია თმის ვარცხნილობით, საყურითა და ჩაცმულობით. ამიტომაც მრავალგზის აღინიშნა, რომ იგი სასანური ხელოვნებისთვის დამახასიათებელ ნიშნებს ავლენდა, თუმცა, პორტრეტი სასანური სტილისაგან მაინც განსხვავდება იგივე თმის ვარცხნილობით. ამ ნიშნის გამო საბეჭდავი-ბეჭედი უცნობი მამაკაცის პორტრეტის გამოსახულებით ადგილობრივი ხელოსნის მიერ დამზადებულად ჩაითვალა და მეოთხე საუკუნით დათარიღდა (იხ. ჯავახიშვილი 2008, 48-53). ჩემი აზრით, უცნობი მამაკაცის პორტრეტში, მიუხედავად აშკარა

¹⁸ ამ მსგავსებებზე ქ. ჯავახიშვილმა მიმითითა კერძო საუბარში.

სასანური იერისა, რომაული გავლენაც შეინიშნება, რაც შუბლისა და ცხვირის მოხაზულობაში ე.წ. „რომაულ პროფილში“ ვლინდება.

ზემოთ აღნიშნულ, ყველა გემა-ინტალიოზე გამოსახულ პორტრეტებს განსაკუთრებული ინდივიდუალიზმი ახასიათებს. სწორედ ეს ათვისებინებს მკვლევარებს მათ ადგილობრივ წარმოშობას. გემა-პორტრეტი იბერიაში რომაულ ხანამდე უცნობი იყო. ის რომაული ელიტარული ცხოვრების სტილის ისეთივე გამოხატულება იყო, როგორც კოვზები.

სამონეტო მიმოქცევა იბერიაში ძვ.წ. მეორე საუკუნის ბოლოდან-პირველი საუკუნის დასაწყისიდან, პართული მონეტების გაჩენით იწყება. რომაული მონეტები ძვ.წ. პირველი საუკუნიდან ჩნდება და, პართულ მონეტებთან ერთად, ძირითადად, ახ.წ. მეორე-მესამე საუკუნეების სამარხებში ვლინდება (შეროზია 2008, 235-236), რაც სავაჭრო ურთიერთობების ზრდით, სტაბილურობითა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებით აიხსნება. რომაული მონეტების განსაკუთრებული სიმრავლე იბერიაში პირველ-მესამე საუკუნეებშია დადასტურებული. მეორე-მესამე საუკუნეებში განსაკუთრებით ჭარბობს ავეუსტუსის დენარები (შეროზია 2008, 239).

„მცხეთის ქვეყნის“ არქეოლოგიურ ძეგლებზე მოპოვებული მონეტების (დაახლოებით 400 ცალი¹⁹) აბსოლუტური უმრავლესობა (200 ცალი) ავეუსტუსის დენარია (შეროზია 2008, 239). მათგან ოცამდე აურეუსია, ხოლო ათამდე სპილენძის და ბრინჯაოს მონეტა. მონეტები მეტწილად სამარხებში ჩნდებოდა. ერთი რომაული დენარი არმაზის სასიმაგრო კედელთან აღმოჩნდა (ათაქიძე 1963, 34; შეროზია 2008, 249). ასევე ცნობილია არქეოლოგიური კონტექსტის გარეშე, შემთხვევით მოპოვებული მონეტებიც.

მ. შეროზიას იბერიაში რომაული მონეტების მოხვედრის ვარიანტები აქვს განხილული. ერთი, რომ რომის რესპუბლიკის დროს მოჭრილი მონეტების დიდი ნაწილი იბერიაში პომპეუსის ჯარისკაცების მიერ იქნა შემოტანილი, მეორე - მონეტების არმენიიდან მოხვედრის შესაძლებლობა. იგი არცერთს არ ეთანხმება, აღნიშნავს არმენიაში მონეტების

¹⁹ მონაცემები შეგროვებულია შემდეგი პუბლიკაციებიდან: კაპანაძე 1955, მცხეთა VII, მცხეთა X, ნიკოლაიშვილი 1993, ნიკოლაიშვილი და სხვა 2006.

მცირე რაოდენობას და მიიჩნევს, რომ რომაული მონეტები იბერიაში ვაჭრობის შედეგად, კერძოდ, ინდოეთის სავაჭრო გზით უნდა მოხვედრილიყო (შეროზია 2008, 237241).

რომის რესპუბლიკისა და იმპერიის დროს ფული სხვადასხვა პერიოდში სხვადასხვა ლითონისაგან იჭრებოდა და, შესაბამისად, რომის ჯარისკაცები ხელფასს ლითონის იმ ფულით იღებდნენ, რომელსაც ზარათხანა გამოუშვებდა. იმპერიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, ავგუსტუსიდან ანტონიუსამდე პერიოდში არსებულ სამხედრო ბანაკებში აღმოჩენილი მონეტების მიხედვით, გავრცელებული იყო აზრი, რომ რომაელ ჯარისკაცებს ხელფასი, ძირითადად, ბრინჯაოს ფულით ეძლეოდათ, იშვიათად - ვერცხლის, ხოლო ოქროს ფული გამოირიცხებოდა (ვიგი 1997, 281-284).

რომის ისტორიაში იყო პერიოდები, როდესაც ბრინჯაოსა და სპილენძის ფულის ემისია წყდებოდა და მხოლოდ ვერცხლისა და ოქროს მონეტები იჭრებოდა, მაგალითად, ავგუსტუსის დროს 12 წლის მანძილზე - ძვ.წ. 2 წლიდან - ახ.წ. 10 წლამდე - არ მოჭრილა ბრინჯაოს ან სპილენძის ფული. იჭრებოდა მხოლოდ ვერცხლისა და ოქროს მონეტები. იგივე სიტუაცია იყო კლავდიუსის მმართველობის ხანაში და ნერონის დროსაც, როდესაც 43-64 წლებში მხოლოდ ვერცხლისა და ოქროს ფული გამოდიოდა (ვოლთერსი 2000-2001; ვან ჰიში 2009). ემისიების სპეციფიკისა და ლითონის მონეტებისა და მათი გავრცელების ახლებური შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რომ რომის ჯარისკაცებსა და მაღალი სამხედრო ეშელონის პირებს ხელფასს ვერცხლის დენარებითა და ოქროს აურეუსებით უხდიდნენ (ვოლთერსი 2000-2001, 580).

მას შემდეგ, რაც ავგუსტუსმა რეგულარული ჯარი ჩამოაყალიბა, ლეგიონერის წლიური ხელფასი 225 დენარს შეადგენდა, რაც სამი ოქროს აურეუსისა და 1200 ბრინჯაოს მონეტის (ასესი) ტოლფასი იყო. ლეგიონერის ხელფასი თანდათან იზრდებოდა. მაღალი რანგის სამხედრო პირის ჯამაგირი კი რამდენჯერმე აჭარბებდა ლეგიონერისას. ამდენად, ბრინჯაოს ფულით ხელფასის გადახდა ორ დიდ სირთულესთან იქნებოდა დაკავშირებული - მონეტების დიდძალ რაოდენობასა და წონასთან, რაც მნიშვნელოვნად გაართულებდა ტრანსპორტირებას. ხელფასის გაცემა კი წელიწადში სამჯერ ხდებოდა. ამიტომ, ბევრად იოლი იყო ვერცხლისა და ოქროს ფულით ჯამაგირის გადახდა

(ვოლთერსი 2000-2001, 580-581). ამის დასტურად მკვლევრებს პირველი საუკუნის ებრაელი ისტორიკოსის, იოსებ ფლავიუსის ცნობა მოჰყავთ, რომელიც თვითმხილველი ყოფილა იმისა, თუ როგორ იდგა რიგში ათასობით რომაელი ჯარისკაცი ხელფასის ვერცხლისა და ოქროს ფულით მისაღებად იერუსალიმის კედელთან ახ.წ. 70 წელს (იოსებ ფლავიუსი V, IX, 1-2; ვოლთერსი 2000-2001; ვან ჰიში 2009). აქვეა აღსანიშნავი გალიის ბრძოლებში გამარჯვებული იულიუს კეისრის სახელზე მოჭრილი მხოლოდ ოქროსა და ვერცხლის ფული, რომლითაც ჯარისკაცებს ხელფასს უხდიდნენ და ავგუსტუსის მიერ იმპერიის ჩრდილოეთ საზღვარზე ჩაყენებული რვა ლეგიონი, რომლის მეომრებსაც ასევე დენარებითა და აურეუსებით ეძლეოდათ ჯამაგირი (ვან ჰიში 2009, 127).

„მცხეთის ქვეყანაში” - არმაზში, მოგვთაკარზე, მცხეთაში, კარსნისხევში, წინამურში აღმოჩენილი დენარები და აურეუსები ნიშანია იმისა, რომ იბერიაში, კერძოდ, არმაზში რომაელი ჯარისკაცები და მაღალი რანგის სამხედრო პირები იმყოფებოდნენ²⁰. აღსანიშნავია, რომ ავგუსტუსის დენარები არმენიაში მხოლოდ გარნის ციხეზეა აღმოჩენილი (შეროზია 2008, 241), სადაც რომის ჯარი იყო დისლოცირებული (ტაციტუსი ანალები, XII, 44). ზოგადად პართული და რომაული მონეტების სიმცირე კი იმით იყო გამოწვეული, რომ არმენია თავის ფულს ჭრიდა (ვილერი 2013, 329).

ცხადია, ჯარისკაცები ხელფასის ნაწილს იქ ხარჯავდნენ, სადაც დაბანაკებულნი იყვნენ. საფიქრებელია, რომ ავგუსტუსის დენარები და აურეუსები ადგილობრივ მიმოქცევაში სწორედ ამის შედეგად გაჩნდა. ავგუსტუსის მონეტები იბერიაში ხანგრძლივ მიმოქცევაში იყო. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჯარისკაცები ხელფასს ვერ ღებულობდნენ ახალი მოჭრილი ფულით და გადახდა ადრე მოჭრილი ფულით ხდებოდა, რომელიც ისევ მიმოქცევაში იყო (ვოლთერსი 2000-2001, 587).

„მცხეთის ქვეყნის” ფორტიფიკაცია ურბანული იყო, რაც განსხვავდებოდა სამხედრო ფორტიფიკაციისაგან, მაგალითად, რომაული ბანაკებისგან ან

²⁰ არმაზში რომის ჯარის არსებობას აღნიშნავდა ელნიცკი 1950, 15.

კასტელუმებისგან. ურბანულ ფორტიფიკაციაში ურბანული სივრცე იზღუდებოდა და, შესაბამისად, კონტექსტიც ურბანული იყო (ქროუ 2001; ფროვოსთი 2001; ქრისტო 2001).

იბერიაში რომაული ბანაკი ან ფორტი არ აღმოჩენილა. საფიქრებელია, რომ სამხედრო ბანაკის აშენების საჭიროება იბერიაში არ იყო, რადგანაც იგი რომის საომარ მოქმედებებში ტერიტორიულად არ იყო ჩართული. ჯარის განაყოფი კი არსებულ სიმაგრეებში და გამაგრებულ ქალაქებში ადვილად განთავსდებოდა. იბერიისგან განსხვავებული სიტუაცია იყო კოლხეთის სანაპირო ზოლში. აფსაროსის კასტელუმში რომაული კოჰორტები იდგა (გამყრელიძე, თოდუა 2006, 65), რადგანც კოლხეთის ამ ნაწილს რომი აქტიურად იყენებდა სამხედრო ოპერაციებში.

წარსულში ადამიანები თავისებურად აღიქვამდნენ დროს. მათი აღქმაც შესაბამისად არის გამოსახული ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში. ამიტომ, წყაროს შესწავლისას არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნაწერების გარკვეულ კოდიფიკაციასთან გვაქვს საქმე. „ვესპასიანეს წარწერა“, გარდა იმისა, რომ გვაძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას, ასევე ბადებს კითხვებს: რატომ გაამაგრა იბერიის კედლები რომის იმპერატორმა? რას უნდა ნიშნავდეს იბერიაში რომის იმპერატორის სახელით ზღუდის გამაგრება? რომელი აუდიტორიისათვის იყო გამიზნული ბერძნულენოვანი წარწერა იბერიაში?

წარწერა შინარსით, სტილითა და შესრულების მანერით, ქვის დამუშავებითა და წარწერის მოჩარჩოებით რომაული ბერძნულენოვანი ეპიგრაფიკის კარგი ნიმუშია. იგი ხაზს უსვამს რომის იმპერატორის დიდებულებას, სიძლიერესა და კეთილშობილებას, მაგრამ არ ამჟღავნებს მიზეზს, თუ რატომ გაუმაგრა თუ აუშენა მან კედლები იბერიელებს. ცხადია, ამ მოქმედებაში, პირველ რიგში, რომის ინტერესი იდო. რომსა და პართიას შორის ორმოცდაათწლიანი მშვიდობიანი პერიოდი ვესპასიანემ აღმოსავლეთით საომარი მოქმედებების განახლებით შეცვალა. ამასთან დაკავშირებით, მან შავი ზღვიდან ანატოლიისაკენ მიმავალი სურსათით მოსამარაგებელი გზები შეაკეთა და არმოსიკე გაამაგრა (ლევერი 1979; ბენეტი 1997; ფერგიუსონი 2005, 12). შეიძლება, არმაზის გამაგრება პირდაპირ არც ყოფილიყო დაკავშირებული სამხედრო ოპერაციებთან და პარტნიორობის გამომსახველი აქტი ან მოლაპარაკების ერთ-ერთი პუნქტი იყო, რაც სურსათით

მომარაგების საფასურად კედლის გამაგრებას გულისხმობდა. გამოდის, რომ ქალაქი ზურგს უფრო ამაგრებდა, ვიდრე ფრონტის წინა ხაზს. თუმცა, კარგად გამაგრებული სასიმაგრო სისტემა მხოლოდ თავდაცვის საშუალება არ იყო. იგი ქალაქის სიძლიერეს აჩვენებდა. „... და იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათვის” (მე 1963, 92). ფორტიფიკაცია ქალაქის მზადყოფნას დემონსტრირებდა და მის პრესტიჟს უსვამდა ხაზს.

რომის მიერ დაპყრობილი ახლო აღმოსავლეთი ელინისტური კულტურის ზეგავლენის ქვეშ რჩებოდა და რომის აღმოსავლეთ იმპერიაში ბერძნული ენა კვლავ ლინგვა ფრანკა იყო, რომელმაც, თავის მხრივ, არამეული ჩანაცვლა (ადამსი, სვანი 2002, 12). ბერძნულენოვანი ტექსტები ბერძნულენოვანი საზოგადოებისთვის იქმნებოდა. ბერძნულად ითარგმნა და რომის მთელ იმპერიაში გავრცელდა ავგუსტუსის მემორიალური წარწერა *Res Gestae Divi Augusti*, რომელიც იმპერატორის საგმირო საქმეების აღწერასა და პროპაგანდას ისახავდა მიზნად (ქული 2009). შაბურ I-ის სამეფოვანი წარწერა - *Res Gestae Divi Saporis*²¹ - შუასპარსულ, პართულ და ბერძნულ ენებზე შეიქმნა, რომელიც, ცხადია, სასანური სამეფო დინასტიისა და შაბურ I-ის დიდების ამსახველი იყო, მაგრამ, ამავე დროს, ბერძნული ტექსტი რომაელი საზოგადოებისთვის იყო გამიზნული და ანტირომაულ პროპაგანდას ემსახურებოდა (ზიევი 2002, 269). ბერძნულ ენაზე ლათინურენოვანი რომაელი ავტორების ნაშრომებიც იქმნებოდა, მაგალითად, დიო²² კასიუსის რომის ისტორია, რადგანაც ბერძნული ენა, გარდა იმისა, რომ ნომენკლატურული და გასაგები იყო ახლო აღმოსავლეთის რეგიონის მოსახლეობისათვის, პრესტიჟულიც გახლდათ.

არმაზის „ვესპასიანეს წარწერაც” რამდენიმე მიზანს ემსახურებოდა - იგი იბერიის მოსახლეობას ამცნობდა რომის იმპერატორის ძლევამოსილებასა და დიდებას, აღნიშნავდა მის კეთილ ქმედებებს და თანაც, საფიქრებელია, რომ რომის იმპერატორის

²¹ მ. როსტოვეცევის მიერ *Res Gestae Divi Augusti* -ის მიხედვით შემოღებული ტერმინი (იხ. ზიევი 2002).

²² ლათინური სახელია დიო. დიონ არის მისი ბერძნული ფორმა.

გრძელი ტიტულატურის ჩამონათვალის შემდეგ მეფე მითრიდატეს ხსენება პრესტიჟული უნდა ყოფილიყო როგორც მეფისთვის, ასევე, იბერიის მოსახლეობისთვისაც.

რომის ექსპანსიურმა საგარეო პოლიტიკამ დიდი გავლენა იქონია იბერიაზე, თუმცა რომაელები იბერიაში წინასწარი განზრახვით არ მისულან. მითრიდატე ევპატორს დადევნებული პომპეუსი გზად იბერიაში შეიჭრა და არმაზი აიღო. არმაზში დარჩა მანამდე, სანამ გზების ბატონ-პატრონი არ გახდა. მას შემდეგ კი არმაზში ჯარის განაყოფი დატოვა, რომელიც მდინარის მთელ ამ მხარეს აკონტროლებდა, თვითონ კი არტოკეს დაედევნა (დიონ კასიუსი XXXVII, 5). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პომპეუსმა არმაზში ჯარის ნაწილის დატოვებით ზურგი გაიმავრა და სანამ სამხედრო კამპანიას გააგრძელებდა კოლხეთში, დამარცხებული არტოკე სურსათით მომარაგებაზე შეიპირა (დიონ კასიუსი XXXVII, 2).

პომპეუსის სამხედრო ექსპედიციის მარშრუტი და შემდგომ განვითარებული სამხედრო-პოლიტიკური მოვლენები თემის კვლევის სფეროს სცდება, ამიტომ მათ გვერდს აუევლი, მაგრამ აღვნიშნავ, რომ პომპეუსის საომარმა კამპანიებმა რომის საზღვრები მნიშვნელოვნად გაათართოვა აღმოსავლეთით, რითაც იქ მანამდე არსებული სამეფოების კონფიგურაცია შეიცვალა. პომპეუსმა კლიენტი სამეფოებისაგან რომის სამხრეთითა და აღმოსავლეთით ოსტატურად მოახერხა ბუფერული ზონის შექმნა პართიის მზარდი სახელმწიფოს წინააღმდეგ. ამ სამეფოთა შორის სირია, პატლაგონია, კაბადოკია, მცირე არმენია და სხვა სამეფოებიც იყო (ფერგიუსონი 2005, 9).

რომის საგარეო პოლიტიკა მუდმივად ერთგვაროვანი არ იყო. ის იცვლებოდა რომის სამინაო და საგარეო პოლიტიკური სიტუაციისა და იმპერატორების ნება-სურვილის მიხედვით. ძვ.წ. პირველი საუკუნის ბოლოდან რომი პართიას დაუპირისპირდა და რომაულ-პართული საომარი თუ პოლიტიკური დაპირისპირება არათუ არშაკიდების დინასტიის ბოლომდე გაგრძელდა, არამედ სასანიდთა ბატონობის ხანაშიც გადავიდა. ამ ხნის მანძილზე ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობები და, შესაბამისად, საზღვრები ვარირებდა, თუმცა ტერიტორიული მსაზღვრელი, ძირითადად, მდინარე ევფრატი იყო.

ფაქტობრივად, იბერიის პოლიტიკური, სოციალური და რელიგიური ცხოვრება ახ.წ. პირველ-მესამე საუკუნეებში რომსა და პართიას შორის განვითარებული სამხედრო-

დიპლომატიური ურთიერთობების ფონზე წარიმართა, რაც როგორც ბერძნულ-ლათინურენოვან ავტორთა ნაშრომებში, ასევე არქეოლოგიურ მონაპოვარშიც აისახა. ამიტომ, მოკლედ მიმოვიხილავ ამ პერიოდებს და აღვნიშნავ მათ გავლენას „მცხეთის ქვეყნის დასახლებებზე“.

ერთ-ერთი დიპლომატიური მოლაპარაკებისა და დაზავების შედეგად, ძვ.წ. 20 -10 წლებში არმენია პართიის გავლენის სფეროდ რჩებოდა, მაგრამ არმენიის მეფეს რომი ამტკიცებდა. ამ ვითარებამ სიტუაციის სტაბილურობა განაპირობა და რეგიონალურ ვაჭრობას შეუწყო ხელი (ფერგიუსონი 2005, 11). რეგიონში ამგვარი პოლიტიკური და სავაჭრო სიტუაციით შეიძლება აიხსნას ავგუსტუსის მონეტებისა და ზოგიერთი პართული მონეტის (ფრაატ IV-ის მონეტა) თანაარსებობა იბერიაში.

არმაზის სასიმაგრო სისტემის გამაგრებას, დ. ვილიამსის აზრით, ვესპასიანეს მიერ ჰარმობიკებზე ჯარის განაყოფის დატოვება მოჰყვა, საიდანაც ჯარი კასპიის ზღვამდე ტერიტორიას პატრულირებდა, რასაც ბაქოსთან ახლოს კლდეზე ამოტვიფრული XII ლეგიონ ფულმინატას ცენტურიონის სახელი გვაუწყებდა. ჰარმობიკეს დასახმარებლად ვესპასიანემ, შესაძლოა, დამხმარე ფორტი აფსაროსში, შავი ზღვის უკიდურესი აღმოსავლეთით დაიტოვა, ასევე - სებასტოპოლისში და ფაზისში. ეს იყო გამაგრებული პუნქტების ტრიო, რომელსაც მშვიდობის დროს ვაჭრობისა და სავაჭრო გზების კონტროლი და ომის დროს ჯარის სურსათით მომარაგება ევალებოდა (ვილიამსი 1996, 22).

ტრაიანე 111-117 წლებში „პართული პრობლემის“ მოგვარებას და აღმოსავლეთი საზღვრის გამაგრებას ცდილობდა. მას სავაჭრო გზების კონტროლის ხელში ჩაგდება და პართული საშუალო ფენის დასუსტება სურდა, რომელიც ვაჭრობით (აბრეშუმის გზა) დიდ სარგებელს ნახულობდა. ტრაიანეს პოლიტიკის ნაწილი იყო არსებული გზების მონესრიგება და ახალი საგზაო ქსელის გაყვანა, სამხედრო ბანაკებისა და სიმაგრეების შექმნა და ამით საზღვრის დაცვა. ტრაიანეს პოლიტიკის ფარგლებში მოხდა არმენიის დაპყრობაც (ფერგიუსონი 2005, 12). ტრაიანეს ანტიპართულ პოლიტიკაში იბერიელებსაც

მიუღიათ მონაწილეობა, როგორც ამას ამაზასპის, იბერთა მეფე მითრიდატეს ძმის, რომში აღმოჩენილი ბერძნულენოვანი ეპიტაფია გვაუწყებს (ყაუხჩიშვილი 1951, 236-237).

ადრიანემ მთლიანად შეცვალა ექსპანსიური პოლიტიკა. ევფრატის აღმოსავლეთით ტერიტორია მან თითქმის მიატოვა, დამცავი ხაზი სირიაში გააძლიერა და არმენიიდან, მესოპოტამიიდან და პართიიდან გარნიზონები გაიყვანა. მეორე საუკუნის მეორე ნახევარში (სეპტიმუს სევერუსის დროს) კვლავ განახლდა რომის შეტევა პართიაზე, რასაც სამხედრო რეორგანიზაციამ შეუწყო ხელი. რომი მესოპოტამიის ჩრდილოეთით გაფართოვდა. სეპტიმუს სევერუსმა აღმოსავლეთი საზღვრების რეორგანიზაცია დაიწყო, რასაც სამხედრო მშენებლობა და არაბეთიდან იორდანიამდე ფორტების ჩამწყობება მოჰყვა. ამ უპირატესობას რომი 230-წლამდე, სასანიდთა მომძლავრებამდე ინარჩუნებდა (ფერგუსონი 2005, 13).

იმპერიის დასაცავად რომს საზღვრების კონცეფცია ჰქონდა შემუშავებული, რაც სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა უსაფრთხოების ზომისა და პოლიტიკის გამოყენებას ნიშნავდა. ზოგ რეგიონში კილომეტრებზე გადაჭიმა სასიმაგრო კედლები, მაგალითად, ბრიტანეთში - ადრიანეს კედელი, ხოლო ზოგან ბუფერული ზონები შექმნა, მაგალითად, არმენიასთან და თანამედროვე თურქეთის აღმოსავლეთი ნაწილის გასწვრივ და კიდევ უფრო სამხრეთით (ვილიამსი 1996, 2).

ერთ-ერთ ამგვარ ბუფერულ ზონად ი. გაგოშიძე იბერიას მიიჩნევს, რომელსაც როგორც ომის, ასევე მშვიდობის დროს კავკასიონზე გადასასვლელი გზების კონტროლი შეეძლო. ამით იბერია აღმოსავლეთ ევროპის სტეპების მომთაბარე ტომების შემოსევებს არეგულირებდა და ახლო აღმოსავლეთსა და რომის იმპერიის აღმოსავლეთ საზღვრებს იცავდა. რომიც და პართიაც, ამის გამო, იბერიას ანგარიშგასაწევ ძალად მიიჩნევდა (გაგოშიძე 2008, 1). კრებულში „რომი და პართია“ ი. გაგოშიძე რომაულ-პართულ-იბერიულ ურთიერთობებს წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის ფონზე იხილავს. ამგვარ დასკვნამდე იგი წყაროებისა და არტეფაქტების ანალიზის შედეგად მიდის (გაგოშიძე 2008, 12-22). მოსაზრებას, რომ კავკასიონზე გადასასვლელს იბერიელი ხელისუფალნი აკონტროლებდნენ, გ. გამყრელიძეც იზიარებს (გამყრელიძე

2012, 197). კრებულ „რომი და პართიას“ რეცენზიაში ე. ვილერი არ იზიარებს იბერიის განსაკუთრებულ როლს რომის, პართიისა და მომთაბარე ტომების - ალანების - ურთიერთობებში. იგი მიუთითებს ქართველ მკვლევართა წერილობითი წყაროების შესწავლის ერთგვარ ხისტ მიდგომაზე და დასკვნების გამოსატანად არასაკმარის არქეოლოგიურ მასალასა და არასრულ არგუმენტებზე. იგი აღნიშნავს, რომ იბერიელი მეფეების მოთხოვნით ალანების დარიალით გადმოსვლის მხოლოდ ორი ფაქტია ცნობილი ახ.წ. პირველ და მეორე საუკუნეებში და ეს არ შეიძლებოდა რომის დაინტერესების საგანი გამხდარიყო. რომისთვის საშიშროება მომთაბარე ტომების მხრიდან მართლაც წარმოიშვა, ოღონდ - მოგვიანებით და ჰუნებისგან. რაც შეეხება სასანიდებს, რომაულ-სასანიდურ ურთიერთობებში დარიალის გადმოსასვლელის საკითხი არასდროს დამდგარა (ვილერი 2013, 319, 324, 327), თუმცა ე. ვილერი ფიქრობს, რომ „ვესპასიანეს წარწერა“ მართლაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ალანების შემოსევასთან (ვილერი 2013, 328). ჯ. ბენეტის აზრით კი, არმოსიკეს გამაგრება ზურგის გასამაგრებლად უნდა მომხდარიყო, რომელსაც სურსათის მომარაგება ევალებოდა (ბენეტი 1997).

რომის მუდმივი ინტერესი იბერიაში, შესაძლოა, მართლაც არ ყოფილიყო კავკასიონის გზების კონტროლით განპირობებული. სავარაუდოდ, ვერც იბერია იქნებოდა მუდამ მაკონტროლებლის პოზიციაში სხვადასხვა ეკონომიკური თუ პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, მაგრამ მაინც აღსანიშნავია აზიის იბერიისა და სარმატების გეოგრაფიული სიახლოვე - კავკასიონი ყოფს სამხრეთისაკენ ალბანიასა და იბერიას, ჩრდილოეთისაკენ კი - სარმატთა ველებს (სტრაბონი XI, II, 15), რომელიც გეოგრაფების თხზულებებში სარმატების შემდეგ აზიის იბერიის აღწერილობა და დახასიათება (პლინიუსი VI; პტოლემეაიოსი VII, X) და ბოლოს სტრაბონისა და ტაციტუსის ცნობები იბერიელებისა და სარმატების ურთიერთობებზე. სტრაბონის მიხედვით იბერიელები და სარმატები მონათესავე ხალხი იყო და ერთმანეთში საქმეებს ადვილად აგვარებდნენ (სტრაბონი XI, III, 3). ტაციტუსი კი კავკასიონზე გადმოსასვლელი გზების კონტროლსა და

სარმატების შეკავებას იბერიელებს მიაწერდა, როდესაც პართელების, იბერიელებისა და სარმატების ურთიერთობებზე მოგვითხრობდა (ტაციტუსი ანალები VI, 40).

ავგუსტუსის ხანიდან მოყოლებული, რომის სასაზღვრო პოლიტიკის კარდინალური პრინციპი საზღვრის მიღმა განლაგებული მტრულად თუ კეთილად განწყობილი ხალხის პირველსავე შესაძლებლობისას ძალით ან დიპლომატიურად დამორჩილება იყო (ფერგიუსონი 2005, 18). იბერიის შემთხვევაში, რომს მტრობა არ დასჭირვებია. „მცხეთის ქვეყანაში“ აღმოჩენილ მდიდარ არქეოლოგიურ მასალას მკვლევართა ნაწილი რომის იმპერატორების ძღვნად მიიჩნევს (მაჩაბელი 1976, 51-52; გაგომიძე 2008, 21-22; ცეცხლაძე 2008, 101-104). იბერიას „რომის ხალხის მეგობრის“ სტატუსიც მიუღია, როგორც ამას ორი წარწერა - „ვესპასიანეს წარწერა“ და Res Gestae Divi Augusti გვეუბნება. „რომის მეგობარი“ იყო ერთგვარი ფორმულა, რომელსაც რომი იმ სამეფოს ან ხალხს ანიჭებდა, რომელთა მიმართაც რაიმე სახის ინტერესი ჰქონდა.

რომის იმპერიის აზიურ საზღვართან რამდენიმე პატარა სამეფო იყო განლაგებული, რომელთაც „რომის ხალხის მეგობრის“ სახელი ჰქონდათ. „მეგობრული სამეფოები“, რომის პერიოდული დახმარების შედეგად, საკუთარი ტერიტორიების საზღვრებს იცავდნენ და ამით იმპერიის აღმოსავლეთ ფლანგს ამაგრებდნენ. ეს ღრობებითი გამოსავალი იყო, რადგანაც სამეფოები არც ძლიერნი და არც სანდონი იყვნენ. ამიტომ მათ, საბოლოოდ, რომის იმპერია იერთებდა (ვილიამსი 1996, 2).

იბერია არასდროს ყოფილა რომის იმპერიის ნაწილი, თუმცა იქ, გარკვეული პერიოდებით, რომის ჯარის განაყოფი იმყოფებოდა. ამას დიონ კასიუსიც წერს და ავგუსტუსის მონეტებისა და ცისტერნის არსებობის მიხედვითაც შეიძლება დავასკვნათ.

Pax Romana (27-180 წ.წ.), რომელიც 200 წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, ავგუსტუსის მართველობიდან დაიწყო და შედარებითი მშვიდობიანობით, უფრო სწორად, ნაკლები ომიანობითა და აღმშენებლობითი და ორგანიზაციული საქმიანობებით - გზების გაყვანით, რეგულარული ჯარის შექმნით, საგადასახადო სისტემების ჩამოყალიბებით და სხვა - ხასიათდებოდა (ფერგიუსონი 2005, 16). რომის მიერ დამყარებული მშვიდობის ღროს

მრავალი მალობ ადგილზე განლაგებული ქალაქი დაცარიელდა და მოსახლეობა უფრო მოსახერხებელ დაბლობ ადგილებში დასახლდა (ლოურენსი 1979, 125).

პირველ-მეორე საუკუნეებში განვითარებულ კონტაქტებს რომს, არმენიასა და იბერიას შორის და, განსაკუთრებით, მშვიდობასა და აღმავლობას, რაც იბერია-რომის ინტენსიურ ურთიერთობებს მოჰყვა, დ. ბრაუნდიც აღნიშნავს (ბრაუნდი 1994, 205-237). სწორედ, ამ პერიოდს უკავშირდება იბერიაში მდინარის პირას დასახლებების წარმოქმნაც.

როგორც ჩანს, რომის დამპყრობლური პოლიტიკა იბერიაში მშვიდობიანი და დიპლომატიური პოლიტიკით შეიცვალა. რომს იბერიის ბოლომდე დაპყრობა და მისი იმპერიაში გაერთიანება არაფერში ესაჭიროებოდა. იმპერიაში გაერთიანებული ქვეყნების მცხოვრებლებს სხვადასხვა რანგში რომის მოქალაქის სტატუსი ეძლეოდა. ეს პრივილეგირებული პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსი იყო, რაც სხვადასხვა უფლების ქონას, მათ შორის, საკუთრების უფლებასაც გულისხმობდა. რომს თავისი მოქალაქეების მიმართ პასუხისმგებლობა და მოვალეობა ეკისრებოდა. ამიტომ, იმპერიაში გაერთიანება უპირობი არ იყო. რომი თავისი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკისათვის მნიშვნელოვან ქვეყნებს აერთიანებდა იმპერიაში. იბერია რომის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს არ წარმოადგენდა. ამიტომ, რომის იბერიისადმი დამოკიდებულებას აღმოსავლეთში სამხედრო პოლიტიკის კურსი და ინტენსიურობა განსაზღვრავდა. დიონ კასიუსი წერდა, რომ, აზიის იბერიის სახით, რომი ისეთ ქვეყანას მართავდა, რომლის არსებობაც ცოტა ხნის წინ არც კი იცოდა (დიონ კასიუსი XXXVIII, 281).

რომის ინტერესი იბერიისადმი პერიოდული ხასიათისა იყო, რაც დიონ კასიუსისა და ტაციტუსის თხზულებებიდანაც ჩანს. ინტერესი, ალბათ, ძირითადად, არმენიაში ან ალბანეთში საომარი მოქმედებების დროს ჯარის სურსათით მომარაგებაში გამოიხატებოდა. ჯარის სურსათითა და წყლით მომარაგება უმნიშვნელოვანესი იყო საომარ საქმეში. მითრიდატეს დადევნებულმა პომპეუსმა ბრძანება გასცა, მისთვის საზღვაო და სასურსათო გზა მოეჭრათ (დიონ კასიუსი XXXVII, 3), რითაც ორმაგ დარტყმას მიაყენებდა პონტოს მეფეს.

მესამე საუკუნის ბოლოდან თუ მეოთხე საუკუნის დასაწყისიდან იბერიის პოლიტიკურ-რელიგიური ცენტრი არმაზიდან მცხეთაში გადადის. ამ პერიოდს უკავშირებს ნ. ლომოური იბერიის საგარეო პოლიტიკის კურსის ცვლილებას და რომით დაინტერესებას. მანამდე კი, ნ. ლომოურის აზრით, იბერია ყოველ ღონეს ხმარობდა იმისათვის, რომ რომის ექსპანსია თავიდან აეცილებინა. ეს ცვალებადობა სასანიდთა გაძლიერებითა და აგრესიით იყო გამოწვეული. იბერიაში პოლიტიკური არასტაბილურობა იყო. სავარაუდოდ, არსებობდა დაპირისპირება პრორომაულ და პროსპარსულ ძალებს შორის. ქრისტიანობის მიღება რომის პოლიტიკის აღიარებას და მასთან კავშირს ნიშნავდა. პრორომაული ძალებისა და ორიენტაციის გამარჯვება ახალი რელიგიის მიღებაში გამოვლინდა (ლომოური 1975, 93-96).

რომაული გავლენა იბერიაში როგორც რომანიზებული აღმოსავლეთიდან, ასევე, საკუთრივ რომიდან ვრცელდებოდა. იბერიელებს უშუალო კავშირი ჰქონდათ რომაელებთან, რაც ზოგიერთი მკვლევრის აზრით, რიგ შემთხვევებში, რომის მოქალაქეობის მიღებამდეც კი მიდიოდა. იბერიის ადგილობრივი მცხოვრებლების ორმაგი სახელები, მაგალითად, ფლავიუს დადე, ავრელიოს აქოლისი, მათი ვარაუდით, რომის მოქალაქეობის მაჩვენებელი იყო (დუნდუა 2002, 4-9; ლორთქიფანიძე 2004, 153-155).

არქეოლოგიური მასალა და წერილობითი წყაროები რომაულ-იბერიულ ურთიერთობებს სამხედრო და უმაღლესი ხელისუფლების დონეზე ავლენენ. იბერიელი მეფეები თავიანთი დიდგვაროვანი მხლებლებით მიემგზავრებოდნენ რომში, რომელი ჯარისკაცები კი იმყოფებოდნენ იბერიაში. ანტონიუს პიუსთან ფარსმანისა და მისი კარის სტუმრობა, ცხადია, პოლიტიკური ხასიათისა იყო, მაგრამ, შესაძლოა, ამ ვიზიტის შემდეგ, მათ ცენტრიდან პროვინციაში გარკვეული სიახლეები ჩამოეტანათ, რაც არქიტექტურასა და იბერიელი ელიტის ყოფაზე აისახებოდა.

მართალია, უცნობია, რა სიხშირითა და ვადით დადიოდნენ ისინი რომში, მაგრამ, ამის მაგალითად გამოდგება ჰეროდეს რომში ვიზიტები და მისი მეგობრული ურთიერთობა ავგუსტუსის მთავარ მშენებელ აგრიპასთან. ამ ვიზიტებისა და კონტაქტების

შემდგომ გარკვეული მსგავსება აღინიშნება ქვედა ჰეროდოტოს, იერიქონის მესამე სასახლესა და რომში მარსის მოედანზე განლაგებულ ნაგებობებს შორის (ნილსენი 1994, 206). შესაძლოა, აბსიდებიანი ტაძრის მშენებლობა არმაზში თარსმანის რომში ვიზიტის შედეგი ყოფილიყო და არა რომანიზებული აღმოსავლეთის, კერძოდ პერგამონის არქიტექტურული სტილის გამოძახილი.

რომაული ცხოვრების სტილი (აბანოები არმაზში, არმაზისხევში, ძალისაში), შესაძლოა, რომის მაღალი სამხედრო პირებისა და ჯარისკაცების მხრიდანაც გავცელებულიყო იბერიის ადგილობრივ მოსახლეობაში.

ამრიგად, სახეგა „მცხეთის ქვეყნის“ დასახლებათა წარმოშობის, განვითარებისა და ცვალებადობის პროცესები, რაზეც სხვადასხვა პერიოდის კულტურული ფაქტორები ზემოქმედებდა.

საკითხავია, თუ რა როლს ასრულებდა დასახლებათა დინამიკაში ლანდშაფტის ცვალებადობა. დასახლებათა კონფიგურაციის ცვლილებას ლანდშაფტისა და ბუნებრივი პირობების ცვალებადობა განაპირობებდა. დასახლებათა დინამიკა კი, თავის მხრივ, ლანდშაფტის ცვალებადობას იწვევდა. ეს ორი პროცესი ურთიერთდამოკიდებული იყო, მაგალითად, პოპულაციის ზრდას და მასთან დაკავშირებულ ინტენსიურ მშენებლობას ტყეების გაჩეხვა მოჰყვებოდა ხოლმე. „ზემო ქართლის მცენარეულობა თითქმის მთლიანად ანტროპოგენულ ხასიათს ატარებს. პირველად მცენარეულ საბურველს აქ ტყის ხასიათი უნდა ჰქონოდა. ტყეები, რომლებითაც ეს რეგიონი ადამიანის ინტენსიურ ზემოქმედებამდე იყო შემოსილი, შედგენილი იყო მუხით, რცხილით (ამაზე მიგვითითებს ტოპონიმიკაც - სახელწოდებები მუხნარი, მოხისი, ცხინვალი ანუ ქრცხილვანი და ა.შ.), წიფლით, ზოგან კი ფიჭვითაც. ყველაზე უფრო მაღალი სერები, მაგალითად საგურამო-იალნის სერი ანუ კუხეთის ქედი დღემდე ინარჩუნებენ ტყის საბურველს“ (მარუაშვილი 1964, 254-255).

საკვლევ ტერიტორიაში მოქცეულ მტკვრისა და არაგვის სანაპირო ზოლში, წარსულში რომ ჭალის ტყეები არსებობდა, ამაზე სამთავროს სამაროვანზე და არმაზის ნაქალაქარზე აღებული პალინოლოგიური სინჯების ანალიზებიც მეტყველებს.

პალინოსპექტრში გვიმრანაირთა სპორებისა და ისლისებრთა მტვრის მარცვლების შედარებით დიდი რაოდენობა გამოვლინდა. გვიმრანაირი და ისლისებრთა ოჯახის წარმომადგენლები კი ხშირად, სწორედ მდინარისპირა ნატყევარ ადგილებზე ამოღის.

წინამურის სამაროვნის მეოთხე-მეექვსე საუკუნეების სამარხების გათხრების დროს აღებული მიწის ნიმუშების პალინოლოგიურმა ანალიზებმა როგორც კულტურული ისე ველურად მოზარდი მცენარეები გამოავლინა. კულტურული მცენარეებიდან - ხორბალი, ქერი და ვაზი. ველურად მოზარდი მცენარეებიდან - კულტურულ მცენარეთა თანმდევი სარეველები (სეგეტალები), ასევე ადამიანის საცხოვრებლის თანმდევი რუდერალები (ყვავაძე და სხვა 2008, 217-224).

არაგვის აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაპირების პალინოსპექტრის შედარებამ მცენარეული საფარის მსგავსება და განსხვავება გამოავლინა. ხე-მცენარეებიდან საერთო ფიჭვი (*Pinus*) და მურყანი (*Alnus*) იყო, ხოლო ბალახოვნებიდან რუდერალური მცენარეთა მტვრის მარცვლები - ტუჩოსნების (*Labiatae*) და რთულყვავილოვნების (*Asteraceae*) ოჯახებიდან.

წინამურის ველისაგან განსხვავებით სამთავროს ველზე და არმაზის ნაქალაქარზე არ დადასტურებულა მცენარეთა კულტურული სახეობები და არც მათი თანმდევი სარეველები, თუმცა გამოვლინდა ადამიანის თანმდევი რუდერალები - სალბი, ისლისებრთა და რთულყვავილოვანთა ოჯახის წარმომადგენლები.

ამ მონაცემებზე დაყრდნობით, კიდევ ერთხელ შეგვიძლია განვსაზღვროთ ნამოსახლართა ფუნქცია. მტკვრისა და არაგვის პალინოსპექტრი წინამურის დასახლების სასოფლო-სამეურნეო ფუნქციას და არმაზისა და მცხეთის ურბანულ ხასიათს ადასტურებს.

მტკვრისა და არაგვის სანაპირო ზოლის ხე-მცენარეები სამშენებლო და სანვავ მასალად გამოიყენებოდა, რომელიც საჭირო იყო კერამიკული ნაწარმისა და სამშენებლო მასალის დამზადებისთვის, მაგალითად, კირის გამოწვისთვის. კირის გამოწვა იბერიაში, კირქვის დამზადება და, ზოგადად, ინტენსიური მშენებლობა რომაელების გამოჩენას უკავშირდება, ისევე, როგორც მოსახლეობის ლოკალური მიგრაცია ფერდობებიდან მდინარისპირეთში. ამ პროცესების შედეგად გაიჩეხებოდა ჭალის ტყეები (ე.წ. დახურული,

ტყიანი ლანდშაფტები) და მდინარეების სანაპირო ზოლში ჩამოყალიბდებოდა მეურნეობისათვის ვარგისი მიწები (ე.წ. ღია ლანდშაფტები), მაგალითად, წინამურის მესამე სასოფლო-სამეურნეო ველი, რომელზეც ეხლაც ბაღებია გაშენებული. თუმცა, ყველა ნაპირი და ნიადაგი არ იყო მიწათმოქმედებისთვის გამოსადეგი, მაგალითად, მუხათგვერდი. სავარაუდოდ, მისი მოსახლეობა მეცხოველეობასა და მეფრინველეობას მისდევდა.

